

რედაქტორისაგან

1913 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ I - II წიგნების გამოცემის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ისტორია“ ოთხ წიგნად არის განზრახული; პირველი შეიცავს უძველესი ხანის ისტორიას VII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ საქართველოში არაბების ბატონობის დამყარებამდე, მეორე არაბთა ბატონობით იწყება და თამარის მეფობით თავდება, მესამე XIII - XVI ს., ხოლო მეოთხე XVI[I] - XVIII ს. ისტორიას უნდა შეიცავდესო. შემდეგ ხანებში განსვენებულმა აკადემიკოსმა შეცვალა ეს გეგმა და მესამე წიგნად განზრახული XIII - XVI საუკუნეების ისტორია ორ წიგნში გაანაწილა: III წიგნში მოათავსა XIII - XIV საუკუნეთა ისტორია, ხოლო მეოთხეში - XV - XVI საუკუნეებისა (იხ. მეოთხე წიგნის წინასიტყვაობა). მასასადამე, მეხუთე წიგნი მას განზრახული ჰქონდა მიეძღვნა XVII - XVIII საუკუნეთა ისტორიისათვის.

სამწუხაროდ, მეხუთე წიგნის მასალები ივ. ჯავახიშვილს დაუმუშავებელი დარჩა. მის არქივში აღმოჩნდა რამდენიმე შეკვრა მასალებისა ზედწარწერით „XVII - XVIII საუკუნეები“, სადაც იდვა ერთი მხრით XVII საუკუნის სიგელ-გუჯრებიდან და სხვა დოკუმენტებიდან ამოწერილი ცნობები, ხოლო მეორე მხრით XVIII საუკუნის ისტორიის უკვე დაბეჭდილი მიმოხილვის ხელნაწერი დედანი. გარდა ამისა, XVII საუკუნის მასალას თან ახლდა სახელდახელოდ დაწერილი სხვადასხვა გეგმა, რომლებიც ივ. ჯავახიშვილს შეუდგენია, როდესაც ის VII საუკუნის ისტორიის ლექციებისათვის ემზადებოდა. ამ გეგმებით გათვალისწინებულ ზოგიერთ საკითხზე კიდევაც დაუწერია სათანადო ნარკვევები; ასეთებია, მაგალითად: „სვიმონ მეფის მოკვლა“ (იხ. ქვემოთ, გვ. 12 - 17), „თეიმურაზი - ორისავ ტახტის მქერი“ (გვ. 17 - 29), „როსტომ მეფე“ (გვ. 29 - 37), „ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVII საუკუნეში“ (გვ. 46 - 58). მიუხედავად იმისა, რომ ეს ნარკვევები ფრაგმენტულია, მასალის იმდენად საფუძვლიანი ანალიზია მოცემული, რომ ჩვენ შესაძლებლად ვსცანით დაგვებეჭდა ისინი იმ სახით, როგორითაც მკვლევარს დარჩა. მესამე თავი „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, რომელიც ცალკე წიგნაკად წინათაც იყო, წარმოადგენს მეორე თავის უშუალო გაგრძელებას, სადაც იგივე ურთიერთობაა განხილული XVII საუკუნეში. ჩვენს საისტორიო მეცნიერებას დიდი მიღწევები აქვს ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში და ბევრ საკითხში, რომელთაც ეხება ივ. ჯავახიშვილი წინამდებარე მეხუთე ტომის მასალებში, ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება უფრო მკაფიო და საღი შეხედულება. მიუხედავად ამისა, ამ მასალებს ვბეჭდავთ უცვლელად, რადგან, როგორც ვწერდით „ქართველი ერის ისტორიის“ III ტომის შემოკლებული რედაქციის წინასიტყვაობაში (თბილისი 1941 წ.), ივ. ჯავახიშვილის შრომები იბეჭდება მისი გარდაცვალების შემდეგ „როგორც არა მარტო მონოგრაფია, არამედ როგორც ლიტერატურული დოკუმენტი“.

მეოთხე თავად გადავბეჭდეთ მისი მიმოხილვა „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“, რომელიც რუსულად დაიბეჭდა 1906

წელს. თვითონ ივ. ჯავახიშვილს აქვს ნათქვამი ჩვენთვის, რომ ამ მიმოხილვის გამოქვეყნებამ გამოიწვია რეპრესია: სამი წლით აეკრძალა პეტერბურგიდან გასვლა; მეტი სასჯელი მომელოდაო - დასძინა განსვენებულმა მკვლევარმა -, მაგრამ მოხსენებული ვიყავი როგორც თავადი და ამან მიხსნა უფრო მკაცრი სასჯელისაგანო.

წიგნს დავურთეთ სამი დამატება. ამათგან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ მეორე დამატებაზე („ხელმწიფის კარის გარიგება“). ივ. ჯავახიშვილის არქივში აღმოჩნდა ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთი ეგზემპლარი, რომელშიც, არშიებზე, განსვენებულ აკადემიკოსს შეუტანია შესწორებები და მოკლედ აღუნიშნავს თავისი შეხედულება ტექსტის ამა თუ იმ ადგილის შესახებ (იხ. ბოლოში დართული ფოტო სურათი). ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ დაუწყია ნარკვევის წერა, ხოლო ვერ დაუმთავრებია. ჩვენ ამოვიკითხეთ ყველა მისი მარგინალური შენიშვნა და მოვათავსეთ სქოლიოებში, ხოლო დაუმთავრებელი ნარკვევი ძეგლის შესახებ თავში მოვათავსეთ.

დანარჩენი ორი დამატებიდან პირველი წარმოადგენს ნარკვევს სოციალური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, რომელიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1934 წელს, ხოლო მეორეში მოცემულია შესწორებები და დამატებები „ქართველი ერის ისტორიის“ III და IV ტომებში გარჩეული ზოგიერთი საკითხისათვის.

სიმ. ყაუხჩიშვილი

თბილისი

1953 წლის აგვისტო.

[შესავალი]

[საქართველო XVII საუკუნის დასაწყისში]

მთელი XVI ს-ის განმავლობაში საქართველო გამუდმებულს ბრძოლაში იყო ჯერ სპარსეთთან, შემდეგ კი ოსმალებთან, რომელიც სპარსეთის ძლიერ და დაუცხრომელ მეტოქედ იქცა. შედარებით მყუდროებაში იყო მხოლოდ **კახეთის სამეთო**, სადაც ამის წყალობით და ლევანის [1520 - 1574 წ.წ.] და ალექსანდრე მეფის [1574 - 1605 წ.წ.] გამჭრიახობით ქვეყანა მოეშენა, მოსახლეობა გამრავლდა და

ეკონომიურად მოღონიერდა. კახეთის ამდროინდელი ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებსაც ცხადად ემჩნევა კულტურული აღორძინება.

სულ სხვა მდგომარეობა იყო **ქართლის სამეფოში**. მასაც ამ დროს გულადი და ქვეყნის კეთილდღეობისათვის დაუღალავად მშრომელი მეფე სვიმონი [1558 - 1600 წ. წ.] ჰყავდა. მაგრამ, ვითარცა საქართველოს შუაგულ დედაქალაქ თბილისის შემცველი, ქართლი მტრის საომარ ასპარეზად იყო ქცეული. განსაკუთრებით ოსმალთა ძლიერი ჯარის მრავალგზისმა შემოსევამ და მათ წინააღმდეგ სვიმონ მეფის თავგანწირულმა მაგრამ უსწორო ბრძოლამ გააოხრა და მოქანცა ხალხი. მამაცური შეუპოვრობით უწევდა წინააღმდეგობას სვიმონ მეფე საქართველოს მტრებს, ჯერ სპარსელებს, მერმე ოსმალებს; ორჯერ ბრძოლის ველზე დატყვევებულს, უაღრესად შევიწროებულს ოსმალთაგან მაინც მას ქედი არ მოუხრია და ხარკის ძლევა არ უკისრია. სვიმონ მეფემ ისე განუტევა თავისი, საქართველოსათვის ტანჯული, სული ოსმალთა ტყვეობაში, რომ ოსმალთა მოთხოვნილებაზე თანხმობა არ განაცხადა და მონობის უღელი თავის ქვეყანას და ერს არ დაადვა.

ოსმალთა ძლევამოსილებასა და საქართველოში ნავარდობას სპარსეთის **შაჰმა აბბას I-მა** მოულო ბოლო. ის დაუძინებელი მტერი იყო ოსმალეთისა და თავისი მამაცობითა და სახელმწიფოებრივი ნიჭით მან სპარსეთი იმდენად გააძლიერა და მის კულტურულ აყვავებას ისე შეუწყო ხელი, რომ სპარსეთის ოდინდელი ძლიერებისა და ბრწყინვალეობის სახელი კვლავ გამოაცოცხლა. დიდი სახელმწიფო მოღვაწის უტყუარ ნიჭთან ერთად მას თანდაყოლილი ჰქონდა პირადი ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც მას ხშირად ადამიანურ სახეს უკარგავდნენ და კაცურ ქცევას ავიწყებდნენ, შაჰ-აბბასი მცირე რამის გამოც ისეთს თავშეუკავებულს მრისხანებას იჩენდა ხოლმე, ისეთი ხშირად სრულებით უაზრო სისხლისღვრა, შემადრწუნებელი ვერაგობა და შემზარავი შურისძიება იცოდა თავის მახლობელთა წრეშიაც, რომ უნებლიეთ მისი გონებრივი ნორმალურობის შესახებ ეჭვი იზადება.

საშინელი იყო შაჰ-აბბასის მეფობა საქართველოსათვის და ქართული ერისათვისაც. მისი მთელი პოლიტიკა ვერაგობითა და სისხლის გაუმაძღრობით იყო აღსავსე. ჭორებისა და ჯაშუშობის ქსელის მოტრფიალე ის თავის გარშემო ისეთ ჯოჯოხეთურ მუხანათობისა, ინტრიგებისა და იჭვიანობის ბუდეცა ქმნიდა, რომ მას ხშირად თითონაც საშუალება აღარა ჰქონდა სიმართლე შეეტყო და გაბმული მახიდან თავი დაეღწია. შაჰ-აბბასი საქართველოს ერთის მხრით იმიტომ გადაემტერა, რომ ქართველებმა მაჰმადიანთ მეზობელ სახელმწიფოების მძლავრების გამო თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა ვითარცა ერთმორწმუნე სახელმწიფოს რუსეთის სამეფოს აცნობეს და დახმარებაც სთხოვეს. მაგრამ ამას გარდა შინაური მტრებისა და შინათგამცემელთა მუხანათურ სისინსაც დიდს ყურადღებას აქცევდა ამბების მოყვარული შაჰი.

მრავალჯერ გამოსცადა საქართველომ აბბას I-ის მრისხანების და ვერაგობის მთელი საშინელება, მაგრამ **1614, 1616, და 1623 წ.წ.** იყო შემზარავი. შაჰისათვის ფიცის მიცემა და გატეხა ისე ადვილი იყო, რომ მან ყოველგვარი აღქმისა და შეფიცვისდა მიუხედავად თავისი საყვარელი ცოლის ძმაც, ქართლის მეფე ლუარსაბი^{ცკი}¹ არ დაინდო და ჯერ დაიჭირა, შემდეგ გამაჰმადიანება მოსთხოვა და, რაკი უარი მიიღო, საპყრობილეში ჩააგდო, სადაც შაჰის ბრძანებით მოშთობილ იქნა. ამგვარადვე მან გამაჰმადიანების უარყოფისათვის აწამა კახთა მეფის თეიმურაზ I-ის მოხუცი დედა, **ქეთევან დედოფალი**. მისი მრისხანება იმდენად ძლიერი იყო, რომ ის საქართველოს აოხრებითა და ხოცვა-ჟლეტით არ კმაყოფილდებოდა. მან განადგურებული კახეთიდან 400.000 კომლი მცხოვრები აჰყარა და სპარსეთის

სხვადასხვა ადგილას დაასახლა, რომელთა ერთი ნაწილი ფერეიდანში ეხლაც შერჩენილა და დედანაც შენახული აქვთ. ამავე დროს შაჰ-აბბასმა სულ მთლად დაანგრევინა ქართული ხელოვნების მრავალი ძეგლი, მათ შორის კახთა მეფეების მშვენიერი

სასახლე

ქ.

გრემში.

შაჰ-აბბასის მიერ საქართველოს აოხრება იმ მხრივაც იყო საშინელი, რომ მისმა სიმკაცრემ შემოდგომის რთვილის სუსხივით დაჰკრა ახლად გამოღვიძებულ ქართული მხატვრული მწერლობის ჯეჯილს. სწორედ ამ დროს იწყებოდა ხანგრძლივ მიძინებული ქართული გონებრივი შემოქმედების მოსულიერება. ერთი მხრით სეფევიან სპარსეთის პოეტური აღორძინების ზეგავლენით, მეორე მხრით თვით ქართული ძველი მხატვრული სიტყვიერების მიმბაძველობითა და შესწავლით დაიწყო ეს აღორძინების ხანა. როგორც პირველადაც, ეხლა ფირდოუსის უკვდავი ქმნილების ქართულად გადმოთარგმნას შეუდგნენ. ძველი თარგმანი მტრების მრავალგზისი შემოსევის დროს დაიკარგა. სპარსული საგმირო თქმულებები ქართველობას იმთავითვე შეთვისებული ჰქონდა. მის რაინდულს სულს და მისწრაფებას სპარსთა საგმირო პოეზია საუცხოვოდ ენათესავებოდა და იმდენად შეესისხლხორცა, რომ თავისადაც კი ეჩვენებოდა.

შოთა რუსთაველის დაუჭკნობელი მშვენიერებით მოსილი და დამიანთა სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ ქცეული ქმნილება იყო ის სათაყვანებელი სიწმინდე, რომელსაც შეჰხაროდა და შესტრფოდა ამ აღორძინების ხანის ყოველი ქართველი მწერალი და რომლის მიუწდომელი მომხიბლავობა მათს პოეტურ აღმაფრენას ასე ძლიერად მისაბაძავად იზიდავდა. ამ გარემოებამ ქართულ მწერლობას, ახლად გამოღვიძებულს, საშუალება მისცა იმთავითვე ეროვნული შემოქმედების სფეროც გაეცხოველებინა.

ამ ხნის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად თვით შაჰ-აბბასის შემოსევის დროს კარგად ცნობილი, სპარსეთის დიდი მტარვალის დაულალავი მოწინააღმდეგე კახთა მეფე **თეიმურაზ I** (1610 - 1634) იყო და ეს გარემოებაც საკმარისია, რომ ნათლად გავითვალისწინოთ ის მსახვრელი გავლენა, რომელიც უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევ შაჰ-აბბასის შემოსევას და მძვინვარებას ქართულ გამოცოცხლებულ გონებრივ შემოქმედებისათვის. როგორ შეიძლება, რომ ხარობდეს პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი იქ, სადაც ირგვლივ მტრისაგან აოხრებული ქვეყანა იყო და ომისა და სიკვდილის შემზარავი აჩრდილი დაძრწოდა. სწორედ რომ გასაოცარი და სათაყვანებელია ის მამაცური გულგაუტეხლობა და სიცოცხლისა და მშვენიერების დაუშრეტელი წყურვილი, რომელიც თეიმურაზ მეფეს და მის ქართველ თანამედროვეებს და მიმდევნო თაობას ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც ეროვნული ხელოვნებისადმი უანგარო სამსახურის ხალისს არ უხშავდა.

1. [ლუარსაზ II, რომელიც მეფობდა 1606 - 1615 წლებში]

თავი პირველი
მასალები XVII საუკუნის ისტორიისათვის

[აღმოსავლეთი საქართველო XVII საუკუნეში]

[ლუარსაბ II]

1600 წ. „ქკ~სა სჰჴ“ ნაბოდებს ტყავზე დაწერილს შეწირულობის წიგნში ლუარსაბი მოგვითხრობს: „ჩვენ მეფეთა მეფემან პატრონმა (sic) ლუარსაბ მივედით მონასტერსა შინა გუდარეკისასა და ვიხილეთ მათ შინა მყოფნი და მრავალნი განაკეთები და გარჯილობა, ვიხილეთ და ვიგულისჯმევით კურთხეულთა ძველთა (მეფეთა) და მეპატრონეთაგან მრავალი განაკეთები საქმე“ და „ჩვენც შესაწირავად მრავალი საქმე გვინდოდა, მაგრამ ვერ ძალ-გვედვა მათდა საკადრისად“ და მხოლოდ აღაპი გავიჩინეთ¹. მაშასადამე, ამ სიგელისდა მიხედვით ლუარსაბი უკვე 1600 წ. მეფედა სთვლის თავის თავს. ე. თაყაიშვილს სამართლიანად აქვს ამ საბუთის შესავალში აღნიშნული, რომ ეს არ ეთანხმება მიღებულს ქრონოლოგიას, რომლითაც ლუარსაბ მეორემ იმეფა 1605 - 1616 წლებში².

ერთი **1602 წ.** საბუთი არსებობს რომელშიაც იმდროინდელ მეფედ გიორგი ჩანს და არა ლუარსაბი. ეს სიგელი ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქის დომენტის ნაბოდებია და იქ ნათქვამია: შენ ჭარმაულს დავითს „კითხვითა მეფისა პატრონისა გიორგისითა მოგიბოდეთ“ ყმები და მამულიო³. ამავე წლის „ქკ~სა სჴ ქრისტიშობისთუეს ჴ“ დაწერილი მეორე საბუთიც მოიპოვება იმავე მეფე გიორგის მიერ ხელმოწერილი⁴.

1605 წ. „ქკ~სა სჴჴ მკათათუესა ია“ მეფედ ჯერ კიდევ გიორგია, რომელიც ავალიშვილს ზაქარიას შემდეგნაირად დაწერილს წყალობის წიგნს აძლევს: „ჩუენ ღ~თივ გუირგუინოსანმან მეფეთა მეფემან პატრონმა გიორგიმ“ ამირეჯიბი რამინის მამული მოგვიბარებია სანამ ცოცხალია, შემდეგ კი გვიბოდებიაო⁵.

[დავითი, თეიმურაზ I]

„ჩუენ ღთ~ივ გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან დავით და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ქეთევან და სასურველ-საყუარელთა ძეთა ჩუენტა პატრონმან თეიმურაზ და პატრონმან ბაგრატ“⁶ შემოგწირეთ სიგლითა ამით, რომელიც დაიწერა „ქკ~სა: სჴ“, 1602 წ.

1603 წ. „ჩუენ ღთ~ივ გუირგუინოსნისა მეფეთ-მეფისა პატრონისა ლეონისა ასულმან მონაზონმან პატრონმან თეკლა“ გიბოდეთ „სიგელი ესე ქკ~ნსა: სჴჴ: მეფობასა მისა მეფისა ლეონისასა პატრონისა მეფეთ-მეფისა ალექსანდრესა“⁷.

1604 წ. „სჴჴ. აქა მოკლა კახმან კონსტანტინე მამა და ძმა. და თუესა მეშჴდესა მოკლეს კახთა მკვლელი მამისა და ძმისა კონსტანტინე“⁸. სხვა წყაროებში ამაზე მეტია ნათქვამი და თარიღადაც **1605 წ.**-ია აღნიშნული: „ქკ~ნსა ორას ოთხმოცდა ცამეტსა მოკლა მეფე კახთა ალექსანდრე უმრწემესმან ძემან მისმან კოსტანტინე და ძე მისი გიორგი და იმეფა მათ წილ კოსტანტინე ერთ წელ და მოიკლა ლაშქართაგან თჴსთა ს~ნეულებითა შეპყრობილ იქმნა. და მიიღო მეფობაჲ მის წილ ძემან მისმან დავით ერთ წელ და მიიცვალაჲ“⁹.

[ალექსანდრე II]

1605 წ. „ქკს: სჟგ.: ...მარტსა: იბ: დღესა სამშაბათსა დიდი და მაღალი სახელოვანი ჳელმწიფე ბატონი ალექსანდრე აწამეს. მე მისი და ეპისკოპოსნი აწამნეს და კახეთი ააოხრეს ყიზილბაშთა“¹⁰.

[თეიმურაზ I]

1605 წ. „ქკს: სჟგ: აქა მეფედ დაჯდა ბატონი თეიმურაზ კახეთს“¹¹.

1612 წ. დაწერილ საბუთში თეიმურაზ მეფეს ნათქვამი აქვს: „დაიწერა ქკსა: ტ: თვესა მაისსა ათსა, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: ვ :“¹² მაშასადამე, თეიმურაზი 1606 წ. უნდა გამეფებულიყო.

1607 წ. „ქკსა: სჟე: აქა მეფემან თეიმურაზ მოიყვანა ასული გურიელისა დედოფალი ანა“¹³. დაწვრილებით ეს ამბავი ქკსის შვესებ.-გადაკ. მეორე გაგრძელებაშია აღწერილი¹⁴.

თეიმურაზ მეფეს ანასთან „პირველად ეყოლა ლევან და მერმე ალექსანდრე“¹⁵. მეორე შვილის ყოლის შემდეგ თურმე „ყელში ყიყვი გაუჩნდა ანა დედოფალსა“, რომელმაც „მრავალი იწამლა უცხო და ძნელი“, მაგრამ ვერაფერმა უშველა. შემდეგ „ორმოც დღეს სხვა არა ჳამა რა ხმელის პურის მეტი და არაყი ზედა სვა და მერმე გაიჭრა ყიყვი“. ამგვარი წამლობისა და გაჭრის ყველა მისი მახლობელნი წინააღმდეგნი იყვნენ: „ბევრი უშალა ბატონმა თეიმურაზ და სხვათაცა. მაგრამ არც წამლობა დაიშალა და არც ყელის გაჭრა“, რომელიც ანა დედოფლისთვის საბედისწერო შეიქმნა. გააჭრევიანა თუ არა „ქკსა რჟზ“ (1609 წ.) ყიყვი, ამან გადაიტანა კიდევ უბედური დედოფალი¹⁶.

თვით თეიმურაზ მეფე მოგვითხრობს თავის **10 მაისს 1612 წ.** დაწერილს ალავერდის სიგელში, რომლითაც ალაპია დაწესებული მისი თანამეცხედრის ანა დედოფლის სულის მოსახსენებლად, რომ „ოდეს ყოველთა მზადმან არსთამან წარიყვანა თანამეცხედრე ჩემი დედოფალთ-დედოფალი ანა ჩემგან“, მაშინ შემოგწირე 37 კომლი კაციო¹⁷. ამგვარად, საფიქრებელია, რომ ანა დედოფალი სწორედ ამ 1612 წ. უნდა გარდაცვლილიყო.

თეიმურაზ მეფე თავისი თანამეცხედრის ხორაშანის ჩამომავლობას დიდად აფასებდა და აყენებდა, რაკი იგი „დიდთა ქართველთა მეფეთა ასული“ იყო¹⁸.

1609 წ. „სჟზ. აქა თათარხანი მივიდა ქართლს და ლუარსაზ მეფემან გაიმარჯვა“¹⁹.

1613 წ. „ტა. აქა ლუარსაზ მეფე ყაენთან წავიდა თვესა აგვსტოსა“²⁰.

1613 წ. „ქკს: ტ: აქა მოვიდა შაკ-აბაზ ყეენი. ბატონი თეიმურაზ იმერეთს მორჩა და ბატონი ლუარსაზ თან წაიტანა, კახეთი ამოაგდო და ქართლი ბატონს ბაგრატ მეფეს უბოძა და ისე ქსნის ერისთავად დასო“²¹. სხვა წყაროებში ეს ამბავი 1614 წ. ქვეშე იხსენიება²².

ლუარსაზ მეფე რომ არც 1613 და არც 1614 წ. დაჭერილი არ უნდა ყოფილიყო, ამას ის გარემოებაც ცხად -ჳყოფს, რომ შენახულია ლუარსაზის წყალობის წიგნი „ქკს ტგ“ ანუ 1615 წ. ბოძებული²³.

„მას ჟამსა ოდეს შააბაზ ყაენმან კახეთი და ქართლი აღაოჯრა და ქართლის ბატონები ორნივე ლიხთ მთას აქათ გარდმოვიდნენ და ჩვენ ვიხიზნეთ და ქართლისა კათალიკოზი იოვანე ჩვენთან მოვიდა და ჩვენთან მიიღვალა... რაც საკათალიკოზო იარაღი დარჩა, ზაქარია კზ~სა მივაბარეთ... აქ დარჩა და თუ მართლად საქართველო შეიქმნას, იპრიანოს ღმერთმან, ჩვენ მოვახსენოთ“-ო²⁴.

დედოფალთ-დედოფალი ხორაშან თავის 1629 წ. სიგელში ამბობს, რომ ვაწესებ „სულკურთხეულისა და სულბრწყინვალისა დედოფალთ-დედოფლისა დედისა ჩუენისა პატრონისა თამარისთვის და ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქმულისა ახლისა მოწამისა ღწთივ გუირგუინოსნისა მეფეთ-მეფისა ძმისა ჩუენისა პატრონისა ლუარსაბისთვის“²⁵.

[ზაგრატ V II. სიმონ II.]

„ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ზაგრატ ესე შემოწირულობისა წიგნი“ გიბოძეთ, რომელიც დაიწერა „ქკ~სა: ტვ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მესამესა თუესა იანვარსა კვ“²⁶.

1637 წ. მეფე თეიმურაზი დედოფალ ხორაშანითა და შვილით დავითითურთ შემდეგს საყურადღებო ცნობებს გვაწვდის თავის თავგადასავალის შესახებ: ეს „სიგელი გიბოძეთ თქუენ მამის-პაპამდის ერთგულად სამსახურზედ ამოწყუეტილსა, ერთგულად ნამსახურთა დათავდადებულთა ჯანდიერისშვილთა ოხიყორჩსა არსლანს, გივის და როსიტას ასრე და ამა პირსა რომე შააბაზ ყეენმა მამა თქუენს დავითს კახეთი მიაბარა და იესეს სახლისუხუცესობა მამის თქუენისათვის მიეცა და ჩუენ იმერეთს ვიყუენით აგარიანთაგან ლტოლვილნი. და ვითარ შეგვან და ერთგულად ბატონყმობასა, იმ გვარად გვესაქმა და ჩამოგვიყვანა-გაგვაბატონა და ერთს დღეს ქართლი და კახეთი დაგვაჭერინა და მორთმითაც (sic) მრავალი მოგვართვა ან აბრეშუმი და ან თეთრი და ან ვეცხლის იარაღი, ანგარიში არ იქნებოდა“²⁷. ამიტომ სამაგიეროდ ჩვენ „ღანუკს გარსევანის საქევეჯავო ხუდაანი ვუბოძეთ“-ო. რაკი „მამა თქვენმა ჩუენზედ დიდი სამსახური ქნა და ჩუენს სამსახურს წინ მოკვდა და აგრეთვე ამას უკან არცა თქუენ სტყუით ჩვენზედა ბევრის სამსახურისა და ღარიბობის მეტი ჩუენთან“²⁸.

1616 წ. „ტდ. აქა ბატონმა თეიმურაზ გაიმარჯვა ყიზილბაშზედა“²⁹.
[„ჩუენ მეფეთა-მეფემან ბატონმან ზაგრატ და] ძემან ჩუენმან მეფემან პატრონმან სუიმონ“ 1619 წ. „ქკ~ს ტვ მარიამობისთვის“ შემდეგი წყალობის სიგელი გიბოძეთო³⁰.

1620 წ. აპრილის 15 დაწერილს საბუთში კი უკვე მხოლოდ სვიმონი-და იხსენიება მეფედ. ეს განჩინების წიგნი ასე იწყება: „ზე აღიდუ ღ~ნ ჳელმწიფობა ბედნიერის შაჰაბაზისა და მეფის პატრონის სვიმონისა“-ო³¹.

1624 წ. „ქ~კსა ტიბ. აქა ბატონი თეიმურაზ და ყიზილბაშნი და ქართველნი შეიბნენ

ალგეთზედა³².

„ტიბ. ამა ქ-ვნსა არიან დასაბამითგან წელნი ჳრლა (7131). აქა ყიზილბაში მოვიდა და დიდი ომი იყო“³³.

1613 წ. ჯერ კიდევ 1613 წელს პატრი გვილელმის საქართველოში მოსვლისას თეიმურაზს უცდია კავშირი დაეჭირა რომთან და დასავლეთ ევროპასთან, მაგრამ ის პატრი გზაში მოკლულ იქმნა³⁴.

1622 წელს თეიმურაზმა თავისი ელჩი ნიკიფორე ირბახი (= ირუბაქიძე) ორი მონოზანისა და ერთი მოენის თანხლებით რომში პაპთან და ესპანისა და ევროპის სხვა ქვეყნებში სპარსეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად გაგზავნა³⁵.

ირბახი გაემგზავრა ნეაპოლიდან მადრიდს, სადაც ესპანიის მეფემ კარგად მიიღო, მაგრამ თხოვნა კი აუსრულებელი იყო იმიტომ, რომ ევროპელებს საჭიროდ მიაჩნდათ შაჰთან კავშირის დაჭერა ოსმალეთის წინააღმდეგ. მადრიდიდან რომს დაბრუნდა. აქ პაპს თეიმურაზის ეპისტოლე მიაართვა: თქვენი ყმადნაფიცი ვიქნებით, მეფობა მივიღეთ და ეხლა თქვენ დაგვამტკიცეთო და თქვენის შუამდგომლობით ესპანიის მეფესთან დაკავშირება მსურსო³⁶.

1628 წელს ნიკიფორე ირუბაქიძემ მოიწადინა ევროპის სხვა სახელმწიფოებში მისვლაც და რომის პაპს სთხოვა თან თავისი წერილები გაეტანებინა ნეაპოლის მეფის მოადგილესთან, ფლორენციის დუკთან, უნგრეთისა და ბოჰემიის მეფესთან, საფრანგეთის, პოლონეთისა და შვეციის მეფესთან³⁷.

სრული უნაყოფობა. პაპის წერილი და პასუხი [ასეთი იყო]: იარეთ ჩვენს ეკლესიაში, სცანით რომის ეკლესიის უპირატესობა და ყველაფერი კარგად წავაო. „ჩვენ ამაზე უკეთეს საშუალებას საქართველოში მშვიდობიანობის დასამყარებლად სხვას არაფერს ვხედავთ“ -ო³⁸.

მოლაპარაკებამ 1633 წლამდე გასტანა, მაგრამ ხსნა დასავლეთიდან არა მიუღია-რა.

როსტომ ხანი 130.000 კაცით შემოესია საქართველოს და **18 თებერვალს 1633 წ.**

[თეიმურაზი დედოფლით...] იმერეთში გაიხიზნა³⁹.

მეფე თეიმურაზი თავისთავის შესახებ თავდაბლობითა და დაკნინებით აღსავსე სიტყვებსა ხმარობს. ასეთნაირად თავის პიროვნების დამცირება მეფეთა სიგელებში არ გვხვდება და მხოლოდ თეიმურაზს აქვს პირველად ნახმარი. მე "ყოველთა მეფეთა უნარჩევესმან არა საქმეთა მიერ კეთილთა, არამედ მოწყალებითა ღ~თისათა გუირგუინოსანმან"-ო, ამბობს ის 1631 წ. მცხეთის სიგელში⁴⁰, ან კიდევ: "მე ყოვლად უსრულმან ცნობითა, ქცევითა ყოვლად ნაკლულევანმან კეთილ-გარნა სასოებით და წრწოლით ბრალთაგან ყოვლად განკრთომილმან, მეფედ დადგინებულმან ძისა შენისაგან არათუ გამორჩევით, არამედ უნარჩევესმან, მსასოებელმან შენმან და მონამან მდაბალმან, უნდომან თეიმურაზ" ⁴¹. ეს ბერ-მონაზონის კილო და ენაა და არა ქვეყნის მმართველ მეფისა და მეომრის.

„ყოველთა მეფეთა უნარჩევესმან არა საქმეთა მიერ კეთილთა არამედ მოწყალებითა ღ~თისათა გუირგუინოსანმან მეფემან ქართველთა და კახთამან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალმან ხორაზმან“

შემოგწირეთ გორში შემდეგი პირნიო⁴².

[გიორგი სააკაძე]

1627 წ. „ტიე. აქა ბატონმა თეიმურაზ გაიმარჯვა მოურავზედა“⁴³.

ან ფურცელაძეს თავის მონოგრაფიაში ნათქვამი აქვს, ვითომც გ. სააკაძე გლეხი ყოფილიყოს და ამის გამო და ამ წოდებრივ უსწორმასწორობის ნიადაგზე მომხდარიყოს და აღმოცენებულიყოს სიძულვილი და ბრძოლა გ. სააკაძის წინააღმდეგ.

რომ სააკაძე გლეხი არ ყოფილა, არც თითონ და არც შთამომავლობით, არამედ უკვე ერთი საუკუნით უწინარეს მისი წინაპრები აზნაურიშვილებად ითვლებოდნენ, ამას 1523 წ. ბარათიანთ გაყრილობის წიგნიც ამტკიცებს. ამ საბუთიდან ჩანს, რომ სააკაძენი მაშინ ბარათაშვილების აზნაურებად ითვლებოდნენ, ამასთანავე კარგ აზნაურიშვილებად. იქ ნათქვამია: „მივეციტ გუგუნასა აზნაურის შვილებისაგან საუფროსოდ სააკაძე როსტევან და გიორგი მათითა მამულითა“⁴⁴.

ხოლო გ. სააკაძე რომ და, ალბათ, უკვე მისი მამაც აღზევებულნი იყვნენ თავადებამდის, ამას ის გარემოებაც ცხადყოფს, რომ ის დამოყვრებულია ბევრ თავადიშვილის სახლობასთან. ამას ქაიხოსრო ჯავახიშვილის შემდეგი განცხადებაც ამტკიცებს, რომელიც მას სასამართლოში წარმოუთქვამს: „რომ კაცის ბატონის, ქართველის ბატონისა და იმერლის ბატონისა ქალიც ჩემი შვილისათვის ვისმე მოეცაო, მაშინაც მოურავის ქალი და მისი მოყვრობის მონატრეც ვიყავიო“⁴⁵. ამას მისი შვილიშვილი იოსებ თბილელიც ადასტურებს და თვით გ. სააკაძესვე აამბობინებს:

„ქართლში უფროსნი ვინც იყუნეს ითქმევდეს თავადობასა ყუელა მოყვრად მეფეს, ბრძანებდეს ჩემს მეგობრობას ცნობასა, მეცა მივდევი, მომდევი, ვიქმოდით კარგსა ძმობასა“⁴⁶.

გ. სააკაძეს იოს. თბილელი ერთგან ათქმევინებს:

„ლხინი, მზა სიტყვს გაგონა მქონდა მუდამად პურობა, ამხანაგთ კარგ მეგობრობა, მიცემა და უშურობა, კარგთ კაცთა წყობა-ალერსი, მდიდართა მე უშურობა, ვექუ ზოგს თავადსაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა“⁴⁷.

1608 წ. მეფე ლუარსაბს თავის წყალობის წიგნში გიორგი სააკაძეზე ნათქვამი აქვს: „ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა სააკაძესა ქალაქის ამირთ-ამირას გიორგის“⁴⁸.

„ოდეს შააბაზ ყეენი გაგუიწყრა“-ო, მოთხრობილი აქვს მეფე თეიმურაზს ბოდბის მონასტრის 1631 წ. სიგელში, და „ჩუენი საჯელმწიფო ალაოკრა და ტაძარნი სადიდებელნი სახლნი და სალოცველნი თქუენნი იავარ ყუნა და ძველნი სიგელნი თქუენნი მას ჟამსა დაკარგულიყო“. შემდეგ „ოდეს იპრიანა ღ~თნ“ და ჳელთ-გუიხსნა

სამეფონი ქართლისა და კახეთისანი, მას ჟამსა მოვედით კარსა საყდრისა და სადიდებელისა სამარხოსა და ტაძრისა თქუენისასა, ე. ი. წმ. ნინოსი (ბოდბეს). ვიხილეთ რომე მოშლილიყუნეს და იავარ ქმნილიყო⁴⁹.

„ჩუენ ღ~თივ გუირგუინოსანმან და ორისავე სამეფოს და ტახტისა მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ჳელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან ღ~თივ-გუირგუინოსანთა ქართველთ ჳელმწიფეთ ასულმან დედოფალთ-დედოფალმან ხორაშან და პირმშომან და საყუარელმან ძემან ჩუენმან პატრონმან დავით“⁵⁰.

„სამეფოსა მას ქალაქსა ტფილისსა აწე უსულოთა უღმრთოთა განსასვენებელი იყო“. თვით ტაძარი „დათრგუნვილი“ ყოფილა და „ჟამ რაოდენვე ტაძრისა... დარღვეულისა“ აღდგენა მოახერხა „ტფილელ მთავარ-ეპისკოპოზმან ელისე საგინასძემან კაცმან სათნომან და მწურვალემან სარწმუნოებითა“, რომელმაც „აღაშენა მეორედ და განაახლა და შეამკო იგი ფრიადითა ჳირითა და რუდუნებითა“⁵¹.

1648 წ. „ტლვ... აქვე ბატონიშვილი დათუნად მოკლა როსტომ მეფემან“⁵².

1648 წ. „ტლვ. აქა არჩილი დაიბადა ძე მეფისა შაჳნავაზისად“⁵³.

1658 წ. "ტმვ. აქა როსტომ მეფე მიიცვალა. აქავე მეფედ დაჯდა ბატონიშვილი ვახტანგ“⁵⁴.

1664 წ. "ტნბ. აქა მოზრძანდა ანტიოქიის პატრიაქი (sic) მაკარიოზი“⁵⁵.

1665 წ. "ტნგ. აქა მოზრძანდა ალექსანდრის (sic) პატრიაქი (sic) პაისიოს და სინის მთავარეპისკოპოსი ანანია“⁵⁶.

1677 წ. "ტმე. ამა ქ~კსა მიიცვალა განძლიერებული და აღმატებული სხვათ დიდი მეფე შაჳნავაზ“⁵⁷.

1679 წ. ტმზ. ამა ქ~კსა დაჯდა მეფედ ძე მეფისა შაჳნავაზისა ქართლს ბრძენი და ღ~ის მოყუარე, გმირი და ლომგული, გლახაკთა და დავრდომილთა ჳელსამპყრობელი, ბერთა და მღდელთა დიდად პატივის მიძღები, მშვიდი და ლმობიერი მეფე გიორგი იანვარსა იე“⁵⁸.

1688 წ. "ტოვ. ამა ქ~კასა მოზრძანდა ერეკლე მეფე ქართლს ბატონად და გაბატონდა“⁵⁹.
[სვიმონ მეფის მოკვლა]

როდესაც როსტომის „ძმისწული ბატონი სვიმონ“ თეიმურაზ მეფეს „წამოეჭიდა“, სძლია და „კახ-ბატონს ქართლი წაართუა“ ისე, რომ თეიმურაზი იძულებული იყო კახეთით დაკმაყოფილებულიყო, ის ასე ადვილად არ შეჳრიგებია ბედს და როსტომ მეფის სიტყვით „იმავ წელიწადს ამდონი ისაჯა კახმა ბატონმა თეიმურაზმა, თავისი ქალი და მისივე ყმა ჩარქაზი (...) გიორგი მოღალატედ შეუყენა და მიძინარე ბატონი სვიმონ დააკვლევინა“ და თითონ „ქართლს გაბატონდა, სომხითი და საბარათიანო

დაიჭირა¹.

სვიმონ მეფის მკვლელობის ამბავი უფრო დაწვრილებით **ფ. გორგიჯანიძესა** აქვს აწერილი. მისი სიტყვით, როცა მეფე თეიმურაზი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ სვიმონ მეფისათვის ქართლი უომრად უნდა დაეთმო, მან გაცლა ირჩია და კახეთში ჩავიდა, მოურავი გიორგი სააკაძე, მუხრანის ბატონი და ქსნის ერისთავი იმერეთში შეიხიზნენ. კახეთიდან მეფე თეიმურაზი თავისი მოწინააღმდეგის სვიმონ მეფის სამუდამოდ თავიდან მოშორებას შეეცადა. ამისთვის **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით მან „ერთი ჩერქეზი სახელით გიორგი“ აირჩია იარაღად, რომელიც თურმე „სიძე იყო ზურაბ ერისთავისა“. ზურაბი კი სვიმონს შემორიგებული ჰყავდა და სანდოდ იყო მიჩნეული. თეიმურაზ მეფემ და მისმა მომხრეებმა „ზურაბ ერისთავის და და ის ჩერქეზი გიორგი შეუყენეს ერისთავს“. ამის შუამავალს „ნაპირის ალაგს იორის პირს მამული მისცა“, ხოლო თვით „ზურაბ ერისთავს ქალის მიცემას და თიანეთის სამამულედ მიცემას დაჰპირდნენ მეფის სვიმონის სიკვდილისათვის“. ზურაბ ერისთავი დათანხმებულა და ეს საქმე უკადრია. მართლაც, „ცხვილოსს ამილახორის მამულში თავისი მემკვიდრე ბატონი მეფე სვიმონ მინდობილი ზურაბ ერისთავმან მძინარე მოკლა“. შემდეგ ზურაბ ერისთავი „წავკისს მყოფს დედოფალს ჯაჰან-ბანუ ბეგუმს, ყაენის ქალს, თავს დაესხა, რაც ჰქონდა გაცარცვა და დიდის ვაებითა და კივილით დიღვამამდი“² წაიყვანა.

თეიმურაზ მეფეს რომ თავისი „ერთგული“ მომხრის ამგვარი „რაინდობა“ შეუტყვია, ასეთი ნამეტნავი გულმოდგინეობა არაფრად მოსწონებია. ზურაბ ერისთავს საჩქაროდ ბატონის თეიმურაზის კაცი მოუვიდა, რომელმაც მეფის ბრძანება შეატყობინა: გახსოვდეს, რომ ჯაჰან-ბანუ ბეგუმ „ერანის კელმწიფის შვილისშვილი არისო, დედოფალს არა შესცოდოთ რამეო“. თეიმურაზ მეფის ჩარევისა და გაფრთხილების წყალობით დედოფალი მოსალოდნელს განსაცდელს გადარჩენია³. სვიმონ მეფის მოკვლის უმაღლეს თეიმურაზ მეფემ ქართლი დაიჭირა და გორში ჩავიდა. საქმე შეპირების ასრულებაზე მიდგა: თეიმურაზს ზურაბ ერისთავისათვის უნდა თავისი ქალი მიეთხოვებინა. **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით, ხორეშან დედოფალს მიცემა არ უნდოდა იმიტომ, რომ მას ვითარცა ქართლის სამეფოს სახლობის წევრს ზურაბ ერისთავი ეჯავრებოდა, რადგან მის „სამშობლოს ამოგდება იმათგან იყო“-ო⁴. უეჭველია, არც თეიმურაზი იქნებოდა მისი მოყვარული, მაგრამ რაკი ამ დროს უკვე ცხადი შეიქმნა, რომ **გ. სააკაძე** „მოურავი (...) ქართლს ეცილებოდა“, ამიტომ თეიმურაზს ეშინოდა, რომ თუ „ზურაბ ერისთავისათვის ქალი არ მიეცა, ზურაბი „მოურავს მიუდგებოდა“. ამ მოსაზრების გამო თავისთან დასაკავშირებლად ხორეშან დედოფლის წინააღმდეგობისდა მიუხედავად „ბატონმა თეიმურაზ თავისი ქალი დარეჯან ზურაბ ერისთავს მისცა“-ო⁵.

მაგრამ ეს ბედნიერება ზურაბს ხანგრძლივ არ შერჩენია. იმავე ისტორიკოსის ცნობით, ხვარაშან „დედოფალი და ქართველნი და კახნი ზურაბ ერისთავისათვის ავნი იყვნენ“. მისი მტრები მეფეს შეუჩნდნენ და მუდამ და მუდამ იმას აგონებდნენ, რომ ზურაბმა „თავისი მემკვიდრე ბატონი მოკლა, უსაცილოდ თქვენც მოგკლავთო და ქართლსა და კახეთს თვითონ დაიჭერსო“, ხოლო რაკი როსტომი, „მეფის სვიმონის ბიძა“, რომელიც სპარსეთის შაჰის, ყულარ-ადასია, „სვიმონის სისხლს არ შეგვარჩენსო, მამ ასე სჯობსო, ზურაბ მოგკლათო და თავი ყაენს გაუგზავნოთო და მეფის სვიმონის სიკვდილი იმას დავაბრალოთო და ქართლის მეფის სისხლი და ერანის კელმწიფის რისხვა ამით ავიცდინოთო“. თეიმურაზ მეფე ვითომც ამგვარი სიტყვებით დააჯერეს და დაიყოლიეს: ზურაბ ერისთავი ამ მიზნით „საფურცლეს დაჰპატიჟეს და სუფრაზე ერისთავი ზურაბ მოკლეს“, მისი თავი ყაენს გაუგზავნეს და

შეუთვალეს სვიმონ მეფის მოკვლისათვის მოვაკვლეინეთო. შაჰს ვითომ ეს მოსწონებოდა და ქართლიცა და კახეთიც თეიმურაზისათვის მიეცეს და საჩუქრებიც გამოეგზავნოს⁶.

თუ იმ გარემოებას გავიხსენებთ, რომ **ფ. გორგიჯანიძე** როსტომ მეფის გაზრდილი უერთგულესი ყმა და მისგან დაწინაურებული მოხელე იყო, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ ფ. გორგიჯანიძის ზემომოყვანილს მოთხოვნაში იმავე როსტომ მეფისა და მისი მომხრეების თვალსაზრისი და ცნობა გვაქვს შენახული.

არჩილ მეფის აღწერილობით ზემომოთხოვნილი სულ სხვაგვარად გვეხატება. ჯერ ერთი, რომ ზურაბისათვის თეიმურაზ მეფის მიერ ქალის მითხოვება სვიმონ მეფის მკვლელობამდის მომხდარა. მაშასადამე, თავისდათავად ცხადია, რომ არ შეიძლებოდა, რომ ზურაბის მეფის სიძედ გახდომა სვიმონ მეფის მოკვლისთვის ერთგვარ ჯილდოდ ყოფილიყო, ან იმ შიშით ყოფილიყო ნაკარნახევი, ვაი თუ წინააღმდეგ შემთხვევაში ზურაბ ერისთავი გ. სააკაძეს მოურავს მიემხროსო, როგორც ფ. გორგიჯანიძესა აქვს აღნიშნული. პირიქით, არჩილ მეფის სიტყვით ამ შესიძების თავოსნობა სწორედ გიორგი სააკაძეს ჰკუთვნებია. არჩილი თეიმურაზ მეფეს სრულებით გარკვევით ათქმევინებს:

„მე ზურაბსა მოურავმა დამამოყურა, გამიერთა,
ჰსთქუა „უბოძეთ ზურაბს ქალი“...
მოიყუანა მუხლს მაკოცა⁷.

არჩილ მეფის ცნობას იმის შესახებ, რომ ზურაბ ერისთავი სვიმონ მეფის მკვლელობამდის უკვე თეიმურაზ მეფის სიძე ყოფილა, თვით როსტომ მეფეც თავის 1648 წ. გუჯარში და სეფიანთა ცხოვრების დამწერი სპარსელი ისტორიკოსიც ადასტურებენ. როსტომი ამბობს, რომ ზურაბ ერისთავს თეიმურაზმა „თავისი ქალი“, რომელიც ზურაბზე ჰყავდა გათხოვილი, „შეუყენა“ და ეს საქმე ჩაადენინაო⁸. სპარსელი ისტორიკოსიც მკვლელობის უწინარეს ზურაბ ერისთავს თეიმურაზ მეფის სიძედ იხსენიებს⁹. მაშასადამე, სრული სიცხადით ირკვევა ფ. გორგიჯანიძის ზემომოყვანილი ცნობის უსაფუძვლობა.

სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით ნათლად არა ჩანს, რომ თეიმურაზი პირადად სვიმონ მეფის მკვლელობის გამზრახად მიაჩნდეს. მას ნათქვამი აქვს, რომ ზურაბმა, თეიმურაზის სიძემ, თეიმურაზისათვის გარჯა იკისრა, სვიმონ ხანთან მივიდა, თავი ერთგულად მოაჩვენა და დაარწმუნა, რომ თეიმურაზს შესთანხმებოდა. სვიმონი მოტყუვდა, ზურაბი სრულებით სანდო კაცად მიიჩნია და თავისთან წაიყვანაო. ზურაბმა კი მარჯვე დრო იხელთა თუ არა, მოკლა სვიმონი და მისი თავი თეიმურაზს გაუგზავნაო. თეიმურაზმა კი იმის შიშით, რომ ეს მკვლელობა მას არ გადაბრალეოდა, ზურაბი მოაკვლევინა, ხოლო მისი თავი სპარსეთის შაჰს გაუგზავნა¹⁰.

გიორგი სააკაძის და ზურაბ ერისთავის ერთიმეორეზე გადამტერების გამო მეფე თეიმურაზთანაც კავშირი წყდებოდა. გ. სააკაძე იმდენად გადაემტერა თეიმურაზს, რომ თვით მეფე გაეცალა მოურავს და დუშეთს წავიდა ზურაბ ერისთავთან. გიორგი სააკაძემ ეხლა იმერეთის მეფეს გიორგისა სთხოვა შვილი ქართლში გასაბატონებლად. გ. სააკაძე იმერეთის ბატონიშვილსა და ჯართან ერთად რომ ზოგიერთ ქართველთა დახმარებით თეიმურაზ მეფესა და მის მომხრეებს, ზურაბ ერისთავსა და იოთამ ამილახორს, ბაზალეთს შეება და დამარცხებული ოსმალეთში გაიქცა¹¹, ამის შემდეგ ზურაბ ერისთავსა და თეიმურაზ მეფეს შორის მტრებმა უთანხმოება ჩამოაგდეს.

არჩილ მეფე თეიმურაზის პირით ბრალს ზურაბსა სდებს: როგორ ვერ მიხვდა, რომ საქმეს ავი კაცები რევდნენ, - „სიძე იყო და შვილად მიაჩნდა“ და ასე მსუბუქად „ადრე ამყოლი სიტყუსა“ არ უნდა ყოფილიყო. რაკი თეიმურაზს ზურაბ ერისთავის ნდობა უკვე აღარა ჰქონდა, ის კახეთს წავიდა. ზურაბი კი, ცხადად „სვმონ-ხანს მიუვიდა“ და თბილისიდან „წამოუძღვა ზემო ქართლზედ“. ზურაბ ერისთავისა და სვიმონ მეფის თანხმობა მაინც ხანგრძლივი არ ყოფილა: „ცოტა ხანს სვმონ ქართლითა ზურაბს კელთ ჰქონდა ამარად“, მაგრამ „ესეცა მოსწყინდა“ მოუსვენარს ერისთავს. თუმცა სვიმონ მეფე ზურაბს ისე ენდობოდა, რომ „მამას უხმობდა სვმონ-ხან“, მაინც ზურაბმა მას უღალატა და მოკლა. თეიმურაზ მეფე უფადარში იყო სპარსეთის შაჰთან წასასვლელად გამზადებული, რომ ზურაბ ერისთავისაგან სვიმონ მეფის თავი და წერილი მოუვიდა, რომელშიაც ზურაბი ურჩევდა, „ყაენთან წასულას ესე სჯობს ქართლითგან შემომწყრომელსა“ დაბრუნდე და ქვეყანას დაეპატრონო. თეიმურაზი მართლაც შაჰთან არ წასულა და ქართლ-კახეთი „სრულ ერთპირ“ დაუჭერია სომხითურთ¹².

ამგვარად, არჩილ მეფის ცნობით თეიმურაზ მეფე სვიმონ მეფის მკვლელობის არც მონაწილე, არც გამზრახი და არც ძალმცემელი არ ყოფილა, ის ამ ბოროტმოქმედებაში სრულებით უბრალო იყო. არჩილი თვით თეიმურაზ მეფეს სვიმონის მოკვლის შესახებ ათქმევინებს პირდაპირ: სვიმონ მეფე „მოჰკლა მან (ზურაბმა) ჩემად უგრძნობლად“¹³, ასე, რომ მე არა ვიცოდი რაო.

თეიმურაზ მეფესა და ზურაბ ერისთავს შორის კვლავ კარგი განწყობილება დამყარდა, ზურაბი ერთგულად ემსახურებოდა თეიმურაზს. ლეკების საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში თეიმურაზმა ზურაბ ერისთავი ქართლ-კახეთის ჯარის სარდლად დანიშნა და მან მტერს ძლია კიდეც¹⁴.

მაგრამ ზურაბ ერისთავს მტრებმა მეფესთან დასმენა დაუწყეს. მათ ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ ზურაბს თავი მედიდურად ეჭირა. რაკი „ძნელად გაემღების ყმის პატრონზედ აზუავებას“¹⁵ და თეიმურაზისთვისაც სამძიმო იყო მისი ასეთი ქცევა და სიამაყე¹⁶, ამიტომ ამ უკმაყოფილების წყალობით ავი ენისა და სისინის საშუალებით ზურაბის მტრებმა თეიმურაზ მეფე თურმე ისე დაიმონავეს და დაიყოლიეს, რომ მის მოკვლაზე დათანხმდა. ეს მკვლელობა წვეულობის დროს მომხდარა, მაგრამ როგორც ეტყობა, განზრახ განგებული უნდა ყოფილიყო. არჩილ მეფე თვით თეიმურაზსაც კი ათქმევინებს: ზურაბ ერისთავი „გუერდ მიჯდა, ვბრძანე სიკუდილი, სისხლი მან ჩემს წინ გაუშო“¹⁷. ზურაბი ამ შემთხვევაში სრულებით უბრალოდ მიაჩნდა არჩილ მეფესა და თეიმურაზ მეფის მახლობელ თანამოღვაწეებს და გვირგვინოსანი პოეტი თეიმურაზ მეფეს დამნაშავედ და მომნანიებლად გვიხატავს და ასე ალაპარაკებს:

„ვირე ცოცხალვარ ვინანი...

რად მოვკალ, ვით შემოვიკალ შვლის უმჯობე, ძმისა და,
ნამსახური დაკულავ სიძე, სიკეთე აქუს მოდგმისადა,
ღუთისა მეშინის, კაცთაგან მრცხუენის ამისა მყოფელსა“¹⁸.

ამბობს თეიმურაზი.

რაკი არჩილ მეფის ისტორიული პოემა თეიმურაზ მეფის „მნახავთა და თანანახლთ“ თანამედროვეთა ცნობებზეა დამყარებული, ამიტომ ცხადია, ზემომოყვანილი მოთხრობა თეიმურაზის მომხრე წრის თვალსაზრისად და შეხედულებად უნდა მივიჩნიოთ.

ზურაბ ერისთავისა, თეიმურაზ მეფისა და სვიმონ მეფის ურთიერთობისა და

ზემომოყვანილი ამბების აღწერილობაში ბატონიშვილი ვახუშტის ცნობები არჩილ მეფისას უდგება. მისი სიტყვითაც თეიმურაზ მეფემ „მოსცა ასული თვისი დარეჯან ზურაბ ერისთავსა სათნო-ჩენითა მოურავისათა“ ჯერ კიდევ კოჭორზე მომხდარ ბრძოლამდის¹⁹, მაშასადამე, 1624 წ. ივნისამდე. ცხადია ფ. გორგიჯანიძის ცნობა, ვითომც თეიმურაზს თავისი ქალი სვიმონ მეფის მოკვლისათვის მიეცეს ზურაბ ერისთავისათვის, შემცდარი გამოდის.

სვიმონ მეფის მკვლელობის მოკლე აღწერილობაც, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ შენახული, არჩილ მეფისას ეთანხმება და ისიც თეიმურაზ მეფეს უდანაშაულოდ სთვლის. სახელოვანს ისტორიკოსს მხოლოდ ერთი ახალი ცნობა აქვს დართული. ყაენის წინაშე მიმავალმა თეიმურაზმა უფადარიდან ზურაბს მისწერა: „შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სიმამრისა, გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი და სვიმონისა“-ო²⁰. თუმცა შენ ვითარცა ჩემს სიძეს ჩემთვის არ უნდა გეორგულა, მაგრამ იმასაც ვნახავთ შენი და სვიმონის ერთგულება რამდენს ხანს გასტანს და რით გათავდებავო. ზურაბ ერისთავს უნდოდა, რომ თეიმურაზი კახეთის მეფედ ყოფილიყო, სვიმონი ქართლისად და ორნივე მისი ხელშემყურენი ყოფილიყვნენ²¹. მაგრამ როცა თეიმურაზის საყვედურის წერილი მისვლია, ალბათ, სინიდისის ქეჯნა უგრძნია, „შეუძნდა ზურაბს“ და „ამისთვის აწ განიზრახა ბოროტი“ და აასრულა კიდევ: ცხვილოსს დამე მოკლა სვიმონ მეფე „ქს. ჩქკთ (1629) ქრ. ტიზ“ (317). თავი თეიმურაზს გაუგზავნა, რომელიც დაბრუნდა და ქართლ-კახეთი დაიპყრო²².

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღნიშნულ სვიმონ მეფის მკვლელობის თარიღი 1629 წ. სწორი უნდა იყოს. ფ. გორგიჯანიძისა და სპარსელ ისტორიკოსის სიტყვებიდანაც ჩანს, რომ მკვლელობა შაჰ-სეფის გამეფების შემდეგ მომხდარა და ბაღდადის ციხის მისამველებლად წასვლამდე²³. უკანასკნელი ამბავი 1630 წ. მოხდა, ხოლო შაჰ-სეფი 1629 წ. გამეფდა. მაშასადამე, ზურაბ ერისთავს სვიმონ მეფე 1629 - 1630 წწ. ანუ უფრო რომ 1629 წ. უნდა მოეკლა.

ზურაბ ერისთავის მკვლელობის ამბავიც ბატონიშვილს ვახუშტს იმნაირადვე აქვს მოთხრობილი, როგორც არჩილ მეფეს. მოკვლის მიზეზად ზურაბის განდიდების გარდა მას ის გარემოებაც აქვს დასახელებული, რომ უკვე „მიერთ ბატონს თეიმურაზს აქუნდა შური ზურაბ ერისთავისა, ოდეს მოჰკლა სვიმონი“-ო²⁴. ამგვარად, როსტომ მეფე და მისი მიმდევარნი სვიმონ მეფის მკვლელობას თეიმურაზს აბრალებდნენ. თეიმურაზის მომხრენი კი ამას უარჰყოფდნენ. თვით თეიმურაზიც თავის თავს უბრალოდ სთვლიდა და უკანასკნელი მოლაპარაკების დროს როსტომ მეფეს გადაჭრით შეუთვალა კიდევ: „შენი ძმისწულის მეფის სვიმონის მკვლელი ზურაბ ერისთავი იყო“ და „არ ვიცი ჩემთან სხვა რა საბჭო (sic) გაქვთო“²⁵. მაგრამ როდესაც კათალიკოსსა და მოწინავე წრეს როსტომ-თეიმურაზის შერიგება მოუხერხებიათ და სასამართლოში გაბჭობამდის დროებით დაზავებაზე დაუყოლიებიათ, მაშინ თეიმურაზ მეფეს როსტომისათვის „სანდოთ საფიცრით სოფელი გავაზი და სოფელი კისისკევი“ მიუცია²⁶, თუმცა ეს მხოლოდ დროებით დათმობა ყოფილა ერთგვარი საწინდარის მსგავსად და თვით როსტომიც თავისს თეიმურაზისადმი მიმართულ წერილში პირდაპირ ამბობს: „ამას წინათ კახეთში სამი სოფელი დაგვიდევით გაბრჭობამდისინო“²⁷. მაგრამ რაკი როსტომის ასეთი წინასწარი დაკმაყოფილება თეიმურაზ მეფემ იკისრა, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მას ამ დანაშაულობის მოწყობაში თავისი ერთგვარი მონაწილეობა და ბრალი უნდა მდუმარედ დაედასტურებინოს. ასე გაუგიათ თეიმურაზის ამ თანხმობის მნიშვნელობა მაშინაც მოპირდაპირე მხარეს მაინც. როსტომ მეფის თანამეცხედრე მარიამ დედოფალი თავის ერთს სიგელში პირდაპირ ამბობს: „ბატონმა თეიმურაზ

კისისწვევი ნასისხლად დაგვიდვა“-ო²⁸.

[თეიმურაზი - ორისავ ტახტის მჭერი]

როსტომ მეფის სიტყვით, სვიმონ მეფის მკვლელობის ამბავი რომ „გაიგონა შაჰ-სეფი ყენმან, მწუედ იწყინა“. რაკი ამ ბოროტმოქმედებას როსტომ მეფის მომხრენი თეიმურაზ მეფეს აბრალებდნენ და შაჰსაც უეჭველია ამნაირადვე ჩააგონებდნენ, ერანის მპყრობელი თურმე „კახ-ბატონს გაუწყრა“¹. მაგრამ **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით, თეიმურაზისაგან რომ შაჰს ზურაბ ერისთავის მოჭრილი თავი და თანდართული წერილი მიუვიდა, ამ გარემოებამ საქმე გამოუსწორა კახთ ბატონს. თეიმურაზს ერანის მპყრობელისათვის ასე მიუწერია: რაკი „მეფე სვიმონ ნათესავი იყო ჩვენით და კელმწიფის ბრძანებით თავის სამკვიდროზედ ბატონობდა [და] ამ თავისმან ყმამან (ზურაბ ერისთავმა) უღალატა და მოკლა“-ო, ეხლა „ჩვენს გვართ წესია, რომ ერთმანეთის სისხლს მოვიკითხავთო. ამისთვის მოვკალით (ზურაბ ერისთავი) და თავი კელმწიფის კარზედ გვიახლებიათო“². ამით თეიმურაზ მეფეს არამცთუ თავისი სრული უბრალეობის დამტკიცება უნდოდა, არამედ შაჰს თავისი ერთგულების ცხადად დამამტკიცებელს საბუთსაც აძლევდა ხელთა. კახთ ბატონის ხერხს გაუჭრია. ეს ამბავიცა და წერილიც „ყენს იამა“-ო³. თუ ფარსადან გორგიჯანიძეს დავუჯერებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მის შედეგს, ალბათ, თვით თეიმურაზის მოლოდინისათვისაც უნდა გადაეჭარბებინა. შაჰმა ამის საპასუხოდ "ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მოსცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს"-ო⁴. სპრასელი ისტორიკოსი და მეფე როსტომი ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ არაფერს ამბობენ. სდუმს ამის შესახებ მეფე არჩილიც თავის ისტორიულს პოემაში. მაგრამ **ფ. გორგიჯანიძის** ცნობა მაინც მართალს მიაგავს. თუ პირდაპირ არა, თავისი განურისხველობითა და თავდაჭერილობით შაჰს მაინც ერთგვარი კმაყოფილება გამოუმჟღავნებია.

მაინც და მაინც 1629 წ. ზურაბ ერისთავისაგან სვიმონ მეფის მოკვლის შემდეგ თეიმურაზი "ამ ორისავ ტახტის მჭერად" შეიქმნა⁵. 1631 წ. საბუთებში ის თავის თავს "ორისავე სამეფოსა და ტახტის მპყრობელ"-ად და მეფედ-მეფედ უწოდებს⁶.

გ. სააკაძის საქციელს, რომელმაც თეიმურაზ მეფის საწინააღმდეგოდ იმერთა მეფის-მის ქართლში გაბატონება სცადა, უნდა დაენახვებინა თეიმურაზისათვის, რომ მისთვის იმერეთის მეფესთან უფრო მჭიდროდ დაახლოვება და დაკავშირება იყო საჭირო. რაიმე გზით ის უფრო მომტკიცებული უნდა ჰყოლოდა, რომ მუდამ ზურგიდან თავდასხმისა და ხიფათის მოლოდინში არ ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ პოლიტიკური თალსაზრისით უნდა ეხელმძღვანელა თეიმურაზ მეფეს, როდესაც მას თავისი ვერაგობითვე ახლად დაქვრივებული ქალის იმერეთში გათხოვება გადაუწყვეტია. თეიმურაზმა თავისი ასული, ზურაბ ერისთავის ცოლყოფილი, იმერეთის მეფის გიორგის შვილს **ალექსანდრეს** მიათხოვა და ეს გარემოებაა ნაგულისხმევი, როდესაც პოეტი თეიმურაზს ათქმევინებს: იმერეთის "მეფეც მოყ[^]ურად მოვიძივე"-ო⁷. ამიერიდან თეიმურაზ მეფეს იმერეთის მხრით არავითარი ეჭვი არ უნდა ჰქონოდა და მასა და იმერთა მეფეს შორის თანხმობრივი მოქმედება და მოკავშირეობა შესაძლებელი შეიქმნა. მაგრამ სხვათა შორის ამავე გარემოებამ მეორე მხრით, როგორც დავინახავთ, თეიმურაზს არა ერთხელ გაუფუჭა საქმე და სიცოცხლე გაუმწარა.

ტომობრივ სამეფოებამდე დაქვეითებული და დანაწილებული ქვეყნისა და ერის გაერთიანების დროს დიდი წინდახედულება და სიდინჯეა საჭირო, რომ პოლიტიკურ გაერთიანებაზე გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოანი და სათუთი

პროცესი სულიერი გაერთიანებისა და ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებისა შემცდარი და ბეცი მოქმედებით არ შეფერხდეს და არ შესწყდეს. ადგილობრივმა თემურმა თავმოყვარეობამა და მამულიშვილობამ მეტად გაიმაგრა ფესვები საქართველოში, რომ მათი შელახვა და გარდაქმნა ისევე ადვილი საქმე ყოფილიყო, როგორც პოლიტიკური ან უფრო სამხედრო გაერთიანებაა. მხოლოდ ფრთხილსა და მიზანშეწონილს პოლიტიკას შეუძლია დაახშოს და გულის სიღრმიდან ამოგლიჯოს განკერძოებისა და თემური მამულიშვილობის ღვარძლი.

თეიმურაზ მეფეს არა ერთხელ უგვრძნია ისეთი ბედნიერება, რომ თავისი თავი გაერთიანებულ აღმოსავლეთ საქართველოს გვირგვინოსან მეთაურად ორისავე ტახტისა და სამეფოს გამაერთებლად აღეარებინა. მაგრამ მისი სიხარული ხანგრძლივი არ იყო და გაერთიანების პროცესს განკერძოების პროცესი სძლევდა ხოლმე. ამჟამადაც, როდესაც 1631 წ. თეიმურაზი თავის სიგელ-გუჯრებში ორისავე სამეფოს მპყრობელობის მოქადული იყო, ყოველდღიურს ცხოვრებაში ადამიანი ისეთს მოვლენას შეამჩნევდა, რაც გაერთიანების ჩაშლის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. რაკი ორისავე ტახტის გამაერთებლად კახთ ბატონი თეიმურაზი იყო და ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში, ალბათ, მისი კახელი თანამშრომელნი სჭარბობდნენ, **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით, "კახნი ქართველთ (ე. ი. ქრთლელთ) ზედ ამაცობდეს და ჳმლით დაჭირულს (sic) ემახდეს, უპატიოთაც ეპყრობოდეს"⁸. ამ უგუნური და ბეცი ყოფა-ქცევისა და მედიდური პოლიტიკის წყლობით "ქართველთ (ე. ი. ქრთლელთ) გული გაავებოდა" და უკვე ისეთი სულისკვეთება შექმნილა, რომ "ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ". ასეთს პირობებში არც გასაკვირველია, თუ ისინი "გზასა და ღონეს რასმეს ეძებდნენ" ორისავე ტახტის გამაერთებლის საწინააღმდეგოდ⁹.

თეიმურაზ მეფე ფრთხილი და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკის მაგიერ სვიმონ მეფის თავიდან მოშორების შემდგომ იმდენად გათამამდა, რომ გაბედული საგარეო პოლიტიკის წარმოებას მიჰყო ხელი. აღმოსავლეთი საქართველო შაჰ-აბაზის აოხრებისაგან ჯერ კიდევ გამოკეთებული არ იყო, ქვეყანას დაქცეულ-განადგურებული მეურნეობა აღდგენილი არ ჰქონდა, მოსახლეობას ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომებისაგან და იძულებითი აყრა-გადასახლებისაგან ჯერ დანაკლისი შევსებული არ ჰქონდა. მას დიდის ხნით მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრება ესაჭიროებოდა, რომ ბეჯითი აღმაშენებლობითი მუშაობით საქართველოს დაკოდილი სხეული გაემთელებინა. ამის მაგიერ თეიმურაზი გაბედულ დამპყრობლობას შეუდგა: არეზამდის ჩავიდა და არეზს აქეთ მდებარე ქვეყანა მოარბია და მოაოხრა¹⁰. საფიქრებელია, რომ თეიმურაზის ეს გამბედაობა ყარაბაღის ბეგლარ-ბეგთან შეთანხმების შედეგი უნდა ყოფილიყო. ხოლო ყარაბაღის ბეგლარ-ბეგად ამ დროს იმანყული-ხანის ძმა **დაუდ-ხანი** იყო¹¹, რომელსაც არჩილ მეფე გვარად თუ მეტსახელად **უნდილაძეს** უწოდებს¹².

ამ დაუდხან უნდილაძის შესახებ **ფ. გორგიჯანიძე** ამბობს, ვითომც ის "უჭკ[უ]ო და ამაცი კაცი იყო"¹³. მაგრამ არც სპარსელი ისტორიკოსი და არც არჩილ მეფე არაფერს ამის მსგავს არ ამბობს¹⁴, ხოლო **ფ. გორგიჯანიძეს**, ვითარცა როსტომ მეფის ერთგულს მომხრესა და ყმას, ეგების როსტომსა და დაუდხანს შორის არსებული სიძულვილი ალაპარაკებდა ასე მკაცრად. დაუდხანი და როსტომი კი იმდენად ყოფილან ერთიმეორეზე გადამტერებულნი, რომ როსტომს მისი განდევნაც კი მოუსურვებია. ვითარცა განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვილს, როსტომს თავისი წადილი აუსრულებია კიდევ და "ყაენსაც როსტომ მეფის გულისათვის მეჯლიშიდამენ გაეგდებინა"¹⁵.

სპარსელი ისტორიკოსი თუმცა დაუდხანის ამ გაძევებაში როსტომის მონაწილეობაზე არას ამბობს, მაგრამ თვით ყარაბაღის ბეგლარბეგის შეუფერებელი ქცევის გამო შაჰის ამალიდან განდევნასა და დათხოვნას მაინც ადასტურებს. ეს ამბავი 1630 წ. მომხდარა იმ დროს, როდესაც შაჰი ბაღდადისაკენ მიდიოდა¹⁶. დაუდხანი ყარაბაღში დაბრუნდა და განჯაში იჯდა, მაგრამ როსტომისა და შაჰისაგან მოყენებული შეურაცხყოფის დავიწყება არ შეეძლო: "ეს ჯავრი დაუდხანს ვერ მოეთმინა"¹⁷.

დაუდხან უნდილამემ თეიმურაზ მეფის სულისკვეთება, რასაკვირველია, ჩინებულად იცოდა და ამიტომ "დაუწყო თეიმურაზ მეფეს მოციქულობა".

ურთიერთს შორის საიდუმლო მოლაპარაკებების დროს მათ იმდენად ფართო საერთო სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, რომ "შეიფიცნეს და ადრბეჟანის (sic) დაჭირვა მოინდომეს"-ო¹⁸.

ამგვარი შეთანხმება ყარაბაღის ბეგლარბეგის დაუდხან უნდილამის მხრით, რასაკვირველია, სპარსეთის გადადგომასა და საქართველოს მეფის ყმადნაფიცობას უდრიდა. ამიტომაც არის, რომ არჩილ მეფე თვით თეიმურაზს ათქმევინებს: დაუდხანი

"წამოვიდა, მომივიდა, თვთ ჩემთანვე იყო მდევად".

მაგრამ ის მართლ არ მოსულა, არამედ "სრული ყაჯანი თან იახლა", რომელნით "იორზედ დადგეს"-ო¹⁹.

ფ. გორგიჯანიძის სიტყვით თეიმურაზმა და დაუდხანმა წინასწარი გეგმის შემუშავების დროს "ასრე გაარიგეს, რომ უწინ ყაჯარის კაცი დახოცონ და მას უკანით სხვათ ჳელი მიჰყონ"²⁰. რაკი ყაჯარნი სპარსეთიდან იყვნენ მოსულნი და ვითარცა თურქთა ელი სამხედრო ხელობას იყვნენ ჩვეული, ამიტომ მათი მოსპობა სპარსეთის მომხრეებს ყარაბაღსა და თვით განჯაშიც თავზარს დასცემდათ და წინააღმდეგობის გაწევის უნარს დაუკარგავდათ. შემუშავებული გეგმა განხორციელებულ იქნა: იორზედ მდგომ ყაჯარებს, "კახნი თავს დაასხა მოსასრულელად" დაუდხანმა²¹ და ამ დროს "შვიდასს ყაჯარს თავი მოჰკვეთეს"²². ყაჯართა ლაშქრის გაწყვეტის შემდეგ თეიმურაზ მეფემა და დაუდხანმა ყარაბაღის დარბევასა და დაპყრობას მიჰყვეს ხელი. **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით თეიმურაზს საამისოდ წინასწარი სამზადისი ჰქონია და, რაკი ალბათ მართლ საკუთარი სამხედრო ძალის იმედით ძნელი და სახიფათო იყო ამ საქმის ასრულება, თითქმის ყველა ქართველი სამეფო-სამთავროებიც მონაწილედ გაუხდია და თავიანთ ჯარითურთ სალაშქროდ მიუწვევია. **ფ. გორგიჯანიძეს** თუ დავუჯერებთ, ყარაბაღის დასაპყრობად "ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე იმერეთის ლაშქრითა, მესხთ თავადნი და აზნაურნი და თავისდათავად ცხადია ქართლ-კახეთის ჯარიც სრულ შეიყარეს და განჯა-ყარაბაღი არეზამდისინ დაარბივეს და ააოხრეს"²³.

სეფიანთა სპარსელს ისტორიკოსს ეს ამბავი ცოტა სხვანაირად აქვს მოთხრობილი. მისი ცნობით ყაჯართა ამოწყვეტა თითქოს განჯაში უნდა მომხდარიყოს. დაუდხანის ჩაგონებით თეიმურაზი განჯას თავს მიადგაო. ყაჯართა შესაცდენად დაუდხანმა ყაჯარნი დაარწმუნა, რომ თეიმურაზ მეფე მათთან მოვა მხოლოდ როგორც მისი მეგობარი. ამით მოტყუებული ყაჯარნი სრულებით უიარაღონი და მოუმზადებელნი მასპინძლურად მიეგებნენ თეიმურაზსა და მის ამაღლას. მაგრამ შემდეგ ქართველები ყაჯარებს თავს დაესხნენ, ბევრი მათგანი ამოხოცეს, განჯისა და მისი სანახების მცხოვრებნი გაცარცვეს²⁴. სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, მაშასადამე, ყაჯართა ამოწყვეტა და განჯის აოხრება ვითომც ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო და

ყარაბაღში და არა საქართველოში. მაგრამ არჩილ მეფისა და ფ. გორგიჯანიძის მოთხოვნა სიმართლესთან უფრო ახლო უნდა იყოს, რადგან საეჭვოა დაუდხანსა და თეიმურაზ მეფეს ასეთი სახიფათო საქმის განხორციელება, როგორც ყაჯართა ამოწყვეტა და განჯის აღება, ერთბაშად განეზარახოთ. ძნელი სათქმელია მხოლოდ რამდენად მართალია ფ. გორგიჯანიძის ცნობა იმის შესახებ, რომ განჯის ლაშქრობაში დადიანი, იმერეთის მეფე და მესხეთის მთავარიც იღებდნენ მონაწილეობას, რადგან ამაზე არაფერს ამბობს არც არჩილ მეფე და არც სპარსელი ისტორიკოსი. ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს იმერეთის მეფე გიორგი ცოცხალი იყო და ალექსანდრე მეფედ არ ყოფილა, თუმცა ამ შემთხვევაში იქნება ტექსტია გაფუჭებული და თავდაპირველად "მეფის ძე" ეწერა "მეფის" მაგიერ.

ფ. გორგიჯანიძის სიტყვით ქართველთა შეერთებულს ლაშქრობას განჯას გარდა "ბარდა და ყარაბაღიც" მთლად დაურბევია "არეზამდისინ"²⁵, რასაც არჩილ მეფის ზემომოყვანილი ცნობაც ადასტურებს.

მაგრამ ფარსადან გორგიჯანიძეს კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა აქვს შენახული. როდესაც თეიმურაზ მეფე ჯერ კიდევ "ბარდას იჯდა", მასთან "განძასარის სომეხთა კათალიკოზი" მისულა "დიდის ჯარითა და ფეშქაშით". რომ მარტო ჩვეულებრივი სალამისა და მილოცვისათვის არ შეუწუხებია თავი, არამედ პოლიტიკური მიზანიც უნდა ჰქონოდა, ამას თანხლებული ჯარიც მოწმობს. თავისი გეგმისა და გულისნადების შესახებ მოლაპარაკებაც დაუწყია.

სომეხთა მღვდელმთავარმა აღმოს. საქართველოს მეფეს თურმე "ასრე მოახსენა: ხონთქარი და ყაენი აშლით არიანო, დრო ამის უკეთეს აღარ იქმნებისო". ისარგებლეთ ასეთი მარჯვე შემთხვევით. რაკი "შვიდის საქართველოს ლაშქარნი თან გახლავსო", ჩემის მხრით "ორმოცს ათას მეთოფეს მე მოგისხამო და ამოდენი მრავალრიცხოვანი ჯარით სწრაფად ამავე ფეხს ზედ თავრიზს მიბრძანდით და შვიდს დღეს თავრიზი დაარბევინეთო და შვიდის წლის ჯამაგირში ლაშქართ უანგარიშეთო და სადამდისინ ყაენი ლაშქარს შეყრიდესო ადრბეჟანის (sic) ბატონები გამოსცვალეთო, ყველგან თქვენი ყმანი დასხითო და მე ხონთქარსთან გამაგზავნეთო და იმისგან ლაშქარს მოგაშველებო"²⁶.

განძასარის კათალიკოზის აზრით, რაკი ამ ქართველთა მხედრობას უკან დასახევი გზა ძნელად გასაკაფავი გაუხდებოდათ, მტრისათვის რომ ზურგი შეექციათ, ამიტომ ყველანი თავგამოდებით იბრძოლებდნენ და გაქცევის ფიქრი არავის ექნებოდა. სომეხთა მწყემსმთავარი თეიმურაზ მეფეს არწმუნებდა: ასეთი თავგანწირული ბრძოლის წყალობით "გამარჯვება თქვენ დაგრჩებისო" და ვითარცა ძლევა მოსილსა და სახელგანთქმულს მეფეს "მთავარ ჳელმწიფედ გაკურთხებთო". ამნაირად, აწ დამონებული დაკნინებული "საქრისტიანო" ქვეყნები "შენით დაიხსნებისო და გაძლიერდებიანო"²⁷.

როგორც ეტყობა, ქართველთა მოულოდნელმა წინსვლამა და თეიმურაზ-დაუდხან უნდილაძის პოლიტიკურმა გეგმებმა იმედი აღძრეს ტანჯულ სომეხ ქრისტიანებსაც და თავბრუდამსხმელ ოცნებაში მათ უკვე საქართველოს საშუალებითა და წყალობით თავიანთი განთავისუფლების დღის მოახლოვება ეხატებოდათ. სომეხთა კათალიკოზს უკვე ცხადლივ ძლიერი საქართველო ეჩვენებოდა, რომლის "მთავარი ჳელმწიფე" ყველა ჩაგრულ ქრისტიანებს მაჰმადიან მტარვალეებისაგან ათავისუფლებდა და აძლიერებდა. ამ ტკბილს ოცნებას სომეხთა კათალიკოზისათვის იმდროინდელი ცხოვრების ვითარების უტყუარი და ნაკლებ მანუგეშებელი სურათი სრულებით დაუვიწყებინებია.

თეიმურაზ მეფის მხრით ყარაბაღის დარბევაც თავისდათავად მეტად გაბედული და

წინდაუხედავი ნაბიჯი იყო. ხოლო ის, რასაც აღმოსავლეთი საქართველოს ბატონ-პატრონს სომეხთა კათალიკოზი ურჩევდა, სრულებით უგუნური თავზე ხელაღებული საქციელი იქნებოდა. ასეთს, მოულოდნელი თავდასხმით მოპოვებულს გამარჯვებას როგორ შეეძლო თეიმურაზისათვისაც ისე აება თვალები, რომ ცხოვრების ნამდვილი ვითარების გარჩევის უნარი დაეკარგვინებინა. განძასარის მღვდელთმთავრის მეთოფეთა ვერც ზღაპრულ რიცხვს, ვერც პოლიტიკური მომავლის თვალწარმტაც სურათებს თეიმურაზ მეფე სიზმარეთის ტკბილს ბურანში ვერ გაუხვევია. **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით სომეხთა კათალიკოზის ზემომოთხრობილ გეგმას "ბატონმან შორს დაუჭირა" თავი და ზრდილობიანი უარი უთხრა. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ "ჯერ ყარაბაღი დამიჭირავსო" უპასუხა კათალიკოზს მეფემ: "ამ ზამთარს ქართლს მივალო, ხონთქარს ფეშქაშს გაუგზავნიო, ჯვარს შევახვეწებო და გაზაფხულს უფრო დიდის ლაშქრით წამოვალო"²⁸. სომეხთა მღვდელთმთავარს ეს პასუხი არაფრად მოსწონებია. ის სამართლიანად აფრთხილებდა თეიმურაზ მეფეს: "ერანის ჳელმწიფე ამდენს როდის დაგაცლისო, რომ შენ მეორეთ კიდევ ამ რიგი ლაშქარი შეიყაროო"... ისინი უეჭველია სამაგიეროს გადაგიხდიან: "დღეს ხვალიობით ლაშქარს მოგიხდუნებენო" და იმ "ცხვრისა და ძროხის მაგივრად", რომელიც შენ ყარაბაღიდან წამოასხი, "ტყვეებს წაასხამენო"²⁹. ამ შემთხვევაში ასეთის შორსგამჭვრეტელობით მოუბარს სომეხთა კათალიკოზს ავიწყდებოდა, რომ სპარსეთის შაჰი მით უმეტეს შურს იძიებდა და ქართველებზე ჯავრს ამოიყრიდა, თუკი თეიმურაზი თავრიზამდის მისი ქვეყნის დარბევას გაბედავდა. ალბათ, ამიტომ თეიმურაზსაც ასე მსუბუქად მოუფიქრებლად და მოუმზადებლად გალაშქრებისა არა სწამდა რა და კათალიკოზის ყოველგვარი ცდისა და ლაპარაკისდა მიუხედავად თეიმურაზმა "არ იქნა ბერს არა დაუჯერა რა"³⁰.

თეიმურაზი ყარაბაღის დარბევით დაკმაყოფილდა. რაკი დასახული მიზანი მიღწეული იყო, "განჯიდამ აიყარა" და საქართველოში დაბრუნდა. მაგრამ იქიდან მარტოდ-მარტო კი არ წამოსულა, არამედ "დაუდხან ცოლშვილითა და ყოვლის მისის ბარგით დაქონებითა და სომეხთ კათალიკოზიც თავისის სადდრის (sic) მორთულობით გორს მოასხა". მართალია, **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით, თეიმურაზმა, ვითარცა გამარჯვებულთა და დავლით დატვირთულთ შეეფერება, "დადიანი და მეფე ალექსანდრე და მესხი თავადნი ალხინა და ვარიანის ჭალა და გორის ნეფის (sic) წყარო ანადირა და კარგად შეაქცია და ყველას მრავალი საჩუქარი მიართვა და გაისტუმრა"³¹. მაგრამ ის გარემოება, რომ თეიმურაზ მეფეს დაუდხანიცა და სომეხთა მეოცნებე კათალიკოზი დედაბუდიანად და ქონებით საქართველოში წამოჰყვინენ, ძლევამოსილი ლაშქრის მშვიდობიან უკან დაბრუნებას კი არ ამსგავსებდა, არამედ ჯარის უკნა დახევას. ყარაბაღშიაცა და მეზობლობაშიც ყველა ისე იფიქრებდა, რომ დაუდხანსა და სომეხთა კათალიკოზს შიშით შინ აღარ ედგომებოდათ.

როდესაც ქართველთაგან "განჯა-ყარაბაღის დარბევა და აოხრება, დაუდხანის ქართლში წასვლა ყველა შაჰ-სეფი ყაენს მოახსენეს, განრისხდა და, როგორც სპარსეთში მიღებული იყო, პირველად დაუდხანის უდანამაულო მახლობელ ნათესავებზე იყარა ჯავრი: შაჰმა მაშინვე "იმან-ყული-ხან, დაუდხანის ძმა, შირაზის ბატონი თავისი შვილებით მოასხმევინა და ზოგი დახოცა, ზოგს თვალები დასწვეს"³². ამასთანავე, არჩილ მეფის სიტყვით, ყაენმა თეიმურაზს შემოუთვალა: "დაწყნარდი, მომეც დაუდხან" და არამცთუ შენს დანამაულს გაპატიებ, პირიქით, "წყალობა გიყო მრავალი"-ო³³.

დაუდხანს თეიმურაზისა და საქართველოსთვის არა დაუშავებია რა და, როდესაც ის კახთ ბატონს მიემხრო და ეყმო, თავისი უვნებლობა და გაუცემლობა უუმტკიცესი

ფიცით უზრუნველუყვია. დაუდხანი მეფე თეიმურაზს ძველი ქართული რაინდული წესისაებრ "ჯრმალზედ მინდობია" და ამისთანა ხმალზე დადებული ფიცის გატეხას ვერც ერთი პატიოსანი, ნამუსიანი მეომარი და მამაკაცი ვერ იკადრებდა. თეიმურაზი აკი ამბობს კიდევ:

"ამად ვერა ვქმენ, ვერ მივეც, რომ ჯრმალზედ მომენდო მითა"³⁴.

დაუდხანმა თითონაც კარგად იგრძნო, რომ მას საქართველოში აღარ დაედგომებოდა. თეიმურაზის გართულებული და გაჭირვებული მდგომარეობის შესამსუბუქებლად თუ თავისთვის უზრუნველყოფისათვის დაუდხანს სპარსელი ისტორიკოსის სიტყვითაცა და ფ. გორგიჯანიძის მოწმობით გაცლა უმჯობინებია, "თვითან ურუმში წავიდა", ოსმალეთში შეიხიზნა³⁵ და სატმბოლში დაბინავდა³⁶.

დაუდხანის გაუცემლობასა და დაუსჯელად ხელიდან გასხლტომას შაჰ-სეფი უფრო განურისხებია. ეხლა კი "ბატონს თეიმურაზსაც გაუწყრა ყაენი"³⁷.

განურისხებულმა შაჰ-სეფიმ თეიმურაზის სამაგალითო დასჯა გადასწყვიტა. ამისთვის მან ერანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე დიდის ლაშქრით საქართველოში გაისტუმრა. ყარაბაღში მაშინვე მუჰამედ-ყული-ხანი დაინიშნა, ქართლის სამეფო ტახტზე კი მეფე ბაგრატის ხმა ხოსრო-მირზა დასვა და **როსტომ-ხანი** უწოდა³⁸.

შაჰ-სეფი საზოგადოდ როსტომს განუსაზღვრელად ენდობოდა და დიდადაც იყო დავალებული. 1628 წ. რომ შაჰ-აბასი გარდაიცვალა, როსტომმა შაჰ-სეფის ტახტზე ასვლას მეტად შეუწყო ხელი: თუ ისპაანს 1629 წ. "შაჰ-სეფი ყაენი გაჯელმწიფდა", სწორედ როსტომის "ცდით"³⁹ მას უკვე შაჰ-აბაზის დროს "მრავლის სამსახურითა და კელგამამავლობით ყაენმან ყულარადასობა მისცა და ისპაჰანის მოურაობა ჰქონდა⁴⁰. თუ შაჰ-აბაზმა როსტომი ასე დააწინაურა, ადვილი წარმოსადგენია, რა გავლენა უნდა ჰქონოდა შაჰ-სეფიზე. მის დროს "ერანის საქმე როსტომს.... ეკითხოდა⁴¹.

როსტომ ხანი და მისი მომხრე სპარსეთში მყოფი ქართველი დიდკაცობა ყოველთვის სარგებლობდნენ შემთხვევით, რომ საქართველოს ვითარება შაჰისათვის ისე მოეხესენებინათ, როგორც მათ სურდათ და მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო. როდესაც სვიმონ მეფე ზურაბ ერისთავმა მოკლა, მაშინვე ამ "ქართველთ დრო დაიცეს", შაჰს შესჩივლეს და ქართლის "უპატრონობა თქვეს"⁴². იმედი ჰქონდათ რომ მეფობა როსტომს არ ასცილდებოდა. თვით როსტომ მეფეც თავის 1648 წ. გუჯარში თავისი გამეფების ამბავს ისე მოგვითხრობს, თითქოს შაჰმა მას ქართლის "საბატონო" სვიმონ მეფის მკვლელობის უმაღვე უბოძა⁴³. მაგრამ მარტო უბრალო თარიღების შედარება საკმარისია იმის დასარწმუნებლად, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. სვიმონ მეფე 1629 წ. იქმნა მოკლული, როსტომი კი ქართლის მეფობას, როგორც დავინახავთ, მხოლოდ 1632 წ. ეღირსა. ამ ხნის განმავლობაში ქართლ-კახეთის ერთადერთ მეფედ თეიმურაზი იყო. ცხადია, რომ როსტომის მომხრე წრეების პირველს ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია. თუმცა **ფ. გორგიჯანიძე** ამის მიზეზად იმ გარემოება ასახელებს, რომ სპარსეთს ამ დროს ოსმალეთის საფრთხე ემუქრებოდა და რომ როსტომი ოსმალთა საწინააღმდეგო ბრძოლაში იყო გართული⁴⁴. მაგრამ უეჭველია გავლენა თეიმურაზ მეფის მიერ შაჰისათვის ზურაბ ერისთავის მოკვეთილ თავის წარგზავნასა და თანდართულ წერილსაც უნდა მოეხდინა. თეიმურაზმა ამ თავისი ნაბიჯით შაჰის ნდობა დაიმსახურა და ქართლ-კახეთის მეფობა განიმტკიცა. ეხლა, როდესაც მან თავისი წინადუხედავი სამხედრო მოქმედებითა და საქციელით, ყაჯართა ტომის ამოწყვეტითა და ყარაბაღში შესევით, ძლივს-ძლივობით მოწყობილი საქმე თვითვე ჩაშალა და მიყუჩებული ვნებათა-ღელვის აღზნებას ხელი შეუწყო,

როსტომ ხანსა და მის მომხრეთ მარჯვე შემთხვევა მიეცათ, რომ როსტომის ხანობა მეფობად დაემშვენებინათ.

საფიქრებელია, რომ მარტო ზემოაღნიშნულ გარემოებას არ უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა. უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ თეიმურაზ მეფის მახლობელ და გავლენიან კახელ ხელისუფალთა მედიდურმა და წინდაუხედავმა ქცევამ ქართლში ტომობრივი თავმოყვარეობისა და განკერძოების დამღუპველი გრძნობა გამოაღვიძა, რომ კახთ ბატონის თავიდან მოშორებაზე დაიწყეს ოცნებაცა და ამის განხორციელებაზეც ზრუნვა დაიწყეს. ამ საქმეში უეჭველია განსაკუთრებით მაღალი წრეები, დიდკაცობა უნდა ყოფილიყო გარეული, რომელთაც კახთა ხელისუფალთა ქართლშიაც გაბატონებით თავიანთი სამოხელეო პატივი და შემოსავალი დაკარგეს. პირადი სარგებლობისა და ანგარიშის მოსაზრებით მათთვის საკუთარი "მემკვიდრე ბატონის" არსებობა უკეთესი იყო, რადგან მაშინ მათ სრული იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ ხელისუფლობა მათ პირადად თუ მათ ნათესავებსა და გვარიშვილებს არ ასცდებოდათ. რაკი მათ პირადმა ანგარიშმა და ტომობრივმა თემურმა თავმოყვარეობამ საქართველოს გაერთიანების საქმე ანაცვალებინა და შინაურობაში მოქმედებით თავიანთი იდუმალი ზრახვის განხორციელების იმედი არ ჰქონიათ, გარეშე ძალის ჩარევასაც არ დაჰრიდებინან. ამ ჯგუფს შაჰისათვის საიდუმლოდ "სახვეწარი არზა" მიუერთმევია, რომელშიაც ქართლში კახთ ბატონის მაგიერ "მემკვიდრეს ბატონს" ანუ ქართლის სამეფო გვარის ერთ-ერთი ბატონიშვილის მეფედ დასმასა თხოულობდნენ⁴⁵. რასაკვირველია, ეს გარემოება როსტომის გამეფების მომხრეთა და თეიმურაზის მოწინააღმდეგეთათვის საუცხოო საბრძოლველ იარაღად გამოდგებოდა ერანის სახელმწიფო კარზე მტრობისა და ქიშპობის ხშირი ქსელის გასაბმელად. როდესაც ქართლის მამულიშვილთა ზემოაღნიშნული "სახვეწარი არზა" შაჰს მოახსენეს, უეჭველია შესაფერისი ღვარძლ-მოქარგული სიტყვიერი დანართით, "ბედნიერს ყაენს" თურმე ეს ძალიან "იამა"⁴⁶: ოღონდაც სპარსეთის საქმეს თავისივე ხელით თვით ქართველებივე აკეთებდნენ. ასეთს პირობებში არც თეიმურაზის დასჯა და არც როსტომის გამეფება აღარავითარს სიძნელეს არ წარმოადგენდა.

საქართველოში გამოგზავნილი "ციზილბაშთ სარდარი", რომელსაც თეიმურაზ მეფე უნდა დაესაჯა, როსტომ-ხან სპასალარი, როსტომ მეფის განსვენებული "ძმის ბატონის ბაგრატის სახლთხუცის სააკამე ბეჟანის შვილი" იყო⁴⁷. ცხადია, მეფე-სარდალს შორის მჭიდრო კავშირი და თანხმობა უნდა ყოფილიყო, კახთა-ბატონისადმიც მათ ერთნაირი გრძნობა ექმნებოდათ.

როსტომ მეფე რომ ქართლის ტახტის დასაჭერად მოდიოდა, ლაშქარს გარდა ერთგული მხლებლებისა და ამაღლის წყევანა გადასწყვიტა. ვითარცა სპარსეთში აღზრდილს და საქართველოსათვის უცხო პირს, მას სანდო შუამავალი პირები ესაჭიროებოდნენ. შაჰ-სეფიმაც "ქართველნი რომ... ახლდენ, რომელიც სთხოვა, თან გაატანეს". მათ შორის ბევრი გავლენიანი გვარის შვილები იყვნენ, როგორც მაგ., "ამილახორი ბეჟან, ქსნის ერისთავი ზაალ, თვალდამწვრის შვილი დავითი თავისის შვილებითა, ფავლენისშვილი ბახუტა და როინ ჯაგლაგი, მაჩაბელი თამაზა, ციციშვილი პაპუნა, თურმან-ბეგ თურმანიძე, იმერეთის ბოქაულთუხუცესი ჩხეიძე, თეიმურაზ ბარათაშვილი, ჰასანბეგ და მელიქ სადათ, სომხეთის მელიქი ათაბეგ თავისის ძმებითა, კახი ენდრონიკაშვილი, ოტია კახაბერი, ელიზბარ სვიმონისშვილი დემეტრე"⁴⁸.

ამოდენი ამაღლის თანხლება, რომელშიაც ქართლის დიდკაცობა თვალსაჩინოდ სჭარბობდა, ორივე როსტომის საქმეს კარგს [არაფერს] უქადდა. მაგრამ ამას გარდა

ნიადაგის უფრო [უკეთ] შემზადებისა და განმტკიცებისათვის როსტომ მეფის მომხრეებმა ერთი საგანგებო შიკრიკი "როინ ფავლენისშვილი წინ გაგზავნეს" და თან გაატანეს რაც "სომხითის მელიქს საქართველოს თავადებთან წიგნები მიაწერინეს". ამ წერილში ზემოაღნიშნული პირი ატყობინებდა, რომ "თქვენი სახვეწარი არზა ბედნიერს ყაენს მივართვი. იამა და შეგიწირათ (sic) და თქვენსავე მემკვიდრე ბატონს, თავის ყულარადასს, მეფეს როსტომს მიგცათ და თავრიზის ბეგლარბეგი როსტომ-ხან სპასალარი ერანის ლაშქრით თან გამოატანა და მლთისა შეწევნით საშემოდგომოთ ჩვენც მოსულნივართ"-ო⁴⁹. დამახასიათებელია მაინც ის სიფრთხილე და წინასწარი სამზადისი, რომლითაც იქცეოდნენ როსტომი და მისი მომხრე ჯგუფი; ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს როსტომის გამეფებას ქართლში მაინც საგანგებოდ ნიადაგის მომზადება ესაჭიროებოდა.

სპარსეთის ჯარი როსტომ მეფეს წინ უძღოდა. **ვახუშტის** სიტყვით მომავალი ლაშქარი ხუნანს დაბანაკებულა. თეიმურაზ მეფეც სამზადისს შესდგომია: რაც კი ჯარი მახლობლად ჰყავდა, "შემოიკრიბნა საფურცლეს და ლამობდა ბრძოლასაც", რადგან ბარათიშვილების ერთგულების სრული იმედი ჰქონია იმიტომ, რომ "ჰყავდა ბარათიანთა ცოლიცა თვს-თანა მუნ"⁵⁰. **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით კი "ბატონი თეიმურაზ დიდვამს იდგა"⁵¹. საფურცლე, **ვახუშტის** ცნობით, არაგვის პირას ყოფილა დასავლეთის მხრით მისაქციელს ცოტა სამხრეთით⁵². თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თეიმურაზს ბარათაანთა ცოლებიც თან ჰყავდა, უფრო საფიქრებელია, რომ უკანასკნელი ცნობა უფრო სამართლიანი უნდა იყოს, რადგან დიღომი საბარათიანოზე უფრო ახლოა, ვიდრე საფურცლე.

ხალხისა და დიდკაცობის შორის თეიმურაზზე გულის ასაყრელად და წინააღმდეგების გაწევის სურვილისა და უნარის მოსასპობლად როსტომ მეფის მომხრეებმა საგანგებო ხერხს მიჰმართეს. მათ "ასრე მოახდინეს რომ" სომხითის მელიქის "წიგნები" თვით მეფე თეიმურაზს "ველში ჩაუგდეს და ფავლენისშვილს რომ წიგნები მიჰქონდა" განზრახ "გზაზე დააჭირვინეს და ბატონს მოჰგვარეს და წიგნები გამოართვეს და წაიკითხეს". ხოლო რაკი ამასთანავე "ვისთანაც ეწერა" ეს წერილები, "ამ წიგნების ამბავი კახთ ყველას შეატყობინეს, რომ ბატონს თეიმურაზს ამისთანა წიგნები ხელშიდ ჩაუვარდა"-ო, რასაკვირველია, "ამ წიგნებზედ ქართველნი დაფრთხენ და აღარავინ მოვიდა"⁵³. ისიც კი, ვისაც გულში ღალატის ფიქრიც კი არ გაუვლია, მეფე თეიმურაზთან შიშით ველარ მოვიდოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ წერილების შინაარსის ცოდნის შემდგომ თეიმურაზს მათი ნდობა აღარ ექნებოდა, მათ მხრივ ღალატის ეჭვი ექნებოდა. ეს ხერხი იმდენად ოსტატურად მოგონილი გამოდგა, რომ როდესაც "ბატონმან თეიმურაზ საქართველოს ლაშქარი იხმო და უნდოდა ყიზილბაშთ შესაბმელად წინ მიჰგებებოდა, აღარავინ მოვიდა იოთამ ამილახორის მეტი"⁵⁴. თეიმურაზ მუხრან-ბატონის მემ ნიკოლოზმა სხვებს პირველი მაგალითი უჩვენა და "მიეგება როსტომს ნათესაობისათვის"⁵⁵. მას ბარათაშვილებმაც მიჰბაძეს: "ფიცი გატეხეს და მიუვიდენ ახალს ბატონს". შემდეგ ასევე მოიქცნენ დათუნა ერისთავი და მისი ძმები⁵⁶. განრისხებულ თეიმურაზ მეფეს **ვახუშტის** სიტყვით ბარათიანთ სასტიკი დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი: "მოინება დაჭრა ცხვირ-პირთა ცოლთა ბარათიანთათა". მაგრამ ამ საზარელი და სამარცხვინო საქციელის ჩადენა ცოლმა დაუშალა: "არა აუფლა ხვარემან დედოფალმან"⁵⁷. რაკი საქმე ასე დატრიალდა და მომხრე თეიმურაზს არ უჩანდა, ხოლო ამავე დროს "როსტომ მეფე ყარაბაღში შემოსულიყო, ომიც აღარ მოჰდებოდა". ასეთს პირობებში გაცლის გარდა სხვა აღარა დარჩენოდა თეიმურაზს, რომელიც სწორედ ასეც მოიქცა: "დიღომით აიყარა" და ჯერ მხოლოდ "გორს მივიდა". მაგრამ ყოველი ცდისდა

მიუხედავად "ქართლის ლაშქარი აღარც იქ შემოეყარა"⁵⁸. როგორც სპარსელი ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, თეიმურაზ მეფეს ამაზე უფრო ამაღლებელი ამბავი შეეძლო გაეგო. სპარსეთის ჯარის სპასალარის როსტომ-ხან სააკაძისა და მეფე როსტომის მოახლოებას ქართლის დიდებულები ისე შეუშინებია, რომ მათ არამც თეიმურაზი უმწეოდ მიუტოვებიათ, არამედ თვით მისი დაჭერა და სპასალარისთვის გაცემაც კი გადაუწყვეტიათ, ოღონდ თეიმურაზის მომხრეობის გამო მოსალოდნელი შურისძიება როგორმე თავიდან აეცილებინათ⁵⁹.

მხოლოდ გარეშე დახმარების იმედი-ლა ჰქონდა კიდევ თეიმურაზ მეფეს: "იმერეთით მოშველებას ელოდნენ", რომლის მეფის შვილი ალექსანდრე მისი სიძე იყო.

"დადიანიც ჩამოსდგომოდა" და მოშველებას აპირებდა, მაგრამ საქმე ისე სწრაფად მიმდინარეობდა, რომ "ველარც ისინი მოეშველნეს"⁶⁰.

ჯერ კიდევ გორში იდგა, რომ თეიმურაზს "ამბავი მოუვიდა ერანის ლაშქარი აღჯაყალას შემოვიდაო"⁶¹. ამავ დროს მეფემ შეიტყო, რომ ბარათაშვილები ეხლა უკვე სუყველანი როსტომს ჰხლებოდნენ და მიმხრობოდნენ⁶². მაშასადამე, მთელი მეწინავე სადროშო როსტომის მხარეზე იყო გადასული და საქართველოს დედაქალაქის ბედიც ამით გადაწყვეტილი იყო. ამიტომ "ბატონი თეიმურაზ გორით აიყარა და ქვიშხეთს მივიდა"⁶³, რომ იმერეთში გადასვლა, თუ საჭირო იქნებოდა, დაუბრკოლებლივ და სწრაფად შესძლებოდა. ქვიშხეთში მდგომმა მან როსტომ მეფის სპარსთა ლაშქრითურთ თბილისში შესვლის ამბავიც შეიტყო. საქართველოს სატახტო ქალაქში თურმე ვითარცა ძლევამოსილს მბრძანებელს როსტომს "უფროსიერთნი თავადნი მოეგებნეს", რომელთაც ახალს მეფეს "თეიმურაზის ულაშქრობა" მოახსენეს. ამით გათამამებულთ ორთავე როსტომებმა "ქალაქით ორი ათასი ცხენკეთილი კაცნი დაარჩივეს და ქვიშხეთს გაუძახეს, რომ ბატონს თეიმურაზს დაესხან". მაგრამ მას ეს ამბავი არ გამოჰპარვია და შეიტყო თუ არა, ჯერ სწრაფად თავისი სახლობა გაისტუმრა იმერეთში, მერე თითონაც იქვე გაიხიზნა. ამის გამო მდევართ თეიმურაზ მეფეს ველარა დააკლეს რა და, თუმცა სპარსელი ისტორიკოსი ამბობს ვითომც სპარსელებს დიდი ნატყვენავი ჩავარდნოდეთ ხელში⁶⁴, მაგრამ ამას არღვევს **ფ. გორგიჯანიძის** გარკვეული ცნობა, რომ მდევართ მხოლოდ თეიმურაზის "უკან დავარდნილის კაცისა და ბარგისა ეშოვნათ" და ეს მცირე ნადავლი "გორს მეფეს მოართვეს"⁶⁵.

ამგვარად, როსტომ მეფის სურვილი და დიდიხნის ნატვრა ასრულდა. თავის სიგელში მას მოკლედ, მაგრამ სიხარულით აღნიშნული აქვს: "ჩვენ კახთ-ბატონი გავაგდეთ და ჩუენი საბატონო დავიჭირეთ, ბატონი თეიმურაზ იმერეთს შეიხიზნა", რადგან "ქალი იყო მისი იმერლის მეფის შვილის ალექსანდრეს ცოლი"-ო⁶⁶. დიად, როსტომი ქართში გაბატონდა და მეფედ იქა⁶⁷, მაგრამ როგორ? უცხო ძალის საშუალებით, მხოლოდ სპარსთა სამხედრო ძალით და, თუმცა არჩილ მეფე ამბობს,

"ქართლი როსტომ დაიჭირა და კახეთსა დასუეს სალიმ" (გვ. 136, § 527).

ნამდვილად კი ქვეყანა მთლად სპარსეთს ჩაუვარდა ხელში. თვით **ფ. გორგიჯანიძე** არ მალავს, რომ "ქართლი ყიზილბაშით აივსო"⁶⁸. ამგვარად, ბრმისათვისაც ცხადი უნდა გამხადრიყო, რომ თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთი საქართველოს დამოუკიდებლობასა და მაინცდამაინც დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულს ბრძოლას მოასწავებდა, როსტომის მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობისა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო.

როსტომის ქართლში მოსვლისა და გამეფების თარიღის შესახებ რამდენიმე ცნობაა შემონახული. კინკლოსებში ნათქვამია: 1632 წ. „ქ-კს: ტკ: (320) აქა როსტომ მეფე მოვიდა“¹. მეორეგან ნათქვამია: „ქ-კს ტკ: როსტომ მეფეს ქართლი მისცა ყეენმან, დაუთხანის ნაბიჭვარი იყო; დაუთხან ქართველის (sic) მეფის ლუარსაბის შვილი იყო“². ისეთი წყაროებიც არის, სადაც გამეფების თარიღად 1633 და 1634 წლებია აღნიშნული: „ქ-კს: ტკა: აქა მეფე ლუარსაბის შვილი (sic) როსტომ მეფე მოვიდა“³. „ქ-კს: ტკბ: აქა ქართველთა ბატონი როსტომი მეფე იქმნა“⁴. ბატონიშვილს **ვახუშტს** როსტომ მეფის თბილისში მოსვლისა და გამეფების თარიღად 1634 წ. მიაჩნდა⁵. ამ ცნობათა სხვადასხვაობისაგან თავის დახწევის საშუალებას თვით როსტომ მეფის 1648 წლის გუჯარი და სეფიანთა სპარსელი ისტორიკოსი გვამღევენ. ამ ორი წყაროს დახმარებით იმის გამორკვევა, თუ ზემომოყვანილ ცნობათაგან, სახელდობრ, რომელი უნდა ჩაითვალოს ჭეშმარიტად, ძნელი არ არის. როსტომს ნათქვამი აქვს: „დაიწერა ესე გუჯარი მეფობისა ჩუენისა მეთექვსმეტსა... ქ-კსა ტლვ“⁶. აქედან ცხადია, რომ როსტომი 1632 - 3 წ. უნდა დამჯდარიყო მეფედ და არა 1633 ან 1634 წელს, როგორც ზემოაღნიშნულს წყაროებშია ნათქვამი. ხოლო, რაკი სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით როსტომ-ხანი გამეფების ცოტა ხნის შემდგომ 1633 წ. უკვე არტაჰანის დასაპყრობად წასულა⁷, საფიქრებელია, რომ ქართული კინკლოსების ცნობა როსტომის 1630 წ. გამეფების შესახებ სხვებზე უფრო ჭეშმარიტი იყოს. სპარსეთის სარდლობისა და როსტომ მეფის მორიგ საზრუნავს ქართლის დაჭერის შემდგომ ამ კუთხეში ფეხის მტკიცედ მოკიდება იყო. ამისთვის ციხეებში თავიანთი მეციხოვნე ჯარის ჩაყენებას შეუდგნენ. მაგრამ ქართლის შუაგულში მდებარე მთავარი ზღუდე, გორის ციხე, დანგრეული იყო და იქ ჯერ წინასწარი მუშაობა იყო საჭირო, რომ მეციხოვნეთა დაყენება შესაძლებელი გამხდარიყო. სპარსელებმა სწრაფად „გორის ნაციხარი ზომით ლაშქართ დაუყვეს და ოცს დღეზე ააშენეს“. ამ განახლებულს ციხეში, **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით, "ნურის მინბაში მესხი მუსლიმ-ბეგ მაზანდარ[ან]ის მეთოფეებით მცველად შეაყენეს"⁸. სპარსელი ისტორიკოსი კი გორის ციხისთავად ხორასანის მეთოფეთა მინბაშის ძმისწულს მირზა მუჰამედს ასახელებს⁹. რაკი ქართლის დიდებულები დარწმუნდნენ, რომ გორის ციხე უკვე მტკიცედ ეპყრათ ხელში სპარსელებს და როსტომის ბატონობას სამხედრო სიმტკიცე მიენიჭა, მაშინ "ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრული მიუვიდნეს" ახალს მბრძანებელს და "როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს". მხოლოდ ფარსადან ციციშვილი იყო ჯერ კიდევ განზე გამდგარი იმიტომ, რომ სპარსეთის სარდალთან როსტომ-ხან სააკაძესთან "ძველი მტერობა აქვნდა" და მისი შურისძიებისა ემინოდა. თვით როსტომ მეფესთან კი "კაცს ატარებდა" და დამორჩილების შესახებ მშვიდობიანი მოლაპარაკება ჰქონდა¹⁰. თუმცა როსტომ მეფე თავისი აღზრდითა და ზნეჩვეულებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი, პოლიტიკურადაც სპარსეთის

სახელმწიფოს ყურმოჭრილი ყმა და მისი პოლიტიკის ერთგული განმახორციელებელი იყო, მაგრამ ქართლში მოსვლისთანავე სახელმწიფოს ბატონ-პატრონის საღმა გრძნობამ გაიღვიძა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველობას შეუდგა. ამ ნიადაგზე მასა და სპარსეთის ჯარის სარდლობას შორის თითქმის პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე შეურიგებელი უთანხმოება ჩამოვარდა, რაკი სპასალარი დაუნდობლად ეპყრობოდა ქვეყანას და პირადს მტრულ გრძნობასაც კი ვერ იკავებდა, პირადი ხასიათის შურისძიებასაც არ ერიდებოდა. მაგალითად, როდესაც ფარსადან ციციშვილი სარდალთან ძველი მტრობის შიშით სხვებთან ერთად მორჩილების გამოსაცხადებლად ვერ მოვიდა, ეს გარემოება დაიხვია ხელზე და „იწყინა“: ისარგებლა შემთხვევით, „საციციანოს ლაშქარი გაუმახა, დაარბევინა და მრავლი ტყვე მოასხეს“¹¹. ამ საქციელმა მეფე ააღელვა. თუ უკიდურესი საჭიროება არ ატანდა ძალას, ის იარაღითა და ძალდატანებით პოლიტიკური საქმის გაკეთების მომხრე არ ყოფილა, რადგან კარგად ესმოდა, რომ შინაურობაში ცეცხლითა და მახვილით მოქმედება ქვეყნის აოხრებას უწყობდა ხელს. ამიტომ სპარსეთის სარდლის ამგვარი დაუნდობლობა „როსტომ მეფემ იწყინა და სარდალს კაცი მიუგზავნა“ და შემდეგი ფრიად საგულისხმო და დამახასიათებელი სიტყვები შეუთვალა: „თავად საქართველო აოხრებული არისო, რაც დარჩომილა იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მამ მე რისილა ბატონი ვიქმნებიო?“¹². მართალია, ამან სპარსეთის სარდალსა და მეფე როსტომს შუა უთანხმოება ჩამოაგდო და „ორთავ ყაენს არზა მისწერეს“ ერთიერთმანეთზე საჩივრით, მაგრამ როსტომ მეფემ გაიმარჯვა: სარდალი თავისი ლაშქრით შაჰის ბრძანებით „ვანის ციხეზედ“ გაიგზავნა და, ამნაირად, საქართველოდან წაყვანილ იქნა. ხოლო როსტომ-ხან სააკაძის მაგიერ სხვა გამოიგზავნა: შაჰ-სეფის ბრძანება მოვიდა „შირვანის ბეგლარბეგი ყარაბაღის ლაშქრით როსტომ მეფეს ქემიკში დადგესო“¹³. როსტომ მეფემ თავისი წინადახედული, მშვიდობიანი ქცევით ქართლელნი დაამშვიდა. განსაკუთრებით სპარსეთის სპასალარის როსტომ-ხან სააკაძის თავიდან მოშორებამ დააწყინარა ხალხი. რაწამს ეს „სარდარი საქართველოს გაეცალა, ფარსადან ციციშვილი და სხვანი საცა დახიზნული იყვნენ, ყველანი მოვიდნენ“ და ახალ მეფეს დაემორჩილნენ. თანდათან ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა და „დაიწყეს შენება, ხვნა-თესვა“¹⁴. საქართველოს ამ პოლიტიკური ხშირი ცვალებადობის ხანაში, როდესაც ცხოვრების დამახასიათებელს მოვლენას შეადგენდა „მალიადი ცვალებანი დამპყრობელთანი და განმგეთა“, თითქმის ყოველს ახალს მეფესა და მმართველს თვით მართვა-გამგეობის პირად შემადგენლობაში დიდი ცვლილება შეჰქონდა. მას მხოლოდ მაშინ შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო და ამბოხებისა და შეთქმულების შიში არ ჰქონოდა თუ რომ ყველგან თავის ერთგულსა და „მრავალფერად დამსახურებულ“ მოხელეებს ჩააყენებდა: ამიტომ სამეფოს სათავეში მდგომი პირის გამოცვლა სამოხელეო მანქანის გამოცვლასაც მოასწავებდა. ეს აუცილებელი ხდებოდა განსაკუთრებით

მაშინ, როდესაც სამეფო ტახტზე წინანდელი მეფის მოწინააღმდეგე და მეტოქე პიროვნება ადიოდა. როსტომ მეფესაც, რასაკვირველია, შეუძლებელია თეიმურაზ მეფის მიერ დაყენებული ხელისუფლების ერთგულების იმედი ჰქონოდა. ამიტომ მან და მისმა თანამშრომლებმა ქართლის სამეფოში „მოხელენი გამოსცვალეს“¹⁵ და მათ მაგიერ თავისი ნაცადი მომხრეები დანიშნეს. საფიქრებელია, რომ ბევრი მათგანი ის პირები იქნებოდნენ, რომელნიც როსტომს სპარსეთიდან თან მოჰყვნიენ. ამას გარდა მომეტებული იმ დიდკაცთაგანი, რომელნიც როსტომის თანმოყოლილ ამაღას შეადგენდნენ, საქართველოდან სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების გამო გაქცეულები იყვნენ და სამშობლოში მათ ამის გამო მამულები ჰქონდათ ჩამორთმეული, ამიტომ როსტომ მეფემ „თანმოყოლილ თავადთა და აზნაურთა თავიანთ მამული უბოძეს.“¹⁶ ამგვარად, როსტომმა მოხელეობაში და მემამულეთა შორის თავისი მოიმედე და ერთგული წრეები შეჰქმნა, რომელთაც ყოველგვარი უპირატესობა და ჯილდო ერგოთ. როსტომ მეფის ქართლში განმტკიცებისათვის მარტო შინაურობაში გამაგრება არა კმაროდა, მეზობლობაშიაც მას მომხრე და მომშველელი უნდა ჰყოლოდა, რომ განსაცდელის დროს მისთვის ხელი გაემართა. საერთაშორისო და საგარეო კავშირის შესაკრავად მაშინდელ დროში ყველა სხვა საშუალებაზე უფრო ძლიერი და ხანგრძლივი მოქმედი სამეფოს მოთავეთა დამოყვრება იყო. სწორედ ამიტომაც როსტომ მეფის თანამშრომლებმა და მრჩეველებმა „შექმნეს ვაზირობა“ და ამის თაობაზე „დაიწყეს რჩევა“¹⁶ რაკი თეიმურაზ მეფე როსტომის ქართლში გამეფებას, რასაკვირველია, ადვილად და ნებაყოფლობით ვერ შეურიგდებოდა, ხოლო როსტომ მეფის საწინააღმდეგო ბრძოლაში თეიმურაზ მეფეს უეჭველია იმერეთის მეფე და მისი შვილი ალექსანდრე, ვითარცა სიძე, ყოველთვის სიამოვნებით დაეხმარებოდნენ, ამიტომ როსტომ მეფის „მოვაზირე“ პოლიტიკოსებს როსტომის დამოყვრებით თავიანთი ბატონისათვის ისეთი მოკავშირე უნდა ეშოვათ, რომელიც იმერეთის მეფეს გიორგისა და მის მემკვიდრეს თავისუფალი მოქმედების საშუალებას მოუსპობდნენ. მაშინ ისინი ვეღარც თეიმურაზ მეფეს გაუწევდნენ დახმარებას და მიეშველებოდნენ. ამ მიზნის მისაღწევად ქართლის ბატონისა და პოლიტიკოსებისათვის საუკეთესო იარაღად როსტომის დამოყვრება იქმნებოდა დადიანთან, რადგან მათსა და იმერეთის მეფეებს შორის დიდი ხანია მეტოქეობა და მტრობა არსებობდა და პოლიტიკურადაც სამეგრელოს მაშინდელი მთავარი ლევან დადიანი საკმაოდ ძლიერი იყო, რომ ეს დანიშნულება დირსეულად აესრულებინა. უეჭველია, ამ მოსაზრების გამო უნდა ყოფილიყო, რომ ქართლის „მამულიშვილებსა“ და პოლიტიკოსებს როსტომ მეფისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი „სამოყვროთ“ ლევან დადიანი მიუჩნევიათ, რომლის და მარიამი „საქართველოს სადედოფლოდ“ და როსტომისათვის საცოლოდ იყო არჩეული“¹⁸. ჩვეულებისამებრ „გაუგზავნეს მოციქულები“ ლევან დადიანს მისი დის „სათხოვნელად“ და დაწესებული „ნიშანის“ მისართმევად. როდესაც

საპატიო მოციქულთა შორის მყოფი თბილელი ეპისკოპოსი სამეგრელოს მთავართან მივიდა მისი „დის მარიამის ქართლის სადედოფლოდ სათხოვნელად“, ლევან დადიანს თურმე ეს ამბავი „ნამეტნავად იამათ“. მან სიხარულით განაცხადა თანხმობა და ამის საწინდრად „ნიშანი მიირთმიეს“ კიდეც¹⁹.

მაგრამ მაშინდელ დროში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მეფეთა დამოყვრება მარტო კერძო და საოჯახო საქმედ არ ითვლებოდა, რომ როსტომ მეფეს დადიანთან მოლაპარაკების შემდგომ საქმე დამთავრებულადა და საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაეთვალა. ამისათვის ჯერ კიდეც სპარსეთის შაჰისა და მთავრობის დასტური ესაჭიროებოდა, ურომლისოდაც როსტომ მეფეს საგარეო საქმეებში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება ვერ გაეხდა. ამიტომ, როდესაც სამეგრელოდან მას „მოციქულებმა“ დადიანის თანხმობის ამბავი მოუტანეს, როსტომ მეფემ მაშინვე „ყაენს ჩაფარი გაუგზავნა და დადიანის მოყვრობა ჯელმწიფეს გაამინჯვინა“²⁰. ერანის მბრძანებელსა და მმართველ წრეებს ეს ამბავი, რასაკვირველია, ძალიან მოეწონებოდათ ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათი ერთგული კაცი მოუსვენარს ქართლში ამით მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს და სპარსეთის შეუდრეკელ მოწინააღმდეგეს დაკარგული ტახტის დაბრუნება გაუძნელდებოდა. მეორეც იმიტომ, რომ როსტომ მეფის დადიანთან დამოყვრებით სპარსეთის პოლიტიკოსებს სამეგრელოს მთავრის სპარსეთთან დაახლოვებისა და დაკავშირების იმედი მიეცემოდათ, რასაც ოსმალეთთან ომის და ბრძოლის დროს ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სპარსეთისათვის. სრულებით ბუნებრივია ამის გამო, რომ სპარსეთის მთავრობას თავისი თანხმობა არ დაეგვიანებინა. როსტომს მარტო ნებართვის „ბრძანება“ კი არ მოუვიდა, არამედ „საქორწილო“ საჩუქარიც. განსაკუთრებული ყურადღების ნიშნად შაჰმა როსტომ მეფეს „შირვანის ბეგლარბეგი ფარუხან გამოუგზავნა, რომ მეფეს ჯელმწიფური ქორწილი უყონ.“²¹ როსტომ მეფემ შაჰისაგან ნაწყალობევი „საქორწილო“-ც ლევან დადიანს გაუგზავნა და ქორწილის გადახდის დრო და ადგილის დანიშვნა სთხოვა. დადებული პირობით ლევან დადიანი „დიდის ლაშქრით იმერეთს“ უნდა მოსულიყო და იმავე დროს სასიძო როსტომ მეფეც აგრეთვე „ლაშქრით“ იმერეთში უნდა გადასულიყო და იქ „საჩხეიდოშიგან“ მეფე-დადიანი ერთმანეთს შეხვედროდნენ. ორივე მხრით „დიდი“ ლაშქრის თანხლება ამ ქორწინების სამზადისს სამხედრო მოქმედების სამზადისის ხასიათს აძლევდა. დადიანს კარგად ესმოდა ამ დამოყვრების პოლიტიკური მნიშვნელობა და, ალბათ, ამის გამო დარწმუნებული ყოფილა, რომ იმერეთის მეფე და თეიმურაზი როსტომთან დაკავშირების ნებას უბრძოლველად არ მისცემდნენ. შეთანხმებისდა თანახმად როსტომ მეფე დანიშნული დროისთვის დიდის ლაშქრით წავიდა ქართლიდან იმერეთის საზღვრისაკენ და სურამში დადგა. დადიანიც, თავისი მხრით, „მოვიდა დიდის ლაშქრითა“ და საჩხეიდოში დაბანაკდა²². ამ დროს სრული სიცხადით გამოირკვა, რომ ეს საქმე ისე ადვილი არ იყო. თვით როსტომ მეფე მოგვითხრობს: „გზა არ დაგვანება იმერელთ მეფემან გიორგი“-მაო²³.

ამიტომ როსტომ მეფეს სამოქმედო გეგმა შეუცვლია და სამცხიდან მიახლოვებია იმ ადგილს, სადაც ლევან დადიანი მისი საცოლოთი უნდა მოსულიყო. რაკი საჩხეიძოს სამხრეთით სამცხე საზღვრავდა, ამიტომ როსტომი სწორედ იქით წასულა: „მივედით სამცხეს“ და ქ. „ოდრხეს დავდექით“-ო²⁴. მომავალს დადიანს უკვე ცხადად „წინ გადაუდგა მეფე გიორგი“²⁵. იმ დროს, როდესაც იმერეთის მეფე მოწინააღმდეგის მდებარეობას ათვალთვლებდა, რომ ბრძოლისათვის ვარაუდი დაეჭირა და „მეფე გიორგი ჯორჯედ მჯდომი ცოტას კაცით დადიანის ლაშქრის გასაშინჯავად ქედზედ ასულიყო“, რომ მალლით დაეხედა მტრის ბანაკისათვის, ამ დროს გიორგი მეფის ზოგი მხლებელის მუხანათობისა და გამცემლობის წყალობით ლევან დადიანი იმერეთის მეფეს მოულოდნელად თავს დაეცა და თვით გიორგი მეფეც დაიჭირა და მასთან ერთად ზოგიერთი ამაღლისაგანი ტყვედ ჩაიგდო ხელში, სხვანი კი „წაუვიდნენ“²⁶. უეჭველია, ამ შეთხვევას ეხება ილორის წმ. გიორგის ხატის 1651 წ. წარწერა, რომელიც თვით ლევან დადიანს გაუკეთებინებია. აქ უფრო ვრცელი ცნობებია ამ ამბის შესახებ და აღნიშნულიც არის, რა ადგილასაც მომხდარა იგი. ლევან დადიანი ამ წარწერაში, სახელდობრ, შემდეგს მოგვითხრობს: „მას ჟამსა, ოდეს შევებენით ბაღდადს იმერელთ მეფესა გიორგის და შვლსა მისსა ალექსანდრეს და მამუკასა და მისსა სიმამრსა კახს ბატონს თეიმურაზს, ვსძლიეთ“ და იმდენად „გაგვემარჯვა“, რომ გიორგი მეფე ჯელთ დაგვრჩა, შვლები და კახი ბატონი გარდაიხვეწა, უფროსიერთი იმერელი და კახნი ჯელთ დაგვრჩა. მოვედით ტაძარსა შენსა და შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი, ბროლის ჯვარი, იმ დროშის ბუდე ოქრო-ქსოვილი“-ო²⁷.

ამ წარწერიდან ჩანს, რომ გიორგი მეფეზე მოულოდნელად თავდასხმისა და დატყვევების გარდა ბრძოლაც მომხდარა, რომელშიაც, როგორც ეტყობა, იმერეთის მეფის შვილებს ალექსანდრესა და მამუკას და ალქსანდრე ბატონიშვილის სიმამრს თეიმურაზ მეფესაც მიუღიათ მონაწილეობა. გიორგი მეფისა და ზოგიერთი იმერელ-კახი ჯარისკაცების გარდა დანარჩენებს ყველას განსაცდელისაგან თავი დაუხწევიათ. მაგრამ ლევან დადიანს თეიმურაზ მეფის დროშის ნაწილები ჩავარდნია ხელში დავლად. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ თეიმურაზი ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილე უნდა ყოფილიყო და საფიქრებელია, რომ ყველა თავისი მხლებლებით საომრად იქნებოდა გამზადებული. ეს საბედისწერო შებმა, სადაც "გაემარჯუა დადიანსა და დარჩა ჯელთა მეფე გიორგი"²⁸, ბაღდადში მომხდარა, მაშასადამე, იმავე საჩხეიძოში, რომელშიც ლევან დადიანი დაბანაკებული იყო. რაკი ბრძოლა დადიანის სრული გამარჯვებით დამთავრდა, ეხლა უკვე როსტომ მეფისათვის არავითარი საფრთხე და დაბრკოლება აღარ არსებობდა და ისიც სამცხიდან დაიძრა თავის საცოლოსადმი მისაგებებლად. "ჩავედით კაკასჯიდს იმერეთშია და მობრძანდა ბატონი დადიანი, შევიყარენით და გავიხარენით ერთმანეთის ნახვითა, ლხინითა და განსუენებითა"-ო, ამბობს მეფე როსტომი²⁹. "კაკასხიდი" ეხლაც არსებობს და თანამედროვე 5-ვერსიან რუკებზე "კაკასხინდ"-ად არის აღნიშნული და იმავე საჩხეიძო თემში მდებარეობს. დადიანიც,

როგორც ეტყობა, სასიძოს შესახვედრად ბაღდადიდან წინ წამოწეულა. ორთავე მხარე, ვითარცა ძლევაძმოსილნი, ცოტა არ იყოს განზრახ გადაჭარბებული ბრწყინვალეობითა და სიდიდით [ცდილობდა] მოეჩვენებინა თავი იმერეთისა და ერთიმეორისათვის: აქედან ქართლელნი "წავიდნეს დიდის ლაშქრითა და გამოჩვენებით და იქიდან დადიანი მოვიდა დიდის ლაშქრითა და მოკაზმულობით."³⁰ ეხლა კი ლევან დადიანმა და როსტომ მეფემ დიდის ზეიმით ქორწილი გადაიხადეს. ამ საზეიმო დღესასწაულში თავისი პოლიტიკური მიზნებისდა გვარად სპარსეთის მთავრობაც იღებდა მონაწილეობას. "ორმოცდაათი ათასი მარჩილი შაჰ-სეფი ყაენს გამოეგზავნა ლევან დადიანისათვის" მხოლოდ საჩუქრად დის გათხოვების გამო. ამას გარდა სპარსეთის მთავრობამ მას ყოველწლიური სარგოც დაუნიშნა. შაჰმა "წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა."³¹ ამ უკანასკნელს ცნობას სპარსელი ისტორიკოსიც ადასტურებს. მისი სიტყვით 1000 თავრიზული თუმანი ლევან დადიანს დანიშვნია ვითარცა სპარსელების ერთგულს მეგობარს. ამ გარემოების პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო ცხადად მაშინ გამოამჟღავნა, როდესაც ცოტახნის შემდგომ ლევან დადიანის საგანგებო დესპანი სპარსეთის მბრძანებელს ეახლა³². როსტომ მეფემაც თავის მხრით დადიანსაც დიდძალი [საჩუქარი] მიართვა და უხვად დააჯილდოვა მისი მხლებლებიც, და საჩუქრები უბოძა "თავადთა და აზნაურთა და კარის მოჭელეთა და გამრიგეთა და მოსამსახურეთა, დიდთა და მცირეთა". ლევან დადიანმაც თავისი და, მარიამ დედოფალი, დიდი მზითვევითა, იარაღითა და მოკაზმულობით "გამოისტუმრა და თან მაყრად გამოატანეს ეფისკოპოსნი მათის ქვეყნისანი, გურიელი მეფედ თქმული, მეყვისი თავისის თავადებით და აზნაურმვილებითა, უფროსნი და სახელდებულნი ოდიშარნი თავადნი."³³ ასე ბრწყინვალედ გადაიხადეს 1634 წ. როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის ქორწილი³⁴ ქართლის და სპარსეთის მმართველმა წრეებმა, რომელთათვისაც ამ გარემოებას, რასაკვირველია, განსაკუთრებით პოლიტიკური კავშირის მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი მეფის ლევან დადიანისგან დატყვევების უმაღლეს, როდესაც გამოირკვა, რომ მისი სწრაფი განთავისუფლების იმედი ტყუილი იყო, "იმერელნი" ალექსანდრე ბატონიშვილთან შეიყარნენ და ალექსანდრე "მეფედ აკურთხეს."³⁵ უეჭველია, ის იმავე 1634 წ. უნდა მომხდარიყო. **გ. გორგიჯანიძის** სიტყვით ბაღდადში შეპყრობილი "მეფე გიორგი ორს წელიწადს დადიანს ჰყავდა" ტყვედ და ძლივს მოახერხა მისმა შვილმა მამის დახსნა. ალექსანდრე მეფე იძულებული იყო გამოსახსნელად მიეცა "მურასა გვირგვინი, მრავლი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, თვალ-მარგალიტი, მურასა იარაღი" და ამას გარდა კიდევ "ნაპირის ალაგნი, ჭილაძენი და მიქელაძენი, და რაც ჩხარში ვაჭარნი ესახლნეს სომხები" დადიანისათვის დაეთმო, რომელმაც უკანასკნელნი თავის სამთავროში გადაიყვანა და მათით "რუხის ქალაქი ააშენა."³⁶ ამ ცნობას თვით ლევან დადიანიც ადასტურებს, რომელსაც ილორის წმ. გიორგის ხატის 1651 წ. წარწერაში სხვათა შორის ნათქვამი აქვს: "ამავე ჟამსა ავყარეთ სრულობით ქალაქი ჩხარისა, მოვასხით ზუგდიდს და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა"-ო³⁷.

როსტომ მეფეს საქართველოში ფესვები არა ჰქონდა გამდგარი. უკვე ძალზე მოხუცებული იყო, როდესაც მეფობას ეღირსა, და უშვილო იყო. ამის გამო მას სამშობლოში მახლობელი და გულწრფელი მომხრე ადამიანი არავინა ჰყავდა. ხალხიც როსტომ მეფის უნიადაგობას გრძნობდა და მისი ბატონობა წარმავალად მიაჩნდა. ამიტომ ის მის მოწინააღმდეგე წრეს ადვილად ემხრობოდა ხოლმე და არეულობაში მონაწილეობას იღებდა ხოლმე. თვით მეფესაც კი ამ გარემოებას არ უმაღავდნენ და **ფ. გორგიჯანიძის** სიტყვით თურმე "ქართლის თავადნი მეფეს როსტომს შემოეხვეწნენ და მოციქული მოუგზავნეს" და აუხსნეს, რომ **"ამისთვის საქართველო არ დაწყნარდებისო, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავნი არა გყვანანო და თქვენს საბოლოს ვერა ხედავენო**, ამისთვის მალე აიშლებიან და სხვას ბატონს ეძებენო"³⁸. იმავე ისტორიკოსის ცნობით ამას მეფე როსტომიც გრძნობდა და ყაენს სწერდა კიდევ: "ქართველნი ჩემის უშვილობისათვის და უნათესაობისათვის ურჩობენ და ავკაცობენო, რომ ჩემს საბოლოს ვერა ხედავენო."³⁹ ქართლის თავადებს როსტომ მეფის მიერ ლუარსაბ ბატონიშვილის თავისთვის შვილად აყვანა და მემკვიდრედ გამოცხადება არაფრად მოეწონათ. მათ ეშინოდათ, რომ რაკი ქართლის თავადებს მისი "პაპის ვახტანგის მამული" ეჭირათ, გამეფებისთანავე მას ეს მამულები უკან არ დაებრუნებინა: რაც "მამული გვიჭირავსო" უეჭველია "ყველას წაგვართვამსო (sic) და თავის შვილს საუფლისწულოთ მისცემსო". ამას გარდა, როგორც ჩანს, თავადები იმასაც ატყობდნენ, რომ ლუარსაბს ისე ვერ ათამაშებდნენ, როგორც სურდათ. ამ მხრივ როსტომ მეფე ვითარცა "ბერი კაცი", რომელიც "დიდს არ გამოეკიდების", მათთვის კარგი იყო, მისი მემკვიდრე კი მათ არაფერს სახარბიელოს არ უქადდა. ამიტომ ქართლის თავადებმა მოლაპარაკების შემდგომ ისეთი "ფიცი და პირი მალვით შეკრეს" და შეიფიცნენ, რომ როსტომ მეფის სიკვდილის შემდეგ "რომელიც ბატონად გვინდოდესო, ყაენსა ვსთხოვოთ" და დავსვათ მეფედაო.⁴⁰

ვითარცა სპარსეთში აღზრდილსა და მაჰმადიანს როსტომ მეფეს ქართული წესისა და ზნე-ჩვეულებებისა ბევრი არა ესმოდა რა და თავის ყოფა-ცხოვრებაში ის ხშირად უფრო სპარსულ-მაჰმადიანურს წესს მისდევდა და იცავდა და ამით ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გრძნობა არა-ერთხელ შელახულა. როდესაც ლუარსაბ ბატონიშვილი ნადირობის დროს თოფით მოიკლა და როსტომი ამის გამოისობით უმემკვიდროდ დარჩა, როსტომ მეფემ თურმე ბრძანა: "ბატონიშვილს ლუარსაბსაო ძმა ჰყავს, ვახტანგ სახელად უქვიანო, იმას ჩემად შვილად მოვაყვანინებო და ბატონიშვილის (ლუარსაბის) ჯალაბს იმას შევრთავო, თათართ წესით ერგებისო, რათგან ორნივ მუსულმანი არიანო". როსტომ მეფის მახლობელი კარისკაცისა და ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ ქართველებმა "ეს იწყინეს, მაგრა ვერა თქვეს რა"-ო⁴¹.

აღებმიცემობისა და მიმოსვლის გასაადვილებლად, "რომ მგზავრი არ გაიხარჯოს, სადგომი და საჭმელი მზად დახვდეს", "როსტომ მეფემ განჯის გზაზე გატეხილს ხიდს ზეით დებედაზე გუმბეთით ხიდი ააგო"

და იქვე "სოფელი და ქარვანსარაია ააშენა."⁴² ამ ხიდისა და სასტუმრო-ქარვასლის აშენება როსტომ მეფესა და მის სახლობას იმდენად დიდმნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, რომ როცა მიზანი მიღწეული იყო და შენება დამთავრდა, "მეფე ქალაქით დედოფლითა და თავადაზნაურით იმ ხიდისა და ქარვანსარაისა და სოფლის გასაშინჯავად მივიდა."⁴³

[დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში]

«Дадиянская де земля в теплой стране... краем к Чорному морю, а другим краем к Турского ц-я земле, а третьим краем Кизылбашского шаха земле, а четвертым краем к Горским черкасом»^[1].

სამეგრელოდან «от их де Грузинские земли блиско, толко меж их Пошечнойская (= ბაშიაჩუის) земля их же грузинские веры, толко владеют собою»^[2].

Пришли Векеру... А ис Соней пошли в 9 де; а в Дидьянскую землю пришли ноября 13 де в деревню в Худоню»^[3].

«Марта в 1 день послал Левонтей ц. в Кабарду к Олегуке мурзе посла своего азнаура Кучалянского роду (ქობაკიძე?), а имя ему Тавей, просить за сына своего за болшова за Олександру дочери»^[4].

«Земля де их (სამეგრელოს მთავრისა) не велика, а людей де мусково полу в их земле с 60 000»^[5].

სამეგრელოში «столнова де города у них нет, живут в слободах»^[6].

სამეგრელოში «вера... бывала греческая и с их грузинскою верою одна, только поизшталася; а языки розные»^[7].

«Зера де у них (სამეგრელოს) христианская и з грузинскою де верою их вера одна и книги теж, что и грузинские; толко де язык свой как меж собою говорят»^[8].

«Городов де у Государя ево (ე. ი. დადიანს) серед земли пят городов каменных, а по украинам и многие города поставлены; а начальной де у них город, где ц. Леонт живет, словоет Зубдиди»^[9].

«Наряд у них (სამეგრელოში) пушки и пищали есть, а порох де делают и у них в государстве толко не от велика, а то де все привозят в кораблех с моря»^[10].

მეგრელები «ходят наги толко таинные уды прикрыты»^[11].

«Платье де у них (სამეგრელოში) носят долгое, чесные люди – суконное и дорогилное и киндячное, а простые молотчие люди носят – серое суконное, а которые де работные люди в деловую пору и они и в одних рубашках ходят»^[12].

«А чин де у них (სამეგრელოში) таков, что владетель их Леонтей или хто будет инои людей тое земли ково хочет в ыные государства продают и в поминках посылает; да не токмо де, что владетель продает и отец детей и брат брата и муж жену и жена мужа продают и на товары приезжим торговым людем меняют»^[13].

სადადიანოს «владеет ими Турской царь... А емлет де с них Турской ц. дани по 100 человек людей мусково полу и женсково да 80 000 полотен всяких на год»^[14].

«Земля де их Дидинская велика и широка и владеет Леонт ц. собою; а бывала де земля их под Турсково областью, как был в Дединской земле дед ево и отец, и как он

после отца своего остался мал и в те де поры дань Турскому давали полотънами. А он де Леонт ц. на Дидиянской земле лет з двадцат, а живет собою, а не в подданстве ни у ково и дани он Турскому не даывал»^[15].

«ц. Левонтей дает Турскому ц. дань по осми сот аршин полотно да ясырю дает по трицети душ и по сороку; а дает для таго, чтоб приходили карабли с торгом, а кой год не будут карабли и уних тот год скудна солью и железом. А не бывали к нам оне со ста четыре-десят четвертаго году; а миром говорят потому де оне к нам не ходят караблями, что боятца казаков, с тех де мест мы им и дани не даем»^[16].

სპარსელს მესპილოვეს ლევან დადიანთან მეფეს «про ц. Левонтья сказывал, что де он голдует на обе стороны Турскому и Казылбаскому [а больши де служит Кизылбашскому], а от Казылбаскава шаха к ц-ю Левонтью идет жалованье по 1000 темсней [тюменей] жалованье на год. И денги в его шах Софе его имя делает; да емуже от шаха поволно будет: ему ратные люди надобеть и ему шах поволит по Куру реку всяких служивых людей, которые шаху служат. Да ц. ж де посылает Левонтей к Турскому ц-ю и к везиру ясырей, поклоняетца, что де я твой царьской халоп»^[17].

სამეგრელოში «хлеб де в их земле родитца пшеница, ечмень, овес, просо, семя конопляное, а ржи нет; а красных всяких питей много, а едят все кашу просяную, а хлебов не пекут»^[18].

«Хлеб де у них родитца: пшеница, ячмень, пшено сорочинское, просо белое и конопел и винограду де у них и меду пресново и воску много и иные всякие овощи есть и лошадей и коров и овец и всякие животны у иих многоже; а делают де у них в их земле шолк и полотно»^[19].

«А денег де у них (სამეგრელოში) нет, торгуют полотны и всякими товары, которые у них есть меняют»^[20].

სამეგრელოში «из ыных государств к их землице морем корабли с Чорного моря с товары приходят, а у них покупают воск, вино фряское, полотно что словут на Руси коленские, пряжу в чом рыболова неводы делают; а делают де они те полотно и пряжу ис поскони а не изо лну, а родитца де та поскань у них же в Дидиянской земле»^[21].

«Торгу де у прежних Дидиянских ц-ей ни с кем не бывало, а при нынешнем де при Леонтье ц-е торги у них есть; а торгуют де с Турскими и с Кизылбашскими людьми да из ыных земел торговые люди к ним морем приезжают, а покупают де у них шолк, мед, воск, полотно и иные товары, которые у них есть»^[22].

«Мы их роспрашивали про те мощи: скол давно те мощи у вас и кем принесены и которых святых во имя? И оне нам сказали: Летописи скать у нас нет, потаму што Турские люди приходили и монастырь разарили и летописи пожгли, а наизусть сказать не помним».^[23]

«Кизилбашенин... Беисрякумль... сказал: мне де здесь (სამეგრელოში) 5 лет, а пришел де я с кизылбаским послом. А был де я в слонавщиках и слон умер в прошлом во 146-м году и с тех де мест меня ц. Левонтей не отпустил, а держит у себя, а для де

таво не отпустит, как от шаха придет грамота, так я прочитаю, а как де от ц. Левонтия посылка с чем, так де я пишу»^[24].

1611 წ. «ქვ'ს: სჟთ: აქა დადიანი მანუჩარ ცხენმან მოკლა»^[25]. ეს შემთხვევა უფრო ვრცლად ილორის წ'ა გიორგის ხატის წარწერაშიაც არის მოთხრობილი თვით ლევან დადიანის პირით. აი რას ამბობს იგი ამის შესახებ: «ჩვენ... ჯელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან, ძემან ჯელმწიფისა მანუჩარისამან... მას ჟამსა, ოდეს განრისხდა ღმერთი კურთხეულის მამის ჩემის პატრონის მანუჩარისაგან: ზუგდიდის ნადირობისა ცხენის რბევის შიგან შემგერდენ ბატონი და გომამე ფარუხია და ცხენი წაიქცა, ამიერ სოფლით მიიცივალა, მაშინ შემოგწირეთ უწინ მისდა მორჩენისათჳს და მერმე მისის სულისა სახსრად და საოხად»^[26].

«Говорил... ключик дворцовый Дементей ц. Левонтия...П... У Левонтия ц. отец был Монуила, тешился за оленем да с коня упал да ушибся; а привезли де ево дамой жива. А брат де у него был меньшей Юрья и он де ево к себе призвал да привел ево ко кресту, штобы ему самому царством не завладеть, а посадить ево сына на царства Левонтия; а ц. Левонтей остался молот, а приказал ему владеть дакуды Левонтей ц. взнужает. И он на правде устаял: как Левонтей ц. взнужал, ин ево и посадил на царства»^[27].

«Говорил... ключник дворц. Дементей ц. Левонтия ... П ... он (ლევანი) будучи царем да отнел у дяди у роднова у Юрья жену, а понел ее себе женою; и он де с кручины так и сканчался и умер. А с ним у нее была 2 сына – адин Юрья [лет в 18] а другой Мелхей [лет в 16]. А прижил их ц-ч Юрий с тою женою своею Еленою, которую у него отнял ц. Левонтей. А у Левонтия ц-я 2 же сына одново зовут Александром лет в 10, а другово зовут Мануилом лет в 8, да 2 дочери и одна умерла], а другую дочь послал Гурьельскому князю на збереженья к Вортаму»^[28].

«Мы услышали, что есть у нево (ლევან დადიანთან) ис Тюфлиса посол и мы ехать не хотели, потому Государева указу нет, чтобы с Кизылбаским или с Турским послом на посольстве быть вместе. И они нам сказали: [то де не послы] не Козылбаскова и ни Турскава. [Государя де нашего Леонтия ц. зятя Тювлиского князя люди и те де за одну землю, потому что Леонтия ц. сестра родная за Тюфлиским князем], наша де православная христьянства и друзья нам и свои; мы от них ничево не вскрываем»^[29].

«Епискуп и Рамазан говарил: ... наш де Левонтей ц. надо всеми в Грузинских странах болшой»^[30].

”ჩვენ . . . ჯელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან, ძემან ჯელმწიფისა მანუჩარისამან . . . ვიგულისმოდგინე ... შევებენით... იმერელ მეფესა გიორგი და შვილსა მისსა ალექსანდრეს ... და მისსა სიმამრსა კახს ბატონს თეიმურაზს”^[31].

«Во 145 году мая во 18 день... нашева де ц-я Левонтия не было дома, ходил на Бошачюйскаво князя войною»^[32].

1624 წ. "როდესაც წარვემართენით მეფესა იმერეთისასა გიორგისსა ზედ და შევიბენით ქუთათის და გაგვემარჯვა: მეფე მორჩა და ლაშქარი კელთ დაგვრჩა ... ქვ'სა ტიბ"^[33].

ლევან დადიანი ილორის წ'ა გიორგის ხატის 1651 წლის წარწერაში ამბობს: "შევიბენით იმერელ მეფესა გიორგის ახალსოფელს მისულა-ზედ ოლასკურას გაღმა, ვსძლიეთ... გამარჯვებული მოვედით და შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა-ჯვარი ხალასითა შეკერული აღმითა"-ო^[34].

ეს ბრძოლა მოხსენებულია ლევან დადიანის 1651 წ. ხატის წარწერაშიც, სადაც ნათქვამია: "ჩვენ კელმწიფემან დადიანმამ პატრონმან ლევან და თანამეცხედრემან ჩვენმან ჭილაძისა ასულმან დედოფალმან პატრონმან ნესტან-დარეჯან... შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი... ამასთანავე შეგწირავს სასახლე... და გავაჩინეთ იქიცა ალაპი ქრისტეშობის თუესა იანაშობასა დღესა. ამისთვის ვქენით, რომე იანაშობასა დღესა ახალს-სოფელს მეფეზედ გაგვემარჯვა"-ო^[35].

"მიუხედით შარვაშიძესა ზუფუს მუწუს წყალსა აქათ, მოვაოხრეთ. კიდევ მეორეთ მიუხედით ზუფუს კაპოეტის წყალს აქათ, სრულობით დავსწვით და ავაოხრეთ დასადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ. კაპოეტის წყალზე შემოგვებნენ ზუფუარი და ხისუარი არშანიები და გაგვემარჯვა. დავხოცეთ, ზოგი ხელთ დაგვრჩა და გამარჯვებულნი მოვედით"^[36].

«Сказал Осип: Гурьелская царьства под Диянским ц-ем, а преже сего владел Гурьелской князь Симон, а за ним де была ц-я Левонтия сестра. Во 148 году таво князя Симона поланил ц. Левонтей и царьства под себя взял и глаза ему выжох и он де у него был в зоточенье 3 год, потому де у него он у ушел и по си места безвесно»^[37].

1637 წ. "ტკე. აქა მიიცივალა მეფე გიორგი იმერეთისა, მე მისი დიდი ალექსანდრე მეფედ დაჯდა"^[38].

"მიუხედით მეფესა ალექსანდრეს ქუთათის, ქალაქი დავსწვით და ავაოხრეთ და გამარჯვებულნი მოვიდოდით, მეფის ძმა მამუკა წინ დავგვხვდა და შევიბენით, თვითან მე დავირჩინე და შენსა კარ-ზედა მოვიყვანე მამუკა"^[39].

1647 წ. "წმიდაო გიორგი ილორისაო, გვედრები მე მოსავი შენი კელმწიფე დადიანი პატრონი ლევან, რომელსა შენ მიერ მომენიჭა ძლევა მტერთა და გამარჯვება, ოდეს მიუხედით ქუთათის ალექსანდრე მეფესა, ქუთათისისა ქალაქი დავწვთ და დავტეხეთ. მერმე ბატონიშვილი მამუკა შემოგვება და თვითან მე დავარჩინე ხელთა. იქიდან გამარჯვებულნი შენს კარზე მოვედით, ბატონიშვილიცა თან მოვიტანეთ... ქორონიკონსა სამას ოცდათუთხმეტსა"^[40].

«იმერეთის მეფეს ალექსანდრეს თავისის ძმის მამუკა ბატონისშვილის ნიშანი მეფეს როსტომთან გამოეგზავნა, გასამყდვენებელი და სატირალი წიგნი მოეწერა: უწინ ლევან დადიანისაგან ომშიგ დარჩენა, ტყვეობაში ტანჯვით შენახვა და თვალის დაწვა, მრავალით საცადურით წამება და უპატიოთ... სიკვდილამდისინ გაუკითხავად, შეუსვენებლად, ათასრიგად უღირსად, უკადრისის საქმით მოკვდინება წიგნით მოეწერა"^[41].

მამუკა ბატონიშვილის წამებით სიკვდილის ამბავმა მთელი აღმოს. საქართველო აღაშფოთა და შეაძრწუნა. თვით ლევან დადიანის დამ მარიამ დედოფალმაცა კი "ვითაც თავის შვილს ოტიაზედ" იტირა და "შავის ჩაცმით იგლოვა". ხალხში ხომ თავის ზიზღს მკვლელისადმი არც მალავდნენ: "სულ ქართველნი, თავადნი და დედანი და მანდილოსანნი ვითაც საყვარელს შვილებზედ ისრე გულმწუხარედ" სწუხდნენ, "ნამეტნავად მრავალის სატანჯავის წამებისათვის ამას სტიროდეს და ლევანს დადიანს სწყევლიდეს". თვით ამ უკანასკნელის სიძეც "მეფე როსტომ ქართველთა და კახთ ჯარით მამუკას იგლოვდნენ და "დადიანს ძრახვიდნენ"^[42].

1651 წ. "კიდევ ... მიუხედიტ მეფესა ალექსანდრესა რიონს გაღმა, ქუთათის ქალაქი დავსწვით და ავაობრეთ და შემოვადეგით გვინაყალს და ავიღეთ სწორ-ზედა ორმოცის თავადითა და აზნაურ-შკლებითა, სხვისა მრავლისა მეთოფითა, მისის საქონლითა დ ალაფითა ავსებულნი, მშჯდობით გამარჯვებულნი შინ მოვედით და ვიწყეთ ხატისა ამის შემკობა... სრულ იქმნა... ქვ 'სა სამასოცდაათცხრამეტსა"^[43].

"Епискуп Ондрей говорил да крестовой поп Гаврила сказал: есть де у нас река Рьян. Приехали де [с Чорново моря] к нам казаки и стали на устье и нашава де царства люди выхадили и всякою торговлею с ними торговали; и услышал Турской да прислал 16 катарг и казаков побили. И потому де Турской ц. стал на Левонтья ц-ря рен держат (сердитовать), потому что де у вас одна вера христьянская с русскими людми, а разаряете де вы заодно с казаками мое государства; и будет не захочешь с русскими людми за один и я де тебе дам дюдей и ты забей по рекам устья, чтобы им не было пристанища. И наш де ц. Леонтей таво не похотел и он де Турской ц. на то розгневас да прислал каторги во 145 году мая во 18 день и велел монастырь розломать и розметать... во имя пречистые богородицы Одегитрея»^[44].

«Говорил ... ключник дворцовой Дементей ц. Левонтья... поиск де был царские милости... ц-я... Михаила Ф... по ее царьичину умышленью, говарила она ц-ю Левонтью, што послать посла к царской милости и проведать Московское государство... а для де таво, што от Донских казаков многа им налогу и разаряют их государство, а хатят они таво Государския милости, штобы к ним казаки не ходили и шкоты бы им не чинили»^[45].

«Да у нашава де ц. Леонтья надежа на Бога да на... ц-я... Михаила Ф. ...на заступу; толко будет к нашему ц. Левонтью и он хочет и сам проивитца против Турского ц. Да как де бы Государь поволит казаком инъде бы добре была нашему ц. Левонтью помочь от казаков: как де бы оне ходили на Турские украинные города и назат, идучи на море, изнимет фуртыны или катаржная высылка и оне б приставали к нашему царству, которые реки из нашава царства пали в моря, и наш де ц. Леонтей их оберегал; а на босурманские языки ходили заодно»^[46].

რუს დესპანის სიტყვის დროს «царь (დადიანი ლევან) и те поры сидел и шапки не снимал, а потому Леонтей ц. спросил про здравье великого Государя царя и великого князя Михаила Феодоровича всеа Руси самодержца сидяш»^[47].

«ц. де Левонтей... велел де вам говорить: посылал де я ко Государю царью... Мих. Ф... посла своею попа Гаврила и ево де держали 3 годы в есырстве»^[48].

[ლევან დადიანის სიკვდილი]

”ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამამ შვილის ტირილში ლახტი თავს დაიკრა და შვილზედ დააკვდა დაუმარხავს”^[49].

ლევან დადიანის სიკვდილისთანავე ”მეფე ალექსანდრე ლაშქრით მიუხტა და მისი სალარო და საბატონო ყველა დაიჭირა და დადიანი კარგის წესით დამარხა”, მაგრამ თვით სადადიანო თავისთვის კი არ დაინარჩუნა, არამედ სამეგრელოს მთავრად ”ლიპარიტიანი ვამიყ დადიანად დასვა”. მთელ სალაროსთან ერთად ალექსანდრე მეფეს ხელთ იყო მისი მოსისხლე მოწინააღმდეგისაგან ”ნაძალადევად შეგროვებული მრავალი ოქრო, ვერცხლი და მურასა და ძვირფასი თვალმარგალიტი”. როგორც პირადად ლევან დადიანისადმი მას შურისძიების გრძნობითა და გულისთქმით თავდაჭერით უხელმძღვან[ელ]ია და თავისი მტერი პატიოსნად დაუმარხავს, ისევე სალაროსა და განძეულობის დასაკუთრების დროს მაინც ზომიერება გამოიჩინა და ”სალაროს ნახევარი” ვამიყ დადიანს ”მისცა და რაც კარგი და უკეთესი იყო, მეფემ წამოიღო”. თანამედროვეებს, თვით განსვენებული დადიანის მახლობელ წრეებსაც კი იმერეთის მეფის ეს საქციელი სამართლიანად მიაჩნდათ. მისი სიძის როსტომ მეფის კარის ისტორიკოსი **ფ. გორგიჯანიძე**, მაგალითად, ამბობდა: ”რაც ლევან დადიანს მეფის გიორგის სახსარში უსამართლოდ წაეღო, მეფეს გიორგის შვილმან მეფემ ალექსანდრემ სამართლით წამოიღო”-ო^[50].

ლევან დადიანის სიკვდილის ამბავი და სამეგრელოს დაჭერა თავის მიერ ალექსანდრე იმერთა მეფემ საჩქაროდ რაჭაში მდგომსა და რუსეთში წასასვლელად გამზადებულს თეიმურაზს მეფეს აცნობა. თანაც სთხოვა რუსეთში ნულა წახვალ და სადც გენებოს, სადადიანოს, თუ ქართლ-კახეთს, ”მეფედ დაგსვამო”. მაგრამ თეიმურაზმა უარი შეუთვალა ალექსანდრე მეფეს^[51].

«Грамоту прислал ко Государю... Михаилу Феодоровичу... Дидиянской Леонтей ц... декабря въ12 де (147 г.)... бьет челом со всеми пребывающими зде в Ыверской стороне... было де в Ыверской земле 5 государей а из них де Перской шах побил 2 государей, а досталных де 3-х Государей государствы... владееть он Леонтей царь»^[52].

1659 წ. ”ტმზ. აქა მოათხოვა დადიანმა ვამიყ ასული თვის მეფესა შაჰნავაზს (I – ვახტანგს) მისა თვისსათვს. ტმზ და მეორესა წელსა სხვათა მიათხოვა იგი”^[53].

1662 წ. ”ტნ. აქა მეფე შაჰ-ნავაზ მიუკვდა დადიანსა ვამიყს, რ’ლსა ეპყრა იმერეთი და ოდიში. დადიანი მოკლეს, მისი ცოლი და შვილი წამოასხაჲ, იმერეთი და ოდიში დაიჭირა. გურიელი და აფხაზი ეყმოდ. იმერეთს გააბატონა ძე თვისი არჩილ და ოდიშს დადიანი შამადავლე და მოვიდა მშვიდობით სამეფოსსავე თვისსა ზედა მრავლითა ურიცხვთა ლარითა აღსავსე”^[54].

-
- 1 სქლ-ს სძვლ-ნი 1, 372 - 3.
 2. იქვე 1, 372.
 3. სქლ-ს სძვლ-ნი 1, 333 - 334.
 4. სქლ-ს სძვლ-ნი II, 25.
 5. სქლ-ს სძვლ-ნი III, 534.
 6. ნინოწმ. სიგ. N 7: ისტ. საბ. IV. 3.
 7. 1603 წ. შუამთის N 10 სიგ.: ისტ. საბუთები IV, 3 - 4.
 8. ყანჩაეთის ჟამნგულანი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 13 - 14.
 9. ერისთვიანთ დაუჯდ. 20.
 10. წა გიორგის გულანი: ქვ-ბი II, 435.
 11. ქვათახევის: გულანი: ქვ-ბი II, 435.
 12. ალავერდის N 6 სიგ.: ქვ-ბი II, 440.
 13. ჟამნი N 3, ქვ-ბი II, 437.
 14. პარიზ. ქვა 26.
 15. ქც-ის შევს.-გად. მეორე გაგრძ., პარიზ. ქვა 26 - 27.
 16. ქც-ის შევს.-გადაკ. მეორე გაგრძელება, პარიზ. ქვა 27.
 17. ალავერდი N 6 სიგელი: ქვ-ბი II, 439 - 40.
 18. 1637 წ. შუამთის N 3 სიგ.: ისტ. საბ. IV, 24.
 19. ყანჩაეთის ჟამნგულ.: ე. თაყ. 14.
 20. იქვე
 21. ქვეთახევის გულანი: ქვ-ბი II, 440.
 22. ცაიშის ჟამნგ., ჟამნი N 3 და წიგნი ქრონიკ.: ქვ-ბი II, 442.
 23. სქლ-ს სძვლ-ნი II, 228.
 24. სვეტი ცხოველის საქადაგო ხატის 1615 წ. ახ. დროის წარწერა: ქვ-ბი II, 441.
 25. 1629 წ. მცხეთის N 66 სიგ.: ისტ. საბ. IV, 14.
 26. 1618 წ. მცხეთის N 30 სიგ.: ისტ. საბ. IV, 10, 11.
 27. სქლ-ს სძვლ-ნი III, 188 - 189.
 28. იქვე, III, 189.
 29. ყანჩაეთის ჟამნგულ. ე. თაყ. 14.
 30. სქლ-ს სძვლ-ნი II, 406 - 407.
 31. სქლ-ს სძვლ-ნი II, 51.
 32. იკორთის N 6 ჟამნგულანი: ს. კაკაბაძე 6.
 33. ყანჩაეთის ჟამნგულანი. ე. თაყ. 14.
 34. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 85 - 86.
 35. იქვე, გვ. 92.

36. იქვე, გვ. 92 - 93.
37. იქვე, გვ. 94 - 95.
38. იქვე, გვ. 96 - 97.
39. იქვე, გვ. 97.
40. იქვე, გვ. 125.
41. N 15 სიგ.: ისტ. საბ. 16.
42. 1637 წ. თბილისის N 26 სიგ.: ისტ. საბ IV, 27.
43. ყანჩაეთის ჟამგ ე. თაყ. 14.
44. ქვ~ბი II. 349.
45. სქ~ლს სძვ~ლნი II, 56
46. პ. იოს. 56, § 351.
47. პ. იოს. 55, § 344.
48. სქ~ლს სძვ~ლნი II, 50.
49. ისტ. საბ. IV, 18.
50. 1631 წ. ბოდბის N1 სიგ.: ისტ. საბ. IV, 18.
51. 1637 წ. თბილისის სიონის N 26 სიგ.: ისტ. საბ. IV, 28.
52. 1631 წ. მცხ. N 15 სიგ.: ისტ. საბ. IV, 16 - 17.
53. ყანჩ. ჟამნგ., ე. თაყ. 15.
54. ყანჩ. ჟამნგ., ე. თაყ. 15.
55. ყანჩ. ჟამნგ., ე. თაყ. 16.
56. ყანჩ. ჟამნგ., ე. თაყ. 17.
57. იქვე.
58. იქვე.
59. იქვე.

¹ 1648 წ. გუჯარი: ქვ~ბი II, 462 - 463.

² ხელნაწერში: დაღვაჯამდი.

³ ფ. გორგიჯანიძე: Manuscr. Georg., გვ. 316 - 317.

4. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 318.

5. იქვე.

6. იქვე, გვ. 320 - 321.

7. პ. იოსელიანის გამ. 195, § 469 [1937 წ. გამოცემით ტაეპი 676].

8. ქვ~ბი II, 462 - 463.

9. იხ. **Dorn**, Geschichte... 425.

10. **დორნი**, იქვე 425.

11. არჩილიანი, პ. იოს. 121 - 125 [1937 წ. გამოცემით ტ. 685 - 689].

12. არჩილიანი, პ. იოს. 126 - 127 [1937 წ. გამოცემით ტ. 703 - 704].

13. იქვე, გვ. 126, § 495 [ტაეპი 702].

14. იქვე, გვ. 128 - 129 [ტაეპი 709 - 710].

15. იქვე, გვ. 131, § 514.

16. იქვე, გვ. 132, § 517.

17. იქვე.

¹⁸ იქვე, გვ. 131, § 515, 132, § 516 [ტაეპი 722 - 723].

19. **ვახუშტი**, ისტორია, ჭიჭ. 63 - 64.

20. იქვე, გვ. 69.
21. იქვე.
22. იქვე.
23. ფ. გორგიჯანიძე, ხელნ. 322 - 323 და დორნი, Geschichte... 425 - 426.
24. ვახუშტი, ისტორია, ჭიჭ. 69.
25. ფ. გორგიჯანიძე, ჭიჭ. 316, ჩუბ. 528.
26. 1618 წ. გუჯ.: ქვ~ბი II, 315.
27. გ. გორგიჯანიძე, ჭიჭ. 315, ჩუბ. 528.
28. 1649 წ. თბილ. სიონის N 16 სიგ.: ისტ. საბ. IV, 29.

-
1. როსტომის გუჯ. 1648 წ.: ქვ5ბი II, 463.
 2. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 321.
 3. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 321.
 4. იქვე.
 5. არჩილიანი, გვ. 135, § 522 [1937 წ. გამოცემით ტ. 729].
 6. ბოდბის N 1 სიგ. და მცხეთის N 15 სიგ.: ისტ. საბ. IV, 18 და 16 - 17.
 7. არჩილიანი, გვ. 135, § 522 [ტაეპი 729].
 8. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 321.
 9. იქვე.
 10. არჩილიანი, 135, § 522.
 11. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
 12. არჩილიანი, გვ. 135, § 523 [1937 წ. გამოცემით ტ. 730].
 13. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
 14. დორნი 426 და არჩილიანი 134.
 15. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
 16. დორნი 426
 17. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
 18. იქვე.
 19. არჩილიანი, გვ. 135, § 523.
 20. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
 21. არჩილიანი, გვ. 135, § 523.
 22. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
 23. იქვე.
 24. დორნი, გვ. 426.
 25. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
 26. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323 - 324.
 27. იქვე, გვ. 324.
 28. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 324.
 29. იქვე.
 30. იქვე.

31. იქვე, გვ. 324 - 325.
32. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 325.
33. არჩილიანი, გვ. 135, § 524. [1937 წ. გამოცემით, ტ. 731].
34. იქვე.
35. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 325.
36. დორნი, გვ. 426
37. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 325.
38. სპარსელი ისტორიკოსი: დორნი, გვ. 426 და 425; ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 325 და 322; არჩილიანი, გვ. 136; ვახუშტი, ჭიჭ. 70.
39. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 321. სეფიანთ სპარსელი ისტორიკოსი: დორნი, გვ. 425.
40. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 321. სპარს. ისტორიკოსი: დორნი, გვ. 425.
41. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
42. იქვე.
43. ქვ5ბი. II, გვ. 463.
44. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 323.
45. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 326.
46. იქვე.
47. როსტომ მეფის 1648 წ. გუჯარი: ქვ5ბი II, გვ. 463.
48. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 324 - 326.
49. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 326.
50. ვახუშტი, ჭიჭ. 70.
51. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 326.
52. ვახუშტი, გეოგრაფია, ბროსე 214 და რუკა N 3.
53. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 326.
54. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 326.
55. ვახუშტი, ჭიჭ. 70.
56. ვახუშტი, ისტორია, ჭიჭ. 70 და არჩილიანი, გვ. 136, § 526.
57. ვახუშტი, ჭიჭ. 70.
58. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 326.
59. დორნი, გვ. 426.
60. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 326.
61. იქვე, გვ. 327.
62. იქვე.
63. იქვე.
64. დორნი, გვ. 426.
65. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 327.
66. 1648 წ. გუჯარი: ქვ5ბი II, გვ. 463.
67. სპარსელი ისტორიკოსი: დორნი, გვ. 426.
68. ფ. გორგიჯანიძე: ხელნაწერი, გვ. 327.

-
1. ჩხეიძის ქრ.: ქ~კბი II, გვ. 449.
 2. წიგნი ქრონიკონნი: ქ~კბი II, გვ. 450.
 3. წა ნიკოლოზის ქრ.: ქ~კბი II, გვ. 450.
 4. ცაიშის ჟამნგ.: ქ~კბი II, გვ. 450.
 5. ვახუშტი, ისტორია, ჭიჭ. გვ. 70.
 6. ქ~კბი II, გვ. 464.
 7. დორნი, გვ. 426.
 8. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 327.
 9. დორნი, გვ. 427.
 10. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 327.
 11. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 327.
 12. იქვე.
 13. იქვე, გვ. 328.
 14. იქვე.
 15. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 328.
 16. იქვე.
 17. იქვე.
 18. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 328.
 19. იქვე.
 20. იქვე.
 21. იქვე.
 22. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 329.
 23. 1648 წ. გუჯარი: ქ~კბი II, გვ. 463.
 24. იქვე.
 25. იქვე.
 26. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 329.
 27. იხ. ბროსე, Voyage... Huit. rapp. 100.
 28. როსტომ მეფის 1648 წ. გუჯარი: ქ~კბი II, გვ. 463.
 29. იქვე.
 30. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 329.
 31. იქვე, გვ. 329 - 330.
 32. დორნი, გვ. 427.
 33. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 330.
 34. სპარს. ისტორიკოსი: დორნი, გვ. 427.
 35. ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი, გვ. 329.
 36. იქვე.
 37. ბროსე, Voyage... Huit. rapp. გვ. 100 - 101.
 38. ფ. გორგიჯანიძე; ჭიჭ. 300, ჩუბ. 517.
 39. იქვე: ჭიჭ. 304 - 305, ჩუბ. 520.
 40. იქვე: ჭიჭ. 323.
 41. იქვე: ჭიჭ. 327, ჩუბ. 536.
 42. იქვე: ჩუბ. 533 - 323.
 43. იქვე: ჭიჭ. 323 - 324., ჩუბ. 533.

-
- [1] Показ. груз. посла Никифора. Посольство Ф. Елчина и П. Захарьева в Дадианскую землю 1639 – 1640 წ.: Чтения в Обществе истории и древностей российских при Московском Ун-те. Киига вторая. Москва 1887, стр. 267.
- [2] იქვე.
- [3] იქვე, გვ. 318.
- [4] იქვე, გვ. 327.
- [5] იქვე, გვ. 267.
- [6] იქვე, გვ. 247.
- [7] იქვე, გვ. 267.
- [8] იქვე, გვ. 270.
- [9] იქვე, გვ. 271.
- [10] იქვე.
- [11] იქვე.
- [12] Посольство Елчина, გვ. 271.
- [13] იქვე, გვ. 267.
- [14] იქვე.
- [15] იქვე, გვ. 270 - 271.
- [16] იქვე, გვ. 323.
- [17] იქვე, გვ. 328.
- [18] იქვე, გვ. 268.
- [19] Посольство Елчина, ... გვ. 271.
- [20] იქვე, გვ. 267.
- [21] იქვე, გვ. 268.
- [22] იქვე, გვ. 271.
- [23] იქვე, გვ. 324 – 325.
- [24] იქვე, გვ. 327.
- [25] წ. კ. გ. ს. ხელნ, N 1204: ქვ'ბი II, 439.
- [26] ილორის წ'ა გიორგის 1651 წლის წარწერა: ბროსე, Voyage archéologique VIII rapp. 100.
- [27] Посольство Елчина ... გვ. 327.
- [28] იქვე.
- [29] იქვე, გვ. 332.
- [30] იქვე, გვ. 335.
- [31] ილორის წ'ა გიორგის ხატის 1651 წ. წარწერა: ბროსე Voyage, Huit. rapp. 100.
- [32] Посольство Елчина ... გვ. 324.
- [33] ილორის ხატის წარწერა ლევან დადიანისა, ბროსე Voyage, Huit. rapp. 104.
- [34] ბროსე, Voyage, Huit. rapp. 100.
- [35] იქვე, გვ. 136 – 137.
- [36] იქვე, გვ. 100.
- [37] Посольство Елчина ... გვ. 322.

- [38] წ. კ. გ. ს. ბ. N 252, ე. თაყ. Материалы.. გვ. 10 – 11.
- [39] ბროსე, Voyage, Huit. rapp. 101.
- [40] იქვე, გვ. 105.
- [41] ფ. გორგიჯანიძე, ჭიჭ. 322.
- [42] იქვე.
- [43] ილორის წ' ა გ' ის ხატის ლევან დადიანის წარწერა: ბროსე Voyage, Huit. rapp. 101.
- [44] Посольство Елчина ..., გვ. 323 – 324.
- [45] Посольство Елчина ..., გვ. 326.
- [46] იქვე, გვ. 324.
- [47] იქვე, გვ. 332.
- [48] იქვე, გვ. 334.
- [49] ფ. გორგიჯანიძე, ჭიჭ. 322.
- [50] ფ. გორგიჯანიძე, ჭიჭ. 322 – 323.
- [51] იქვე, გვ. 323.
- [52] Посольство Елчина ... 272.
- [53] ყანწ. ჟამნგ. ე. თაყ. 15 – 16.
- [54] იქვე, 16.

[თავი მეორე]

ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVII საუკუნეში

[თეიმურაზ პირველის ხანა]

რუსეთის მეფის სამხედრო და ფინანსური დახმარების მოიმედე თეიმურაზ მეფეს 1635 წ. ეცნობა, რომ რუსთა მეფეს იმ დროს არც ჯარით მოშველება შეეძლო და არც ფულით, რადგან პოლონელთა და ლიტველთა წყალობით თვით რუსეთი აოხრებული იყო და გაჭირვებული ქონებრივად. მაგრამ ამავე დროს რუსთა მეფის დესპანმა განაცხადა, რომ სპარსეთი და რუსეთი შეთანხმებული არიან. ამ ცნობას თეიმურაზისათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ რუსთა მეფის დიპლომატიური დახმარებისა და სპარსეთის შახთან მტრული დამოკიდებულების მშვიდობიანი გზით მოგვარების ერთგვარ იმედს აძლევდა. ამიტომ თეიმურაზ მეფემ 1635 წ. რუსთა მეფეს თავისი დესპანი გაუგზავნა წერილობითი თხოვნითურთ. 23 ოქტომბერს თეიმურაზის დესპანი არქიმანდრიტი ნიკიფორე ბერძენი ქ. თერგში მისულა, 1636 წელს კი უკვე მოსკოვში ყოფილა.

1639 წლის 25 აპრილის თარიღით რუსთა ხელმწიფის მიხეილ თევდორეს მისადმი მიმართულს ბერძნულად დაწერილს წერილში თეიმურაზ მეფეს აღნიშნული აქვს, რომ საქართველო სამივე მხრით მომდგარი მტრისაგან (ლეკებისა, სპარსელებისა და ოსმალთაგან) განსაცდელში იყო ჩავარდნილი და ილუპებოდა ქრისტიანობა და სამეფო. მაგრამ ღმერთმა ეხლა ივერისასაცა და მეც, თეიმურაზ მეფეს, მფარველი გაგვიჩინა, რომელმაც მტრებისაგან უნდა დაგვიცვას და დაგვეხმაროსო^{III}.

*
* *

ზრდილობითა და მოკრძალებით დაწერილს ამ თავის სიგელში თეიმურაზ მეფეს უკვე ცხადი უკმაყოფილება ეტყობა. მას გულს უმღვრევდა რუსთა მთავრობის ქცევა, რომ ის, რასაც თეიმურაზი სთხოვდა, უპასუხოდ რჩებოდა. სპარსეთთან ბრძოლას საქართველოს ზურგიდან ლეკების თავდასხმა აძნელებდა. საქართველოს მტერთაგან ამ ორივე მხრივ წარმოებული ომის გასაადვილებლად თეიმურაზ მეფე რუსთა მეფეს სთხოვდა, რომ ჩრდილოეთიდან ლეკები ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რომ საქართველოზე დაცემაზე ხელი აეღოთ და სპარსეთს არ მიშველებოდნენ. ამიტომ თეიმურაზ მეფე ამ თავის სიგელში ამბობდა: რასაც ლეკების წინააღმდეგ გთხოვდით, იმაზე არც დახმარება მიმიღია და არც პასუხიო^[2].

საქართველოს სწრაფი დახმარება ან უარყოფითი პასუხი სჭირდებოდა, რომ თეიმურაზ მეფეს თავისი პოლიტიკის გეზისთვის გარემოებისდა მიხედვით სათანადო მიმართულება მიეცა. მაგრამ ეს შეუძლებელი ხდებოდა, რადგან რუსეთის მთავრობა დიდ ხანს აჭიანურებდა მოლაპარაკებასა და თეიმურაზის დესპანს ტყუილად აყოვნებდა. ამის გამო თეიმურაზი სთხოვდა მიხეილ თევდორეს-ძეს: მომეცით პასუხი და ჩემი დესპანი საჩქაროდ გამოუშვით, რადგან ჩემი ელჩის დიდხანს მანდ ყოფნა თქვენ არას გარგებთ, მე კი დღე და ღამ თქვენი პასუხის მოლოდინში ვარო^[3].

სამხედრო და ფინანსური დახმარების მაგიერ რუსთა მეფე თეიმურაზ მეფესაც თავისი დესპანებისა და სამღვდელო პირების გზავნით ართობდა. მათ ქრისტიანობის და სარწმუნოების მდგომარეობის გამორკვევა და განმართვა ჰქონდათ დავალებული. მოკავშირე მეშველი ჯარისა, მეომრებისა, საომარი იარაღისა და ფულის მაგიერ ამ შემთხვევაშიაც მთელი თავიანთი წვრილმანობითა და მძულვარებით აღჭურვილი მართლმადიდებლობის რუსი მქადაგებლები მოევლინენ. მტრისაგან განადგურებულ და ამოწყვეტილ ქვეყანაში, მაჰმადიანთა გააფთრებული ბრძოლის დროს რუსთა მეფის მიერ წარმოვლენილნი ქართველებს საღვდელმსახურო საკითხებზე ედავებოდნენ, რატომ თქვენც ყველაფერი ჩვენსავით მოწყობილი არა გაქვთ და განსხვავებული წესები მოგეპოვებათ.

თეიმურაზ მეფესა და ქართველობას თავი მობეზრებული ჰქონდათ რუს დესპან-სამღვდელო პირთა მედიდურობით, მაგრამ პოლიტიკური გაჭირვება და ზრდილობა მათ მოთმინებას უკარნახებდა. თეიმურაზი ცდილობდა რუსთა მეფისათვის გაეგებინებინა, რომ ამ საკითხებისათვის მაშინ საქართველოს არ სცალოდა და ამავე საუბარ-კამათისათვის მშვიდობიანი დრო და პოლიტიკური მყუდროება იყო საჭირო. ჩვენც კარგად ვიცით, რომ ზოგი რამე უწესო შემოერია ჩვენ მღვდელმსახურებას, მაგრამ რა ვუყოთ, ამისათვის ჩვენ ეხლა არ გვცალთ: ოცდაათი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენს სამეფოში საქმეები აიწეწა: ომი, შუღლი და უწესრიგობა სუფევს დღე და ღამ. იმისიც მაღლობელი ვართ, რომ აქამდის გავუძლიეთ^[4]. ყოველგვარი უწესრიგობის წინააღმდეგ ვიბრძვი და მხოლოდ იმასა ვცდილობ, რომ ქრისტიანობას ზიანი არ მოუვიდეს და მართლმადიდებლობა არ შემცირდეს. თუ მაინც ცოტა რამე უწესოება შეგვეპარა, რა ვუყოთ. უწმინდურ აგარიანთა აოხრებისა, დიდი ომებისა და შუღლისაგან მოხდა: ქვეყანაც დაზარალდა და ხალხიც შემცირდა. ამ დროს, მართალია, საეკლესიო წესებს ბევრი ნაკლი შემოეპარა, მაგრამ ჩვენს სარწმუნოებას არავითარი ცთომილება და მწვალებლობა არ

შემორევია და წინანდებურად მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართო. აქ უკვე თეიმურაზ მეფეს ეტყობა, რომ მისი ქართველური თავმოყვარეობა შელახული იყო, და ის რუსთა მეფეს აგონებს, რომ ქართველებმა ქრისტიანობა თავიდანვე ბიზანტიის კეისართაგან მიიღეს და ეხლაც არა ერთი მღვდელმთავარი სწვევია საქართველოს დახმარებისათვის, როგორც მაგ., კონსტანტინეპოლის პატრიარქი თეოლიპტოსი, ანტიოქიის პატრიარქი ნეოფიტე და იერუსალემის პატრიარქი თეოფანე, რამდენი მიტროპოლიტი, მონასტრების მამასახლისები და პატრიარქთა არქიმანდრიტები, და არც ერთს მათგანს ჩვენ მართლმადიდებლობაში არავითარი ცთომილება არ აღმოუჩენიათ^[5]. აზრი ზრდილობიანობისა და მორიდებულების გამო ბოლომდე არ არის გამოთქმული, მაგრამ მისი დასასრული ადვილი მისახვედრია: რაღა თქვენი გამოგზავნილი სამღვდლო პირნი აღმოჩნდნენ ნასწავლი და უქრისტიანესი მართლმადიდებელნი, რომ მათ არაფერი ჩვენებური არ აკმაყოფილებთ და სარწმუნოებაშიც ცთომილება დაგვწამესო. ხოლო ბევრია თუ ცოტაა უწესობა ჩვენ საეკლესიო წესრიგში შემოპარული, ამასაც ყველაფერს კარგად გამოვარკვევთ და, როცა ჩვენი ქვეყანა მოღონიერდება და მშვიდობიანობა და სიყვარული გამეფდება, მაშინ ქრისტეს სარწმუნოებაცა, საეკლესიო წესებიც და სხვაც ყველაფერი მოგვარდებაო^[6].

1639 წ. 25 აპრილს თეიმურაზ მეფის სახელით რუსთა მეფის მიხეილ თევდორეს-ძისათვის გაგზავნილი და ბერძნულად დაწერილი სიგელი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს: შინაარსითაც და კილოთიც ყველა სხვა დანარჩენი ამგვარი საბუთებისაგან განირჩევა იმ მხრივ, რომ იქ საბუთის დამწერზე და დესპანზე ბევრი ლაპარაკია. ამ სიგელში მიტროპოლიტ ნიკიფორეს ისეთი გაზვიადებული ქება-დიდებაა და ამავე დროს თეიმურაზ მეფის დანარჩენ ხელისუფლებისათვის დამამცირებელი და შეურაცხყოფელი ცნობებია მოყვანილი, ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველა ეს თეიმურაზის ნათქვამი იყოს.

შემდეგ თეიმურაზ მეფეს ნათქვამი აქვს, რომ ნიკიფორე მას კირილე პატრიარქისაგან გამოუთხოვია და ის ქართულ ეკლესიაში შემოპარულ უწესრიგობას ასწორებს და გვარიგებსო. ოთხი წელიწადია, რაც მიტროპოლიტად დავნიშნეთ და ჩვენი საიდუმლო სამსახურისათვის დესპანადაც გამოვიყენეთო^[7].

ამ სიგელში თეიმურაზ მეფე რუსთა მეფეს ეუბნება: ყველაფერი, რაც ნიკიფორე მიტროპოლიტს თქვენთვის უთქვამს, მართალია და ჩემგან დავალებული ჰქონდაო. განა მე სხვა მღვდელმთავრები და ბერები, ან დიდებული თავადნი არა მყვანან, რომ თქვენთან დესპანად წარმომეგზავნა? ოღონდაც რომ ბევრნი მყვანან და მეხვეწებიან კიდევ, რომ ისინი გამოგზავნო, მაგრამ იმათ მე არ ვგზავნი იმიტომ, რომ არც საუბარი იციან, არც სიტყვის მიტანა შეუძლიათ და არც პასუხის მოტანა. სწორედ ამიტომაცა, რომ მათ მაგიერ ნიკიფორე მიტროპოლიტს ვგზავნიო^[8].

თავისი თავის ასეთი უცნაური გაწბილებითაც არ კმაყოფილდება ვითომ თეიმურაზი და თავის სიგელში ქვევით ამ საკითხს კვლავ უბრუნდება და აქ ნიკიფორეს პიროვნული ღირსება ზემონათქვამზე უფრო მეტი ძლიერებით არის შექებული და იმავე დროს დანარჩენნი წინანდელზე მეტადვე დამცირებული არიან. ნიკიფორეზე ნიჭიერი და რჩეული მოხელე არა მყავს: ის ჩემი ერთგული და ერთსულია, ღვთის წინაშე წრფელის გულით მემსახურებაო. დიდო მეფეო, გონიერი თანამშრომლების შერჩევა მიძნელდება და მირჩიე, როგორ მოვიქცეო. ჩემ მღვდელმთავართა და თავადთაგან ისეთი გონიერი და ღირსეული არავინ იყო, რომ შენი მეფური დიდებულებისათვის პასუხი მოეხსენებინაო. სადაც კი ისინი არ გამიგზავნია, არაფერი გაუკეთებიათ და მარტო თავიანთ თავზე ზრუნავენ; რომელ

სახელმწიფოშიც კი არ წარმოვლენია, არსაიდან არავითარი პასუხი არ მოუტანიათ. 15 თუ 16 წელიწადია, რაც ნიკიფორე ჩვენ სადესპანო საქმეებზე დადისო^[9].

დაუჯერებელია, რომ ყველა ზემომოყვანილი თვით თეიმურაზ მეფეს დაეწერინებოდა. არც ერთ გონიერ პოლიტიკოსს და მეფეს თავისა და ხელისუფლების ასე დამცირება არ შეეძლო, რადგან ეს მისი მიზნების მიღწევას შეაფერხებდა და სახელსაც გაუტეხდა. ყველა ეს სინამდვილესაც არ შეეფერებოდა, რადგან ალექსანდრე მეფის [1574 - 1605] დროს ნიკიფორე არ ყოფილა, მაგრამ მოსკოვსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა იყო, ქართველი დესპანებიც არსებობდნენ, სიტყვა-პასუხიც მოჰქონდათ. ნიკიფორე მიტროპოლიტის გადაჭარბებული ქება-დიდება და ამ ბერძნულად დაწერილი სიგელის ნიკიფორესგანვე დაწერილობა გვაფიქრებინებს, რომ აქ იმდენად თეიმურაზ მეფის სიტყვებთან არ უნდა გვექონდეს საქმე, რამდენადაც თვით ნიკიფორეს შენათხზთან. რაკი ამ დროს საქართველოში მმართველ წრეში ბერძნულის მცოდნე არავინ იქნებოდა, ნიკიფორეს დაწერილი შინაარსი თეიმურაზისა და მისი უახლოესი თანამშრომლებისათვის მხოლოდ იმდენად იქნებოდა გასაგები, რამდენადაც თვით ნიკიფორე მათ აუწყებდა. ამიტომ ნიკიფორეს ამ თავის დანაწერში ყველაფრის შეტანა შეეძლო, რასაც კი მოისურვებდა.

ამ სიგელის შინაარსი ცხად-ყოფს, რომ ნიკიფორეს რუსთა მეფის თვალში თავისი პიროვნების განსაღიღებლად არაფერი დაუზოგავს და სიგელში ისეთი ცნობებიც კი შეუტანია, რომელთა გამომჟღავნება საიდუმლოების გაცემას უდრიდა. ჯერ გულუბრყვილო თავმომწონეობითა და ტრაბახით მოთხრობილია, რომ 15 – 16 წლის განმავლობაში თეიმურაზის დესპანობა ნიკიფორეს მოსწყინდა და როცა მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნებულს ქვეყანა სპარსთაგან აოხრებული და აფორიაქებული დახვდა, ქართლი შაჰის ხელში იყო, ნიკიფორემ საქართველოდან წასვლა განიზრახა^[10]. მართალია, ეს ნიკიფორეს იმ თავგანწირულ ერთგულებას, როგორადაც თეიმურაზ მეფეს ჰყავს დახასიათებული, სრულებით არ უდგება. მაგრამ სამაგიეროდ ამას მოსდევს ცნობა, რომ თვით თეიმურაზიც თავისი ოჯახითურთ და ქართველი დიდებულებიც ერთხმად შეეხვეწნენ საქართველოში დარჩენილიყო და თეიმურაზის დესპანად ისევ რუსეთში გამგზავრებულიყო საქართველოსთვის რუსთა მეფის მფარველობისა და დახმარების მოსაპოვებლად. ამ უცნაურ დესპანს თავის დაწერილ სიგელში თეიმურაზ მეფის მაგიერ შეტანილი აქვს ცნობა, რომ ნიკიფორემ ამაზე გვიპასუხა: 15 თუ 16 წელიწადია შენ ელჩად დავდივარ და ჩემი საკუთარი 1500 თეთრიც კი დამიხარჯავს, მე ეხლა აღარ შემძლია და სამღვდელო თუ საერსიკაცო სადესპანო პირი ბევრი გყავს, სხვა ვინმე გაგზანე, რომ რუსთა მეფემ არ იფიქროს, თეიმურაზს ამის მეტი არვინა ჰყავსო^[11].

ცხადია, ასეთი უცნაური ცნობების შეტანას ვერავინ დაავალებდა, მით უმეტეს თეიმურაზი, რომელიც ამ ცნობებში ნიკიფორეს წყალობით ყოვლად უმწეო და უბადრუკ პიროვნებად მოჩანს. ისე გამოდიოდა, რომ ვიღაც ოსმალოელი ბერძენი ბერი კახთა მეფის დიპლომატიურ მოღვაწეობას არამცთუ სრულებით უანგაროდ, პირიქით, საკუთარი სახსრითაც კი აწარმოებდა.

იგივე ნიკიფორე მიტროპოლიტი თავის დაწერილ სიგელში თეიმურაზ მეფეს ათქმევინებს: ჩვენ ყველამ ნიკიფორეს ვუთხარით, ჩვენ გვინდა, რომ რუსთა მეფესთან სწორედ შენ გაემგზავრო, რომელმაც ეს კარგი და მნიშვნელოვანი, ივერიელთათვის ამდენი ხნის განმავლობაში შეკრული გზა, რომლის აღმოჩენა ვერც ერთმა ივერიელმა ვერ შესძლო, შენ იპოვე, წახვედი და დიდი მეფისაგან საიმედო პასუხი მოგვიტანეო^[12]. ვითომც ასე უნდა ემუდარათ და ელაპარაკათ კახთა დიდებულებსა

და მმართველ წრეებს. მაგრამ აქ ხომ ცხადი ტყუილია და ამ უკანასკნელთ არ შეეძლოთ ეთქვათ, თითქოს ჩრდილოეთის გზა და რუსეთთან დიპლომატიური დამოკიდებულების ბილიკი პირველად საქართველოსთვის სწორედ ნიკიფორეს აღმოეჩინოს. ეს რომ მართალი არ იყო, თვით ამავე სიგელში მოყვანილი ცნობებითაც მტკიცდება, რადგან ჯერ ერთი იქ ხარიტონი და თეოდოსი არქიეპისკოპოზი არიან ნიკიფორეს წინამორბედ დესპანებად რუსეთში დასახელებულნი და, ამას გარდა, ამავე საბუთში კახეთის დიდებულთა სიტყვაც კია მოყვანილი ალექსანდრე კახთა მეფის დროინდელი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულების შესახებ^[13]. მაშ, რა დასაჯერებელია, რომ ამავე კახთა დიდებულებს ნიკიფორე რუსეთის გზის პირველ აღმომჩენად გამოეცხადებინათ.

ცხადია, აქ თვით ნიკიფორესავე საკუთარ შენათხზთანა გვაქვს საქმე. მას ამით უნდოდა რუსეთის მთავრობისათვის თავისი მნიშვნელობა და ღვაწლი გაედიდებინა და ისეთი აზრი ჩაენერგა, თითქოს უმისოდ საქართველოში რუსეთს არაფრის გაკეთება არ შეეძლო. თავიდან ბოლომდის ნიკიფორეს მიერ დაწერილი სიგელი მისი დამწერის განდიდების წადილით არის გამსჭვალული და ამ საბუთსაც მატყუარობის ცხადი ელფერი გადაჰკრავს.

მართალი იყო თუ არა თეიმურაზ მეფის ჩივილი თავის წინანდელ დესპანებზე, არ ვიცით, მაგრამ ნიკიფორე მიტროპოლიტი კი რომ თავის ბატონს ურცხვად ატყუებდა და თავისი საკუთარი გამორჩენისათვის უფრო იბრძოდა, ვიდრე თეიმურაზისა და საქართველოსთვის, ეს სრულებით ნათლადა ჩანს. ამიტომ არის, რომ ის თეიმურაზს და კახთა დიდებულებს თავის დაწერილ სიგელში ყოვლად უმწეო ადამიანებად და თავის თავს საქართველოს ერთადერთ მხსნელად უხატავდა რუსთა მეფეს. ამ საბუთში მას შეუტანია ისეთი საიდუმლო ცნობაც კი, როგორც რუსეთთან კახთა სამეფოსაგან ყმადნაფიცობის საკითხის გამო ბრძოლა იყო, რომ არც თეიმურაზ მეფესა და არც დიდებულებს ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნზე ხელის მოწერა არ სურდათ და მხოლოდ მან, ნიკიფორემ, აიძულა ამაზე დათანხმებულიყვნენ. ამით მას უეჭველია უნდოდა თავისი დამსახურება რუსთა ხელმწიფის წინაშე ცხადეყო, რომ ასეთი ღვაწლისათვის რუსეთის მთავრობისაგან შესაფერისი ჯილდო მიეღო. ასეთი საქმეების ჩადენა მხოლოდ შანტაჟისტსა და მოღალატეს შეეძლო და ამიტომ არის, რომ ნიკიფორეს დაწერილი ამგვარ საბუთებს არ მიაგავს და ასეთი არაჩვეულებრივი აგებულებისაა და თავისი კილოთი და შინაარსითაც ასეთ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

ნიკიფორე მიტროპოლიტის სიტყვები ცხად-ყოფენ, რომ 1639 წ., სანამ რუსთა მეფესთან თეიმურაზი დესპანს გაგზავნიდა, მმართველ წრეში დიდი ბრძოლა ყოფილა. დიდებულებსაცა და თვით თეიმურაზსაც სურდათ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმოყვარეობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულება ყოფილიყო დადებული. ყმადნაფიცობაზე უარს ამბობდნენ რუსეთიდან უკან დაბრუნებული თეიმურაზის დესპანი ბერძენი ნიკიფორე კი სწორედ ამას ურჩევდა მეფესა და დიდებულებს. დიდებულები ამის წინააღმდეგი იყვნენ და თეიმურაზსაც მათი მხარე ეჭირა: ალექსანდრე მეფის დროს მოსკოვის მეფესთან მეგობრობა და სიყვარული გვექონდა, ჩვენი დესპანები მოდიოდნენ ხოლმე და ბრუნდებოდნენ ჩვენთან, მოსკოვის მეფეც გვეხმარებოდა, ჯარიც მოგვაშველა, ციხეც აგვიგო, ყმადნაფიცობის ფიცის წიგნი კი არ მიგვიცია არც იმისთვის და არც სხვა რომელიმე ხელმწიფისათვის, არამედ ჩვენ შორის მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული და მეგობრობა იყო^[14].

ნიკიფორე ბერძენმა იცოდა, რომ რუსთა მეფეს სიყვარული და მეგობრობა კი არა, ყმადნაფიცობა სურდა და ძვირფას ლითონებს ეძებდა, ამიტომ გადაჭრით

ურჩევდა და მოითხოვდა კიდევ, რომ რუსთა მეფის ეს წადილი აესრულებინათ და ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნზე ხელი მოეწერათ. ის თეიმურაზ მეფეს ეუბნებოდა: საფიცრის წიგნზე ხელი მოაწერეთ და აღთქმა დასდეთ, რომ დიდი ხელმწიფის დიდსა და მაღალ ხელს დაემორჩილებით. მაშინ ის ნამდვილად დაიჯერებს და თქვენზედაც იზრუნავს, რომ ყველა მტრებისაგან დაგიფაროთო^[15]. დიდებულები კი ამბობდნენ: თუ რუსთა მეფე ყველა თხოვნას აგვისრულებს და ლეკების წინააღმდეგ დაგვეხმარება, მაშინ ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნსაც მივცემთო^[16]. ნიკიფორემ ამგვარი პირობა უგუნურებად ჩასთვალა და რუსეთში წასვლაზე გადაჭრით უარი თქვა. ის იმდენად გაკადნიერებულა, რომ თეიმურაზისათვის უთქვამს, რომელმა შენმა მოსისხლე მტერმა ჩაგაგონა და მოგაფიქრებინა ასეთი რამეო?^[17] ალექსანდრე მეფის დროს თქვენი ქვეყანა ხელუხლებელიც იყო და კეთილდღეობაც სუფევდა, ეხლა კი ხომ ხედავთ რანაირად აოხრებულა. ამიტომ დაიჯერეთ ჩემი ნათქვამი და აასრულეთ, რასაც გეუბნებით: რომ აღდგეს თქვენი ქვეყანა, ივერია და ქრისტიანობა, რომ არ გაქრეს ქრისტეს სარწმუნოება და სამეფო საგვარეულო, მოიქეციოთ ისე, როგორც გირჩევთ და აასრულეთ ჩემი სამი მოთხოვნა^[18].

ნიკიფორე ბერძენსა და თეიმურაზ მეფე-დიდებულებს შორის ამ ზემომოყვანილი ამტყდარი კამათიდანა და ბრძოლიდან ცხადადა ჩანს, რომ თეიმურაზ მეფესა და ქართველ დიდებულებს ყმადნაფიცობის უღლის დადება არ სურდათ და თავისუფალი საქართაშორისო მოქმედების უფლების დაკარგვა არ უნდოდათ. თანაც მათ გამოცდილებით ეჭვი ჰქონიათ გულში შეპარული, რომ რუსთა მეფე ქართველებს ყმადნაფიცობაზე კი ხელს მოაწერინებდა, დახმარებით კი არ დაეხმარებოდა. საქმე რომ ასე დატრიალებულიყო, იმას გარდა, რომ უცხო ხელმწიფის ყმადნაფიცობა და საკუთარი თავისუფლების ნებაყოფლობით დამონავება საქართველოსთვის სრულებით უაზრო და უსარგებლო გამოდიოდა, არამედ, პირიქით, მეზობელ მაჰმადიან სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გამწვავებასა და მტრობის ჩამოვარდნას და გაძლიერებას უქადდა. ასეთ პირობებში საქართველოს რუსეთთან დაახლოვება და მის ყმადნაფიცად გადაქცევა ქართველი ერისათვის საზიანო იქნებოდა. სწორედ ამის შიში და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის ატანის სიძნელე აიძულებდა ქართველ მმართველ წრეებს რუსეთთან ხელშეკრულებაზე ხელისმოწერას ასეთი სიფრთხილით მოპყრობოდნენ. ნიკიფორე ბერძენს მაინც მოსკოვის მეფისათვის საფიცარის წიგნზე თანხმობა არ განუცხადეს, სანამ მან თავისი მხრით ამ საქმის კეთილად მოგვარებისა და დამთავრების ხელწერილი არ მისცა^[19].

მაგრამ ნიკიფორე მიტროპოლიტის ამგვარ ხელწერას ან რა ძალა ჰქონდა, ან რა ფასი? რუსთა მეფისათვის ის სავალდებულო არ იქნებოდა, ნიკიფორეს მისი აუსრულებლობა რომ სდომებოდა კიდევ, ანაზღაურება რით-ღა შეეძლო? განა ეს გარემოება თეიმურაზ მეფესა და ქართველ პოლიტიკურ წრეებს გამოეპარებოდათ? ძნელი დასაჯერებელია. თუ, ამისდა მიუხედავად, ისინი საფიცრის წიგნზე ხელისმოწერას ნიკიფორეს მაინც შეჰპირდნენ, ცხადია მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ნიკიფორესავე სიტყვით უამისოდ ის რუსეთში არ მიდიოდა. ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნზე ხელი ხომ მაშინ უნდა მოეწერათ, როცა საქართველოში უკან დაბრუნებულ ნიკიფორეს რუსთა მეფის დესპანები მოჰყვებოდნენ და თან ხელმოსაწერ საფიცრის წიგნს ჩამოიტანდნენ. მაშინ მოუვიდოდა თუ არა თეიმურაზ მეფესა და საქართველოს მოსკოვის მთავრობის სამხედრო დახმარება, ლეკებისა და სპარსთა მეფის წინააღმდეგ, გამოირკვეოდა და ამისდა მიხედვით მოიქცეოდნენ კიდევ და ყმადნაფიცობაზე ან ხელს მოაწერდნენ,

ან უარს ეტყოდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ მეფე რუსთა მეფეს თავის სიგელში სთხოვდა, რომ ყმადნაფიცობის საფიცრის წიგნის ამბავი საიდუმლოდ დარჩენილიყო^[20].

კახთა სამეფოში ალექსანდრე მეფის დროს დარწმუნებული იყვნენ, რომ თუშეთისა და დიდოეთის მთებში ვერცხლისა და ოქროს მადანი იყო. მეზობელი დიდი სახელმწიფოების შიშით ამ ამბავს მალავდნენ და მისი გამჟღავნება სახიფათოდ იყო მიჩნეული. ამავე მიზეზით ამ მადნების ამოღება და დამუშავებაც არ სურდათ^[21].

თეიმურაზ მეფემ გადასწყვიტა, რომ თუშეთისა და დიდოეთის მთებში მყოფი ვერცხლისა და ოქროს მადნის დამუშავება დაეწყო. საქართველოში მემადნე ხელოსნები ან არ ყოფილან, ან სათანადოდ დახელოვნებულნი არ იყვნენ, რომ ახლად ნაპოვნი მადაროებიდან მადნის ამოღება ეკისრათ. ამიტომ, როდესაც თეიმურაზ მეფე ნიკიფორე ბერძენ მიტროპოლიტს სტამბოლში დესპანად ისტუმრებდა, მას რამდენჯერმე უბრძანა, რომ იქიდან მემადნე ხელოსნები თან წამოეყვანა. მაგრამ ნიკიფორეს თეიმურაზ მეფის ეს დავალება არ აუსრულებია და თან მემადნე ხელოსნები არ ჩამოუყვანია^[22].

საცილობელ საკითხად ნიკიფორესა და თეიმურაზ მეფესა და ქართველ დიდებულთა შორის კახეთის სამეფოში მადნის არსებობის რუსთა მეფისათვის გამჟღავნება ყოფილა. ალექსანდრე მეფიდან მოყოლებული მაინც თუშეთისა და დიდოეთის მთებში ოქროსა და ვერცხლის მადნის არსებობა, როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ. ალექსანდრე მეფე), უცილობელ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, მაგრამ არამცთუ ამ მადნის ამოღება-დამუშავებისა, არამედ თვით ამ ამბავის გახმაურებისაც კი ეშინოდათ, რადგან სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ სპარსეთისა და ოსმალეთის მბრძანებელთა ხარბი თვალისათვის ისედაც სანუკვარ საქართველოს მოსვენებას აღარ მისცემდნენ, სანამ ხელში არ ჩაიგდებდნენ. თეიმურაზ მეფეს ამ მადნების დამუშავება სურდა და ამისთვის კოსტანტინეპოლიდან მემადნე ხელოსნების მოყვანას აპირებდა, მაგრამ ნიკიფორე ბერძენმა მისვე სიტყვით ოსმალთა შიშით თეიმურაზს ეს ნატვრა ვერ აუსრულა. ეხლა იგივე ნიკიფორე საქართველოს მმართველ წრეებს ძალას ატანდა, რუსთა მეფეს ეს საიდუმლოება გავუმჟღავნო და ხელოსნების გამოგზავნა ვთხოვოთო. თეიმურაზ მეფე და დიდებულები ამის წინააღმდეგ იყვნენ: არც ალექსანდრე მეფის დროს და არც შემდეგ ეს საიდუმლოება არავისთვის გაგვიმჟღავნებია და ეხლაც საშიშიაო. მაგრამ ნიკიფორე აქაც თავისას არ იშლიდა და თხოულობდა, რომ ოქრო-ვერცხლის მადანის არსებობა კახთა სამეფოში რუსთა ხელმწიფისათვის აუცილებლად ეცნობებინათ. რაკი მას ყმადნაფიცობას შეჰფიცავთ, მან ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა საქართველოში, უნდა იცოდესო: თუ ის საჭიროდ სცნობს ამ მადნების დამუშავებას, დავიწყოთ, თუ ის ამას დაგვიშლის, საიდუმლოდ შევინახოთო. თუ ამაზე უარს იტყვით, მე რუსეთში წამსვლელი არა ვარო^[23].

ნიკიფორე ბერძენს რუსეთისადმი უფრო მეტი გულმოდგინეობა გამოუჩენია, ვიდრე საქართველოსადმი, რომლის ელჩადაც მიემგზავრებოდა. რუსთა ხელმწიფის წინაშე გულუბრყვილო აღტაცებით მოსდიოდა ეს, თუ აქ უფრო ანგარება ალაპარაკებდა, მაგრამ ასეთი გულახდილობა დესპანის მხრით და ყველა საიდუმლოების გამომჟღავნება უცნაური იყო მაინც სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ რით ასაბუთებდა ნიკიფორე თავის ასეთ საქციელს, მხოლოდ შესაძლებელია ის თითონაც ფიქრობდა და ქართველ პოლიტიკურ წრეებსაც არწმუნებდა, რომ ამით რუსთა

მთავრობას უფრო ადვილად მოჰხიბლავდა და საქართველოსათვის მოშველიებაზე დაიყოლიებდა.

ნიკიფორეს ამ საკითხშიც თავისი გაუტანია და თეიმურაზ მეფე დიდებულებითურთ კახეთში მადნების არსებობის შესახებ რუსთა ხელმწიფისათვის ცნობებაზე დაუთანხმებია. ეს გამჟღავნებული საიდუმლოება თეიმურაზ მეფის თხოვნით მაინც მხოლოდ სამ პირს უნდა სცოდნოდა: რუსთა მეფეს, “მის ვაზირს” და თვით ნიკიფორეს^[24].

მადნების დამუშავების პირობა თეიმურაზ მეფეს ასე განუსაზღვრავს: რუსთა მეფეს უნდა კახეთში მემადნე ხელოსნები და საწარმოო თანხა გამოეზავნა; რაც აღმოჩნდებოდა და ამოღებული იქნებოდა, იმის ნახევარი რუსთა მეფეს მიეცემოდა, მეორე ნახევარი კიდევ თეიმურაზ მეფისა და საქართველოსი უნდა ყოფილიყო^[25].

თეიმურაზ მეფისა და საქართველოს მმართველი წრის მთავარი სათხოვარი და ნატვრა თეიმურაზ მეფის სახელით ნიკიფორეს მიერ დაწერილი სიგლის მეორე ნაწილშია მოქცეული. ჩვენი პირველი და უუდიდესი სათხოვარია, რომ, თუ შენ, დიდო მეფევ, ჩვენთვის, მეფე თეიმურაზისა, სრულიად საქართველოს და ქრისტეს სარწმუნოებისათვის შველა გსურს, უწმინდურ ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად ერთი დიდი მთავართაგანი ჯარითურთ გამოგვიგზავნე. ამ ლეკებმა ჩვენი ქვეყანა კახეთი ააოხრეს, ეკლესიები დაგვინგრიეს და შაჰზე და დანარჩენ ჩვენ მტრებზე უარესად გაცარცვეს. ამიტომაც, რომ გვედრები ლეკების წინააღმდეგ დაგვეხმარო განსაკუთრებით და, თუ შესაძლებელია, სწორედ იმ ადგილას, სადაც ალექსანდრე მეფის დროს ციხე იყო აგებული, ციხე კვლავ ააშენო, თუ არა და აქ, ჩვენი ქვეყნის მახლობლად იყოს აგებული ჩვენი მთების იმ ალაგას, სადაც საუკეთესოდ გამაგრებული ადგილი გვეგულება. ეს ციხე იმდენად იყოს ჩვენგან დაშორებული, რამდენადაც თერგი ჩერქეზეთზეა დაშორებული. ამ ციხეში დამცველი ხალხი ჩასხი. მაშინ ლეკებიც თავიანთს მოიშლიან და დაწყნარდებიან, თუ არა და მაშინ ერთი მხრით თქვენ თქვენი ჯარით. მეორე მხრით მე მოვადგები და წინანდებურად დავიპყრობ და დავიმორჩილებო.

თეიმურაზ მეფეს ეს რუსთაგან აგებული ციხე საქართველოს ძლიერ მტრებთან, სპარსეთსა და ოსმალეთთან, ბრძოლის დროს შესაძლებელ უკიდურეს განსაცდელის ჟამს თავისი და მოწინავე წრის სახლობათათვის და თავისთვისაც იმ სანდო თავშესაფარად ეხატებოდა, რომელიც მას მტრებთან ბრძოლისათვის საჭირო თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემდა და მარცხის შემდგომაც ბრძოლის განახლების შესაძლებლობას გაუადვილებდა. სწორედ ეს ორი საკითხი, ლეკების წინააღმდეგ სამხედრო დახმარება და საქართველოს მახლობლად ციხის აგება და შიგ მეციხოვნეთა ჩაყენება იყო თეიმურაზ მეფისა და დიდებულთა მთავარი სათხოვარი, რომლის გულისათვისაც ისინი უკიდურეს შემთხვევაში ყმადნაფიცობაზედაც კი დათანხმდებოდნენ^[26].

როგორც გამოირკვა, საქართველოს რუსეთის სამეფოსა და რუსთ ხელმწიფის შესახებ მაშინ ნამდვილი წარმოდგენა არ ჰქონია. ამ ქვეყნისა და მისი მზრძანებლის შესახებ საქართველოს მეფე-მთავრებისათვის ცნობის მიმწოდებლები თავიდან შემთხვევითი პირები იყვნენ, რომელთაც სხვათაგან გაგონილის მოთხრობა შეეძლოთ მხოლოდ. ამ ზეპირი, ზერელე ნაამბობით საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელებმა მაშინდელი რუსეთი საქართველოსთან ტერიტორიულად უკვე მოახლოვებულ ქვეყნად და მისი ხელმწიფე უძლეველ და უქრისტიანეს მეფედ

წარმოიდგინეს, რომელსაც მარტო მაჰმადიანთა დამარცხება და აღმოსავლეთის დაჯაბნულ ქრისტიანების დახმარებით უღვიოდა გული.

შემთხვევით მოციქულად ქცეულ ვაჭრებისა და საეჭვო პიროვნების ბერძენ ბერისაგან მოტანილს ამგვარ ცნობებს დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ საქართველოში დახმარებისა და ხსნის იმედი გაუღვიძებია და ჩვენი წინაპრების აღფრთოვანებულ ოცნებას ეს ისედაც უსწორო ცნობები უფრო გაუზვიადებია და დაუმახინჯებია. რუსული ენისა და ამ ქვეყნისა და ხალხის ზნეჩვეულებათა და პოლიტიკური წესწყობილებისა და მისწრაფებათა სრული უცოდინარობა ამ საეჭვო ცნობების შემოწმებისა და ნამდვილი ვითარებისა და რუსთა საგარეო პოლიტიკური მიზნების გაგების საშუალებას უსპობდა. რუსული ენის უცოდინარობის გამო ქართველი დესპანები რუს თარჯიმნების ხელში იყვნენ და სასაუბრო ენად თურქული იყო. ასეთ პირობებში მათ იმის გარდა, რასაც რუსეთის მთავრობის მოხელეები ეტყოდნენ, არაფრის გაგება არ შეეძლოთ.

1643 წ. ენკენისთვის შემდგომ დღეებში თეიმურაზ მეფეს რუს დესპანისათვის უცნობებია, რომ ალონიდან ალავერდის მონასტერში მიემგზავრებოდა სპარსეთის შაჰის აბაზ II-ის დესპანის სანახავად. გამგზავრების წინ თეიმურაზსაცა და მის შვილს დავითს ისევე, როგორც ყველა მათ მხლებელ ხელისუფლებს ქართული თავსაბურავ-ტანისამოსის მაგიერ თავზე დოლბანდები შემოუხვევიათ და სპარსული ტანისამოსი ჩაუცვამთ. ამ გარემოებას რუსების ყურადღება მიუქცევია და მათ მეთაურს ერთ თავის მხლებლისათვის საიდუმლოდ ცნობების შეკრება დაუვალებია. როდესაც ალავერდიდან უკან დაბრუნებულან, რუს ელჩს რევაზისათვის (Реваз-бей) უკითხავს, რა მიზეზია, რომ მეფეცა და უფლისწულიცა და თქვენც ყველანი სპარსეთის შაჰის ელჩს დოლბანდებითა და ყიზილბაშურად გამოწყობილი დახვდითო? რევაზს უპასუხნია: ხომ თქვენ თითონვე ხედავთ, რომ ჩვენ სპარსთა მონობაში ვიმყოფებით, ასე რომ არ მოვიქცეთ, ყიზილბაშთაგან ერთს საათსაც არ დაგვედგომება^[27].

თეიმურაზის თხოვნა, რომ რუსეთის მეფეს მისთვის სამხედრო დახმარება გაეწია ჯარის გამოგზავნით ან პირდაპირ საქართველოში, ან იმიერ-კავკასიაში დაღესტნელების წინააღმდეგ, რომ მათ საქართველოზე თავდასხმა ვეღარ გაებედათ და ამით თეიმურაზს სპარსეთთან ბრძოლის დროს ზურგი უზრუნველყოფილი ჰქონოდა, უარყოფილ იქმნა. რუსთა მეფე და მისი დესპანები უნდა გამომტყდარიყვნენ, რომ სამხედრო დახმარების აღმოჩენა არც შეეძლოთ. მიშეცკიმ თეიმურაზ მეფეს თავისი მთავრობის სახელით 1643 წ. მოახსენა: ჩემმა ხელმწიფემ ჯარის გამოგზავნა არ ინება, რადგან თქვენი ქვეყანა მის საბრძანებელს დაშორებულია. შუაში სპარსეთის შაჰისა და მრავალი სხვა წვრილი მფლობელების მიწაწყალია, გზაც თქვენამდე დიდი და მეტად საძნელოა, ვიწრო მთებში მდებარეობს. ამის გამო იმაზე არც დიდი ჯარის, არც საკმაო სურსათისა და საომარი იარაღის მარაგის გამოტარებაა შესაძლებელი. ჯარისკაცები გზაშივე შიმშილით დაიხოცებიანო. თქვენ სამეფოშიც ამ ჯარის გამოკვებას ვერ შესძლებთ, რადგან თქვენი ქვეყანა მთლად განადგურებული და დაცარიელებულიაო. სამხედრო

დახმარების მაგიერ ამის გამო რუსთა მეფემ თქვენი ჯარის შესანახად ფული გამოგიგზავნათ და თქვენი ქვეყანა თქვენი საკუთარი ძალით უნდა დაიცვათ^[28].

რუსთა მეფის ფულადი დახმარება დიდს არაფერს წარმოადგენდა: სულ 20000 ეფიმა... ამით თეიმურაზ მეფეს მხოლოდ ვალების გასტუმრება მოუხერხებია, თავისი ოჯახის წევრების ჩაცმა-დახურვაზე და ჯარისათვის საჩუქრის დასარიგებლად დაუხარჯავს. დასასრულ, ნაწილი იერუსალემში რუსთა მეფის დღეგრემელობისათვის გაუგზავნიაო. მთელი ფული ასე შემოპლევია კიდევაც და სამხედრო ძალის შესანახად მას კვლავ სახსარი ესაჭიროებოდა.

[«И Теймураз царь Ефиму говорил: великий государь меня холопа своего пожаловал, прислал ко мне с тобою свое государево жалованье. И тем де я государевым жалованьем долги свои заплатил и себя и жену свою и сына своего одел и ратных своих людишек пожаловал; а иное послал я Еросалим по святым местам и велел за в. г. ц. и в. к. М. Ф. в. Р. и за государя царевича князя Олексея Михайловича всеа Руси, за их великих государей многолетнее здоровье бога молити. И та де у меня казна вся изошла... и я де посла пошлю весною через горы и велю великому государю бити челом обо всех нуждах»]^[29].

1643 წ. თვით თეიმურაზ მეფეს რუს ელჩ მიშეცკისათვის ეს ამბავი უამბნია და უთქვამს: განსვენებული შაჰ-სეფი მწერდა, რომ მას ქართლისა და თბილისის მცხოვრებთა თხოვნის თანახმად თბილისიდან წაყვანა სურდა [როსტომ მეფისა] და თბილისისა და ქართლის ჩემთვის მოცემა უნდოდა, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ შაჰ-სეფი გარდაიცვალაო [«А покойной де шах Сефии ко мне писал, что он по челобитью тефлисских и карталельских людей Рустом-хана из Тефлису хотел свесть, Тефлиз и Карталею во владенье хотел отдать мне. И грехом моим того шах Сефия не стало»]^[30].

1643 წ. 15 ოქტომბრის შემდგომ თეიმურაზ მეფის სახელით რუს დესპანისათვის უცნობებიათ: «писали к Теймуразу царю ис Карталеи всяких чинов люди, чтоб к ним прислать Теймуразу царю для совету духовного чину и ближних своих людей. И Теймураз де царь по их писму посылает к ним в Карталею для совету сего же числа... Того же дни архиепископ Алавердей и епископ Захарей Самопельской и стольники Юрья Черкас и Юрья Сафрачей от Теймураза царя поехали в Карталею»^[31].

რუსთა მეფის ელჩისათვის, მიშეცკისათვის, თეიმურაზ მეფეს 1643 წ. 24 ნოემბერს უთქვამს: ქართლიდან და თბილისიდან ყველა წრის მცხოვრებთაგან დაწერილი მომართვა მომივიდა, რომ როსტომ-ხანი თბილისელი ბევრ ძალადობას სჩადის, მათ სცარცვავს და შვილებს ძალით ართმევს. შაჰისათვის მათ საჩივარი და ვედრება მიურთმევიათ, მაგრამ სპარსეთის მბრძანებლისაგან პასუხი არ მოსვლიათ. ამიტომ ისინი თეიმურაზს სთხოვდნენ ქართლში მათთან სათათბიროდ ჩასულიყო. ამ თათბირში თურმე არაგვის ერისთავს (Аристок князь), სომხეთის მელიქის ორ ძმას და სხვებსაც მიეღოთ მონაწილეობა. ალექსანდრე იმერთა მეფეს და გურიელსაც მათთვის დახმარება აღუთქვამთ ქრისტიანობის დასაცავად და როსტომის თბილისიდან განსადევნად. ქართლში თურმე ფიქრობდნენ, თუ როსტომი მის წინააღმდეგ შეთქმულების ამბავს შეიტყობდა, ის თითონვე გაიქცეოდა, მაგრამ სპარსეთის შაჰთან კი არა, არამედ ოსმალეთის სულთანთან. ქართლიდან მოსულ მომართვაში ამასთანავე აღნიშნული ყოფილა, რომ, რაწამს როსტომს თბილისიდან განდევნიდნენ, ქართლსაც მაშინვე თეიმურაზ მეფეს მისცემდნენ და მისი ერთგული იქნებოდნენ^[32].

ქართლის გავლენიანი წრეების საიდუმლო მზადება და თეიმურაზ მეფესთან კავშირი როსტომ მეფეს არ გამოჰპარვია. ამიტომ 1643 წ. იმავე დროს, როდესაც მას

ქართლიდან მოწოდება მიუღია, მას თეიმურაზისათვის თავისი დესპანი გაუგზავნია წერილითურთ, რომელშიც როსტომი თეიმურაზს სთხოვდა მასთან შუღლი არ ჩამოეგდო და თბილისელებისა და ქართველთა აჯანყებას არ მიჰმხრობოდა^[33].

თეიმურაზ მეფეს გადაუწყვეტია, რომ ჯერ ქართლში გამგზავრებულიყო საქმის ვითარების შესატყობად, შემდეგ კი როსტომისათვის პასუხი მიეცა^[34].

1649 წ. 13 აგვისტოს რუსთა მეფისადმი მიწერილ ეპისტოლეში თეიმურაზ მეფე ატყობინებდა იმ ამბავს, რომელიც რუსეთთან პოლიტიკური კავშირის შედეგად მოჰყვა. გაიგეს თუ არა ყიზილბაშებმა, რომ რუსთა მეფეს ჩემ შვილიშვილს ვუგზავნი და მის ყმადნაფიცად ვიქცევი, მაშინვე შაჰმა ქართლი სხვას მისცა და ჩემ წინააღმდეგაც ლაშქარი შეყარაო. [«И кой час проведали кизылбашеня что посылаю к тебе государю внука своего и рабом вашим учинитца и Карталею ему отдал, и войско собрал»]^[35]

შაჰის ბრძანებით შემახიდან და განჯიდან (от Кенчи) კახეთში სპარსელებისა და სხვათა დიდძალი ლაშქარი შემოვიდა და ორი-სამი მხრიდან შეუდგნენ სამხედრო მოქმედებას, სწერდა თეიმურაზი რუსთა მეფეს. ქვემო მხრის ჩვენ ჯარს ჩემი შვილი დავითი მეთაურობდა, ზემო მხრის ჯარში მე თითონ ვიყავი. ძალიან ცხარე ბრძოლა გვექონდა, ხალხი ბევრი დაიხოცა, მაგრამ მტერი მრავალრიცხოვანი იყო, ჩვენ კი ცოტანი ვიყავით. ქვემო მხარეს ბრძოლა ბოდბეში ყოფილა და იქ 15 მარტს სპარსელებმა დავითი ჩემი შვილი აწამეს და მოკლესო. მეც გამოვედი და ჩემ სიძესთან, ალექსანდრე იმერთა მეფესთან ქუთაისში მოვედიო^[36].

^[1] Переписка на иностранных языках, грузинских царей с российскими государями, издал М. Броссе. СПбБ 1861, გვ. 3 – 4.

^[2] Переписка..... გვ. 6.

^[3] იქვე, გვ. 6 – 7.

^[4] იქვე, გვ. 8– 9.

^[5] Переписка..... გვ. 7.

^[6] იქვე, გვ. 9.

^[7] იქვე, გვ. 9.

^[8] იქვე, გვ. 6.

^[9] Переписка..... გვ. 9 - 10.

^[10] იქვე, გვ. 10.

^[11] Переписка..... გვ. 11 - 12.

^[12] იქვე, გვ. 12.

^[13] იქვე, გვ. 13 და 14.

^[14] Переписка... გვ. 14.

^[15] იქვე, გვ. 15.

^[16] იქვე, გვ. 13.

^[17] Переписка... გვ. 13.

^[18] იქვე, გვ. 14.

^[19] იქვე, გვ. 15 - 16.

^[20] Переписка... გვ. 17.

^[21] იქვე, გვ. 16 - 17.

^[22] იქვე, გვ. 16 -17.

[23] Переписка... გვ. 16 -17.

[24] იქვე, გვ. 17.

[25] იქვე.

[26] Переписка..... გვ. 20 -21.

[27] Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию; издал М. Полиевктов, Т., 1928, стр. 144, 146 – 147.

[28] მიშეცკის ელჩობა, 149 – 150.

[29] მიშეცკის ელჩობა, გვ. 150.

[30] იქვე, გვ. 151.

[31] იქვე, გვ. 148.

[32] იქვე, გვ.151.

[33] მიშეცკის ელჩობა, გვ. 151.

[34] იქვე, გვ.151 - 152.

[35] Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию. Издал М. Полиевктов. Т., 1926, ст. 1.

[36] იქვე, გვ. 1 - 2.

[თავი მესამე]

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში

აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადო მდგომარეობა
XVIII საუკუნის დამდეგს

საქართველოს და ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრეს გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად XVII ს. უნდა ჩაითვალოს. მას შემდგომ, რაც ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის შაჰმა 1634 წ. როსტომი დაამტკიცა, აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის წამლეკავ გავლენის ასპარეზად იქცა. თვით სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და სპარსულ-მაჰმადიანურ ზნეჩვეულებებისა და დაწესებულებათა თაყვანისმცემელი როსტომ მეფე ამ გავლენის გავრცელებას საქართველოში შეგნებულად უწყობდა ხელს. ქართული სახელმწიფო სამართლის ტერმინების მაგიერ მან სპარსულ-თურქული შემოიღო. თვით სახელმწიფო წესწყობილებაშიაც მან ზოგიერთი იმგვარი ცვლილება შეიტანა, რომელიც სპარსულს უახლოვდება. სპარსული ენა და მაჰმადიანობა მეფის წაბაძულობით ქართველთა უმაღლეს წრეებში თანდათან უფრო-და-უფრო ვრცელდებოდა. ეს და ბევრი სხვაც ქართულ ეროვნულ თვითშემეცნებას და არსებობასაც კი დიდს საფრთხეს უმზადებდა.

1636 წ. რომ სპარსეთმა და ოსმალეთმა ერთმანეთს შორის მუდმივი მტრობის მოსასპობად საქართველო ორად გაჰყვეს და აღმოსავლეთი ნაწილი ოსმალთა მიერ სპარსთა უცილობელ გავლენის სფეროდ იყო ცნობილი, დასავლეთი საქართველო კი სპარსეთმა ოსმალეთს დაუთმო, დასავლეთ საქართველოშიც ოსმალეთის გავლენამ ისე ძლიერად იჩინა თავი, რომ ქართული ეროვნული საქმისთვის საშიში შეიქმნა.

პირადად როსტომ მეფე ქვეყნის ურიგო მმართველი არა ყოფილა: ქვეყნის კეთილდღეობაზე და ქონებრივ მოღონიერებაზე ზრუნავდა, მაჰმადიანობისდა მიუხედავად განსაკუთრებით თავისი სახელოვანი თანამეცხედრის მარიამ დედოფლის გავლენით ქართული ეკლესიების განახლებასაც კი მისდევდა, მაგრამ თვით ის სპარსული გავლენა, რომელსაც იგი აღმოსავლეთს საქართველოში აძლიერებდა, მთელს მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკუღმართობის დაღს ასვამდა და ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველად ხდიდა.

ამას ერთი უფრო ახირებული გარემოება დაერთო ზედ, რაკი სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხელობა კი გამოცდილებით იცოდნენ, ამის გამო ისინი თავიანთი დახლართული სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდნენ ხოლმე. ამის წყალობით ისეთს ნიჭიერ სამხედრო პიროვნებებს, როგრიც, მაგ., მეფე გიორგი XI იყო, უნებლიეთ სპარსეთის აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება უნდა ეკისრა და ხან ავღანისტანში ყოფილიყო, ხან ბელუჯისტანში, ხან სხვაგან, სადაც კი ამბოხება იფეთქებდა. ამიტომ ისე მოხდა, რომ ქართველ მეფეებს თავიანთ საბრძანებელში წასვლისა და მართვა-გამგეობის საშუალება არ ჰქონდათ და თავიანთი ძალა და ნიჭი სპარსეთის შაჰების ტახტის გამაგრებისათვის უნდა შეეღიათ. ამის გამო ისინი იძულებული იყვნენ თავიანთ მაგიერ მახლობელი ბატონიშვილები მეფის მოადგილედ დაენიშნათ ხოლმე საქართველოში და მათთვის მინდოთ ქვეყნის მზრუნველობა. სპარსეთის სამეფო კარი მაშინ დაუსრულებელი ვერაგობისა და ქიშპობის ბუდედ იყო ქცეული. ცვალებადი იყო ხოლმე იქ გავლენა და ამასთანავე ცვალებადი იყო ხოლმე სპარსეთის შაჰების პოლიტიკაც ქართველი მეფეების მიმართ. ეს გარემოება შხამავდა ჰაერს და სრულ გამოურკვევლობის გრძნობას ჰქმნიდა საქართველოში. ქართველი ერი ამ დროს მართლაც უღარეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. მისი მომავალი სახეიროს არას მოასწავებდა, თუ რომ ის მთელს თავის სულიერს ძალას არ მოიკრებდა და ეროვნული განსაცდელის თავიდან აცილებას არ ეცდებოდა.

საბედნიეროდ, ქართველობამ ეს შესძლო. ამ საშინელ გასაჭირში მან მართლაც მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და გამანადგურებელ მიმართულებას წინააღმდეგა. ქართული ენა რომ სპარსული სიტყვებით არ შერყვნილიყო და ნამდვილი ქართული უცხოურისაგან გაერჩიათ, დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას მიჰყვეს ხელი. გიორგი XI-ის წინადადებით ამგვარი შრომა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ საბა-სულხან ორბელიანმა შეადგინა, რომელსაც მან 30 წელიწადი მოანდომა. ეს შესანიშნავი ნაწარმოები ეხლაც ძვირფას განძად ითვლება მეცნიერებისათვის, მაშინ ხომ იგი ცის მანანასავით უნდა მოვლენოდა ქართველობას. უცხო ენის ზეგავლენით რომ ქართული ენის ბუნება და კანონები არ შებღალულიყო, ქართული გრამატიკა იქმნა შედგენილი ჯერ მოკლე – შანშოვანის მიერ, ხოლო უფრო გვიან ვრცელი – ანტონი კათალიკოსის მიერ.

ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს. ეს კარგად ესმოდა საქართველოს მეფეს ვახტან VI-ეს (1703 – 1714 წ. წ., 1719 – 1724 წ.წ.), რომლის მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ ქართული ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს. ყოველს განათლებულ ქართველს რომ საშუალება ჰქონოდა თავის იერისა და ქვეყნის თავგადასავალი სცოდნოდა, მან

ქართველ ისტორიკოსთა კომისია მოიწვია, რომელსაც ამის შესაფერისი შრომა უნდა გაეწია. ქრონოლოგიურად დალაგებული ქართული სხვადასხვა საისტორიო დროის თხზულებები ძველ დროსვე ერთ კრებულად იყო შედგენილი, რომელიც “ქართლის ცხოვრების” სახელით არის ცნობილი. ეს კრებული მხოლოდ XIV საუკ. დამდგამდის იყო მოყვანილი. ამ სახითაც ხელთნაწერები იშვიათი საშოვარი შეიქმნა იმიტომ, რომ მომეტებული ნაწილი მტრების შემოსევის დროს დაიღუპა. ვახტანგ მეფემ შეაგროვა ყველა საუკეთესო ხელთნაწერები, აგრეთვე ყველა ის საისტორიო წყაროები, რომელნიც ჯერ იმ კრებულში შეტანილი არ იყვნენ, და სიგელ-გუჯრებიც, მოგროვილ საისტორიო მასალებისდა მიხედვით მან ამ კრებულის გაგრძელების შედგენა დაავალა, რომ XIV საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს ისტორია XVIII საუკუნის დამდგამდის ყოფილიყო მიყვანილი. შემდეგ ამ ნაშრომის გავრცელება უკვე ადვილი საქმე იყო.

ეს დავალება ისტორიკოსთა კომისიამ შეძლებისდა გვარად აასრულა კიდევ. რადგან ქართული წყაროების ძიებასა და შესწავლას შეუდგნენ, ამ გარემოებამ ქართული საისტორიო მწერლობა კვლავ გამოადგინა და გააცხოველა. იმავე მიზანს, რომელიც ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეულს კომისიასა ჰქონდა დასახული, ისტორიკოსი **ფ. გორგიჯანიძის** ფრიად საგულისხმიერო და შინაარსიანი ნაწარმოებიც ემსახურებოდა. ვახტანგ მეფისავე თანამედროვე იყო ისტორიკოსი **ს. ჩხეიძე**. მაგრამ ამ ხანის ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო სამკაულად ბატონიშვილ **ვახუშტის** განთქმული საისტორიო და საგეოგრაფიო თხზულებები უნდა ჩაითვალოს. პირველი – წყაროების შესანიშნავი კრიტიკული განხილვითა, ხოლო მეორე – საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისა, ზნეჩვეულებისა და ტანისამოს-თავსაბურავის მოკლე, მაგრამ საუცხოო მკაფიო ისტორიული მიმოხილვით არის შემკული. ორივე თხზულებას, განსაკუთრებით საქართველოს გეოგრაფიულს აღწერილობას, მეცნიერებისათვის ეხლაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ქართული მოწინავე წრეები საისტორიო თავგადასავალთა და თემებით იყვნენ გატაცებულნი. სხვათა შორის ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ხანაში პოეტებმა განსაკუთრებით საისტორიო პოემების წერას მიჰყვეს ხელი. ქართული მხატვრული მწერლობის სხვა დარგებსაც ეროვნული სიმთა ჟღერა დაეტყოთ. ეს გარემოება საზოგადოებრივ ჰანგებზე ამღერებულს ქართულს ამდროინდელს პოეზიას სამშობლოს გაჭირვებული მდგომარეობის გამო ჩუმი მწუხარების ელფერს სდებდა.

თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა ვახტანგ მეფემ სახელმწიფო საქმეებშიც გამოიჩინა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ წესიერი და კარგად მოწყობილი სახელმწიფოსთვის თავი და თავი სამართალია. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება რომ მკვიდრ საფუძველზე ყოფილიყო დამყარებული, უნდა მტკიცედ გარკვეული ყოფილიყო ყველა დაწესებულებათა და მოხელეების უფლება-მოვალეობანი. როგორც უკვე წინათაც და XIV საუკუნეშიც არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დავიწყებული და უყურადღებოდ მიტოვებულ იქნა, ვახტანგ მეფემ ისევ შეაგროვა წინანდელ ქართველ მეფეთა ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი როგორც სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა, ისევე სხვადასხვა მოხელეების უფლება-მოვალეობათა შესახებ, დაალაგა შინაარსისდა მიხედვით, მოაწესრიგა და სახელმწიფო კანონების სახელმძღვანელო წიგნად აქცია. ამ ძეგლით, რომელსაც ვახტანგ VI-მ “დასტურლამალი” უწოდა, ქართული სახელმწიფო სამართლის განვითარებასა და შესწავლას მკვიდრი საფუძველი დაუდვა.

საქართველოში მართლმსაჯულების ასამაღლებლად და განსამტკიცებლად ვახტანგ VI-მ ამგვარადვე ჯერ ქართული სამართლის ყველა ძეგლები შეაგროვა, რომელიც კი ძველი დროიდან შერჩენილი იყო, შემდეგ სხვა ერთა კანონმდებლობიდანაც გამოარჩია სამართლის წიგნები და სამართლის ყველა ამ ძეგლების განსაკუთრებული კრებული შეადგინა, რომელსაც მისგანვე მოწვეულ საკანონმდებლო კრების მიერ შედგენილი ქართული სამართლის წიგნი დაურთო. უკანასკნელი ნაწარმოები მაშინდელი ცხოვრების უფლებრივი ვითარების უფრო შესაფერისი გამომხატველი იყო. დიდი ხანია უკვე რაც სპეციალისტებს აღნიშნული აქვთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ღმობიერებისა და ჰუმანური მისწრაფების უტყუარი თვისებები.

დაუფასებელია ის დიადი ღვაწლი, რომელიც ვახტანგ მეფეს, მის უფროსს, თანადროულსა და უმცროს თანამშრომლებს მიუძღვით ქართველი ერის წინაშე. მათი წყალობით ხალხის თვითშემეცნება ფიზიკური გახდა და გაღრმავდა. ყველაფერს კულტურული აღორძინების იერი დაეტყო. ხელშემწყობი პოლიტიკური ცხოვრების პირობები-და იყო მხოლოდ საჭირო, რომ ეს აღორძინება განმტკიცებულიყო და თანდათან აყვავებისა და ძლიერების ხანად ქცეულიყო. ვახტანგ მეფეს ჩრდილოეთიდან მოსულმა ერთმა ამბავმა იმედი მისცა, რომ საქართველო მალე ცხოვრების ამ ხელშემწყობ პირობებსაც ეღირსებოდა.

ეს ამბავი რუსეთიდან მოვიდა.

რუსეთის პოლიტიკური დახმარების მოიმედება ვახტანგ VI-ის დროს საქართველოში და მისი შედეგი

რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებით ეკონომიური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს უნდოდა, რომ სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში და მთელი აბრეშუმის სპარსეთიდან რუსეთში ყოფილიყო შეტანილი. სპარსეთის ეკონომიურად ხელში ჩაჭერა რომ უფრო გაადვილებულიყო და შემდეგ უფრო ვრცელი პოლიტიკური ზრახვის განხორციელება შესძლებოდა, პეტრე I გადასწყვიტა, კასპიის ზღვის მიდამოები ამიერკავკასიაში ჯერ თავისი მფარველობის ქვეშ მოექცია, შემდეგ ქვეყანა დაეპყრა და შიგ რუსი ჯარისკაცები ჩაესახლებინა. ავღანელთა მიერ სპარსეთის დაპყრობის შიშმა თითქოს დააჩქარა ამ წადილის განხორციელება^[1]. ამ იდუმალი გეგმის ასასრულებლად რუსეთისათვის საქართველოს სამეფოს სამხედრო დახმარება იყო საჭირო. ამიტომ პეტრე დიდმა გადასწყვიტა საქართველო და მეფე ვახტანგიც ჩაერია ამ საქმეში და რუსეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა. პეტრე დიდმა სწორედ ამგვარი საიდუმლო დავალებით 22 მარტს 1720 წ. ვოლინსკი აშტრახანში გუბერნატორად გაისტუმრა. მას ვახტანგ VI უნდა დაერწმუნებინა, რომ პეტრე დიდი ქრისტიანებისა და მისადმი უაღრესად კეთილი განწყობილებით არის გამსჭვალული, და თანაც დაეიმედებინა, რომ რუსეთის ხელმწიფე მას მაჰმადიან ძლიერ სახელმწიფოებისაგან მფარველობას გაუწევდა^[2].

რუსეთის ხელმწიფის ელჩმა ისე ოსტატურად მოაწყო და მოაჩვენა საქმე ქართველებს, თითქოს პეტრე I-ს შეეტყოს ვახტანგ VI-ის გაჭირვებული მდგომარეობა, მისი შველა და დახსნა სდომნოდეს სპარს-ოსმალთა კლანჭებისაგან და სწორედ იმიტომ აპირებდეს იგი სპარსეთის წინააღმდეგ ამხედრებას. მეფე ვახტანგმა და ქართლის სამეფოს გავლენიანმა წრეებმა ეს დიპლომატიური ხრიკები სინამდვილედ მიიჩნიეს. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ძლიერ ქრისტიან ხელმწიფეს გულში სხვა რაიმე იდუმალი ზრახვა ექმნებოდა და ვახტანგ VI დარწმუნებული იყო

კიდევ, რომ რა წამს იგი პეტრე I-ს და რუსთა ჯარს მიემხრობოდა, პეტრეც თავის მხრივ მისი მეთაურობით საქართველოს მტრის წინააღმდეგ გაილაშქრებდა^[3].

როდესაც ეს საკითხი სახელმწიფო დარბაზში ირჩეოდა, ყველა დარბაისელნი არ იყვნენ ამ სამხედრო გეგმის მომხრენი. პირიქით, ზოგი საღი შორსგამჭვრეტელობით ამტკიცებდა კიდევ, რომ ამ ომში ჩარევა საქართველოსთვის ფრიად სახიფათო და სწორედ დამღუპველი ნაბიჯი იქმნებოდა, რომლითაც ქართველთა მრავლრიცხვოვანი გარეშე მტრები ისარგებლებდნენ და რუსთა ჯარის ამიერკავკასიაში მოსვლამდის ჩვენს ქვეყანას ააოხრებდნენ^[4].

მაგრამ მეფე ვახტანგი ისე გატაცებული იყო რუსთა ხელმწიფის წინადადებით, რომ არავითარი ეჭვიც არ ებადებოდა და ღრმად დარწმუნებული იყო, რომ პეტრე I-თან თანხმობრივი სამხედრო მოქმედება საქართველოს ბედნიერებას მოანიჭებდა. ამიტომ ის და მისი თანამოაზრე დარბაისელნი დაუყოვნებლივ გალაშქრების მომხრენი იყვნენ.

რაკი მეფე თავისას არ იშლიდა, მოწინააღმდეგე წინდახედულმა ჯგუფმა ურჩია მეფეს რუსთა ხელმწიფისათვის მხოლოდ ფარული დახმარება გაეწია და მარტო პატარა ლაშქრით და საიდუმლოდ წასულიყო პეტრე I მისაშველებლად^[5]. მაგრამ ვახტანგ მეფემ არც ეს ისურვა: პეტრე I-ს მისივე მოციქულის პირით თანხმობა შეუთვალა და მზადებას შეუდგა^[6].

2 ივლისს 1722 წ. პეტრე I-მა მეფე ვახტანგს ბორის თურქისტანოვის პირით შემოუთვალა, რომ ის მალე სპარსეთის საზღვრებს მიადგება და ამიტომ მეფე საჩქაროდ ლეკებს უნდა დასცემოდა, ამასთანავე თავისი დაწყობილი ლაშქრითურთ სპარსეთს შეჰსეოდა და იქ მოეცადა, სანამ პეტრეს მოსვლის შესახებ ცნობები მოუვიდოდა, თუ სად შეერილიყვნენ ერთად^[7].

ვახტანგ მეფემ სიხარულით 30.000 – 40.000 ჯარისკაცი შეჰყარა, სწრაფად განჯისაკენ გაილაშქრა და შანქორში დაიბანაკა რუსთა ხელმწიფისა და ძლიერი ლაშქრის მოუთმენლივ მომლოდინემ. 6 ენკენისთვეს 1723 წ-სა პეტრეს ეს ამბავი დარუბანდში მიუვიდა, 7 ენკენისთვეს კი ის დაიძრა და წავიდა, მაგრამ საქართველოს ჯართან შესაერთებლად კი არა, არამედ შინ, აშტრახანისაკენ^[8].

იმ დროს რუსეთი სპარსეთისადმი მხოლოდ იმ ეკონომიური გამორჩენის თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა, რომელიც პეტრე I-ს, მხოლოდ თეორიულად, გეგმის მიხედვით ეხატებოდა. მაშინ რუსეთს იმდენად მოჭარბებული ეკონომიური ძალღონე არ ჰქონდა, რომ მისთვის სპარსეთის ბაზარი სააღებმიცემო ასპარეზად აუცილებლად საჭირო ყოფილიყო. სპარსეთში იგი თავისი მრეწველობის ნაწარმოების გასაღებისათვის კი არ შედიოდა, არამედ რუსეთის სავაჭრო მოქმედების გეგმა მხოლოდ უბრალო შუამავლობაზე იყო აგებული.

ამგვარი პირობების გამო პეტრე I-ისათვის და რუსეთისათვის სპარსეთთან ომი პირველხარისხოვანი, აუცილებელი მოვლენა არ ყოფილა. ამიტომაც არის, რომ პირველივე დაბრკოლების შემდგომ, რომელიც რუსთა ხელმწიფის გეგმის განხორციელებას გადაეღობა, მან ამ საქმეს უყოყმანოდ თავი დაანება და შინ დაბრუნდა.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო საქართველო: მისთვის რუსების მიმხრობა და ომში მონაწილეობა სპარსეთის წინააღმდეგ იმდენად საბედისწერო და თავგანწირული ნაბიჯი იყო, რომ, თუ რუსეთის ხელმწიფე ამ ომს წააგებდა, საქართველოს პოლიტიკური არსებობა უუკიდურეს განსაცდელში უნდა ჩავარდნილიყო, - მას უკან დასახევი გზა აღარ ექნებოდა და ხსნა არსაიდან არ იყო მოსალოდნელი.

პეტრე I ამ გარემოებას ოდნავადაც არ შეუფიქრია: მას ამის გამო თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. მეფე ვახტანგი 40.000 ქართველი ჯარითურთ იდგა და უცდიდა რუსეთის ხელმწიფეს და ვერ გაეგო, თუ რატომ “შეიქმნა დაყოვნება ხელმწიფისა”^[9]. დაპირებული თანხმობრივი სამხედრო მოქმედების მაგიერ სპარსეთის წინააღმდეგ პეტრე I-მა ვახტანგ მეფეს თავისი დესპანი გამოუგზავნა, რომლის პირითაც მეფეს ურჩევდა საქმე განეგრძო: თუ გაიმარჯვებ, მაშინ დიდად მოიგებ იმიტომ, რომ ურწმუნოთა ბატონობისაგან განთავისუფლდები და ჩვენგანაც იქაურ ქრისტიანებზე უფლება მოგეცემაო. რუსთა ხელმწიფე მეფე ვახტანგს თითქოს იმ ცნობით ანუგეშებდა, რომ იგი ამ საქმეს სრულებით თავს არ ანებებდა და მომავალში ამ ომისათვის კვლავ მზადებას შეუდგებოდა^[10].

მხოლოდ ამ ამბავის გაგებისთანავე შეიტყო მეფემ დაყოვნების ნამდვილი მიზეზი, რომ “თურმე ხელმწიფე აშტრახანიდან დაბრუნებულიყო” თავის ქვეყანაში^[11]. მაშინ კი დარწმუნდა ვახტანგ მეფე, რომ ლაშქრობის მოწინააღმდეგე დარბაისელნი მართალნი იყვნენ. “შეექმნა მეფეს ჭმუნვა დიდი”, მაგრამ რაღა დროს^[12].

საქმე გაცილებით უფრო ცუდად დატრიალდა, ვიდრე ომის მოწინააღმდეგე დარბაისელებს გათვალისწინებული ჰქონდათ. მათაც კი ფიქრად არ მოსვლიათ, რომ რუსთა ხელმწიფე თავის სიტყვას არ ასრულებდა და საქართველოს განრისხებულს მტრებს უმწეოდ მიუტოვებდა. სანამ პეტრე I ვახტანგ მეფეს საბედისწერო ნაბიჯს გადაადგმევინებდა, ოსმალეთი არზრუმის ფაშის პირით ვახტანგ VI მფარველობას ჰპირდებოდა^[13]. მას რომ სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის ომში მონაწილეობა არ მიეღო და რუსეთს ცხადად არ მიმხრობოდა, ოსმალეთისაგან მაინც საქართველოს განსაცდელი არ მოელოდა. მაგრამ რაკი ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი სპარსეთის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, რუსების შიშით დაიძრა და ჯერ ერევნიდან თავრიზამდის მთელი ქვეყანა დაიჭირა, ხოლო შემდეგ გამოილაშქრა თვით საქართველოს წინააღმდეგაც^[14].

მეორე მხრით, განა სპარსეთს კი შეეძლო საქართველოსთვის მისი მოქმედება ეპატიებინა? სპარსეთის შაჰს ვახტანგ მეფეზე მოახსენეს: ის იმდენად “არის მტერი შენი”, რომ “ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა” და “ამოსწყვიტა რჯულისა შენისა მოსავნიო”^[15]. საქართველო გადიდებისა და გაძლიერების მაგიერ მტრის სათარეშოდ გახდა: ქართლი აოხრდა და ოსმალებს ჩაუვარდა ხელში, ლეკებმა ხალხს ცარცვა-გლეჯა დაუწყეს. ვახტანგ მეფეს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის დაუღალავი შრომა ჰქონდა გაწეული და ქვეყნის აღმაშენებლობითი მუშაობით იყო გატაცებული, პეტრე I-ისაგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმწეოდ მიტოვებულს საქართველოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ქართლში ოსმალები გაბატონდნენ.

მაგრამ საქმე მარტო ამით არ დმთავრებულა. როდესაც პეტრე I-მა დაინახა, რომ ოსმალეთი რუსთა სამხედრო მოქმედებით სპრსეთში იმდენად განრისხებული იყო, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადებას აპირებდა, 12 ივნ. 1724 წ. სწრაფად ოსმალეთთან ზავი შეჰკრა, რომლის პირველ მუხლში რუსთა ხელმწიფემ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი მას სრულებითაც არ ეკუთვნოდა^[16]. ასე უკუღმართად დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელმწიფის მიერ აღთქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველობა. ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩათრევით და შემდეგ მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებითა და მტრისთვის გაცემით. პეტრე დიდმა ისეთი უმადურობაც კი გამოიჩინა, რომ მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული მეფე

ვახტანგისათვის შესაფერისი თავშესაფარისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენა არ ნებავდა. როდესაც ვახტანგ VI-ემ თავისი ოჯახობით აშტრახანში დასახლების ნებართვა ითხოვა, პეტრე I გარისხებული იყო: დახედეთ, უბედურების დროსაც მეფე მაინც ამპარტავნობას არ იშლისო^[17]. რუსეთის მეფის აზრით ვახტანგ VI უნდა სადმე საქართველოს საზღვრის მახლობლად დასახლებულიყო და სწორედ ასეც მოხდებოდა, აშტრახანის გუბერნატორს რომ გულუბრყვილობა არ გამოეჩინა და ხელმწიფის დაუკითხავად პეტრეს სახელით ვახტანგისათვის მისი სურვილის აღსრულება არ აღეთქვა^[18].

აღმოსავლეთ საქართველოს განსაცდელი და თეიმურაზ II და ერეკლე II ღვაწლი საქართველოს წინაშე

საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი, მტრების სათარეშოდ იქცა. ჯერ ოსმალეთი, შემდეგ ნადირშაჰის დროს სპარსელები სძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. აღმ. საქართველოს სახელმწიფოებრივი მანქანა მთლად მოშალეს, ყოველგვარი ადგილობრივი დაწესებულება მოსპეს და ჯერ ოსმალთა ფაშები, შემდეგ სპარსეთის ვეჟილები განაგებდნენ საქმეს. მხოლოდ ფრთხილი შორსგამჭვრეტელი პოლიტიკისა და დაუცხრომელი თანდათანობითი სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის წყალობით მეფე თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ და მათმა ღირსეულმა თანამშრომლებმა აღმოსავლეთი საქართველო იმ საშინელ განსაცდელს გადაარჩინეს, რომელშიაც იგი პეტრე I-ის დროს ჩავარდნილი იყო.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფით კი არ ამოიწურება, თვით იმდროინდელი ქარვთელობის ცხოვრებისა და კულტურის ვითარებაც მხოლოდ გარეგანი წესიერებისა და მშვიდობიანობის დამყარებით კი არ განისაზღვრება, არამედ თვალსაჩინო შინაგანი აღმაშენებლობაც წარმოეხდა, სახელმწიფოებრივს წესწყობილებაშიაც, ეკონომიურს სფეროშიაც, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიაც საგულისხმიერო და ცხოველმყოფელი შემოქმედება იყო.

სპარსთა და ოსმალთა გამანადგურებელი ბატონობის წყალობით გახრწნილი სახელმწიფო წესწყობილება მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს წყალობით განახლებულ იქმნა: ჯერ საგანგებო გამოკვლევების საშუალებით ქართული სახელმწიფო სამართლის სხვადასხვა სფეროები იყო შესწავლილი, ხოლო შემდეგ წყდებოდა ხოლმე საკითხი იმის შესახებ, თუ რა ცვლილება იყო საჭირო ამა თუ იმ დაწესებულებაში, რომ იმდროინდელი ცხოვრების შესაფერისი ყოფილიყო. ამგვარად გადასინჯული და შესწორებულ-შევისებული იყო ადგილობრივი მართვა-გამგეობის საკითხი (ქიზიყისა და კახეთის გარიგება), საქალაქო მმართველობისა და თვითმმართველობის ძირითადი დებულებანი (ქალაქის მოურავის სარგო და გარიგება), კვლავ განახლებული იყო საქართველოს მკვიდრთა დროგამოშვებითი აღწერა და შემოსავლის დავთრების შედგენა. ერეკლე მეფემ მორიგე ჯარის დაწესება შემოიღო და მუდმივი ჯარის არსებობას საქართველოში საძირკველი ჩაუყარა. ამავე დროს მოხდა ქართული სამართლის ძეგლების შესწავლა შინაარსის მხრივ და საკოდიფიკაციო მუშაობის პირველი საფეხური განვლილი იყო.

საქართველოს ეკონომიური და საფინანსო ძალის გამოსაცოცხლებლად და გასაღონიერებლად ერეკლე მეფემ საქართველოს მდიდარი მადნების დამუშავება

განაახლებინა, უცხოეთიდან დახელოვნებული მემადნენი დაიბარა და წინადებურად ქართული ლითონის ფულის მოჭრა დაიწყო.

საქართველოში სამეცნიერო ცოდნის გასავრცელებლად უცხო ენებიდან საუკეთესო თხზულებები ითარგმნებოდა, თანაც მეცნიერების ყოველი დარგისათვის პატარ-პატარა სახელმძღვანელოები მზადდებოდა. ამ სფეროში განსაკუთრებული ღვაწლი ანტონ კათალიკოსს მიუძღვის, რომლის ღრმა და მრავალმხრივი სამეცნიერო ცოდნა იმდენადვე გასაოცარია, როგორც მისი დაუღალავი ენერჯია და ნაყოფიერება. ბატონიშვილის **ვახუშტის** შესანიშნავი კრიტიკული მიმართულების წყალობით ქართულმა საისტორიო მწერლობამაც თვალსაჩინო წარმატება გამოიჩინა. საქართველოს ისტორიის ძველი შრომა გადასინჯული იყო და წყაროების ფაქიზი სარგებლობის მხრივ ფრიად შინაარსიანი ახალი მატთანე დაიწერა. მშვენიერია თავისი ღრმა აზროვნობითა და შორსგამჭვრეტელობით **პაპუნა ორბელიანის** ორიგინალური საისტორიო თხზულება თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის მოღვაწეობის შესახებ, რომელშიაც ასე საუცხოოდ სჩქეფს ავტორის მამულიშვილური გრძნობა და გამოსჭვივის ისტორიკოსის მიუდგომელი, ბრძენი გონება.

თვით მხატვრულს მწერლობასაც თვალსაჩინო წარმატება ემჩნევა: ძველი, უკვე დრომოჭმული ენისა და იერის მაგიერ უკვე ახალი, ხალხური პოეზიის სალაროდან მომდინარე მიმართულებისა და ენის ნიშან-წყალი ეტყობა. ამ მხრივ იგი ახალი ქართული მწერლობის წინამორბედი იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ცხოველმყოფელი შემოქმედებითი სულით იყო მონაბერი და მომავალ თვალსაჩინო აღორძინების მომასწავებელი იყო. ცხადია, რომ ამითვის მხოლოდ ხელშემწყობი, მყუდრო ცხოვრება იყო საჭირო და თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის მუდმივი საზრუნავიც სწორედ ეს იყო.

დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. ხელშეკრულებამდე

§ 1. რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომი ეკატერინე II დროს, საქართველოს ჩათრევა ამ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ და ამის შედეგი

თეიმურაზ მეფეს უნდოდა, რომ თავისი პოლიტიკური გამარჯვების შედეგი სამუდამოდ უზრუნველ ეყო. ამიტომ მან იფიქრა, რომ ორ ძლიერ მაჰმადიან სახელმწიფოს, ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ პატარა ქართველ ერს და საქართველოს ძლიერი ერთგული მფარველი მოკავშირე ესაჭიროებოდა. მას ეგონა, რომ ასეთ მფარველად სწორედ ერთმორწმუნე რუსეთი და მათი ხელმწიფეები გამოდგებოდნენ, ამიტომ 1752 წ. თეიმურაზ მეფემ რუსთა ხელმწიფეს ელისაბედ პეტრეს ასულს სვიმონ მაყაშვილი და ათანასე თბილელი ელჩად გაუგზავნა და მაჰმადიან ძლიერ მეზობლებისაგან მფარველობა და შველა სთხოვა. მაგრამ რუსეთიდან მფარველობაზე უარი მოუვიდა: რუსეთს არავითარი სურვილი არა ჰქონდა, რომ საქართველოს გულისათვის ოსმალეთს და სპარსეთს წასჩხუბებოდა. მშვიდობიანობა იყო და საქართველო მაშინ რუსეთს არ ესაჭიროებოდა^[19].

მაგრამ თექვსმეტი წლის შემდგომ, 1768 წ., როდესაც ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიედ უნდა ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო, რასაკვირველია, ძალიან გამოსადეგი იქნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა. რუსეთის სამხედრო გეგმა ისე იყო შედგენილი,

რომ ოსმალეთთან ომში ბერძნები და სლავები და საქართველოს სამეფოებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩათრეულნი^[20].

ამ გეგმის განსახორციელებლად რუსეთის დედოფალ ეკატერინე II-ის მინისტრთა უპირველესმა იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს საგანგებო მოციქულის თ. დ ხვაბულოვის (ქობულიშვილის) ხელითმოსწერა, რომ რუსეთი ოსმალეთს ეომება და ეს ომი მას სწორედ ეხლა საუკეთესო საშუალებას აძლევს დააღწიოს თავი ოსმალთა ბატონობას. ამისთვის მას ჯარი უნდა შეეყარა და თანაც ცდილიყო, რომ ამავე ომში ერეკლე მეფეც გაერია და მათ ორივეს საქართველოს შეერთებული ლაშქრობით რუსების დახმარებით ოსმალთა წინააღმდეგ ებრძოლათ^[21]. რუსეთის მინისტრთა უპირველესი დედოფლის მაგიერ ატყობინებდა, რომ ზავის შეკვრის დროს საქართველოს თავისუფლების შესახებაც ხელშეკრულებაში პირობა იქნებოდა შეტანილი^[22]. სოლომონსაცა და ერეკლე მეფესაც ეგონათ, რომ ეხლა კი ნამდვილად ეღირსებოდნენ იმ სამხედრო დახმარებას, რომელსაც საქართველო ასე დაჟინებით სთხოვდა რუსეთს. ორივემ სიხარულით ომში ჩარევის თანხმობა განაცხადეს იმ პირობით კი, რომ რუსეთიც თავის მხრივ საქართველოში საკმაო ჯარს გამოგზავნიდა^[23].

იმავე დროს, როდესაც ერეკლე მეფესთან რუსეთის ხელმწიფის ელჩი თბილისში ჩამოვიდა და ცდილობდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ომში საქართველოსაც, ვითარცა რუსეთის მოკავშირეს, მონაწილეობა მიეღო, **თბილისშივე ერეკლე მეფესთან ოსმალეთის დესპანები იმყოფებოდნენ, რომელნიც თავისი მთავრობის პირით მხოლოდ იმას სთხოვდნენ, რომ ამ ომში საქართველო არ ჩარეულიყო.** ერეკლე მეფემ ოსმალეთის ელჩები უპასუხოდ გაისტუმრა და უყოყმანოდ რუსეთს მიემხრო^[24].

რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგოდ სამხედრო მოქმედებისათვის გენ. **გრაფი ტოტლებენი გამოგზავნა ერთი ქვეითი პოლკით, 2 ასეული ცხენოსანი კარაბინერებით, 2 ასეული ცხ. გუსარებით, 200 დონის ყაზახით, 300 ყალმუხით და 1 საველე ზარბაზნით**^[25].

1770 წ. ერეკლე მეფე საქართველოს ჯარითურთ და ტოტლებენი რუსის ჯარითურთ ახალციხის საფაშოს შეესივნენ და აწყურის ციხეს მიადგნენ. სამი დღის ბრძოლის შემდგომ რუსეთის ჯარის უფროსმა მოულოდნელად ბრძოლის ველს და აღმ. საქართველოს ჯარს თავი მიაჩნება და მთელი თავისი ლაშქრითურთ უკან გაბრუნდა^[26].

თავზარდამცემი იყო რუსეთის მხედრობის უფროსის ეს დალატის მსგავსი საქციელი და ამიტომ “მეფე ირაკლი მრავალს ეხვეწნა” ტოტლებენს, მაგრამ “მან არა უსმინა”^[27]. ამგვარად, რუსეთისავე წყალობით და რუსთა გულისთვის ოსმალეთთან ომში ჩათრეული აღმოს. საქართველო რუსეთის ჯარის სარდლის მიერვე მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე მუხანათურად მარტოდ-მარტოდ იყო დატოვებული. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამ უაღრესი განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაფრივ აუცილებელი განადგურებისაგან: მცირე ლაშქრითურთ მან სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ, შემდეგ **ს. ასპინძასთან** საშინლად დაამარცხა და მთლად მოსპო^[28].

რუსთა ჯარის მიერ ვერაგულად მიტოვებულსაც მოსვენებას არ აძლევდა ერეკლე მეფეს რუსეთის “მინისტრად წარმოვლენილი” ლვოვი და ოსმალეთის წინააღმდეგ სხვადასხვა საბუთებით საომრად აქეზებდა. სწორედ “ამის რჩევით” მეფე

ერეკლე 1771 წ. კვლავ ახალციხის საფაშოს შეესია და ხერთვისის ციხე და ქალაქი აიღო, მაგრამ, როდესაც ციხეში თავისი მეციხოვნენი შეაყენა, რუსეთის წარმომადგენელმა ამას წინააღმდეგობა გაუწია იმიტომ, რაკი ოსმალთა დიდი ჯარის მოსვლისა ემინოდა, რომ მოვიდნენ და “ძალად აგართვეან სირცხვილი არისო”^[29].

მეორედაც 1772 წ. ლვოვმა კიდევ იმდენი მოახერხა, რომ ერეკლე მეფეს ჩააგონა “ერთხელ კვლად დაჰკარ ხვანთქრის მამულსაო” და მანაც სოლომონ მეფეც მოიძხრო და შეერთებულის ლაშქრით ჯერ ჯავახეთის ახალქალაქს გარსშემოერთყნენ და, სოლომონ მეფე საოფლით რომ არ გამხდარიყო ავად, აიღებდნენ კიდევ. შემდეგ როდესაც ამ მოარულის გამო აქედან აიყარნენ, მოარბიეს ახალციხის, არტაანის და ჯავახეთის ოლქები^[30].

ორივე შემთხვევა სრულებით ცხადჰყოფს, რომ რუსეთის წარმომადგენელს თავისი მთავრობის გეგმისაებრ საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწა-წყლის დაჭერა კი არ მიაჩნდა, არამედ უმთავრესად შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა ამის გამო იძულებული ყოფილიყო აქ საკმაო ჯარი დაეხანდებინა.

როდესაც ტოტლებენი რუსის ჯარითურთ დასავლეთს საქართველოში გადავიდა, იქ იგი სოლომონ მეფეს, ქართულ ლაშქარს შეუერთდა. შეერთებული ძალით ოსმალები შორაპნისა, ბაღდადისა და ქუთაისის ციხეებიდან განდევნილ იქმნენ^[31]. შემდეგ ფოთის ციხე უნდა წაერთმიათ თურქებისათვის, მაგრამ ვერც ტოტლებენმა და ვერც მის მაგიერ დანიშნულმა გენ. სუხოტინმა ჯარის სიმცირის გამო ფოთის აღება ვერ მოახერხეს.

1771 წ. რუსეთის ჯარმა ჯერ ფოთს თავი მიანება, მერმე დასავლეთი საქართველოც სრულებით მიატოვა და აღმ. საქართველოში გადავიდა სადგომად, ხოლო 1772 წ. რუსეთის დედოფალმა “წარასხნა მხედრობა თვისი მიზეზითა ამით, რომელ ზავ-ჰყო ხონთქრისა თანა”^[32].

ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო რუსეთის წყალობით ოსმალეთთან ომში ჩაბმული საქართველო, როდესაც ეკატერინე II-ის ბრძანებით რუსეთის მცირერიცხოვანმა ჯარმაც კი საქართველო მიატოვა! თვით ხონთქარი ხომ, რასაკვირველია, საქართველოზე განრისხებული იყო და რაკი “განძვინდა მეფის ირაკლის ზედა”, მას არც ფული, არც ჯარები დაუზოგავს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ომში ჩარევისათვის სამაგიერო გადაეხადა. ოსმალებმა ფულით ლეკებიც საქართველოზე აამხედრეს და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაღესტნელნი, სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალები ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ და აოხრებდნენ^[33].

მეორე მხრით არც სპარსეთს მოსწონებია საქართველოსაგან რუსეთის ცხადი მომხრეობა და სამხედრო მოკავშირეობა. რუსეთის სწრაფს გამლიერებას და გადიდებას იგი შიშის თვალთ შეჰყურებდა და, რასაკვირველია, როდესაც სპარსეთის შაჰის მოადგილემ ქერიმხანმა ”სცნა მეფის ირაკლისაგან რუსეთის იმპერიასა საფარველსა ქვეშე შესვლა, განძვინდა ამისთვის” და საქართველოს წინააღმდეგ ჯარითურთ წამოვიდა^[34].

აი რა მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის მთავრობამ საქართველო თავის სამხედრო გამარჯვების გულისათვის.

ადვილი არ იყო ამგვარი, ორპირ მოვლენილი, განსაცდელისაგან თავის დაღწევა. როდესაც ერეკლე მეფემ ქერიმხანის გამოლაშქრების ამბავი შეიტყო, “არა მცირედ მწუხარე იქმნა, ვინადგან იმედუღმან რუსეთისა მფარველობისამან არა

რიდა ბრძოლად ხვანთქრისა და არცა-ღა ჰმორჩილებდა მოადგილესა ყაენისასა და ამჟამად დაშორებული იყო მფარველობა რუსეთისა”^[35].

რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ოსმალეთის ომის საფრთხე ზავის გამო უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ საქართველოსაც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და დანაპირები მფარველობის გაწევა თითქოს დაავიწყდა კიდეც. სხვა საშუალება აღარ იყო, საქართველოს ისევ თავისი საკუთარი ძალით და გამჭრიახობით უნდა მოეწყო მლიერ მეზობლებთან ასე მოუფიქრებლივ გაფუჭებული დამოკიდებულება.

§ 2. აღმ. საქართველოს მდგომარეობა 1773 – 1783 წწ. ერეკლე II დამოუკიდებელი პოლიტიკის წყალობით

თავისი დიდი დიპლომატიური ნიჭის წყალობით ერეკლე მეფემ დესპანების პირით როგორც იყო დაამშვიდა ქერიმხანი და სპარსეთის მხრით განსაცდელი საქართველოს თავიდან ააცდინა^[36].

ოსმალეთის წინააღმდეგ ერეკლე მეფეცა და სოლომონიც სამხედრო ძალით იბრძოდნენ და სწრაფი, ყოველთვის საუცხოოდ მოფიქრებული სამხედრო მოქმედების წყალობით ერეკლემ ისე შეაწუხა ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის საფაშოები, რომ სულტანი იძულებული იყო სპარსეთის მბრძანებელისათვის დახმარება ეთხოვა, რომ მას ოსმალეთი საქართველოს მეფის თავდასხმისაგან განეთავისუფლებინა. ქერიმხანის თხოვნით ერეკლე II-მ ზავი ჩამოაგდო ოსმალეთის სულტანთან, რომლისგანაც ძვირფასი საჩუქრები და ტყვეობიდან განთავისუფლებული ქართველები მოუვიდნენ^[37].

ერეკლე მეფე კვლავ მარტო თავისი ქვეყნის ძალით შეუდგა საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას და ზოგან მოხერხებული დიპლომატიური მოლაპარაკებითა და ჩაგონებით, ზოგან თავისი პირადი სამხედრო ნიჭითა და ქართველი ჯარის მამაცობით, მან არამც თუ მშვიდობიანი დამოკიდებულება ჩამოაგდო მეზობლებთან, არამედ ზოგი მათგანი ისევ ყმად ნაფიცად გაიხადა. ერეკლესაგან განჯის ხანად დადგენილი შუშის ხანი მისი უერთგულესი მოხარკე იყო ისე, რომ ყოველწლიური გადასახადის გარდა თვით განჯაში საქართველოს მეფეც თავის წარმომადგენელს ნიშნავდა^[38], ისე რომ “ერთი ამის (შუშის ხანის) კაცი და ერთი მეფის ირაკლისა განაგებდნენ ქალაქსა განჯისასა”^[39]. თუმცა 1780 წ. ერევნის ხანმა ასან ალიხანმა ურჩობა გაბედა და ხარკის მოცემა აღარ ჰსურდა, მაგრამ მეფე ერეკლემ მის წინააღმდეგ გაილაშქრა და იგი დაემორჩილა: “ევედრა ერევნის ხანი და დაიდვა ვიდრე ოთხიათას თუმნამდე გარდაკვეთით” ყოველწლიურ ხარკად^[40]. ამას გარდა საქართველოს მეფემ ერევნის ხანს “განუწესა მოურავიცა თვისი მუხრანის ბატონი”. ამის შემდგომ არც ასან ალიხანს, არც მის შვილს საქართველოსთვის აღარ უღალატიათ, მოცემულს ფიცს და პირობას ერთგულად ასრულებდნენ^[41]. ამას გარდა რომ “დამორჩილებულ იყვნენ ირაკლისადმი განჯა, ყარაბაღი” და ერევნის ხანი, მან ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ “ყოველი ადრიბეჯანის (sic) ხანები დაემორჩილნენ მეფესა ირაკლის და მონათვეს ელჩნი დაფეშქაშნი ძვირფასნი თავრიზის ხანისაგან, ხოის ხანისა, ურუმის ხანის, შაყაყის ხანისა, ბაიაზეთის ფაშისა და ყარსის ფაშისაგან”. დასასრულ, “მრავალთა ქურთთა მეპატრონემ” შამადინადამ “მისცა თავი თვისი ყმად” საქართველოს და “შორაგალის სულტანიც ერეკლე მეფეს “მოერთვა ყმად”^[42].

1783 წ. ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის

§ 1. მისი წარმოშობის ისტორია.

ამ თვალსაჩინო პოლიტიკური გამარჯვებისდა მიუხედავად ერეკლე მეფეს საქართველოს ბედი და თავისი თავი მთლად უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. მას განსაკუთრებით ოსმალეთის გავლენა აფიქრებდა დაღესტანზე და ის ტახტის მამიებელიც, რომელიც რუსეთიდან ჩამოვიდა და სახელმწიფოს მყუდროების დარღვევას და გამეფებას ცდილობდა. თუმცა ამ ტახტის მამიებლის წადილი უნაყოფო გამოდგა, მაგრამ რაკი ოსმალეთის მთავრობა თავისი მიზნებისათვის დაღესტანს ფულის საშუალებით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებდა ხოლმე და არც სპარსეთის შაჰი შეჰყურებდა ერეკლე მეფეს მოწყალი თვალთ, ამის გამო მას მომავალი საკმაოდ უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. ერეკლე მეფე გრძნობდა, რომ მტრებისაგან თავდაცვისთვის საქართველოსათვის მუდმივი ჯარია აუცილებლად საჭირო. ამის შესანახად კი ფული მას საკმაოდ არ ჰქონდა. ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება ამ გაწეულ ხარჯს აინაზღაურებდა და მხოლოდ დროებითი დახმარება ესაჭიროებოდა.

ამ თავისი გეგმის განსახორციელებლად მან ჯერ დასავლეთ ევროპას მიჰმართა თხოვნით. 1781 წელს ერეკლე მეფემ რომის იმპერატორს იოსებ II-ს წერილი მისწერა, რომელშიც სესხსა სთხოვდა საქართველოსა და ქრისტიანობის გადასარჩენად მტრებისაგან. მაგრამ მეფის ელჩი გზაში მოკვდა. ამის გამო 1782 წ. ამგვარივე თხოვნა ხელმეორედ გაგზავნა და თანაც თავის მხრივ ჰპირდებოდა რომ, თუ იმპერატორი სესხს მისცემდა, ოსმალეთის ომის დროს იმპერატორსა და გერმანიასთან საქართველო მთელი თავისი ძალდონით თურქების წინააღმდეგ იმოქმედებდა. გამოურკვეველი მიზეზების გამო მეფე ერეკლეს არც ამის პასუხი მოსვლია^[43].

რუსეთს კი უკვე 1778 წლიდან მოყოლებული საიდუმლო გეგმა ჰქონდა სპარსეთის შესახებ და ამის სამზადისში იყო^[44]. ამ გეგმის ფარული მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა კასპის ზღვაში ასტარაბადის ყურის პირდაპირ მდებარე კუნძული დაეჭირა და რუსთა ახალშენი, წინასწარ “მელიტონისად”, ე. ი. ფუტკართ კუნძულად წოდებული, დაეარსებინა აქედან რუსეთის ვაჭრობის გასავრცელებლად თვით აღმოსავლეთ ინდოეთამდის^[45]. მწარე გამოცდილებამ რუსეთის მთავრობა დაარწმუნა, რომ სპარსეთში მარტო კასპიის ზღვიდან მტკიცედ ფეხის მოკიდება შეუძლებელი იყო. ამისთვის სხვა გზაც იყო საჭირო.

ერეკლე მეფესთან საქართველოში გერმანელი მოგზაური დოქტორი რაინეგსი, ცხოვრობდა, რომელმაც ვითარცა აღმოსავლეთში ნამყოფმა კაცმა, ადგილობრივი ენებიც კარგად იცოდა. სხვათა შორის ქართულიც შეისწავლა და ერეკლე მეფესთან დაახლოებული იყო. რუსეთის სახელმწიფოს მხედართმთავარმა, ფელდმარშალმა თავადმა პოტიომკინმა ეს რაინეგსი საქართველოდან თავისთან დაიბარა და 1782 წ. შემოდგომას ისევ საქართველოშივე გამოისტუმრა, მაგრამ ეხლა უკვე ვითარცა რუსეთის წარმომადგენელი ერეკლე მეფისა და სოლომონ მეფის წინაშე. მას საგანგებოდ დავალებული ჰქონდა, ერეკლე მეფისათვის ჩაეგონებინა, რომ მას რუსეთის თვითმპყრობელისაგან მფარველობა ეთხოვა ფორმალურად^[46].

ამ დროს პატარა საქართველო და მისი გმირი, ნიჭიერი მეფე, განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველ მხრივ მოწყვეტილი იყო. საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რომ ამაო იყო ყოველივე მისი ცდა ევროპის სახელმწიფოებამდის ხმის მისაწვდენად, რომ მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ იქიდან დახმარების მოლოდინი ტყუილი ოცნება იქნებოდა. ასეთს გარემოებაში

ერეკლე მეფე და საქართველოს მთავრობა რაინეგსის რჩევას, რომელიც, როგორც ეხლა ირკვევა, თვით რუსეთის მთავრობის მიერ დავალებული საიდუმლო მინდობილობით ყოფილა, რასაკვირველია სიამოვნებით შეიწყნარებდა. რუსეთის მეტი მომშველელი მაშინ მათ აღარავინ ეგულებოდათ და ისევ ამ ძლიერს ჩრდილოეთის სახელმწიფოს მიჰმართეს.

ოფიციალური თხოვნა გაიგზავნა რუსეთში.

რუსეთის მთავრობას ძალიან ეამა ეს ამბავი. ეკატერინე II-ეც ამ საქმისგან რუსეთისათვის დიდს სარგებლობას მოელოდა^[47]. 24 ივლისს 1783 წ. აღმ. საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

§ 2. 1783 წ. ხელშეკრულების შინაარსი და მის მიერ დამყარებული უფლებრივი დამოკიდებულება

ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია უფლებრივი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის. მეექვსე მუხლში, სახელდობრ, ნათქვამია, რომ “მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ქართლისა, კახეთისა (ქართლ-კახეთისა) და საქართველოს სამეფოებზე უზენაესის ხელმწიფეობისა (верховная власть) და მფარველობის კეთილმოსურნეობით მიმღები თავისი და თავის შთამომავლობის სახელით აღთქმასა სდებს: 1) რომ ამ სამეფოთა ერნი მის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში ჩასთვალოს და, მამასადამე, მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს”.

ამისდა მიხედვით რუსეთის ხელმწიფე თავის და თავისი შთამომავლობის სახელით “უზაკველის აღთქმით” აღთქმასა სდებს, რომ “მოწყალეობა და მფარველობა მათი ქართლისა და კახეთის (ქართლ-კახეთის) მეფეებს არას დროს არ ჩამოშორდებათ” (§ 2). საქართველოს მეფეთა უფლება მემკვიდრეობით გადადიოდა და რუსეთის ხელმწიფე აღთქმასა სდებდა, რომ ერეკლე მეფე და მისი შთამომავლობა მუდამ, განუწყვეტლივ სამეფო უფლებით მოსილი იქმნებიან (§ 62). საქართველოს სამეფო ტახტზე მისი მეფეები მემკვიდრეობის ძალით ადიან. დამოკიდებულება რუსეთის ხელმწიფესა და საქართველოს მეფეს შორის ამ მხრივ მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ მემკვიდრეობის უფლებით საქართველოს ტახტზე ახლად ასულს მეფეს უმაღლეს ამბავი უნდა რუსეთის ხელმწიფისათვის ეცნობებინა და თავისი დესპანის პირით საინვესტიტურო სიგელით და სამეფო ნიშნების გამოგზავნით დამტკიცება ეთხოვა. ამის მიღებისათანავე მეფეს უნდა რუსეთის მინისტრის თანდასწრებით რუსეთის სახელმწიფოს ერთგულებისა და გულმოდგინებისა, ხოლო სრულიად რუსეთის ხელმწიფეების უზენაესი ხელმწიფეობისა (верховой власти) და მფარველობის ცნობის აღთქმა დაედვა (§ 3).

სამეფოს შინაური საქმეების მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და უზენაეს მართლმსაჯულებაში, გადასახადების დაწესებასა და აკრეფაში საქართველოს მეფე სრულიად დამოუკიდებელი იყო (§ 63).

თვით რუსეთის ხელმწიფის კარზე საქართველოს მეფეს თავისი მინისტრი, ანუ რეზიდენტი ჰყავდა და რუსეთის ხელმწიფესაც თავის მხრივ საქართველოს სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენელი მინისტრი, ანუ რეზიდენტი იმყოფებოდა (§ 5). საქართველოს მეფეს საერთაშორისო დამოკიდებულების უფლებაც ჰქონდა, მხოლოდ იმ მხრივ შეზღუდული, რომ ამ ურთიერთობისათვის რუსეთის მინისტრ-რეზიდენტსა და მონაპირეთა მთავართან წინასწარი შეთანხმება იყო საჭირო. სხვა

სახელმწიფოების დესპანებისათვის, ან მიღებული წერილების გასაცემ პასუხის შესახებაც რუსეთის იმავე წარმომადგენლებთან თათბირი უნდა ჰქონოდა (§ 4).

ამ ხელშეკრულების მიზანი საქართველოსთვის იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მიწაწყლისა, მეზობლებისა და მტრებისაგან დაცვა-დახმარებას კისრულობდა. ამისთვის მას ქართული ლაშქრისათვის მისაშველებლად აღმოსავლეთ საქართველოში 2 სრული ბატალიონი ქვეითობა, ოთხი ზარბაზნითურთ უნდა ჰყოლოდა (ცალკე არტიკ. § 2). ეს მუხლი აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ მაშინდელი საზღვრების ხელშეუხებლობას ეხებოდა.

მაგრამ ერეკლე მეფეს მარტო ამისთვის არ დაუდგია ეს ხელშეკრულება: მას უფრო ფართო და შორსგამჭვრეტელი მიზანი ჰქონდა დასახული: ქართველობის გაერთიანებასა და სრულიად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდა. ამიტომ ამ ხელშეკრულებაში მან განსაკუთრებულ მე-4-ე არტიკულად შეატანინა, რომ რუსეთის ხელმწიფე აღთქმას სდებდა ომის დროს იარაღის საშუალებით, ხოლო მშვიდობიანობის დროს თავგამოდებით ყოველგვარად ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაუბრუნდნენ და მის სამფლობელოდ დარჩნენ ყველა ის ადგილები, რომელნიც მას ძველიდანვე ეკუთვნოდნენ. ამასთანავე რუსეთის ხელმწიფეები აღთქმას სდებდნენ, რომ საქართველოს ამ ახლად დაბრუნებული და შემოერთებული ქვეყნების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის თავდებობასაც კისრულობდნენ (არტიკ. 2).

თავის მხრივ საქართველოს მოვალეობად ჰქონდა, რუსეთის სახელმწიფოს მიხმარებოდა და რუსეთის ქვეშევრდომებისადმი საქართველოში განსაკუთრებული მფარველობა გამოეჩინა (არტიკ. 7). მაგრამ, ცხადია, ამით არ განისაზღვრებოდა ის სარგებლობა, რომლიც ამ ხელშეკრულებას რუსეთისთვის უნდა მოეტანა. რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით იმ იდუმალ დიდ სარგებლობაზე ოცნებობდა, რომელსაც ასეთი წინასწარი სიამოვნებით მოელოდა ეკატერინე II.

თავდაპირველად ისე იყო გადაწყვეტილი, რომ 1783 წ. ხელშეკრულება უნდა მთელ, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთან ყოფილიყო დადებული და ამ ხელშეკრულების შავად დაწერილი დედანი სწორედ ასეც არის შედგენილი: ყველგან იქ ერეკლე მეფის სახელის გვერდით და ქართლ-კახეთის სამეფოს მოხსენების დროს დამატებულია “იმერეთის მეფე სოლომონ”, ან “იმერეთის სამეფო”^[48]. თვით სოლომონ მეფეც მოწადინებული იყო, რომ ეს ხელშეკრულება მასთანაც ყოფილიყო დადებული. მაგრამ რუსეთის მთავრობას ოსმალეთისა ეშინოდა, რომლისგანაც რუსეთის თანხმობით დასავლეთი საქართველო ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებისდა მიხედვით ერთგვარს დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. სოლომონ მეფესთან და დასავლეთ საქართველოსთან ამგვარივე ხელშეკრულების დადება გადაწყვეტილი იყო მაშინვე, როცა კი ამისათვის ხელშემწყობი გარემოება იქნებოდა^[49].

რა თვისების საერთაშორისო დამოკიდებულება მყარდებოდა 1783 წ. ხელშეკრულებით აღმ. საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის? ამის შესახებ მკვლევართა შორის სრული თანხმობა არ არის.

ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ცნობილი პროფესორი ერნესტ ნიუსი (Ernest Nys) იმ აზრისაა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წ. მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულება იყო დადებული. იგი ამბობს: “C’était un traité d’amitié et d’alliance où se trouvaient les formules les plus expressives du respect que le gouvernement russe prétendait manifester pur les droits des Géorgiens”.

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ფონ ლისცტის სიტყვით კი ეს ხელშეკრულება რუსეთის პროტექტორატს და სუვერენობას ამყარებდა საქართველოზე, რომელიც შინაურ მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და საეკლესიო სფეროში თუმცა სრულებით დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც მის ვასალურ სახელმწიფოდ ხდებოდა. თითქმის იგივე აზრი გამოთქმული აქვს **ზ. ავალიშვილსაც** თავის წიგნში «Присоединение Грузии к России». მას აღნიშნული აქვს, რომ ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. ხელშეკრულების ძალით შეიქმნა, არც ვასალურ დამოკიდებულებას წარმოადგენს, არც პროტექტორატს, მფარველობას, არამედ ერთსადაიმავე დროს მფარველობაც, პროტექტორატიც იყო და ვასალური დამოკიდებულებაც^[50].

მ. ხელთუფლიშვილის აზრით 1783 წ. რუსეთს საქართველოს მიმართ წმინდა პროტექტორატის უფლება და მხოლოდ მფარველობა მიენიჭა^[51].

ასეთი აზრთა სხვადასხვაობა იმ გარემოებით აიხსნება, რომ ხელშეკრულება ყოველმხრივ სრულს იურიდიულს ნაწარმოებს არ წარმოადგენს და იქიდან თანამედროვე საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით თითოეული ზემომოყვანილი შეხედულების გასამართლებლად საბუთის მოყვანა შეიძლება.

მაგრამ წარსულის საკითხების დაფასება, თუნდაც ეს საკითხი სამართლის მეცნიერების სფეროს ეხებოდეს, თანამედროვე სამეცნიერო ნორმების მიხედვით კი არ შეიძლება, არამედ ამისთანა შემთხვევებში ისტორიული თვალსაზრისი აუცილებელი და ერთადერთი უტყუარი გზა არის. თუ გამორკვეული იქმნება რა თვისების დამოკიდებულების დამყარება სურდათ საქართველოს და რუსეთის მთავრობებს, როდესაც 1783 წ. ხელშეკრულებას სდებდნენ, და თანაც გვეცოდინება, თუ რა სახელს უწოდებდნენ იმდროინდელი ქართველები და რუსები ამ დამყარებულ საერთაშორისო დამოკიდებულებას, მაშინ თვით საკითხიც არსებითად გამორკვეული იქნება.

ზემოთქმულიდან უკვე ცხადია, რომ საქართველო რუსეთისაგან დახმარებას და “მფარველობას” ითხოვდა. იმ სრულწმუნებულების ქაღალდში, რომლითაც მეფე ერეკლემ თავის დესპანებს ხელშეკრულების დადება მიანდო, ნათქვამია, რომ ისინი უნდა ცდილიყვნენ აღმოს. საქართველოს მეფეების “მიღებისათვის... მფარველობასა ქვეშე იმისის იმპერატორებითის დიდებულებისასა”^[52]. თვით რაინეგსსაც რუსეთის მთავრობისაგან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სწორედ ისეთი მინდობილობა ჰქონდა, რომ ერეკლე მეფისათვის რუსეთისაგან მფარველობის თხოვნა ერჩია. რუსეთის იმდროინდელი ელჩი საქართველოში იმ დამოკიდებულებას, რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების ძალით დამყარდა, “მფარველობას” “მფარველობით უფლებას?” (“покровительство” «покровительствующая власть России») უწოდებს^[53]. მას აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს მეფეები “ყოველთვის ერთმორწმუნეობის გამო **დახმარებას და მფარველობას**” ეძებდნენ სრულიად რუსეთის ხელმწიფეებისაგან^[54].

უფრო დიდმნიშვნელოვანია ის საბუთი, რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების შედგენის დროს ოფიციალურად თვით რუსეთის დედოფლის ეკატერინე II-ის ბრძანებით სახელმძღვანელოდ იყო დაწერილი. ამ საბუთებს სათაურად აქვს «Высочайше указанные основания для заключения Русско-Грузинского Трактата».

იქ სრულებით გარკვევით ნათქვამია, თუ რა თვისების ხელშეკრულება უნდა დადებულყო და რაგვარი უფლებრივი დამოკიდებულება უნდა დამყარებულიყო ამ ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობის სურვილისაებრ საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ საბუთში სწერია: «Мнение Ее Величества было... заключить с Грузинскими

Царями **союзный трактат**, не именуя их поданными, но союзниками от Империи Всероссийской покровительствуемыми»^[55] - “მისი უდიდებულესობის აზრი იყო, რომ ქართველ მეფეებთან (ე. ი. ერეკლე II-სთან და სოლომონთან) დადებულიყო მოკავშირეობის ხელშეკრულება ისე, რომ ისინი ქვეშევრდომებად კი არა, სრულიად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე მყოფ მოკავშირეებად ყოფილიყვნენ წოდებულნი”.

ამაზე მკაფიოდ წადილისა და აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

საკმარისია 1783 წ. ხელშეკრულება გადაიკითხოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, თუ როგორის სისწორით აუსრულებიათ რუსეთის დედოფლის ეკატერინე II-ის ზემომომყვანილი დავალება: არსად მართლაც საქართველოს მეფის და ქართველ მოქალაქეთა შესახებ რუსეთის ქვეშევრდომობის ხსენებაც არ არის. სამაგიეროდ ისევე, როგორც თვით რუსეთის ხელმწიფესაც სურდა, იქ ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე პირადადაც და თავის შთამომავლობის მაგიერადაც აღთქმასა სდებს საქართველო-რუსეთის სახელმწიფოსთან “**მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში მყოფად ჩასთვალოს**” და მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს.

მეორე მხრით, ისიც ფრიად საყურადღებოა, თუ როგორ უყურებდა ერეკლე მეფე ამ ხელშეკრულებას და რანაირ დამოკიდებულებად სთვლიდა იმ მდგომარეობას, რომელიც ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიქმნა? როგორც ქვევით თავის ადგილას აღნიშნული იქნება, ერეკლე II-მ ვითარცა სრულიად საქართველოს უზენაესმა მეფემ დასავლეთ საქართველოს მეფისა და მთავართა თხოვნით იკისრა მათთვისაც ისეთი უფლებრივი დამოკიდებულება მოეპოვა რუსეთთან, როგორიც თვით მას ჰქონდა 1783 წ. ხელშეკრულების ძალით. ამის შესახებ ერეკლე მეფის წერილობითი განცხადებაა შენახული და სწორედ ამ საბუთიდან ნათლად ჩანს მისი აზრი რუსეთ-საქართველოს შორის მყოფ უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ. მას ნათქვამი აქვს: ვკისრულობ “შუამდგომლობითა ჩემითა მოგიპოვოთ **მფარველობა და კავშირი უზენაესი საიმპერატორო მთავრობისა**”-ო^[56]. ხოლო იქ, სადაც იმერეთის მეფე, სამეგრელოს მთავარი და გურიელი თავის მხრითაც აღთქმას უდებენ რომ, ამ ფარგლებში რასაც კი ერეკლე მეფე გაარიგებდა, უთუოდ შეიწყნარებდნენ, მათ ნათქვამი აქვთ: “უზენაესი საიმპერატორო მთავრობის **მფარველობა და კავშირი** თქვენის უმაღლესობით ჩვენდა სასარგებლოდ მოპოვებული მოვალე ვარ მივიღო”-ო^[57]. ამგვარად, სრულებით ცხადია, რომ ერეკლე მეფეც, სოლომონ მეფეც და მთავრებიც ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს რუსეთთან ჰქონდა მხოლოდ “მფარველობა და კავშირი”.

მაშასადამე, 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს “**მფარველობითი მოკავშირეობის**” ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი ავუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ.

§ 3. 1783 წ. ხელშეკრულების შედეგი

1783 წ. ხელშეკრულების შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება,

რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა. ხელშეკრულების თანახმად საქართველოში 2 ბატალიონი რუსის ჯარი მოვიდა. სამაგიეროდ შეექმნათ “შიშნეულობა მხედრობის გამო რუსეთისა” აზერბაიჯანის ხანებს, რომელთაც წინათ, როგორც აღნიშნული იყო, მეფე ერეკლესთან კარგი განწყობილება ჰქონდათ. მათ სადი ალლოთი იგრძნეს, რომ საქმე მარტო საქართველოს მფარველობით არ გათავდებოდა და ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მათი “დაპყრობა ძალითა როსიის მხედრობისათა”. ამ მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე აზერბაიჯანის ხანებმა ერთიერთმანეთის მტრობა დაივიწყეს და შეექმნათ ერთიერთმანეთისადმი “დაფარვით დინ-თასლიბისა თანხმობა”^[58].

არაფრად მოეწონათ საქართველოს რუსეთთან დაკავშირება ოსმალებს და ახალციხის ფაშას სულიემანსაც. წინათ მასაც ერეკლე მეფესთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, 1783 წ. ხელშეკრულებამ ისიც დააფრთხო და საქართველოს მეფის მტრად აქცია^[59]. ოსმალეთმა თავის ჩვეულებრივ ხერხს მიმართა და ფულით დაღესტანიც აამხედრა საქართველოს წინააღმდეგ^[60]. “სულიემან ფაშამ მოუწოდა დაღესტნის ომარ-ხანს, ხუნძახის ბატონს”, და ისიც 30000 ჯარით კახეთს შემოესია^[61].

თვით ერეკლე მეფის უერთგულესი ყმად-ნაფიცი და მეგობარი შუშის ხანიც კი რუსების შიშით საქართველოს მეფეს გადუდგა და გადაემტერა. მისი ჩაგონებით განჯელებმა ერეკლე მეფის მიერ დანიშნული განჯის გამგე გამოაძევეს^[62] ყაზახისა, შამშადილისა და შამქორის ელებიც, რომელთაგან საქართველოს 6000-მდე საუკეთესო ცხენოსანი მებრძოლი ემატებოდა ხოლმე, ამავე პოლიტიკური მიზეზის გამო შუშის ხანს მიემხრნენ და მტრობა დაიწყეს^[63].

დაღესტნელების შემოსევა რომ უკუეჭვია, ერეკლე მეფემ სექტ. 1787 წ. ქართული და რუსული მხედრობითურთ განჯის წინააღმდეგ გაილაშქრა. სრული გამარჯვება იყო მოსალოდნელი, რომელსაც ერეკლე მეფის წინანდელი სახელი უნდა აღედგინა, მაგრამ სრულებით მოულოდნელად რუსის ჯარის უფროსს მინისტრ-რეზიდენტს ბურნაშევს პოტიომკინისაგან საქართველოდან დაბრუნების შესახებ ბრძანება მოუვიდა. მან განუცხადა მეფეს, რომ “დღესვე უნდა გავბრუნდეთ” და რამდენი არ სთხოვა ერეკლემ, რომ ლაშქრობის დამთავრებამდის მაინც მოეცადა, არ დარჩა; საჩქაროდ აიყარა და გამობრუნდა თბილისისაკენ. ხოლო იქიდან რუსეთში გაემგზავრა მთელი ჯარით^[64].

1783 წ. ხელშეკრულების წყალობით საქართველო გაძლიერების და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფის მაგიერ სამის მხრით მტრებით შემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი ერთგული მოკავშირენი იყვნენ. თვით ერეკლე მეფეც და მმართველი წრეები ხედავდნენ, რომ ამ პოლიტიკური ნაბიჯის გამოსობით საქართველო ისეთს საშინელს განსაცდელში ჩავარდა, რომლის მსგავსში შაჰ-აბაზის შემდგომ არ ყოფილა^[65].

ოსმალეთმა ახალციხის ფაშის პირით ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ოღონდ ის რუსეთს ჩამოშორებოდა და რუსის ჯარი საქართველოდან გაესტუმრებინა, და არამც თუ წინანდელი კეთილმეზობლური დამოკიდებულება საქართველოსთან აღდგენილი იქნებოდა, არამედ გაცილებით უფრო მეტს სარგებლობასაც პირდებოდა. ერეკლე მეფემ უარი შეუთვალა. ამის გამო 1786 წ. თურქები ფოთისა და ბათუმის გამაგრებას შეუდგნენ. 12000 დაღესტნელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მათ მიერ ნაქირავები.

ერეკლე მეფე რწმუნდებოდა, რომ რუსეთის დახმარება და მფარველობა იმდენად მცირედი (სულ 1800 ჯარის კაცი) იყო, რომ ის ვერაფერს უშველიდა. ამიტომ, რომ ქვეყანა მოსალოდნელი შემოსევისაგან და ოსმალეთის გულისწყრომისაგან ეხსნა, იძულებული იყო ახალციხის ფაშისათვის დაზავების პირობად აღეთქვა, რომ ის მეტს რუსის ჯარს საქართველოში აღარ შემოიყვანდა. მაგრამ ოსმალეთმა ეს საკმარისად არ დაინახა და ამ დაპირების ასრულების საწინდრად 12 საუკეთესო თავადთა საგვარეულოდან ორ-ორი წარმომადგენელი ამანათად მოითხოვა. ერეკლე მეფე იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ იძულებული გახდა 1787 წ. ივნისში ეს მძიმე და დამამცირებელი მოთხოვნა აღსრულებინა^[66].

რუსეთმა თავისი ჯარი საქართველოდან იმიტომ გაიყვანა, რომ იძულებული იყო ოსმალეთთან ომში ჩაბმულიყო. ერთ-ერთ მიზეზად, რომელმაც ოსმალეთი რუსეთის მტრად აქცია და ომი გამოიწვია, რუსეთის საქართველოში მფარველის სახით შემოსვლა იყო. 15 ივლისს 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთის დესპანს გადაჭრით მოსთხოვა, რომ მას საქართველოსთვის თავი დაენებებინა და ამ ქვეყნისა და სახელმწიფოს საქმეებში აღარ გარეულიყო. მალე ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყო კიდევ, ხოლო 7 ენკ. 1787 წ. რუსეთმაც ოსმალეთს ომი გამოუცხადა^[67].

ასეთ პირობებში იმ მცირედი ჯარის გაყვანის მაგიერ, რუსეთისგან, ვითარცა მფარველის მხრივ, სრულებით ბუნებრივი იყო საქართველოსთვის უფრო მეტი ჯარის მოშველება იმიტომ, რომ რაკი უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზად საქართველო ითვლებოდა, ოსმალეთის მხრით ამ ქვეყნის წინააღმდეგ მტრული მოქმედება თავისთავად მოსალოდნელი იყო, მაგრამ რუსეთის სამხედრო შტაბმა სამოქმედო გეგმა ისე შეადგინა, რომ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა ამ მხრიდან განზრახული არ იყო. ამიტომ რუსეთის მთავრობამ საქართველო მიატოვა და გადასწყვიტა, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა თავისი ძალით და წინანდელი მშვიდობიანი კავშირის აღდგენით თავისი თავი ამ ომის დროს ოსმალეთისაგან უზრუნველყო^[68]. ასე უცნაურად, სხვა არა იყოს რა, მსჯელობდა რუსეთის სახელმწიფოს მთავრობა, რომლის თაოსნობითაც, როგორც ვიცით, დადებული იყო 1783 წ. ხელშეკრულება.

რუსეთის მთავარსარდალმა და ფელდმარშალმა თავადმა პოტიომკინმა კიდევ იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ 1788 წელს ასე უმწეოდ მიტოვებულს საქართველოს მეფეს ერეკლე II-ს აქეზებდა, რომ მას სოლომონ მეფესთან შეთანხმებით ოსმალთა წინააღმდეგ ემოქმედა. მაგრამ მეფის გული მწუხარებისა და წყრომის ცეცხლით იყო მოცული და მწარე გამოცდილებამ მას უკვე საკმაოდ თვალი აუხილა, რომ ასეთი უცნაური რჩევისათვის ყური ეთხოვებინა^[69].

რუსეთის მიერ მიტოვებულ საქართველოს მდგომარეობა

საქართველო ისევ მარტოდ-მარტო დარჩა. ერეკლე მეფემ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაშიც იმდენი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა, რომ აზობოქრებული მტრები დააშოშმინა და მეზობლებთან შედარებით მყუდროება ჩამოაგდო^[70]. ამასთანავე მან ძლევამოსილი სამხედრო მოქმედებით 1788 წ. განჯაც დაიმორჩილა^[71]. განჯაში გაქცეული შამშადილისა და ყაზახის ელნიც ისევ საქართველოში დაბრუნდნენ^[72]. 1790 წელს საქართველოს მეფე-მთავრების სრული შეთანხმება მოხდა და მათ შორის ერთობის კავშირი იყო შეკრული. “ვინაითგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და

გურიისათა აქვთ ერთმორწმუნება, არიან მენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ... სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოისა პირობისა... აღვსთქვამთ მტკიცესა ამასა ერთობასა”^[73].

ამ ხელშეკრულებით საქართველოს განცალკევებული ნაწილების პოლიტიკური ერთობა მყარდებოდა კავშირის სახით. ამ კავშირს ერთი უზენაესი თავი ჰყავდა, რომელიც უაღრესი ხელმწიფეობით იყო მოსილი. საქართველოს სამეფო-სამთავროთა კავშირის ასეთ თავად ქართლ-კახეთის მეფე იყო ცნობილი. იგი კავშირის დანარჩენი ნაწილების წარმომადგენლებს შემდეგს პირობას უდებდა: ჩვენ “მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე... გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა... სოლომონსა და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს და მთავარსა გურიისასა სვიმონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა” დასავლეთ საქართველოსათა, რომ “ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვად ძეთა იმერეთისათა (ე. ი. ლიხთ იმერ.) ვითარცა მამა საზოგადო მათი” და “უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა... მზა ვიყო შემწედ თქვენდა”^[74].

მაშასადამე, კავშირის თავი მოვალე იყო მთელი საქართველოს დაცვასა და კეთილდღეობაზე ეზრუნა და მთელი თავისი სამხედრო, თუ დიპლომატიური, ან სხვაგვარი ძალა შეეწირა ამ მიზნის მიღწევისათვის. თავის მხრით დასავლეთ საქართველოს ყველა მეფე-მთავრები ამ კავშირის თავის, ქართლ-კახეთის მეფის, უზენაეს უფლებასა და ხელმწიფეობას აღიარებდნენ. ეს გარემოება კავშირის ყველა წევრებს იმერეთის მეფე სოლომონ II-სა, სამეგრელოს მთავარს გრიგოლს და სვიმონ გურიის მთავარს სათითოოდ საკუთრივ აღნიშნული აქვთ: “თქვენი უმაღლესობის უზენაეს ხელმწიფებას მამებრ-საგონებლობითს აღვიარებ”-ო^[75].

რუსეთმა რომ ოსმალეთთან ომი გაათავა, 1792 წ. თვალი კვლავ სპარსეთისკენ იბრუნა. სპარსეთში თანდათანობით აღა-მაჰმედ ხანი ძლიერდებოდა. 1786 წ. აღა-მაჰმედ ხანმა, როცა ჯერ კიდევ თავის მეტოქეებთან ბრძოლა ჰქონდა, ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ის მისი მეგობარია და მასთან კავშირის შეკვრა სწადია, მთელ აზერბაიჯანსაც კი მის სრულუფლებიან მართვა-გამგეობაში გადმოსცემდა, ოღონდ მისთვის რუსეთის ხელმწიფის კეთილგანწყობილების მოპოვებაში დახმარებოდა^[76]. პირველ ხანებში რუსეთი მას დიდის ყურადღებით ეპყრობოდა კიდევ^[77]. მაგრამ იმავე დროს რუსეთის მთავრობა მის მოქიშპეს გილანის მმართველს მურთაზა-ალი ხანსაც მფარველობას უწევდა და ეხმარებოდა იმიტომ, რომ ის თავისი თავის გასამდიერებლად რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების სურვილის გამომჟღავნებასაც კი არ დაერიდა^[78]. ეს, რასაკვირველია, არაფრად მოეწონა აღა-მაჰმედ ხანს. მან ბრძანება გასცა, რომ გილანი აეღოთ, მურთაზა-ალი ხანი მოეკლათ, რუსთა ახალშენი ენზელში მოესპოთ და რუსის ქვეშევრდომები აეკლოთ^[79]. მრავალგზისი ბრძოლის შემდგომ მურთაზა-ალი-ხანი იძულებული იყო სპარსეთიდან გაქცეულიყო და რაკი ამამი მას რუსები ეხმარებოდნენ, აღა-მაჰმედ ხანსა და რუსებს შორის მტრული განწობილება ჩამოვარდა^[80].

1791 წ. აღა-მაჰმედ ხანმა აზერბაიჯანში გაილაშქრა იქაური ხანების დასამორჩილებლად და იმათაც შიშით მძევლები მისცეს და ყოველწლიური ხარკი დაიდეს. ჯერი შემდეგ ყარაბაღისა და ერევნის ხანებზე მიდგა. ორივემ აღა-მაჰმედ ხანის მოთხოვნილება უარჰყვეს. ერევნის ხანმა იბრაჰიმ-ხანმა თანაც შეუთვალა, რომ

ის საქართველოს მეფის ერეკლე II-ის სრულს მორჩილებაშია და სწორედ ამიტომაც არ შეუძლია ალა-მაჰმედ ხანის მოთხოვნილება აასრულოს. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილი ჰქონდა ორივე ხანი ძალით დაემორჩილებინა. ასეთ გარემოებაში სრულებით ბუნებრივი იყო, რომ ერეკლე მეფეს ალა-მაჰმედ ხანის შემოსევის მოლოდინი ჰქონოდა^[81]. რუსეთის მთავრობამ ყველა ეს ამბები მშვენივრად იცოდა, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმ საფრთხეს, რომელიც მის ერთგულს მოკავშირეს, პატარა საქართველოს სპარსეთისაგან მოელოდა. მაშინ 1792 წ. თვით ერეკლე მეფემ რუსეთის მთავრობას 1783 წ. ხელშეკრულების არსებობა მოაგონა და ამის ძალით საქართველოში მეშველი ჯარის გამოგზავნა მოითხოვა. რუსეთის ხელმწიფემ ეკატერინემ 8 მაისს იმავე წელს საქართველოს მეფეს მოკლედ და ცივად შემოუთვალა, რომ საქართველოში ჯარის გამოგზავნა ეხლა საჭიროდ არ არის ცნობილი^[82] და, სანამ საამისოდ ხელსაყრელი შემთხვევა და ხელშემწყობი პირობები არ შეიქმნება, ჩვენი ჯარების მად ყოფნის საკითხი გადადებულია^[83]. ისე გამოდიოდა, რომ ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როდესაც ამას რუსეთი საჭიროდ დაინახავდა, და არა მაშინ, როცა საქართველოს უჭირდა.

საბედნიეროდ, სპარსეთში ატეხილმა არეულობამ ალა-მაჰმედ ხანს 1792 წ. საშუალება არ მისცა, რომ თავისი ზრახვა განეხორციელებინა: ის იძულებული იყო შინ გაბრუნებულიყო.

ალა-მაჰმედ ხანის შემოსევა საქართველოში

1794 წელს ალა-მაჰმედ ხანმა სძლია თავის უკანასკნელს მოწინააღმდეგეს ლოტფ-ალი-ხანს, რომელსაც თვალები დაათხრევინა. ამის შემდგომ ალა-მაჰმედ ხანმა თავისი თავი სპარსეთის ერთადერთ ბატონ-პატრონად იგრძნო და თავი სპარსეთის შაჰის ჯილით შეიმკო. მაშინვე ის სპარსეთის საზღვრების გაფართოებას შეუდგა და პირი კვლავ აზერბაიჯანისა და საქართველოსაკენ იბრუნა^[84]. იმავე 1794 წ. მეფე ერეკლემ რუსეთში თავის დესპანად გენერალი გარსევან ჭავჭავაძე გაგზავნა^[85], რომელსაც, ვითარცა რუსეთში წინათაც ნამყოფს, პეტერბურგის მთავრობაზე გავლენა შეეძლო მოეხდინა, რომ ხელშეკრულება რუსეთის მხრით ასრულებული ყოფილიყო.

1795 წ. მაისში ალა-მაჰმედ ხანმა არდაველში 100.000 კაცამდე ჯარის შეგროვება დაიწყო იმ მიზნით, რომ ჯერ აზერბაიჯანის ყველა ხანები ძალით დაემორჩილებინა, ხოლო შემდეგ საქართველოს დასაპყრობად წამოსულიყო, რომ ამ უკანასკნელისათვის ძალა დაეტანებინა და სპარსეთის უზენაესი უფლება ეცნობებინა^[86].

ერეკლე მეფემ მოსალოდნელი უბედურების ამბავი იმავე 1795 წ. მაისში რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსს აცნობა და ხელშეკრულების ძალით 3000 ჯარისკაცის მოშველება სთხოვა^[87]. ერეკლე მეფეს რუსეთის მხრით დახმარების სრული იმედი ჰქონდა და ეჭვიც არ ებადებოდა, რომ მეშველი ჯარი მოუვიდოდა. იგი თავის ერთგულს ყმადნაფიცს შუშის ხანს ქართველი ჯარით ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით მიემგებოდა. ამის წყალობით სპარსეთის შაჰის ლაშქარი დამარცხებულ იქმნა^[88].

ალა-მაჰმედ ხანმა თავისი ელჩის პირით ერეკლე მეფეს მოსთხოვა, რომ რუსეთის ხელმწიფის მფარველობა ერთხელ და სამუდამოდ უარეყო და სპარსეთისა

აღიარებინა. რუსეთიდან მეშველი ჯარის მომლოდინემ ერეკლემ შაჰს ცივი უარი შეუთვალა^[89].

რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსმა 1792 წ. უარყოფითი განკარგულების გამო თავისით მეშველი ჯარის საქართველოში გამოგზავნა ვერ გაბედა და 7 მაისს 1795 წ. ერეკლე მეფის თხოვნა თავის მთავრობას აცნობა. მაგრამ რუსეთის მთავრობა არ ჩქარობდა: პასუხი არ მოდიოდა.

ერეკლე მეფე გრძნობდა აუცილებელ განსაცდელს და რუსეთს შველას ემუდარებოდა. 2 აგვისტოს მონაპირე ჯარის უფროსმა თავის მთავრობას საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა და ერეკლე მეფის თხოვნა ხელმეორედ აცნობა^[90]. ამასობაში ალა-მაჰმედ ხანი დაიძრა, 10 ენკენისთ. 1795 წ. ცხენოსანი ჯარით სწრაფად საქართველოს დედაქალაქს მოადგა და ორი დღის შემდგომ აიღო: ჯერ მთლად გაცარცვა და წაიღო, რის წაღებაც კი სამეფო სასახლიდან შეიძლებოდა, შემდეგ ეს მშვენიერი სასახლე მთლად დაანგრია და ქალაქი ცეცხლით გადასწვა.

შაჰის ჯარმა საშინელი სიმხეცე გამოიჩინა. თბილისის მიდამოებიც მოკლული მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვების გვამებით იყო მოფენილი. სატახტო ქალაქს რომ მორჩნენ, მერმე შიდა და ქვემო ქართლის აოხრებას შეუდგნენ. განძვინებულნი იჭერდნენ ხალხს და ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა ხოცავდნენ, დანარჩენი ტყვედ მიჰყავდათ. ალა-მაჰმედ ხანის შემოსევამ ისე გაანადგურა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო, რომ იმ 61000 კომლიდან, რომელიც შემოსევამდე, მაგალითად, თუნდ 1783 წელს იყო, 1795 წლის შემოსევის შემდეგ 35000 კომლი ძლივს-და იქნებოდა შერჩენილი^[91].

ამ პირველი თავზე დამტყდარი უბედურებით გულგატეხილი, ოთხმოცი წლის მოხუცი მეფე იძულებული იყო მწუხარებითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე ანანურის მონასტერში შეხიზნულიყო. მაგრამ სპარსეთის შაჰმა არც აქ მოასვენა: ალა-მაჰმედ ხანმა ერეკლე მეფეს კვლავ შემოუთვალა, რომ თუ ის მის უზენაეს უფლებას სცნობდა და ერთ-ერთ ბატონიშვილს მას მძევლად გამოუგზავნიდა, მაშინ შაჰი თავის მხრივ ყველა ტყვეებს განუთავისუფლებდა, ყველაფერს, რაც თბილისში ომისგან დაზიანებული იყო, შეაკეთებინებდა და თანაც მოკავშირეობის ხელშეკრულებასაც დასდებდა. ამ აუწერელ უბედურებაში მყოფმა მეფე ერეკლემ თავის დამცირება მაინც არ ინდომა და მოსისხლე მტერს არავითარი პასუხი არ აღირსა^[92].

რვა დღის განმავლობაში ქართლის აოხრებისა და დაწიოკების შემდგომ, ალა-მაჰმედ ხანი უკვე კახეთში აპირებდა გალაშქრებას, რომ ერთბაშად საქართველოდან გასვლა ამჯობინა, რადგან ყარაბაღის ხანი და ზოგი სხვაც დამორჩილებული არ ჰყავდა და ამის გამო ზურგი უზრუნველყოფილი არა ჰქონდა. საქართველოს სრული განადგურება მან შემდეგი, უფრო მარჯვე დროისთვის გადასდვა^[93].

თბილისის აღებისა და განადგურების მხოლოდ 18 დღის შემდგომ, 1 ოქტომბერს, მოუვიდა რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსს თავისი მთავრობისაგან ბრძანება, რომ ხელშეკრულების ძალით და ჩვენი ღირსებისა და ინტერესების თანახმად საქართველოს მეფეს ორი სრული ბატალიონი ჯარით მიემშველეთო. მას ამასთანავე უფლება ეძლეოდა საჭიროებისამებრ კიდევ ორი ბატალიონი მიემატებინა დამხმარე რუსთა ლაშქრისათვის^[94]. ეს მეშველი ორი ბატალიონი აღმ. საქართველოში მხოლოდ 1795 წ. დეკემბრის დამდეგს მოვიდა.

ერეკლე მეფე ქვეყნის აოხრების გამო რუსეთის მთავრობას 1.000.000 მ. მთხოვდა სესხად და საწინდრად თავისი და თავის სახლობის მამულებს იძლეოდა. მაგრამ ამის პასუხი არ მოდიოდა. ამავე დროს ოსმალეთის მთავრობა ამ სესხს აძლევდა, რასაკვირველია, იმ იმედით, რომ საქართველოს გული თავიანთის

მოეგოთ და რუსეთისაგან აეყრებინათ. რაკი რუსეთის სამხედრო დახმარებაც მაშინდელ პირობებში მეტად მცირედი იყო და სესხის შესახებაც რუსეთის მთავრობისაგან არავითარი პასუხი არ მოსდიოდა, ერეკლე მეფეს გამოცდილების გამო ეჭვი შეეპარა, რომ რუსეთისაგან შეპირებულ ძლიერს სამხედრო დახმარებას ოდესმე მართლაც ეღირსებოდა. ამიტომ ერეკლე მეფე ყოყმანში იყო, უარეყო თუ არა ოსმალეთის წინადადება^[95].

რუსეთის გალაშქრება ალა-მაჰმედ ხანისა და სპარსეთის წინააღმდეგ 1796 წ. მისი მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზები და დასასრული

1796 წ. მარტში რუსეთის მთავრობამ სპარსეთს ომი გამოუცხადა, ეკატერინე II-ის მანიფესტში, რომელიც ომის დაწყებისთანავე გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო, რომ რაკი სპარსეთის მთავრობის ზოგიერთი მოხელეები რუს ქვეშევრდომ ვაჭრებს ავიწროებდნენ, ხოლო თვით ალა-მაჰმედ ხანმა რუსეთის წარმომადგენელს შეურაცხყოფა მიაყენა, დასასრულ, რადგან სპარსეთის შაჰი საქართველოს შეესია და მოსაზღვრე ხანებს მოსვენებას არ აძლევს, ამიტომ საქართველოს მეფის თხოვნა მფარველობისა და დაცვის შესახებ შევისმინეთ და ჩვენს ჯარს სპარსეთის საზღვრების გადალახვა ვუბრძანეთ^[96].

რუსეთის მთავრობამ ეს საჯარო განცხადება ომის მიზეზების შესახებ სპარსულად, ქართულად და სომხურად დაბეჭდა და ამ ხალხთა შორის გაავრცელა. ერეკლე მეფეს, შუშის ხანს იბრაჰიმ-ხანსა და ყარაბაღის მელიქებს და დაღესტან-შირვანის მფლობელთ ამას გარდა საგანგებოდაც აცნობეს, რომ რუსეთი თავისი მხედრობით მათ განსათავისუფლებლად მოდის და ამიტომ მათგან მადლობასა და დახმარებას ელის^[97].

მაშასადამე, რუსეთის მთავრობას საქმე ისე ჰქონდა საქვეყნოდ მოჩვენებული, ვითომც ის საქართველოს აოხრების გამო შურის მაძიებლად გამოდიოდა და შუშისა, შირვანისა და დაღესტნის ხანებისა და ყარაბაღის მელიქების მყუდროებას იცავდა. მაგრამ ეს მხოლოდ თვალების ასახვევად და შესაცდენად იყო გამოცხადებული. ომის ნამდვილი მიზეზი და მიზანი კი სულ სხვა ყოფილა.

1795 – 1796 წ.-ის ზამთარში ალა-მაჰმედ ხანის ბრძანებით ენზელში რუსთა ყველა ხომალდები და ვაჭრები დაიჭირეს^[98]. რუსეთის მაშინდელი მთავრობა მეტად ფხიზლად ადევნებდა თვალყურს თავისი ქვეშევრდომების სავაჭრო ინტერესებს, მეტადრე სპარსეთში ცდილობდა ამ მხრივ მტკიცედ ფეხის მოკიდებას, რადგან აქედან მას ფართო და უაღრესად მიმზიდველი სამოქმედო ასპარეზი ეხატებოდა. ამიტომ რუსეთის მთავრობამ ზემოაღნიშნულს შემთხვევას დიდი ყურადღება მიაქცია^[99].

რუსეთის მთავრობა ხედავდა, რომ სპარსეთში მომხდარი ამბები იმ ინტერესებისათვის და მიზნისათვის, რომელიც მას დასახული ჰქონდა, მეტად სახიფათო იყო. მას კი ჰსურდა, რომ რუსეთის ვაჭრობა სპარსეთში ისე გაძლიერებულიყო, რომ მარტო კასპის ზღვის პირას კი არა, არამედ ქვეყნის თვით შუაგულშიც ყოფილიყო გავრცელებული. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ადგილებიდან ინდოეთისაკენ გზის გახსნა უფრო მარჯვედ მოხერხდებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამნაირად რუსეთი ინდოეთის მდიდარს ვაჭრობას ევროპულ ხალხებზე გაცილებით უფრო მოკლე გზით ჩაიგდებდა ხელში, რადგან ისინი ამისთვის “კეთილი იმედის კონცხს” უვლიდნენ ხოლმე. ამის გამო რუსეთის მთავრობას ამ

გეგმის განხორციელების წყალობით აურაცხელი სიმდიდრე და სარგებლობა ეხატებოდა^[100].

რუსეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ სპარსეთში ერთი მხრით მშვიდობიანობა და წესიერება ყოფილიყო, იმიტომ რომ უამისოდ მისი საკომერციო ფართო გეგმის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ამისთვის კი ძლიერი გაერთიანებული მთავრობა უნდა ყოფილიყო სპარსეთში. მაგრამ მეორე მხრით რუსები ფიქრობდნენ, რომ სპარსეთის გაერთიანება და გამლიერება რუსეთისათვის სასარგებლო კი არა, სახიფათოც იყო^[101]. ეს ალა-მაჰმედ ხანის მოქმედებამაც ცხად-ჰყო. ამიტომ რუსეთმა გადასწყვიტა, რომ ალა-მაჰმედ ხანის გამლიერება და მისი საბრძანებლის საზღვრების გაფართოება რუსეთის მთავრობის ფართო ეკონომიურსა და პოლიტიკურ გეგმას ეწინააღმდეგებოდა და სავაჭრო ინტერესებისათვის ფრიად სახიფათო იყო. ალა-მაჰმედ ხანი უნდა დაუძღვრებულიყო, სპარსეთშიაც რუსეთისათვის კარი ფართოდ უნდა გაღებულიყო.

ასეთ პირობებში რუსეთს საქართველოს გამოყენებაც მშვენივრად შეეძლო. ის, ჯერ ეს ერთი, გამოდგებოდა პოლიტიკურად მით, რომ ოსმალეთთან და სპარსეთთან ომის დროს რუსთა საქმისთვის სასარგებლო იქნებოდა. ამიტომ მისი გამლიერებაცა და გაფართოებაც ამჟამად ურიგო არ იქნებოდა. მეორეც ისა, რომ რუსეთს საქართველოს გამოყენება შეეძლო ეკონომიურადაც, რადგან მის საშუალებით უფრო განმტკიცდებოდა და უზრუნველყოფილი იქნებოდა რუსეთის ვაჭრობა სპარსეთში^[102].

ამ სარგებლობის აზრმა ისე გაიტაცა რუსეთის მთავრობა, რომ განჯის და ერევნის სახანოს შემოერთებაც კი უნდოდა საქართველოსთვის^[103].

ამგვარად, სრულებით ცხადია, რომ რუსეთის დედოფლის მანიფესტში მოხსენებული ცნობა, ვითომც რუსეთს სპარსეთისათვის ომი იმიტომ გამოეცხადებინოს, რომ ალა-მაჰმედ ხანმა საქართველო ააოხრა და საქართველომ მის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, მხოლოდ ლამაზი, მაგრამ ყალბი სიტყვები იყო. თვით ამ სპარსეთის ლაშქრობის მონაწილე და რუსთა ჯარის სარდლის შტაბის ადიუტანტი ბუტკოვი პირდაპირ ამბობს: ევატერინე დიდის სურვილი იყო, რომ რუსეთს საქართველოს აოხრებისათვის ალა-მაჰმედ ხანის დასჯის მომიზნებით ესარგებლა და სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობა განსაკუთრებით განემტკიცებინა“-ო^[104], რადგან ამ ომის “უმთავრესი მიზანი ვაჭრობის გავრცელება” იყო^[105].

რუსეთის მთავრობას ეშინოდა, რომ თუ ვინცობაა მისი ნამდვილი ზრახვა და იდუმალი გეგმა გამოაშკარავდებოდა, მას არავინ, არც საქართველოში, არც შირვანისა და შაქის სახანოებში, მხარს არ დაუჭერდა. ამიტომ არავის ენდობოდა. თვით მეფე ერეკლესაც კი ის ეჭვის თვალით უყურებდა და რომ თავის თავი საქართველოსაგან უზრუნველყო, მან ერთს, თუმცა უკადრისს, მაგრამ მეტად მოხერხებულს საშუალებას მიჰმართა. მან გადასწყვიტა, რომ საქართველოს მეფისაგან სხვათა შორის ერთი რჩეული ათას კაცამდის ქართული სამხედრო ნაწილის შედგენა მოეთხოვა, რომელიც რუსთა ჯარისათვის უნდა მიემატებინათ და მასთან ერთად წაეყვანათ ომში. ამ ნაწილში თვით ბატონიშვილებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩარიცხულნი, განსაკუთრებით ისეთები, რომელნიც მშობლებისათვის უფრო ძვირფასნი იყვნენ, როგორც, მაგ., ბატონიშვილები იულონი და დავითი. ამგვარადვე მოწინავე ქართველობის საუკეთესო წარმომადგენელნი უნდა ამ რაზმში შესულიყვნენ. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამ რჩეულ ქართულ სამხედრო ნაწილს საიდუმლოდ საქართველოს მეფისა, დედოფლისა და ერის ერთგულების მძევლად ჩასთვლიდა^[106].

სამხედრო მოქმედება უკვე თავისი ბუნებრივი გზით მიმდინარეობდა და თავიანთი მომავალი გამარჯვების გამოსაყენებლად რუსებს მრავალი ერთი მეორეზე უფრო საოცნებო გეგმები ეხატებოდათ, რომ 1796 წ. ნოემბერში ეკატერინე II გარდაიცვალა. 6 დეკემბერს იმავე წელს რუსების ჯარების მთავარსარდალს თავისი მთავრობისაგან გადაჭრილი ბრძანება მოუვიდა ყოველგვარი სამხედრო მოქმედების შეჩერებისა და მთელი ჯარითურთ რუსეთში დაბრუნების შესახებ^[107]. მართლაც, სამხედრო მოქმედება შეწყდა და რუსის ჯარი შინისაკენ მიმავალი საქართველოში დაბრუნდა, რომ იქიდან რიგრიგობით რუსეთში წასულიყო. ჯარის ერთი ნაწილი იმავე ზამთარში წავიდა საქართველოდან^[108].

ძნელი წარმოსადგენელი არ უნდა იყოს, თუ რანაირად უნდა თავზარდაცემული ყოფილიყო საქართველო და ერეკლე მეფე, სხვა ხანებიც, რომელნიც სპარსეთის ამ ლაშქრობაში რუსებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ, როდესაც რუსეთის მთავრობის უპირობამ ამ შემთხვევაშიაც თავი იჩინა. ალა-მაჰმედ ხანი კი სიხარულით ცას ეწეოდა, ყველგან ფირმანებს გზავნიდა, რომ რუსთა ჯარი მას შეუშინდა და უკან გაბრუნდაო. მრისხანე ბრძანება ბრძანებაზე მოსდიოდათ ყველას, ვინც კი მის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობის მიღება გაბედა.

1797 წ. გაზაფხულსვე ალა-მაჰმედ შაჰი შუმის ხანის დასასჯელად დაიძრა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ აქედან პირდაპირ საქართველოს ასაკლებად წამოვიდოდა, მცხოვრებლებს აჰყრიდა და შაჰ-აბაზის მსგავსად სპარსეთში გადაასახლებდა^[109]. საქართველოს სრული განადგურება აუცილებელი იყო, რომ 4 ივნისს მისი სიმკაცრით გაბოროტებულ მსახურთ მიმინარე ალა-მაჰმედ შაჰისთვის თავი არ მოეჭრათ^[110].

ასე სრულებით შემთხვევით გადაურჩა საქართველო აოხრებას და დაღუპვას. თუმცა რუსებმა ეს თავის თვალთ ნახეს და კარგად გრძნობდნენ რა განსაცდელშიც იყო საქართველო, მაგრამ მაინც გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ და 1797 წ. ენკენისთვეში თავიანთი ჯარის უკანასკნელი ნაწილიც ჩვენი ქვეყნიდან გაიყვანეს^[111]. სპარსეთთან ომის გაგრძელება მათ საჭიროდ არ მიაჩნდათ. ხოლო რუსეთის მთავრობა რომ თავისი მოქმედებით საქართველოს უსაშინელეს მდგომარეობაში აგდებდა და ჯარის გაყვანა მის მხრივ 1783 წ. ხელშეკრულების დარღვევა იყო, ამგვარ გარემოებას იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთი დამოკიდებულების საფუძველი

უნებლიეთ საკითხი იბადება, თუ რა მიზეზი იყო, რომ დიდი რუსეთის მთავრობა ასე ექცეოდა პატარა საქართველოს ან როგორ ახერხებდა რუსეთი საქართველოს ისე მოჯადოებას, რომ იგი რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდგომაც მაინც “ქრისტესმოყვარე” რუსეთის მფარველობის გულწრფელი მოიმედე იყო?

პირველი საკითხის გადაწყვეტა ყველა ზემომოთხრობილის შემდგომ ძნელი არ არის.

რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებებიდან და მიწერ-მოწერიდან, აგრეთვე სხვა ყველა იმდროინდელი საბუთებიდან და თვით მოქმედებიდანაც, სრულის სიცხადით ირკვევა, რომ რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება

საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსული პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

მაშინ რუსეთს ამიერკავკასიაში და სპარსეთში იმდენად პოლიტიკური ინტერესები არა ჰქონდა, რამდენადაც ეკონომიური. ის განსაკუთრებით რუსული ალემბიცემობის სპარსეთში გავრცელებაზე ზრუნავდა, რითაც მას ინდოეთის მდიდარი ვაჭრობის ხელში ჩაგდების იმედი ჰქონდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ უკვე საკომერციო ინტერესები რეალურ გეგმას წარმოშობდნენ, რომელიც ინდოეთის დაპყრობის გამამართლებელ საბუთად გამოდგებოდა. მაგრამ რუსებს ეს მხოლოდ შორეულ, მომხიბლავ მომავალად ეხატებოდათ.

რუსეთის მთავრობის გულის სიღრმეს არ მოჰხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დაწინაურებული, განათლებული ყოფა-ცხოვრების დაუმრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. არა, რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგს იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენიერად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს სრული გულახდილობით გამოთქმული გრაფ **ნ. პანინის** პირით ერთს საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი “ხელმძღვანელობით ხდებოდეს”, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად კი, რომ **სული აქაური (ე. ი. რუსული) იყოს, სხეული კი ქართული**^[112]. მაშასადამე, რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ ქართველები უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად.

მაშინდელი ქართველობა კარგა ხანს ამ გარემოებას ვერ ამჩნევდა და გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსთვის მართლაც გული შესტკივოდა და მისი მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუმრეტელი რუსებისადმი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ.

ქართველებს შორიდან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულს ბრძოლაში სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა.

რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის, ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული. “ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინეობა სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმოსურნეობა რუს ხალხისადმი”-ო^[113]. ასე ამბობდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი, - და ამ ქართველთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და

ახერხებდნენ კიდევ ქართველების იმდენად მოჯადოვებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ.

გარეგნულად რუსეთის მთავრობა ვითომც სწუხდა, რომ საქართველო პოლიტიკურად დასუსტებული სახელმწიფო იყო და თითქოს ცდილობდა, რომ მისი სამხედრო ძლიერება გაზრდილიყო და საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცებულიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგ., თავის წარმომადგენელს საქართველოში კოვალენსკის სწერდა, რომ მას საქართველოს მეფისათვის ერჩია მუდმივი ლაშქარი დაეარსებინა და ხეირიანი არტილერია შეექმნა, რომ ამგვარად მეფეს საშუალება ჰქონოდა საჭიროებისამებრ პატარა სამხედრო ძალითაც სპარსთა მრავალრიცხოვანი, თავზეხელაღებული ბრბოებისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამ საქმის განსახორციელებლად რუსეთის ხელმწიფე საქართველოს მეფეს ნებას აძლევდა საქართველოში დანიშნული იეგერთა პოლკის უფროსი და ოფიცრები ხელმძღვანელად გამოეყენებინა (Инструк. Иностр. Коллегии Коваленскому: АКАГК I. გვ. 95, § 11). მაგრამ ეს 1799 წელს იწერებოდა, როდესაც უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი თვით რუსთავე წყალობით გადაწყვეტილი იყო, ისე რომ ამ რჩევას მაშინ აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

განსაკუთრებით საყურადღებო კი სწორედ ის გარემოებაა, რომ თვით საქართველოს მთავრობა მუდამ ცდილობდა დაწინაურებული სამხედრო ტექნიკა და მეტადრეზერვაზნების ჩამოსხმა-მოხმარება შეესწავლა, ხოლო რუსეთის მთავრობა იდუმალად ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ საქართველოს თავის ეს წადილი ვერ განეხორციელებინა. ისე რომ თუ საქართველოს XVIII ს.-ის დასასრულს, როდესაც რუსეთის მთავრობის ზემომოყვანილი რჩევა იყო შედგენილი, შესაფერისი არტილერია არ ებადა, ამაში უმთავრესად თვით რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს უძევთ ბრალი.

საქართველოში ძალიან კარგად ესმოდათ კარგი არტილერიის უაღრესი მნიშვნელობა ქვეყნის გარეშე მტრისაგან უზრუნველყოფისათვის და სწორედ ამიტომაც არის, რომ ერეკლე მეფე სულ იმის ცდაში იყო, რომ ვისგანმე ზარბაზნების გაკეთება და ხმარება შეესწავლა.

მან ისარგებლა კიდევ შემთხვევით, რომ რუსთა ჯარში, რომელიც ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად მაშინ საქართველოში იყო გამოგზავნილი, არტილერიის საქმის მცოდნე პირები ქართველები იყვნენ და მათ მიჰმართა, რომ თავისი დიდის ხნის ნატვრა აესრულებინა. არტილერიის პოდპოლკოვნიკს ჩოლოყაშვილს და თავად თარხან-მოურავს სიხარულით უკისრიათ ეს საქმე. ისინი თურმე ერეკლე მეფეს ზარბაზნების, მორტირების და ჰაუბიცების გაკეთებასა და დადგმას ასწავლიდნენ.

მოულოდნელად ამის გამო მთელი აურზაური ატყდა. თუმცა მაშინ ეს ქართველებს ეუცნაურათ, მაგრამ რუსეთის ჯარის უფროსმა ტოტლებენმა რომ ეს გარემოება შეიტყო, მაშინვე ჩოლოყაშვილსაცა და თარხან-მოურავსაც სასტიკად აუკრძალა, რომ მათ მეფე ერეკლესთვის საარტილერიო ხელოვნება ესწავლებინათ.

ამ ორს ქართველს არტილერისტს, როგორც ჩანს, ტოტლებენის ამგვარი ბრძანება უკანონოდ მიაჩნდათ და ეტყობა გულწრფელად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთისათვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, თუკი საქართველოს მეფეს, ვითარცა რუსეთის ერთგულს მოკავშირეს და მის მფარველობის ქვეშე მყოფს, სამხედრო საქმე კარგად შესწავლილი ექმნებოდა, ამიტომ ორივენი ისევ თბილისში დარჩნენ და წინანდებურად ერეკლე მეფეს ასწავლიდნენ. მაშინ ტოტლებენმა 6 თებერვალს 1770 წელს რუსეთის მთავრობას ფრანგულად დაწერილი საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებდა, რომ ჩოლოყაშვილი და თარხან-

მოურავი ერეკლე მეფეს ზარბაზნების ჩამოსხმასა და დადგმას ასწავლიანო. თუმცა საქართველოს მეფე, სწერდა ტოტლებენი მთავრობას, რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, მაგრამ რუსეთის ინტერესებისათვის სასურველი არაა, საქართველოში რუსეთის ხელმწიფის ზარბაზნებს გარდა სხვისი ვისიმე ზარბაზნები იყოსო. ამიტომ ტოტლებენი მთავრობას სთხოვდა, რომ ყველა ქართველი ოფიცრები და თავადი თარხან-მოურავი საქართველოდან ისევ რუსეთში წაეყვანათ.

ქართველი ოფიცრები თავისი მამულიშვილური გრძნობისა და პოლიტიკური სიბეცისათვის სასტიკად დაისაჯნენ. იძულებით რუსეთში წაყვანილნი და დაპატიმრებულნი საქმის გამოძიებას უცდიდნენ, სანამ მათი უდანაშაულობა ყველასათვის ცხადი არ შეიქმნა.

ამ საიდუმლო მოხსენებიდან ცხადად ჩანს, რომ რუსეთის მთავრობისათვის, საზოგადოდ, საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო. საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებელივ მას თავისი თავის დაცვა არ შესძლებოდა და მუდამ მხოლოდ რუსეთის შემავედრებელი და ხელში შემყურე ყოფილიყო^[114].

ასეთი ვითარება ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევ-დარევასა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა, მეფისა და მთავრობის პატივისცემისა და უფლების გაქარწყლებას ხალხის თვალში ხელს უწყობდა. ბევრნი ხედავდნენ, რომ მთავრობის მთელი პოლიტიკა საქართველოს უბედურების მეტს არას უმზადებდა და ამის გამო სპარსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმების მომხრენი დაუნდობლად ებრძოდნენ იმ წრეებს, რომელნიც რუსეთის მფარველობისა და მოკავშირეობის მომხრენი და მოთავენი იყვნენ. ეს შინაური უთანხმოება და ქიშპობა ძირს უთხრიდა ისედაც დაუსრულებელი ომებისა და მტრების შემოსევისაგან დასუსტებულ სახელმწიფოს.

ერეკლე მეფე ღრმად მოხუცებული მოუსვენარი ცხოვრებისა და თავდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული გულის ტკივილით შეჰყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მისი მამის თეიმურაზ II-ისა და მისი პირადი დაულალავი შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მისი სიბერისდღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა.

ერეკლე მეფეს დიდ ხანს აღარ უცოცხლია... 11 იანვარს 1798 წ. ქ. თელავში გარდაიცვალა 78 წლის მოხუცი გმირი პატარა-კახი.

საქართველოს შეერთება რუსეთთან

სამეფო ტახტზე ასულს გიორგი მეფეს არც მამის ნიჭი და პირადი სიქველე ჰქონდა, არც საიმისო გავლენა მოეპოვებოდა ხალხში, რომ ესოდენ გართულებული პოლიტიკური მდგომარეობიდან ბრძნულის შორსგამჭვრეტელობითა და სიფრთხილით საქართველო სამშვიდობოს გამოეყვანა. პირიქით, შინაური უწყობა გაძლიერდა, გარეშე მტრები უფრო გათამამდნენ, გულწრფელი მეგობრული გრძნობითა და უანგარო კეთილმოსურნეობით გამსჭვალული ძლიერი მოკავშირის მფარველობა და დახმარება კი არა ჩანდა.

ასეთ გარემოებაში მყოფს გიორგი მეფეს რუსეთის მხრივ შველის იმედი აღარა ჰქონდა და ამის გამო მან გადასწყვიტა დარიალის კარი ჩაეკეტა და სამხრეთისაკენ გზა რუსებისათვის სამუდამოდ დაეხშა. მას ეგონა, რომ ისევ ოსმალეთთან პოლიტიკური შეთანხმება და მისი მოკავშირეობა მიანიჭებდა ღონემიხდელს საქართველოს მშვიდობიანობას. მეფემ უკვე დესპანიც კი გაგზავნა ახალციხის ფაშასთან. რომ იქიდან სტამბოლში წასულიყო ამ საქმის მოსაწყობად. მაგრამ დესპანი ჯერ ახალციხეს არ გასცილებოდა, რომ რუსეთიდან ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი დავითი ჩამოვიდა, რომელმაც რუსეთის ხელმწიფის პავლეს საქართველოსადმი კეთილგანწყობილების ამბავი ჩამოიტანა. მაშინვე კვლავ “ქრისტეს მოყვარე” რუსეთის მხრით უანგარო დახმარების იმედი დაიბადა და საქართველოს ელჩი ახალციხიდან სწრაფად უკან დაბრუნებულ იქმნა^[115].

როდესაც გიორგი მეფემ რუსეთის ხელმწიფეს პავლეს თავის სამეფო ტახტზე ასვლა აცნობა, პავლემ მოლოცვასთან ერთად მოსწერა, რომ 1783 წ. ხელშეკრულების ძალით იგი მოვალეა რუსეთის იმპერატორს დამტკიცება სთხოვოს^[116]. თითონ მას კი ავიწყდებოდა, რომ ამ ხელშეკრულებამ მარტო საქართველოს არ დააკისრა მოვალეობა, არამედ რუსეთის სახელმწიფოსაც, და რომ თვით რუსეთს არც ერთი ეს მოვალეობათაგანი ჯერ ასრულებული არ ჰქონდა.

16 აპრ. 1799 წ. საქართველოში რუსეთის ელჩი დაინიშნა და 2 ბატალიონი ჯარიც გამოიგზავნა ვითომც საქართველოს დასაცავად^[117]. ერთმაცა და მეორემაც საქართველოს მხოლოდ ამავე წლის დასასრულს მოაღწიეს^[118]. რუსეთის მთავრობამ თავის ელჩს დაავალა, რომ მას მეფისათვის საიდუმლოდ თვალყური ედევნებინა. მაშასადამე, თვით მეფეც კი საეჭვოდ მიაჩნდათ და მის ერთგულებას არ ენდობოდნენ, თუმცა საქართველოს მთავრობამ რუსეთისადმი განუსაზღვრელი და გადამეტებული ნდობა არა ერთხელ დაამტკიცა და ამის წყალობით ძალიანაც იზარალა.

ყველაფერი მოწმობდა, რომ რუსეთი ეხლა კი თითქოს მართლაც დაინტერესებული იყო საქართველოს მდგომარეობით და ჩვენ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირის დაჭერას ცდილობდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც რუსეთს საქართველოსთვის არ შეუწყუხებია თავი, არამედ მხოლოდ პირადი სარგებლობით ხელმძღვანელობდა იგი და თავისი საიდუმლო გეგმის განხორციელებაზე ზრუნავდა.

კამერჰერმა გრაფმა მუსინ-პუშკინმა იმპერატორ პავლეს წინაშე იშუამდგომლა, რომ მას ნება და საშუალება მისცემოდა საქართველოში გასამგზავრებლად და იქაური მთების მდიდარი მადნეულობის გამოსაკვლევად. 17 ოქტ. 1799 წ. მან ნებართვა მიიღო და გამოემგზავრა კიდეც. როდესაც საქართველოს ადგილობრივი სიმდიდრის შესწავლამ მას თვალწინ გადაუშალა ჩვენი ქვეყნის მთელი საუნჯე, ბუნების მშვენიერება და “სამოთხის მსგავსი ჰავა”, მან 1800 წ. თავის ხელმწიფეს მოხსენებაში საქართველოს ყველა ზემოაღნიშნული ღირსებანი აუწერა და ის მნიშვნელობაც გაუთვალისწინა, რომელიც ჩვენს სამშობლოს რუსეთისათვის ექმნებოდა, საქართველო რომ რუსეთს შეეერთებინა. მაშინ რუსეთი მდიდარს ქვეყანას შეიძენდა და კავკასიის მთიელთა თავდასხმისაგან სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქმნებოდაო იმიტომ, რომ ორივე მხრივ ჩაჭერილნი ისინი ვეღარს გაბედავდნენ, ოსმალეთთან, ან სპარსეთთან ომის დროსაც რუსეთს დიდი სამხედრო უპირატესობა ექნებოდა. მაგრამ ამას გარდა რუსეთს სპარსეთისა და ინდოეთის ვაჭრობის ფართო ასპარეზიც გაეხსნებოდაო^[119]. მაშასადამე, ჩვეულებრივს ეკონომიურს ინტერესებს გარდა, ზღაპრულ ინდოეთზე ოცნებასთან ერთად, აქ უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაცაა გათვალისწინებული.

ეს აზრი პეტერბურგში მოწონებულ იქნა. 18 დეკემბ. 1800 წ. პავლე იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და შემდეგ კი გიორგი მეფეს წინდაწინვე დამზადებული ქალაქი გაუგზავნეს ხელმოსაწერად, რომელშიაც ვითომ თვით მეფე სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, რომ მას საქართველო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთთან შეეერთებინა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად ექცია. მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ მთელი ეს გეგმა ჩაიფუშა: გიორგი მეფე გარდაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წ. ისე, რომ ხელმოსაწერი ქალაქი მას თვალითაც არ უნახავს, რადგან მისი მომტანნი ამ დროს ჯერ საქართველოში ჩამოსული არც კი იყვნენ^[120].

ასეთი შესაძლებლობა რუსეთის მთავრობას წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდა და ამისთანა შემთხვევისათვისაც მას უკვე 15 ნოემბერს თავის წარმომადგენლისათვის საქართველოში ნაბრძანები ჰქონდა, რომ რა წამს გიორგი მეფე გარდაიცვლებოდა, საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის ნება არავისთვის მიეცათ. ეს გარემოება გენ. კნორინგმა გიორგი მეფის გარდაცვალებისთანავე აცნობა საქართველოს მცხოვრებთ და თანაც იმ ოთხი ბატალიონი ჯარის გარდა, რომელიც რუსებს ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში მოეპოვებოდათ, საჩქაროდ კიდევ ერთი ბატალიონი დაიბარა^[121].

1783 წ. დადებული ხელშეკრულების მე-12-ე მუხლში ნათქვამია, რომ ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან შევსება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით შეიძლება^[122]. რადგან 1783 წ. შემდგომ აღარავითარი სხვა ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთს შორის არ დადებულა და არც რაიმე ცვლილება ყოფილა შეტანილი ორივე მხარის თანხმობით, ამიტომ რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ მას რაიმე საბუთი ჰქონოდა იმის დასამტკიცებლად, ვითომც თვით საქართველოს სურდა თავისი სახელმწიფოს მოსპობა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა. რაკი გიორგი მეფის სიკვდილის გამო ეს მათი გეგმა ფიზიკურადაც განუხორციელებელი იყო, ამიტომ რუსეთის მთარობა ხელშეკრულების ცხადს დარღვევას აღარც მოერიდა და, რაწამს მან გიორგი მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო, მაშინვე 18 იანვ. 1801 წ. პავლე პირველის მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც თვით მეფე გიორგისა, მოწინავე წრეებისა და ქართველი ერის სურვილითა და თხოვნით რუსეთმა საქართველო სამუდამოდ შემოიერთა^[123].

პავლე I-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქართველო ერთბაშად რუსეთის გუბერნიად ექცია და სენატისა და სინოდისათვის დაემორჩილებინა^[124]. 12 მარტს 1801 წ. პავლე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა იგრძნო საქართველოს შეერთების მთელი უკანონობა და ამიტომ გადაწყვიტა გამოერკვია, რამდენად მართალია, რომ მთელ საქართველოს თავისი ნებით მოესურვოს რუსეთთან განუყოფლად შეერთება და რომ მას თავისი თავის დაცვა გარეშედ შინაური მტრებისაგან არ ძალუძს. ამ საკითხების გამორკვევა მან გენ. კნორინგს მიანდო, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლისთანავე გააუქმა ყველაფერი, რაც ტახტის მემკვიდრის ბატონიშვილი დავითის ბრძანებით იყო შემოღებული, და თბილისში საქართველოს უზენაესი მთავრობა დააარსა^[125]. უკვე ეს მისი ნაბიჯი ცხად-ყოფს, თუ როგორი მიუდგომლობით გამოარკვევდა და სინამდვილით აუწერდა იგი ჩვენი ხალხის გულისნადებს და მისწრაფებას. ხოლო, რომ საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ დახმარება ესაჭიროებოდა, ეს გარემოება თვით საქართველოსაც არ დაუმაღავს, 1783 წ. ხელშეკრულება ხომ სწორედ ამ მიზნით იყო რუსეთთან დადებული.

როგორც რუსეთის მთავრობას საქართველოს შეერთება თავის სახელმწიფოსთან სასურველად და სასარგებლოდაც მიაჩნდა^[126], გენ. კნორინგმაც ისე წარუდგინა ალექსანდრე I-ს, თუმცა არ შეეძლო დაემალა, რომ საქართველოს უმაღლესი წრეების ყველა წარმომადგენელი ამ შეერთების მომხრენი ყოფილიყვნენ. მისი სიტყვითაც ნახევარ თავადაზნაურობისას საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება სურდა^[127]. გრაფ. მუსინ-პუშკინმა, რომელმაც პავლე I-ს ჩააგონა საქართველოს რუსეთთან შეერთების უაღრესი სარგებლობა, ეხლაც ამგვარივე შინაარსის მოხსენება მიაართვა ალექსანდრე I-ს^[128].

რამდენად გულწრფელი უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობის სურვილი, ვითომც მას საქართველოს პოლიტიკური ზრახვის უტყუარი ხმის გაგონება ნდომებოდეს, იქიდანაც ჩანს, რომ მთელ ამ ამბავს საქართველოს სრულუფლებიან დესპანს უმაღლედნენ და მთელ ამ საქმეს საქართველოს შეერთების შესახებ ფარულად აწარმოებდნენ^[129] იმიტომ, რომ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს დესპანები მათთვის სასიამოვნოს არას იტყოდნენ და ცხადჰყოფდნენ, რომ საქართველოს რუსეთის მხოლოდ კავშირი და მფარველობა სურდა და სხვა არაფერი^[130].

საქართველოში რომ არც ხალხი და არც თვით გიორგი მეფე თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის მოსპობაზე სრულებითაც არა ფიქრობდა, ამას ის გარემოებაც ნათლად ამტკიცებს, რომ მაშინ ჩვენს სამშობლოში მოწინავე წრეებში ინტენსიური კულტურული მუშაობა სწარმოებდა და მტკიცე სამზადისი იყო როგორც სახელმწიფო წესწყობილების გასაუჯობესებლად და ევროპულის მსგავსად გადასაქმნელად, ისევე ევროპული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის საქართველოში გადმოსანერგავად. საუკეთესო თხზულებები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ფილოსოფიაში, ფიზიკაში და სამათემატიკო მეცნიერებაში და ბუნების მეტყველებაში, აგრეთვე სამხედრო ხელოვნებაში ევროპაში გამოდიოდა, ქართულადაც იყო ნათარგმნი. სასწავლებლებში სახმარებლად და წასაკითხავი წიგნები მზადდებოდა. იოანე ბატონიშვილმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გიორგი მეფეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება, რომელშიაც სხვათა შორის სამი ლიცეუმის მსგავსი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა იყო გათვალისწინებული. მეფე გიორგიმ 1799 წ. დაამტკიცა ეს პროექტი და მისი განხორციელება უნდა დაეწყოთ.

ასეთ სამზადისში მყოფ საქართველოს მოწინავე წრეებისათვის ცხადი იყო, რომ ძლიერი მოკავშირის, **რუსეთის**, მფარველობითა და დახმარებით, ჩვენი ქვეყანა მოლონიერდებოდა, გარეშე მტრებს მოიგერიებდა და მყუდრო ცხოვრების შემდგომ მტკიცე და ჩქარი ნაბიჯით წარმატების გზას დაადგებოდა.

- [1] **П. Г. Бутков**, Материалы для первой истории Кавказа с 1722 по 1803 год. СПб, 1869, I, 4 – 6.
- [2] **Бутков**, Материалы I, 6. «Волынский... получил указ делать тайно приготовления к персидскому походу... и склонять карталинского царя Вахтанга и прочих христиан к пользам России, уверяя их в благорасположении Петра I и обнадеживая их в государевом покровительстве».
- [3] **დ. გურამიშვილი**, დავითიანი **ზ. ჭიჭ** გამ. 33. პეტრე I “საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება: ზღვა გავლო, დაჰკრა ავღანთა, სოლალს დაუწყო შენება, დაღისტანს მოხვდა ღვთის რისხვა...”.
- “ჯელმწიფემ ვახტანგს მისწერა: მოდი მიგიჩნევ მამადო... გიჯობს მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო, მერმე შენს მტერზედ მიმიძღვე...”
- [4] **იქვე**, 35. “მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების, ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების”.
- [5] **დ. გურამიშვილი**, დავითიანი 35.
- [6] **დ. გურამიშვილი**, **იქვე 36** და **Бутков**, Материалы, 1, 16.
- [7] **Бутков**, I, 19.
- [8] **ს. ჩხეიძე**, ჭიჭ. 34, ჩუბ., 330; **Бутков**, Материалы, I, 30 – 31.
- [9] **ს. ჩხეიძე**, ჭიჭ. 34, ჩუბ., 330.
- [10] **Бутков**, Материалы, I, 31 – 32.
- [11] **ს. ჩხეიძე**, ჭიჭ. 34, ჩუბ., 330.
- [12] **იქვე**.
- [13] **Бутков**, Материалы, I, 32.
- [14] **Бутков**, Материалы, I, 31.
- [15] **ს. ჩხეიძე**, ჭიჭ. 35, ჩუბ., 330.
- [16] **Бутков**, Материалы, I, 57 გლ. 11, 58 – 59, 62 – 63 და მისიონ. **კრუზინსკის** *Tragica vertentis belli Persici historia sub II. ზ. ავალიშვილი*, Присоединение Грузии к России, მეორე გამოც. 69.
- [17] «Хотя царь и в бедстве, но гордости не оставляет».
- [18] **Бутков**, Материалы, I, 63.
- [19] **Бутков**, Материалы I, 240; **პ. ორბელიანი**, ჭიჭ. 217, ჩუბ. 458. ...Не принять, чтобы не ссориться с Турками и Персами» (**Бутков**, **იქვე**). შედ. **პ. ორბელიანისა** და იმდროინდელ ქართველთა ამ უარის გულუბრყვილო და მარტივი განმარტება (**პ. ორბელიანი** **იქვე**).
- [20] პროფ. **ა. ცაგარელი**, Грамоты I, გვ. 11 და **Бутков**, Материалы I, 274, 275.
- [21] პროფ. **ა. ცაგარელი**, Грамоты I, 21, 25.
- [22] პროფ. **ა. ცაგარელი**, Грамоты I, 24 და **Бутков**, Материалы I, 277.
- [23] **Бутков**, Материалы I, 277 – 278.
- [24] **იქვე**, I, 278.
- [25] **ომან ხერხეულიძე**, ჭიჭ. 264, ჩუბ. 491 და **Бутков**, Материалы I, 280 – 281.
- [26] **ხერხეულიძე**, ჭიჭ. 264, ჩუბ. 491 და **Бутков** I, 281 – 282.
- [27] **ხერხეულიძე**, ჭიჭ. 264, ჩუბ. 491.
- [28] **ხერხეულიძე**, ჭიჭ. 264 - 266, ჩუბ. 491 - 492 და **Бутков**, Материалы I, 282.
- [29] **ხერხეულიძე**, ჭიჭ. 266, ჩუბ. 492 – 493.
- [30] **ხერხეულიძე**, ჭიჭ. 267, ჩუბ. 493.
- [31] **Бутков**, Материалы I, 282 – 284.

- [32] **Бутков**, Материалы I, 285 – 6 და ომ. ხერხეულიძე, ჭიჭ. 267, ჩუბ. 493.
- [33] ხერხეულიძე, ჭიჭ. 267 – 268, ჩუბ. 494; **Бутков**, Материалы I, 289.
- [34] ხერხეულიძე, ჭიჭ. 268, ჩუბ. 494.
- [35] ხერხეულიძე, ჭიჭ. 268, ჩუბ. 4^[35] ხერხეულიძე, ჭიჭ. 267, ჩუბ. 493.
- [35] **Бутков**, Материалы I, 282 – 284.
- 94.
- [36] ხერხეულიძე, ჭიჭ. 268 – 370, ჩუბ. 494 – 495.
- [37] ხერხეულიძე, ჭიჭ. 270, ჩუბ. 495 – 495 და **Бутков**, Материалы I, 288, 289.
- [38] **Бурнашев**, Картина 13.
- [39] ხერხეულიძე, ჭიჭ. 274, ჩუბ. 498.
- [40] ხერხეულიძე, ჭიჭ. 273, ჩუბ. 497 – 498 და **Бутков**, Материалы II, 75.
- [41] ხერხეულიძე, ჭიჭ. 273, ჩუბ. 498; **Бутков**, Материалы II, 75 და **Бурнашев**, Картина 14.
- [42] ხერხეულიძე, ჭიჭ. 272, ჩუბ. 496 – 497; **Бурнашев**, Материалы 14.
- [43] **Бутков**, Материалы II, 120.
- [44] **Бутков**, Материалы II, 70.
- [45] იქვე II, 71 – 72.
- [46] **Бурнашев**, Материалы 118: «В Грузии пребывал... доктор Рейнегс, который... знаком был с состоянием дел сего края... Князь Потемкин вызвал его к себе и обратно отправил в Грузию осенью 1782 г. В качестве комиссионера своего при царях Ираклие и Соломоне... Рейнегсу поручено было подвигнуть Ираклия искать формально покровительства самодержицы Российской, на что последовало высочайшее соизволение».
- [47] 1783 წ. წერილი ობ. **Дубровин**, История войны т. II, 11.
- [48] პროფ. ა. ცაგარელის გამოც., Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, вып. II, გვ. 32 – 37 შენიშვნები.
- [49] **Бутков**, Материалы, II, 135.
- [50] ობ. მეორე გამ. გვ. 141 და 143. «Была-ли Грузия (от 1783 – 1801 г.) в вассальной зависимости от России, или находилась под ее протекторатом? Ни то, ни другое, или, лучше сказать, одновременно и то и другое» (გვ. 141). «Итак, разбираемый случай не подходит ни под понятие вассальности, ни под понятие протектората – в строгом смысле, и подходит одинаково и под одно, и под другое, если разуместь их более обще» გვ. 143.
- [51] Вступление Грузии в состав Российской империи, 1901 წ. გვ. 88 – 89.
- [52] პროფ. ა. ცაგარელი, Грамоты II, 99.
- [53] **Бурнашев**, Картина 11 – 12, 15, 18.
- [54] «Всегда искали по единоверию помощи и покровительства Всероссийских Великих Государей»: იქვე, 18.
- [55] პროფ. ა. ცაგარელი, Грам. II, в. II, 30.
- [56] ა. ცაგარელი, Грамоты II, в. II, 69. «Доставить Вам покровительство и союз верховных Императорских власти через посредство ходатайства моего».
- [57] პროფ. ა. ცაგარელი, Грамоты II, в. II, 69. «Покровительство и союз верховных Императорских власти, снискиваемые В. В. К нашему благу, обязан принять».
- [58] ხერხეულიძე, ჭიჭ. 274, ჩუბ. 498; **Бутков**, Материалы, II, 132; **Бурнашев**, Картина 15 – 16.
- [59] ხერხეულიძე, ჭიჭ. 274, ჩუბ. 498.

- [60] **Бурнашев**, Картина 16.
- [61] **ხერხეულიძე**, იქვე.
- [62] **ხერხეულიძე**, იქვე.
- [63] **Бурнашев**, Картина 16.
- [64] **ხერხეულიძე**, ჭიჭ. 275 – 276, ჩუბ. 499 და **Бутков**, Материалы II, 194 – 195.
- [65] **Бутков**, Материалы, II, 188.
- [66] **Бутков**, Материалы, II, 191 - 193.
- [67] **Бутков**, Материалы, II, 198.
- [68] **Бутков**, Материалы, II, 196 “Причины побудившие к выводу из Грузии российских войск заключались во многих статьях: 1-я, что в плане войны, вновь открывшейся с турками, не было предположено действовать противу их в сей стороне; 2-я, что царю Ираклию удобнее будет в течение сей войны обезопасить себя чрез возобновление прежних своих союзов, разрушившихся единственно пребыванием в земле его российских войск»... (იქვე).
- [69] **Бутков**, Материалы, II, 197.
- [70] **Бутков**, Материалы II, 197, 277 – 278, 282, 293.
- [71] იქვე II, 278, 283.
- [72] იქვე II, 278.
- [73] **პროფ. ა. ცაგარელი**, Грамоты II, 1. გვ. 183 – 184.
- [74] იქვე II, 1, გვ. 184.
- [75] იქვე, Грамоты II, в II, 6 «Признаю верховную власть вашего высочества отцепочитательную».
- [76] **Бутков**, Материалы II, 301.
- [77] **Бутков**, Материалы II, 304 – 305.
- [78] იქვე II, 304.
- [79] იქვე II, 309.
- [80] იქვე II, 323 – 326.
- [81] იქვე II, 319 – 320.
- [82] «Ныне отправлять в Грузию войска за благо не приемлется».
- [83] **Бутков**, Материалы II, 334.
- [84] **Бутков**, Материалы II, 327 – 328.
- [85] იქვე II, 335.
- [86] იქვე II, 331 – 332.
- [87] იქვე II, 335.
- [88] იქვე II, 333.
- [89] იქვე II, 337.
- [90] იქვე II, 335.
- [91] **Бутков**, Материалы II, 339 – 340.
- [92] იქვე II, 341.
- [93] იქვე II, 41.
- [94] იქვე II, 344.
- [95] **Бутков**, Материалы II, 345.
- [96] იქვე II, 371.
- [97] იქვე II, 372.
- [98] იქვე II, 354.
- [99] **Бутков**, Материалы II, 354.

[100] **Бутков**, Материалы II, 355: «Спокойствие... в Персии откроет России богатый торг не только при берегах моря Каспийского, но и внутри пределов персидских областей; посредством сих последних удобовозможно будет открыть путь в Индию и привлечь к нам богатейший торг сей кратчайшими путями, чем тот, коему следуют все народы европейские, обходя мыс Доброй Надежды».

[101] **Бутков**, Материалы II, 355. «Польза империи российской взыскует предостерегать и не допускать до соединения и утверждения всех сил народа сего воедино» (**Бутков**, Материалы II, 336).

[102] **Бутков**, Материалы II, 366. «Сие... даст способ царству сему без нашей помощи не токмо противостоять врагам христианской веры, но и удачные производить над ними пойки, весьма для нас полезные при случае войны с Турками. Через посредство распространенной таким образом Грузии более утвердится и обеспечится наша торговая с Персией» (II, 368).

«Для сего Грузия должна быть... распространена и увеличена в силах своих. Но все для распространения в Азии российской торговли» (II, 368).

[103] **Бутков**, II, 365.

[104] Материалы II, 367 – 8. «Предметом введения в Персию войск Великой Екатерины было не суетное желание побед, ни распространение пределов и без того обширнейшей в свете империи, но чтоб под предлогом наказания Ага-Магомет-Хана за Грузию, главнейшее основать твердым образом с Персией нашу торговлю».

[105] **Бутков**, II, 367, «Главнейший же предмет – распространение торговли».

[106] **Бутков**, Материалы II, 368 – 369. «Дабы иметь в руках своих заложников в верности царя грузинского, жены, детей его и лучших людей народа сего, нужно будет присоединить и взять к войскам нашим... хотя до 1 т. Человек отборных грузин и при них тех из сыновей царицы, к которым она наиболее привязана, т. е. ц-ча Юлона, тоже и ц-ча Давида».

[107] **Бутков**, II, 419.

[108] **Бутков**, II, 423.

[109] **Бутков**, II, 427.

[110] **Бутков**, II, 430.

[111] **Бутков**, II, 423.

[112] «Главнейшая нужда, чтоб Грузины нам в войне помогали таким образом, чтоб.. мнили исполнять повеления своих владетелей, а сии равным образом оказываемую нам услугу своему усердию собственному побуждению причитать, но в самом деле все то производилось здешним руководством и просвещением, - коротко сказать: была бы душа здешняя, а тело грузинское» (**Зубов**. **ა. ცაგარელის** Грамоты etc. I, 155 – 156).

[113] «Теплота веры в Грузинцах великая» **გვ. 7**, «одинаковое исповедание веры с господствующей здесь, происходящее от того в них ко всероссийскому Императорскому двору усердие и доброжелательство к Российскому народу, надежда... лутчие получить успехи» (Рассуждение о способах, какими Грузинцы преклонены быть могут к восприятию участия... с Портою Оттом. войне. **Зубов**. **აღ. ცაგარელის** Грамоты I, **გვ. 7**).

[114] 1783 წ. ხელშეკრულების დადების შემდგომ რუსეთის მთავრობამ ზარბაზნები დაამზადა საქართველოსათვის, მაგრამ აქედან მხოლოდ 2 ზარბაზანი გამოუგზავნა, იმათაც ძლივსძლიობით მხოლოდ 1788 წ. მოაღწიეს საქართველომდის. დანარჩენი რუსეთში ჩარჩა.

- [115] Бутков, Материалы II, 446.
- [116] օქვე II, 448.
- [117] օქვე II, 449.
- [118] օქვე II, 451.
- [119] Бутков, Материалы II, 463 – 464. «Откроется обширное поле к торговле персидской и индийской».
- [120] Бутков, Материалы II, 465.
- [121] Бутков, Материалы II, 465 - 466.
- [122] «Сей договор делается на вечные времена; но ежели что либо усмотрено будет нужным переменить или прибавить для взаимной пользы, оное да возьмем место по обостороннему соглашению».
- [123] Бутков, Материалы II, 466 - 467.
- [124] օქვე II, 469.
- [125] օქვე II, 473 - 475.
- [126] օქვე II, 473 - 474.
- [127] Бутков, Материалы II, 475 – 484, ԶճԵՆՅՅ. 482.
- [128] օქვე II, 484 ԹԵ. 1.
- [129] օქვე II, 485.
- [130] Акты Кавк. Археогр. Ком. II 304.

[თავი მეოთხე]

Политическое и социальное движение в Грузии в XIX в*.

Предисловие

Уже несколько лет, как могучее социальное и политическое движение в Грузии привлекает к себе общественное внимание России. Большинству, если не всем, оно кажется выросшим неожиданно, сразу, - и непонятно, как могло выработаться то единодушие, которое проявляет грузинский народ в социальном движении, откуда взялась та образцовая дисциплина и организационная деятельность, которые так выгодно отличают культурностью грузинское движение от современного движения в других частях России? Это и не удивительно, так как до последнего времени на русск. языке не существовало даже коротенького обзора по истории движений в Грузии в XIX в. Задачей данного очерка было восполнить этот пробел и уяснить читателю: 1) каковы были причины того, что авторитет русского правительства и коронного суда, пользовавшихся в эпоху присоединения Грузии к России большим обаянием, был совершенно дискредитирован в глазах грузинского народа; 2) что социальное и политическое движение в Грузии даже в XIX веке, не касаясь более древнего периода, имело свою историю, что груз. народ уже давно закалился и дисциплинировался в этом и 3) что современное движение имеет глубокие корни в народной психике и жизни; не революционные партии дискредитировали правительство в глазах народа, а само правительство своим управлением и режимом в продолжение ста лет дискредитировало себя; сам суд расшатал основы своего авторитета; само

правительственное разрешение крестьянского вопроса в Грузии сделало неизбежным возникновение аграрного движения. Автор данного очерка всегда основывался на официальных документах и предпочитал заставлять говорить самих должностных лиц, так как гораздо более сильное и убедительное впечатление производит, когда они сами бичуют систему управления, когда они сами раскрывают действия своих коллег.

Аграрное движение в Грузии имеет свою длинную историю. Документы свидетельствуют, что, несмотря на тяжелые политические условия, в продолжение всего XVIII века аграрное движение в Грузии не прекращалось: то там, то сям, через известные промежутки времени оно вспыхивало вновь и давало о себе знать. Благодаря тому, что церковь всегда лучше хранила свои документы, чем частные лица, данные об аграрном движении, дошедшие до нас, касаются преимущественно церковных крестьян. Еще в 1712 году царь Давид Имамкулихан повелел вазирю крестьян церкви в Кварели привести в повиновение ей и **обязать их платить ей установленные подати**^[1]. Когда ц. Бакар в 1719 году сел. Карцахи пожертвовал монастырю на тех же основаниях, на каких находились дер. Узнариани и Карукумарти, **то крестьяне оказали сопротивление властям, не подчинились** монастырю, **волновались и царь принужден был их привести себе в покорность**^[2]. В 1749 году крестьяне Болнисской церкви перестали отбывать узаконенные подати Болнисскому архиепископу, и католикосу Антонию^[3] пришлось вмешаться в это дело. Точно так же и крестьяне сел. Урбниси отказались платить епископу установленный оброк и перестали повиноваться ему в 1776 году^[4]. А в 1794 году крепостные Манглисской и Руисской церковью разбежались и покинули своих господ^[5]. Четыре года спустя то-же самое проделали и крестьяне Никозской церкви^[6]. Имеются сведения об аграрных недоразумениях и между крестьянами и помещиками^[7], но политические условия, постоянная опасность со стороны внешних врагов не давали возможности этому брожению принять нормальное течение. Повидимому, и грузинские правительствующие сферы замечали необходимость облегчения выхода в некоторых, по крайней мере, случаях из крепостничества: к таковым нужно отнести постановление царя Ираклия, католикоса, епископов, придворных и вельмож от 1765 года о том, что «с этого времени на крестьян, которые получают свободу из плена, прежние владельцы не могут уже простираť своих владельческих прав»^[8], что крепостной, которого не выкупит из плена его господин, освобождается от зависимости^[9], что владельцы, не поддерживающие во время голодовок своих крепостных, теряют на них свое право и т. д. Но, конечно, в XVIII веке, когда для защиты от вражеских нашествий приходилось искать протектората России, было грузинам не до социальных реформ. Правящие сферы Грузии думали, что с помощью своей могущественной покровительницы им удастся заняться мирным культурным развитием свой страны. После долгих, неприятных переговоров ц. Ираклию удалось, наконец, в 1783 году заключить трактат с импер. Екатериной, по которому «Е. В. Дает Императорское свое ручательство на сохранение целостности настоящих владений Е. С. Царя Ираклия Теймуразовича, предполагая распространить таковое ручательство и на такие владения, кои в течение времени и по обстоятельствам приобретены и прочным образом за ним утверждены будут (арт. 2). Её Импер.

Величество, приемля с благоволением признание верховной власти и покровительства над царствами Карталинским и Грузинским (sic!), обещает именем своим и преемников своих: 1) народы тех царств почитать пребывающими в тесном союзе и совершенном согласии с империей ее и, следственно, неприятелей их признавать за своих неприятелей, 2) светл. царя Ираклия Теймуразовича и его дому наследников и потомков сохранять беспременно на царстве Карталинском и Кахетинском, 3) власть, со внутренним управлением сопряженную, суд и расправу и сбор податей предоставить его свет. царю в полную его пользу, запрещая своему военному и гражданскому начальству вступаться в какие либо распоряжения (арт. 6), за это его свет. царь обещает за себя и потомков своих: 1) быть всегда готовым на службу ее Величества с войсками своими, 2) с начальниками российскими обращаться во всегдашнем сношении по всем делам до службы ее императ. Величества касающимся, удовлетворять их требованиям и подданных ее Величества охранять от всяких обид и притеснений» (арт. 7) и кроме того «обещает его светлость без предварительного соглашения с главн. пограничным начальником и министром ее импер. Величества, при нем акредитуемых, не иметь сношения с окрестными Владетелями» (арт. 4). Однако и этот трактат не помог Грузии. Русское правительство мало думало об исполнении своих клятвенных обещаний.

В 1787 году совершенно неожиданно для грузин был отозван и тот маленький отряд русск. войска, который должен был якобы охранять грузинскую территорию. Представления и просьбы царя Ираклия о присылке обещанной по трактату военной охраны отклонялись с кратким, но многозначительным объяснением что «отправлять в Грузию войска за благо не приемляется»; Грузия, таким образом, была вопреки торжественным обещаниям и императорскому слову брошена на произвол судьбы и предана в 1795 году 12 сент. на разорение мстящему ей именно за заключенный с Россией трактат персидскому шаху Ага-Магомет-хану, и только 1 октября того же года русск. правительство сообщило ген. Гудовичу «подкрепить Ираклия, яко вассала Российского, против неприязненных на него покушений, положенными по трактату с ними двумя полными батальонами пехоты». Помощь России являлась и поздно и настолько мизерной, что в 1797 году грузинский посол кн. Гарсеван Чавчавадзе принужден был просить императора дать категорический и ясный ответ: «угодно ли тебе, самодержавный и великий государь, соблюдать трактат в его первоначальной силе, и угодно-ли, согласно вытекающим из трактата обязательствам, оказать царю моему, находящемуся в стесненном положении, обещанную помощь»?^[10] Преемник ц. Ираклия II Георгий XIII думал, что обещанная Грузии защита от врагов станет реальной только тогда, если она откажется от многих своих политических прав и доведет свои желания до минимума.

Царь Георгий не успел довести переговоры с русским правительством до конца, хотя его представителям приходилось неоднократно напоминать о необходимости скорее разрешить вопрос. Но Георгий XIII так и умер в ожиданиях. Наследник престола царевич Давид еще до кончины царя начал готовить народ к ожидаемому вступлению своему на царство, так как он основательно боялся интриг другого претендента. Ген. Лазарев «неоднократно ему докладывал весьма учтиво, что спешить не к чему». (Акты кавказ. археол. ком. I, 188), как бы намекая ему, что царское достоинства все равно его не минует, хотя в душе уже был уверен в окончательном присоединении Грузии к русск. владениям. Чтобы быть вполне ориентированным и предпринимать заранее меры предосторожности, ген. Лазарев просил ген. Кнорринга

не пропускать ни одного письма к наследнику престола иначе, как чрез него, чтобы ознакомившись с содержанием, он предварительно приготовлялся бы к необходимым действиям, так как царевич Давид уже не скрывал своего неудовольствия и беспокойства и открыто говорил о нарушениях договоров и желаний последнего царя. Разубеждая и успокаивая наследника, ген. Лазарев в то же время перехватывал все письма к нему и установил самый тщательный надзор (там же, I, 304). 12 сен. 1801 года было уже объявлено открыто о присоединении Грузии к России и уничтожении царства. Это вызвало большое неудовольствие в Грузии. Только 8 мая 1802 года было об этом объявлено в Тифлисе. Ген. Кнорринг был настолько не уверен, чтобы грузины после объявления об уничтожении царства могли добровольно принять присягу императору Александру I, что счел необходимым с помощью обмана и угроз вынудить ее у них. Он пригласил к себе дворянство, духовенство и горожан, и когда общество собралось, ген. Кнорринг велел оцепить дом кругом войсками, а приглашенным приказал принять присягу. Кто только осмелился заявить, что уничтожение царства противоречит трактатам и воле грузин и на этом основании отказался принять присягу, был арестован (Н. Дубровин, Закавказье от 1803 – 1806 г., стр. 33). Грузины увидели, что дело приняло неожиданное направление. Многие из влиятельных лиц однако думали еще, что царство уничтожено было только потому, что императору было неправильно доложено о домогательствах народа, и стоило только возбудить вопрос о восстановлении независимости Грузии, как дело должно было решиться само собой; так напр. грузин. уполномоченный при русск. дворе кн. Гарсеван Чавчавадзе писал в Грузию: **«Какие имел от царя Георгия к Государю поручения в рассуждении Грузии, ни одно из них не исполнилось: царство уничтожено... никакой род так не унижен, как Грузия. Посылаю копии с манифеста и приказов – из них увидите справедливость моего письма; вы еще имеете время, чтоб общество написало сюда одно письмо, дабы – я предстал здесь и опять о нашем состоянии просил иметь царя и быть под покровительством; знайте, если будете просить царя – дадут, вы можете не принять повелений, отсюда к вам привезенных»** (Акты II, 304). Но надежды были тщетны: в Петербурге вопрос решили бесповоротно, руководствуясь, конечно, совершенно не теми соображениями, какие театральны были выставлены в манифесте о присоединении. Не принимать повелений, привезенных из Петербурга, было не так уж легко. Русск. войска были стянуты вокруг Тифлиса и всякий, пытавшийся протестовать, арестовывался. Всеобщий дружный протест быть может и имел бы свое действие, но дело как раз было в том, что в это время в Грузии были три партии и действия их были не только не солидарны, но даже большей частью враждебны друг другу. Одну партию образовали сторонники царевича Давида, наследника груз. престола, другую – сторонники претендента царевича Юлона; третью партию составляли сторонники русск. правительства; они стояли за уничтожение независимости Грузии и полное присоединение её к России. Правда, эта партия была немногочисленна, но зато в виду присутствия русск. войск весьма опасна для двух первых партий, стоявших на требовании точного исполнения заключенного трактата со стороны русск. правительства. Партия сторонников русск. правительства состояла из двух категорий: одни были личными врагами царевича Давида, другая группа была искренно убеждена, что Россия принесет Грузии мир и благоденствие, защитит от вражеских нашествий и внесет порядок (П. Иоселиани, Жизнь царя Георгия XIII, на груз. яз., стр. 191, 259, 265-6, 273). Партии царевича Давида и цар. Юлона одинаково

стояли за сохранение целостности грузинского царства, но, в то время как сторонники первого стояли на точке зрения желаний последнего царя Георгия XIII и довольствовались даже удержанием царского титула и его наследственности в роде груз. багратидов, а во всем остальном согласны были следовать велениям из Петербурга, - сторонники Юлона требовали выполнения трактата, заключенного ц. Ираклием II с императрицей Екатериной II, и Грузию считали только под протекторатом России, во внутренних же делах независимой. Уничтожение самостоятельности Грузии и все действия представителей русской власти заставили обе партии стать во враждебные отношения к русским. Но скоро и руссофильская партия, конечно, в лице бескорыстно ожидавших от русского правительства блага для своей родины, отшатнулась от русск. правителей Грузии; осталась только маленькая кучка, их личных выгод и корысти старавшаяся использовать положение вещей.

Бесцеремонность водворившихся тогда в Грузии русск. правителей, главнокомандующих и чиновников не имела границ – все было дозволено: уже 12 сен. 1801 г. Одним росчерком пера было учреждено верховное грузинское правительство с 4 экспедициями, в которых грузины сразу же были оттеснены на задний план, и всюду главенствовали русск. чиновники, незнавшие грузинского языка и попадавшие в Грузию только потому, что их в России уже не хотели держать^[11]. Во всех учреждениях, даже судебных, сразу же был изгнан родной, единственно известный населению, язык; во всех делах как уголовных, так и по гражданским процессам было предписано руководствоваться во всех инстанциях общими русск. законами, только по гражданским делам решения выносились по законам ц. Вахтанга, но уголовные преступления карались по общеимперским законам. Даже школьные учителя и те позволяли себе в учебных заведениях пользоваться «поговорами и обидными выражениями для новоприобретенной земли»^[12]. Не прошло и трех лет, как те же лица, которые благословляли Провидение за то, что русские появились на территории Грузии, проклинали теперь свою судьбу. Сам вновь назначенный главнокомандующим Грузии кн. Цицианов смещенному в 1803 г. правителю Грузии Коваленскому говорил: **«Вы оскорбляли их (грузин) своим поведением и тем заставили возненавидеть правление до такой степени, что я нашел страшное колебание умов против Российского правления... по 5 дней вас не видали и ... нередко дождавшимся вашего лицемерия царевичам отказывали под тем предлогом, что у вас времени нет их принять»**^[13]. Бывший грузин. посол Гарсеван Чавчавадзе таким образом описывает тогдашнее настроение руссофильской части грузинского общества: «Народ, стена под игом царей и их многочисленной фамилии, не могши сего уже переносить, прибегнул к высокому покровительству Г. И., надеясь избавиться сего ига, и, что желали, то и исполнилось; но ныне они еще больше под оным стенают... Теперь становится для них несносным... Из сего заключаю, что мысль всех сих князей есть та, чтобы восстановить попрежнему царя и царство»^[14]. Следовательно, даже те из дворянства, которые в присоединении Грузии к России видели счастье для своей страны, перешли в оппозицию к правительству и желали восстановления независимости груз. царства. Теперь уже все партии были согласны в своих домогательствах и идеалах. Только грузин. крестьянство было в выжидательном положении, так как оно в глубине души еще надеялось на улучшение своего положения благодаря русским; так напр., одна крестьянка кн. И. Цицианова секретно сообщила русск. чиновнику, «что она, как и все мужики, русским преданы, а князья и дворяне их ненавидят»^[15]. Но прошло не много

времени и грузинские крестьяне потеряли надежду и симпатию к русскому правлению: когда тяжелое бремя русского владычества начало обрушиваться и на них, тогда только они поняли, что их ожидало впереди. Раньше всех пришлось разочароваться горцам-грузинам, живущим по той местности, где проходит Военногрузинская дорога. Несмотря на то, что русское правительство обещало в продолжение 7 лет не брать податей, в первый-же год начали с них взysкивать и притом непременно деньгами, серебром и за два года, а когда население не в состоянии было уплатить требуемой суммы, русские чиновники заставляли их взять серебро из церквей. Сверх того, было объявлено, что казаки и стражники будут покупать у населения провиант и фураж за деньги, но на самом деле все брали даром; безвозмездно пользовались и лошадьми. Войско издевалось над населением: впрягало в арбу женщин и понукало их нагайками везти нагруженный воз; были неоднократные случаи изнасилования женщин^[16]. Чаша терпения горцев-грузин переполнилась: ожидавшиеся избавители-единоверцы оказались не лучше заклятых врагов и, когда в 1804 г. правительство вздумало производить набор ополченцев для посылки подкреплений на театр военных действий с персианами, все горцы-грузины отказались и восстали; они вошли в соглашение с остальными грузинскими племенами, а также с осетинами и вели переговоры с находившимися при дворе имеретинского царя Соломона в Западной Грузии, царевичами Юлоном и Парнаозом. На требование начальника смирительной экспедиции, кн. Шанше Эристова, подчиниться русской власти повстанцы ответили, что владычество русских довело их до крайности, что они отягчены поборами и требованиями натуральной повинности и потому решили не пропускать больше ни одного русского в Грузию^[17]. Повстанцы принялись заграждать и портить военногрузинскую дорогу, разрушили все мосты и в различных местах устроили сильные заграждения. Сообщение с Тифлисом и Владикавказом было прервано, все курьеры захватывались восставшими и донесения попадали в их руки. Отряд повстанцев напал на казачий пост в Кайшаури и истребил всех; спаслись только двое, сообщившие о случившемся нападении ближайшему начальству^[18]. Вскоре отряд осадил все пункты, где только были расквартированы русские войска, вплоть до г. Душети. Положение стало критическим. Тогда правитель Грузии кн. Волконский объявил, что все жалобы населения будут расследованы и требования удовлетворены. Для того, чтобы мирным путем уладить дело и успокоить восставших, он послал почетных лиц с письмом от католикаса Грузии, которые должны были убедить повстанцев, что все основательные жалобы будут удовлетворены. Почетные лица привезли депутатов от повстанцев для переговоров, и им кн. Волконский повторил то же самое. Наступило маленькое затишье. Когда возобновились военные действия, то вначале счастье улыбалось повстанцам, но восстание было все же подавлено; действовать долго плоховооруженным отрядам против регулярного войска, обладавшего к тому же и пушками, было невозможно. 4 апреля 1805 г. царевичи Юлон и Парнаоз были высланы в Россию, остальные главари в числе 70 арестованы и преданы суду.

Казалось бы, что раскрытые возмущением грузин-горцев бесчинства русских чиновников должны были заставить представителей высшей власти в крае приняться за искоренение тех баснословных и возмутительных злоупотреблений, которые невыносимым гнетом ложились на грузинский народ и заставляли его мечтать даже о тяжелых, политически небезопасных, временах последних грузинских царей. Между

тем на самом деле все шло по старому: то же лихоимство, те же злоупотребления и та же безнаказанность виновных лиц из чиновников. Грузинские крестьяне стонали под игом подводной повинности для русского войска. Карталинские и кахетинские князья, выведенные из терпения безрезультатностью своих жалоб высшему местному начальству, подали наконец в 1810 году всеподданнейшее прошение: «...желаем все мы жертвовать не только имуществом, но и самую кровь нашу за славу Высочайшаго Имени Вашего, но мужики наши, дающие арбы и лошадей, нанимая сами в месяц за 50, за 40 и за 30 р., получают плату вместо того по 1, по 2 и по 3 руб., отчего они находятся в великом стеснении, почему... просим, дабы производима была мужикам нашим плата так, как они нанимают, чтобы были в возможности и в другие времена служить, сеять хлеб и жать и не взимать с мужиков новым положением излишней другой подати»^[19].

При всяком движении войска, или по каким либо другим, даже незначительным, надобностям правительство требовало от крестьян множество подвод; их часто совершенно напрасно задерживали на одном месте, так что у крестьян, по словам грузинского маршала кн. Тамаза Орбелиани, воли тысячами дошли и едва 20-я часть возвращалась обратно. Народ буквально разорялся экономически^[20]. С какой ужасной, бессмысленной жестокостью обращались с грузинским населением видно из того, что «маленькая Грузия доставляла ежегодно, даже в мирное время, до 112000 суточных лошадей с погонщиками. И эта повинность отбывалась почти бесплатно и только за передвижение груза платилось по 2/15 коп. с пудо-версты. Позже, во времена Паскевича, когда подводная повинность была урегулирована, 8000 ароб оказалось достаточным для всех требований армии даже в военное время»^[21].

В официальных документах имеется свидетельство самого главноначальствующего Грузии маркиза Пауличчи о тех колоссальных злоупотреблениях, которые допускались правительственными чиновниками.

«Вникая во все части, под управлением моим состоящие... я нашел, говорит он, немаловажное злоупотребление, с самого открытия здесь Российского правительства существовавшее по части провиантской в рассуждении меры, каковая употребляема была комиссионерами при приеме от жителей провианта и которая служит народу в тягость, а казне во вред...

«Коснувшись сего предмета, я должен против воли моей некоторым образом окритиковать прежнее здесь правление, которое, не взирая на столь явное злоупотребление в мерах и на ропот, иногда случившийся в народе, не обращало на то своего внимания и не старалось пресечь сего зла, которое до того возрасло, что некоторые деревни, доведенные крайним огорчением до явного упорства, отказываются теперь давать в казну следующий от них хлеб и вынуждают правительство употребить против них силу экзекуции, чтобы заставлять их исполнять свои обязанности»^[22].

Дабы картиннее, нагляднее представить себе весь тот произвол власти, те колоссальные злоупотребления и лихоимство, которые нестерпимым бременем лежали на шее грузинского народа и вели его к полному обнищанию и разорению, необходимо вспомнить, что творили русские чиновники с казен. суммами, как они пользовались податями и другими доходами; ведь тут как никак за ними в лице главнокомандующего и правителя Грузии был хоть какой нибудь контроль... Вот как характеризуют сенаторы гр. Кутаисов и Мечников в своем всеподданн. докладе 1831 г. хозяйничание русск. чиновников в Грузии:

«Имеющиеся в Грузинской казен. экспедиции росписания доходам неверны от того, что в них нет ни одной податной статьи, которая могла бы определить настоящее количество сбора, **иные статьи показывают доход гораздо меньше против действительного поступления, другие больший; некоторые из них вовсе пропущены, или помещены те, кои не существуют...** Груз. казен. экспедиция в продолжении 25-ти лет не имела контроля и во все сие время суммы на содержание Грузии расходовались **безотчетно, каковых сумм израсходовано 220.607.235 р. асс...** Казен. экспедиция **часто расходовала Казен. суммы без ассигнаций...** и вообще **ущерба казны** от других упущений ее происшедшего **открыто нами до миллиона р...** Военный губернатор ген. Сипягин израсходовал казенных сумм не по назначению..., на собственные надобности... раздал в долг,... употребил на предметы неизвестные... и издержал на такие... несобственные надобности, коих законность должна быть определена судебным порядком всего 276.504 р. 50 к., в числе коих было 21.776 р. 50 к., пожертвованные разными лицами на богоугодные заведения!»^[23]. Можно себе представить сколько денег ушло в карманы чиновников и из тех сумм, которые израсходованы по ассигновкам, сколько денег было вынуждено выкладывать грузинское население для того, чтобы удовлетворить ненасытные аппетиты служащих в присутственных местах, лихоимство которых достигло баснословных размеров особенно при главноначальствующем ген. Тормасове^[24]. Этот правитель и сам корыстно не исполнял Высочайших указов; можно ли было ожидать, чтобы его подчиненные были менее усердны в удовлетворении своих корыстных замыслов? Вышеупомянутые сенаторы сообщают, что он, «не исполнил Высочайшего указа, в 1808 г. последовавшего, об уничтожении в Грузии внутренних пошлин, и, между прочим, допустил там пошлины за провоз в города из деревень и за вывоз из оных съестных припасов, оставя по прежнему на откупу к нестерпимому угнетению жителей и сельской промышленности»^[25]. Но это было не все. Если бы в Грузии можно было искать защиты хоть у суда, восстанавливать там свои поправленные права и вносить жалобы на должностных лиц... но в том то было и несчастье, что суд был игрушкой в руках высшей администрации. Главноуправляющие в Грузии и губернаторы, по словам сенаторов Кутайсова и Мечникова, отменяли определенные Экспедицией Суда и Расправы роды наказаний преступникам, отменяли часто решения Экспедиции по уголовным делам, по просьбе частных лиц входили в разбирательство решения нисших судебных мест, делали на них свои замечания и, передавая эти заметки в Экспедицию Суда и Расправы, заставляли ее вместо тех решений произносить новые, желательные им постановления; они выводили гражданские дела из очереди, останавливали исполнение решений по вексельным делам. Кто мог верить такому суду? Разве не естественно, что грузинский «народ, которому манифестом 12 сент. 1801 года предоставлено находить защиту в законах, не доверял им; он сам видел примеры их несамостоятельности; в глазах его были уничтожаемы главнокомандующими. Решения их были ненадежны; одна жалоба главнокомандующему была в состоянии их уничтожить»^[26]. В добавок суд отправлялся на непонятном населению языке, по-русски, и по русск. законам. Это было какое то глумление над правосудием, вавилонское смешение языков. После безрезультатных ходатайств на месте, карталинские и кахетинские князья послали в 1810 г. всеподданнейшее прошение, в котором говорилось: «Ваше И. В. Высочайшим Манифестом повелеть нам изволили, что кроме издавна обыкновенного нашего и нам всем известного суда и нам всем

известного закона царя Вахтанга, исключая уголовного, ничего другого не будет, где российские письмоводители изображают... предков Ваших Государей императоров указы, кои нам неизвестны так, как уложение закона царя Вахтанга. сие смешение разных указов в гражданских собственных наших делах помрачает разум наш и вводит нас в великое стеснение, почему всеподданнейше просим, как незнающие российского языка, **поставить с нашей воли выбранных нами судей, кои бы, следуя закону царя Вахтанга, не продолжали год на год суда и решали по обычаю нашему на грузинск. языке**»^[27]. Грузины совершенно не доверяли правительственным судьям и русским законам и хотели иметь выборных судей, суд скорый, независимый, справедливый и всем понятный. Какое азбучное желание, какое элементарное, естественное требование, а ведь оно и до сих пор еще не удовлетворено: все тот же суд с волокитой, без присяжных заседателей, и на непонятном грузинскому населению русском языке!.. Все жалобы, все просьбы и о злоупотреблениях чиновников, и о недостатках суда, и о тяжести налогов, все оставлялось без внимания. Два года сряду в Грузии был неурожай хлеба; и в это время, когда жители не имели ничего и для собственного прокормления, правительство требовало с населения продовольствие для войск. Сильная военная экзекуция в домах крестьян для насильственного сбора хлеба была безжалостным ответом на указание крестьян, что в виду неурожая они не в состоянии дать провианта для войска, - военная экзекуция со всеми сопровождающими ее бесчинствами и безобразиями^[28]. Это было уж черезчур; тут то чаша терпения переполнилась, и в 1812 году вспыхнуло в Кахетии восстание. Жители подошли к крепости Ананур, чтобы таким образом войти в сношения с горцами-грузинами и осетинами, жившими по пути военнотурецкой дороги. Восстание распространялось с поразительной быстротой. С оружием в руках они напали на русские войска в их квартирах и «произвели, по всеподданнейшему донесению маркиза Пауличчи, ужасные жестокости, коих примеры представляет нам французская революция»^[29]. Раздраженные повстанцы напали в Кахетии на ненасытных провиантских чиновников, отняли значительные суммы, бывшие при них, и убили их, а магазины с хлебом предали разграблению^[30]. Восстание, вспыхнувшее сразу, начинало организовываться: были посланы от грузин агенты для переговоров с пограничными народами, началось брожение в Дагестане, стал волноваться и Ширванский хан Мустафа, борчалинские, шамшадильские и казахские татары. Одновременно должны были напасть и персиане с грузинским царевичем Александром. Пламя восстания из одной провинции Грузии, Кахетии, перебросилось на другую – Карталинию. Главнокомандующий Грузии, видя все это, рапортовал государю, что такая организация восстания «не оставляет ни малейшего сомнения, что здесь скрывался умышленный заговор, через который все владения В. И. В. От самого Кавказа должны бы быть потерянными»^[31]. Главнокомандующий Марк. Пауличчи обратился к грузинскому населению с следующей прокламацией: «Что вы делаете! Какое ослепление обуяло умы ваши, или вы забыли веру христианскую и не видите, что рука Божья, карающая клятвопреступников, уже готова вас поразить. Собрал сильные войска, я иду сам на вас; меч мой готов истребить мятежников!»^[32]. Но лживые ссылки на христианскую веру и карающую руку Божью уже не производили никакого впечатления. Маркизу ответили: «Мы неопытны в письмах и не можем понять вашего писания. Мы не отрицаемся от креста и не изменяем Государю, но, что было от Государя повелено, от вас не исполнено. Вы дали нам повод, убивая и вешивая на веревке виновных и невиновных, и по присяге мы это терпели. Штыками вы отняли у

нас последний хлеб, а нам говорили, чтобы мы паслись на траве. От нарядов не стало у нас быков и ароб; вы давали нам 1 р. 26 к. за коду пшеницы, а у нас ее не было; вы брали за ту же коду по 4 рубля. Мы подали просьбу, а вы не довели ее до государя. Нам с вами сойтись невозможно. Мы и так мертвы и должны умереть!»^[33]. Храбравшийся маркиз вначале находился в критическом положении, дела повстанцев шли хорошо, но восстание все же было подавлено оружием. Назначенное после следствие обнаружило полную справедливость жалоб грузин; картина представилась даже более мрачной.

В 1820 году вспыхнуло восстание в Западной Грузии, Имеретии. «Бывший правитель Имеретии ген. Курнатовский, по словам одного из участников подавления этого бунта, по ограниченности ума и по малодушию довел народ до восстания»^[34]. Но на самом деле главным виновником является первый русский иерарх, экзарх Грузии Феофилакт. Дело в том, что, согласно трактату, о положении грузинской церкви должен был быть составлен особый артикул, но это русское правительство сочло излишним. После присоединения Грузии к России католикоса Антония II до 1811 года не трогали, но в этом году его вызвали в Петербург якобы для участия в заседаниях Синода; еще до того времени, пока глава грузинской церкви был бы вызван в Петербург, правительство помимо католикоса вело дело об уничтожении автокефалии грузинской церкви. Угодливому архиепископу Варлааму было предложено составить проект подчинения грузинской церкви Синоду. Не было запрошено мнение всего остального грузинского духовенства. 30 июня 1811 года последовал Высочайший указ, которым сразу и просто уничтожалась автокефалия одной из древнейших христианских церквей и учреждался экзархат правительствующего Синода. Угодливый Варлаам был назначен в награду за свою холопскую деятельность первым экзархом Грузии, но и ему не долго пришлось быть в этом сане; через семь лет его вызвали в Петербург для присутствия в Синоде, уволили от управления экзархатом, а на его место назначили рязанского архиепископа Феофилакта. Не зная совершенно ни грузинского языка, ни местных церковных и народных обычаев, этот иерарх не мог ознаменовать начала своей деятельности ничем иным, как гонением на грузинский, родной язык своей паствы: 14 мая 1817 года он был назначен экзархом, а уже 9 ноября того же года он предписал протоиерею кафедрального собора: «кроме воскресных, праздничных и высокотожественных дней в Сионском соборе отныне имеет быть совершаемо богослужение на российском языке три дня в неделю приехавшими со мною из России священно-церковно-служителями, а именно: во вторник, пятницу и субботу, и остальные три дня на грузинском языке грузинскими священно-церковно-служителями. Итак, 16 лет спустя после присоединения Грузии к России грузины были лишены возможности слушать богослужение в кафедральном соборе столицы Грузии на своем родном языке, на котором в продолжении 1400 лет неумолчно возносились горячие молитвы; ни персиане, огнепоклонники и мусульмане, ни арабы, ни монголы язычники, ни турки не делали того, что сделало русское правительство и его экзарх с христианской православной церковью Грузии! Если грузинское богослужение разрешается только в будние, рабочие дни: по понедельникам, средам и четвергам и то только в том случае, если в эти дни не было церковного или государственного праздника, то не равносильно ли это полному запрещению?

Настолько циничны были русские администраторы в своих действиях по отношению к грузинской церкви, можно видеть из того, что предлагал сделать главноначальствующий ген. Тормасов с церковными дворянами и крестьянам:

«препровождая при сем список, писал он, присовокупляю мое мнение, чтобы для прекращения влияния их на церковные имения **всех сих дворян с крестьянами в казну поступающих переселить из настоящего их местожительства на пустопорожные казенные земли**». Вот что получили грузины вместо обещанного императорским словом мира и соблюдения народных интересов: с веками насиженных, родной кровью орошенных местностей хотели их согнать по прихоти разных авантюристов!..

Феофилакт, экзарх Грузии, с таким натиском начавший свою деятельность в Восточной Грузии, приступил также «смело и повелительно к преобразованию» Западной Грузии. Он думал, что и там, как и в Восточной, обессиленной уже рядом восстаний и суровыми репрессиями войска, он не встретит противодействия, но сильно ошибся в расчетах: он встретил убежденных, упорных противников в имеретинской иерархии. Политиканствующий иерарх, конечно, ни к чему лучшему не мог обратиться, как к грубому насилию: «было решено отправить в Россию двух главных сановников **митрополитов: Гелатского и Кутаисского. При арестовании их было поступлено, по словам очевидца кап. Дубецкого, неделикатно: ибо против сопротивления одного из них употреблены были в дело приклады и штыки, так что архипастырь избитый и окровавленный, был связан и посажен на лошадь силою**»^[35]. Это вызвало взрыв негодования среди населения. В 1819 году на берегу Риона состоялось «чрезвычайное собрание князей, дворян, духовенства и нескольких тысяч народа. В этом собрании положено было истребить всех русских и избрать своего царя. Положение это написано на бумаге, утверждено подписью и печатями главных, а клятва запечатлена торжественною присягою на кресте и евангелии. После чего избраны были начальники войск»^[36]. Началось восстание. Экзарх, приступивший к описи церковных имений, был принужден вернуть опись и по требованию толпы поспешно удалился в Восточную Грузию. Дело велось повстанцами весьма искусно; вначале правительственным чиновникам никак не удавалось узнать, где находится штаб повстанцев, пока один, умирая, не выдал тайны; после этого русский отряд неожиданно напал на весь организационный комитет с главными начальниками и взял всех их в плен. Восстание было подавлено оружием. «В шесть или семь месяцев спокойствие было восстановлено. Человек 10 было повешено, некоторые пали под ударами штыков, а другие были удалены в Россию»^[37]. Многие князья и дворяне были лишены своих имений, одна часть которых была роздана лицам, «усердствовавшим и сохранившим верность русскому правительству, а другая была конфискована в казну»^[38].

Конечно, всякое волнение невольно заставляло представителей русской власти в Грузии задуматься над устранением открывавшихся злоупотреблений и недостатков, но не надолго; дело шло неглубоко и к тому же общее направление было на таком ложном и ошибочном пути, что все даже искренние благие желания устранить бюрократические недуги не могли принести желательных результатов: наводилось преимущественно внешнее благочиние и порядок. Сам главноначальствующий гр. Паскевич в своем всеподданн. рапорте от 1829 года принужден был признаться в этом: «к сожалению, писал он, **скоро заметил, что наружный вид благоустройства только прикрывал беспорядки и злоупотребления весьма важные, давно укоренившиеся...** Главнейшие причины неустройства – чрезвычайное разнообразие в формах управления. Собственно Грузия, из 6 уездов состоящая, может служить образцом сего образования; в одном уезде введены формы судопроизводства Российского, в других

власть исполнительная соединена с судебною; везде при производстве дел существует смешение грузинских с русскими»^[39]. Какое же впечатление должно было производить это вавилонское столпотворение на грузин, которые не имели возможности ни изучить, ни уяснить, в виду незнания русского языка, русских законов и учреждений? И что же делал тот же самый Паскевич для того, чтобы уничтожить недостатки системы управления? Он систематически удалял земский, выборный грузинский элемент из всех учреждений и заменял их русскими чиновниками. Грузинские выборные признавались «совершенно бесполезными по незнанию российского языка и неопытности в делах», как будто незнание русскими чиновниками грузинского, языка населения, могло принести стране и народу какую либо пользу, как будто все грузинское население было создано для того только, чтобы заниматься усваиванием русского языка!.. И благо еще, если бы русские чиновники, назначавшиеся в Грузию, хоть в минимальной степени удовлетворяли требованиям, хоть сколько-нибудь любили бы дело или идею. Сами сенаторы гр. Кутаисов и Мечников так аттестовали русских чиновников и их деятельность в Грузии: «ни в одном из присутственных мест закавказского края в формах и обрядах производства дел нет и тени того порядка, который установлен законом... Количество нерешенных дел оказалось необъятное, и накопились они не потому, что вступали во множестве, а потому, что не было старания о своевременном приведении оных к окончанию. **Прибывающие из России в Закавказский край чиновники, имея в виду положенный им для службы там годичный и 3-х-летние сроки за получаемые ими вперед чины, постоянно делами не занимаются, беспрестанно переходят из одного места в другое и удержав за собою чин, отправляются обратно в Россию**»^[40]. Даже главный оплот чиновничества, «Исполнительная Экспедиция, вместо наблюдения за исполнением законов, сама их, по свидетельству тех же сенаторов, не исполняет. Она без суда и следствия отбирала от частных лиц недвижимые имущества и отдавала их другим, а председатель, гражданский губернатор Завилейский, один своим лицом распоряжался по бумагам, вступавшим в тамошний приказ общественного призрения, и заставлял делать переоценку имений, принятых уже в залог Приказом»^[41]. При таком произволе высших должностных лиц, можно ли себе представить границы самоуправства и злоупотреблений мелких должностных чиновников, яркая характеристика которых была только что приведена? Чиновники грабили народ, - в этом принуждены признаться сами правители Грузии. В своем рапорте от 1830 г. гр. Паскевичу гражданский губернатор Завилейский подтверждает, что **«взыскание двойных податей могло существовать во многих местах, но по безотчетности открыть сего невозможно; на виду же есть токмо по горским народам, с коих управлявший сею дистанциею Кананов взыскал подать и не представил в казну, а по удалении его от должности правительство, считая сию подать в недоимке, потребовало оную обратно**»^[42]. Таков уж был соломонов суд представителей русского правительства в Грузии: они знали, что подати собраны с населения, но вместо того, чтобы требовать их от своих проворовавшихся чиновников, они взыскивают вторично с народа!

Своим вмешательством и регламентацией при полном непонимании местных жизненных условий главноначальствующий нередко совершенно сковывал общественную и экономическую деятельность. Так, напр., один официальный документ сообщает, что «покупка, продажа и заклад частными людьми имений были стеснены до чрезвычайности. Главноуправляющий в Грузии ген. Ермолов, вопреки всех

существующих на сей предмет законов, приказал Экспедиции Суда и Расправы на продажу и заклад не прежде совершать крепостные акты, как по учинении исследований о принадлежности продаваемых и закладываемых имений и по **объявлении о том всем жителям Грузии, в продолжение каковой операции часто проходило до 10 лет, продавцы и покупщики умирали, или, вместо совершения актов, возникали спорные дела**^[43]. С своей стороны и представители высшего правительства, ездившие в Грузию для ревизий, благодаря незнакомству с местными условиями и особенностями, вносили еще большую путаницу, осложняли дела до крайности; так, напр., сенатор Мечников, в бытность свою в Тифлисе узнал о поднятой дворянином Габаевым жалобе по поводу фабрикации фальшивых царских грамот на княжеское и дворянское достоинства и жалованных документов. Недолго думая, сенатор представил министру юстиции и ген. Бенкендорфу для представления на Высочайшее благоволение свой доклад о том, что необходимо 1) **«приостановить по всем присутственным местам, от нижних и до Правительствующего Сената, производство дел – как тяжёбных, так и доказывающих княжеское и дворянское достоинство; 2) вытребовать все грузинские грамоты и документы на княжеское и на дворянское достоинство и на владение имуществом к определенному сроку и отобрать документы фальшивые; 3) привести в известность – кто чем владел и кто какое звание носил до манифеста 1801 г., при чем те только иски признавались правильными, кои были начаты до смерти царя Георгия, и чем в то время владел и какое звание носил, с тем тот и да пребудет и 4) работу эту, равно как и следствие по обнаруженным уже злоупотреблениям, поручить не местным чиновникам, кои обременены другими занятиями и не могут быть беспристрастны, а особой комиссии из чиновников министерства юстиции, финансов и внутренних дел и секретарей Сената**^[44]. И этот абсурднейший проект был признан и гр. Паскевичем «совершенно правильным и полезным», а 29 ноября 1830 г. получил Высочайшее утверждение. В продолжении **семи лет** производство тяжёбных дел было прекращено; а дела отыскивающих дворянское звание не разбирались до 1844 года; создалось невыносимое, непонятное положение! Нужно было комиссии пересмотреть и подвергнуть экспертизе свыше 10000 документов; при том комиссии, члены которой грузинского языка, языка этих документов, совершенно не знали. По истине бессмысленная затея, бессмысленное осуществление! «Комиссия, чтобы рассмотреть несколько тысяч документов, будет работать, писал совершенно справедливо бар. Розен, многие годы. Спор предъявлен ко всем вообще актам, а все они считаются ничтожными, доколе действительность их не будет доказана. **Вследствие сего дворянских и княжеских детей не принимают на службу с правами, присвоенными их сословию; ни один владелец не может ни продать, ни заложить, ни дать в приданное своего имения потому единственно, что начальство задумало пересмотреть сначала все акты, чтобы узнать нет ли между ними фальшивого**^[45]. И если вспомнить из-за чего все это было проделано правительством: после 7-летней работы было открыто всего лишь 14 поддельных актов. Вполне ясно, что вся эта затея ничего кроме всеобщего возбуждения и недовольства не могла вызвать. Главноуправляющий барон Розен писал в Петербург: «я замечаю в среде здешних дворян и князей некоторое уныние, близкое к неудовольствию». Действительно, в это время среди дворянства в Грузии подготовлялось восстание. Увлеченные польским восстанием, молодые люди высших слоев грузинского общества, жившие в Петербурге во главе с 30-летним сыном царевича Юлона, Димитрием, стали

призывать своих соотечественников восстать против «угнетающего их правительства». Было решено в декабре 1832 года воспользоваться дворянским съездом, устроить бал от дворянства, пригласить всех русских чиновников и по условленному сигналу убить всех, не щадя и тех из грузин, которые бы приняли сторону чиновников. Это должно было послужить началом восстания: удар в колокол должен был призвать всех грузин взяться за освобождение Грузии. Однако, жестокость поголовного истребления чиновников отвратила некоторых участников от заговора. К тому же среди заговорщиков оказался некий Евс. Палавандов, брат грузинского губернатора, который выдал всех соучастников. Они были высланы из Грузии. – Теперь, когда у нас имеются документы, можно с уверенностью сказать, что и без измены со стороны Е. Палавандова заговор не мог иметь никакого успеха и не потому, чтобы в грузинском обществе был недостаток в озлоблении и недовольстве тем режимом, который был введен русским правительством, а потому, что как раз в это время среди грузинского крестьянства шло сильное брожение, и оно не поддержало бы восстания дворянского сословия. Дело в том, что именно в те годы, когда подготовлялся заговор для свержения русского владычества, среди грузинского крестьянства началось вновь сильное движение в пользу освобождения от крепостной зависимости. Материалы еще не достаточно обследованы, чтобы можно было проследить за возрождением и постепенным ходом этого движения. В своем рапорте от 1829 г. ген.-адъют. Стрекалову Завилейский указывает на тяжелое положение крепостных, на эксплуатацию их со стороны помещиков; «оттого то, говорит он, и действительно **крестьяне не только не расположены к своим помещикам, но часто вовсе отказывают им в повиновении**, особенно зажиточные, и помещики, **немогши иногда сладить с своими богатыми крестьянами**, всю тяжесть податей, повинностей и часто прихотей своих обращают на беднейших... Но в **особенности находятся в стеснительном и жалком состоянии... крестьяне, отыскивающие от помещиков свободу**, несмотря на распоряжения правительства, чтобы люди сии до решения дела отбывали только те повинности своим помещикам, кои несли до начала иска»^[46]. Крестьяне массами старались освободиться от крепостной зависимости. «**присутственные места в настоящее время... наводнены**, говорит бар. Розен, **делами ищущих вольностей**, которые количеством, запутанностью и продолжительным производством слишком много обременяют оные, и, если не положить преграды искам сего рода, то **на будущее время еще умножатся**»^[47]. В этом освободительном движении грузинского крестьянства русское чиновничество было на стороне крепостных. Особенное покровительство крестьянам оказывали стряпчие: они наставляли их, как действовать^[48]. Нам не известны побудительные причины такого покровительства, но каковы бы они не были, совершенно ясно, что грузинское крестьянство, видевшее столь существенную помощь, оказываемую ему русскими чиновниками в его борьбе за освобождение от крепостной зависимости, не могло пойти против своих сторонников, не могло принять участия в затевавшемся восстании вместе с теми дворянами, от которых оно хотело освободиться. Интересы крестьян в этот момент не позволяли пойти, несмотря на всю тяжесть русского режима и для них, против русского чиновничества именно в виду надежды за их помощь при ожидавшемся раскрепощении. Вот, если бы организаторы – дворяне поняли всю серьезность грузинского крестьянского движения и смогли бы пойти ему навстречу, их замысел мог получить более реальную почву; но как раз этого и не случилось. Дело было обречено и помимо преждевременного открытия заговора на неудачу.

Крестьянское освободительное движение принимало грандиозные размеры. На него обратило внимание и высшее правительство, но, не имея никакого понятия о характере и природе грузинского крепостничества, каждый из администраторов или присылавшихся в Грузию сенаторов разрешал вопрос по своему. Не прошло незамеченным оно и у сенаторов Кутаисова и Мечникова; их поразило разнообразие и число повинностей, отбывавшихся грузинскими крепостными и, вспомнив, что грузинское дворянство сравнено в правах с русским дворянством, они решили: **«уничтожая постепенно существующие ныне повинности, заменить их в течение не более трех лет повинностями, существующими в России, дать безотлагательно грузинским помещикам право отдавать крестьян своих в солдаты и ссылать их в Сибирь за поселение»**^[49]. Вот и вся мудрость!..

Заменить в три года новыми видами повинностей и дать права ссылки: странная логика, оригинальный ход мыслей! Как совмещали г. г. сенаторы необходимость замены обычных повинностей груз. крепостных, - необходимость, подсказанную как будто альтруистическим чувством, - с решением дать груз. помещикам право ссылать тех же груз. крепостных в Сибирь? Тут может быть лишь одно объяснение только формализм, очевидно, руководил сенаторами: они хотели перековать всю Грузию на один лад, по общероссийскому образцу; только бы было на лицо внешнее однообразие и благочиние!.. Главннач. бар. Розен указал правительству, что «невозможно, не только в три года, но и когда либо заменить местные повинности крестьян российским обычаями, когда один край вовсе различествует, и в климате, и в произведениях земли, и в образе жизни самих помещиков и крестьян, когда, наконец, и в самой России не установлено на этот предмет твердых правил»^[50]. Он разъяснил правительству, что хотя повинности, отбываемые крестьянами помещикам, и многочисленны, но положение груз. крепостных было нисколько не хуже положения таковых в России, и что вообще доходы грузинских помещиков были весьма незначительны. Доводы бар. Розена подействовали на правительство; но увы, чем кончилось это крестьянское движение! Бедных грузинских крепостных вместо ожидавшейся свободы неожиданно постигло несчастье: из проекта сенаторов правительством было принято только последнее предложение, и грузинам помещикам, подобно русским дворянам, было предоставлено право сдавать своих крепостных в рекруты и отправлять в ссылку. Так печально кончилось, благодаря уравнивательным тенденциям русск. правительства, освободительное движение грузинского крестьянства!.. Таким образом надежды крестьянства на правительство не оправдались: положение его еще более ухудшилось. В циркуляре кн. Чернышева от 1842 года местной администрации предписывалось держать груз. крестьян в безусловном повиновении помещикам и всем, которые попробовали нарушить это распоряжение правительства, военными экзекуциями было дано понять, как сурово будут расправляться с ослушниками. Отныне судьба груз. крестьянина была в руках администрации.

С начала 30-х годов в высших правительствующих сферах усиленно были заняты вопросом о реорганизации Грузии в административном и судебном отношениях. Большинство главнначальствующих решало этот вопрос весьма просто: стоило лишь ввести в Грузии общеимперские законы и учреждения, как тотчас дела пошли бы, как по маслу; все они, за исключением бар. Розена, совершенно не обращали внимания на то, подходят ли русские законы к груз. жизни. Этот вопрос пережил несколько любопытных фазисов, пока в 1840 году не одержало победу мнение ловкого сенатора

Гана о необходимости немедленно же ввести в Грузии полностью все русск. законы и учреждения. В продолжение одного года вся реорганизация была осуществлена: открыли все присутственные места, были назначены, выбранные сен. Ганном, чиновники, а все прежние местные удалены от должностей; были отменены все груз. законы, за исключением двух статей по водному праву, наконец, было разрешено сечь всех лиц податного сословия, даше мусульманок. Угодливый сенатор в высокопарном, в льстивом стиле доносил государю о своих преобразованиях: «Это уже полное здание, под кровом коего должны развиться могучие умственные и нравственные силы народа, богатство и просвещение, незараженное нечистой примесью идей нашего века; здание, вызванное к бытию гением и волею Вашего Императорского Величества... Я оставляю край в совершенной тишине и спокойствии; чиновники трудятся ревностно и прилежно; число преступлений приметно уменьшается; повинности отбываются, подати платятся и счастлив заверить Ваше Имп. Величество, что новое устройство вполне соответствует нуждам народа»^[51]. Словом, Грузия превратилась по милости сен. Гана в счастливую Аркадию! Но как далеко было все это от истины! Не прошло и года, как сенаторское мудрствование начало вызывать всеобщее недовольство: одинаково жаловались и чиновники и народ. Это было царство формализма и канцелярщины. Явный преступник мог выйти и выходил из суда оправданным по неимению формальных, предустановленных законом, доказательств. Оправданных было приказано держать в тюрьмах^[52]. «Все управление, писал Розен, заключается в одном только письмоводстве, прямого же действия нет и, начиная с высших инстанций до нисших полицейских мест, все только пишут и пересылают друг другу формальные бумаги»^[53]. В Гурии вспыхнул благодаря этой знаменитой реформе бунт, в Осетии и Белоканах начались волнения, всюду разгуливали шайки разбойников. Получилось нечто невообразимое; правительству самому пришлось немедленно отменить реформаторские затеи сен. Гана. Да и могла ли держаться реформа, согласно которой публикации о вызове ответчика из деревни должны были печататься в «С. Петербургских» и «Московских Ведомостях»?.. Ведь это было прямо карикатурно. Однако только с назначением в 1845 г. наместником Кавказа кн. Воронцова подобные опыты реорганизации управления краем уже не находили больших поклонников в высших сферах.

В 1856 году вспыхнуло знаменитое крестьянское восстание в бывшей еще тогда автономной Мингрелии; оно было вызвано чрезмерным нарушением со стороны дворян норм грузинского обычного права, регулировавших отношения между помещиками и крепостными, в особенности же злоупотреблениями и бессовестной эксплуатацией крестьян со стороны управляющего дворцовыми имениями кн. Чиковани. Движение охватило все крестьянство. У опушки леса по зугдидской дороге на обширной поляне до десяти тысяч крестьян расположились походным станом. По всем направлениям на дорогах были расставлены пикеты, которые сообщали обо всяком движении в сторону стана. Крестьян созывали сигналами трубой. Во главе этого движения стояли трое замечательных вожаков крестьян: Коча-Тодуа, Мартали-Тодуа и Микава. Коча Тодуа, крепостной дворянин, 50-ти лет, видный и осанистый, занимался мелочной торговлей; он «стал во главе крестьянского движения своей волости, в качестве защитника братьев своих униженных, и оскорбленных. Сделавшись вожаком, он обставил себя по-генеральски: при нем состояли адъютанты, посыльные, секретарь,

писавший ему приказы; разъезжал с целой свитой, а иногда носили его на тахреване (носилках). Крестьяне являлись к нему с жалобами на господ, он вызывал тех повестками и, если они являлись, то нередко улаживал дело миром. А то постановлял решение, немедленно приводившееся в исполнение. Если же помещик не являлся, то Коча посылал своих людей на место, расправиться с ним и удовлетворить крестьян. Он был строг, любил порядок. Помещики сами искали его покровительства, он принимал их, выслушивал и не всегда оправдывал крестьян... Но горе было тому помещику, который оказывал ему неповиновение. Коча налетал на дом его со всеми толпами, как ястреб, и чинил самую бесцеремонную расправу. Не оставлялось ни кола, ни двора, и помещик рад бывал, что улепетывал целым и невредимым»^[54].

«Совершенно иным типом был, по словам очевидца г. К. Бороздина, Мартали Тодуа. Мартали не есть имя собственное, а прозвище, означающее по-русски: правдивый, справедливый, честный. Это прозвище получил он в народе не даром, и вследствие личных своих качеств... Мартали Тодуа был кустарем, выделывающим деревянную посуду, по преимуществу тарелки. Преданный своему ремеслу, трудолюбивый, набожный, уже пожилой (тоже лет 50), семейный, он пользовался особенным уважением своих односельчан, и, когда крестьяне поднялись в Салипартанской волости, они единогласно выбрали его своим предводителем, прося его довести лишь всю правду сначала до дедопали (правительницы), а потом и до самого царя. Мартали Тодуа... во все время своего предводительства старался своим спокойным и разумным словом сдерживать всякие крайности со стороны крестьян... С бандами он не бродил, сидел у себя в сакле, попрежнему точил тарелки и появлялся перед толпою лишь в крайних случаях»^[55].

Третьим вожаком был талантливый кузнец Микава. «При самом начале крестьянского движения кузница Микава сделалась сборным пунктом, а хозяин, малый лет тридцати, смысленный, хитрый сумел, не навязываясь крестьянам, сделаться предводителем. Страстный по натуре он скоро и сам увлекся своею ролью, успев приобрести неограниченную власть над крестьянами. Расправа его с помещиками была самая страстная и энергичная; он налетал на них, как снег на голову, отбирал все наличное, раздавал крестьянам и нередко держал господ у себя в плену под условием выкупа. В особенности доставалось от него князьям и дворянам, более других славившимся жестокостью. Грамотный и красно говорящий... он был в душе ненавистником господчины и мстил ей всеми способами за вековые обиды своих братьев»^[56]. Крестьянское движение началось во время отсутствия правительницы Мингрелии. Когда она вернулась, то, вследствие влияния кн. Чиковани, она не сумела понять всей серьезности положения, войти в нужду и справедливые требования крестьян, а приняла сторону угнетателей народа, видя в его действиях только бунт и неповиновение властям. Между тем требования крестьян были весьма умеренны, просто минимальны: они хотели, чтобы с ними обращались по-человечески, не мучили их, не заковывали заслушание в цепи, не продавали их, как товар, и соблюдали вековые нормы грузинского обычного крепостного права. В действиях крестьянства не было и тени враждебности по отношению к особе правительницы Мингрелии, наоборот они глубоко верили в то, что княгиня поймет их нужды и защитит от притеснителей. Но правительница была ослеплена, во всяком случае смотрела глазами кн. Чиковани и тем самым, как это нередко бывало в подобных случаях, она сама уничтожила всю веру и обаяние, которыми она пользовалась в народе. Не имея

возможности подавить собственными силами это движение, она обратилась за помощью к русск. власти, кутаисскому губернатору Колюбакину, который по приезде в Мингрелию убедился в справедливости жалоб крестьян и вместе с успокоением движения признал необходимым уничтожить самостоятельность мингрельской автономии и присоединить ее к русск. владениям. Таким образом, в данном случае крестьянское движение благодаря слепоте туземных властей оказало роковое влияние на потерю Мингрелией в 1867 г. автономных прав.

Чувство недовольства, которое было в Западной Грузии против русск. правительства в виду неоправдавшихся надежд грузинского крестьянства, стало рассеиваться к 60-тым годам. Слухи о проектируемой отмене крепостного права и зависимости от помещиков находили радостный отклик в душе грузинского крестьянина, еще в тридцатых годах лелеявшего себя мечтой о такой свободе. 8 ноября 1864 года был обнародован указ о прекращении крепостничества в Тифлисской губернии; в Кутаисской губ. он был объявлен 13 октября 1865 года, а 1 декабря 1866 года и в Мингрелии. В момент освобождения крестьян в Грузии власть не оказалась на высоте своих задач, чтобы понять истинную природу и характер грузинского крепостного права и его отличия от русского, чтобы, руководствуясь ими, она была бы в состоянии отстаивать права и интересы крестьянства. Несчастье заключалось в том, что систематическое игнорирование грузинского элемента в служебной иерархии и искусственная задержка всякой самостоятельности и свободной мысли в грузинском обществе привело к тому, что к этому времени в Грузии у правительства не было необходимого кадра интеллигентных, служащих идее работников, которым было бы по плечу осуществление великой реформы. Нечего говорить, что дворянство, за исключением меньшинства, думало и отстаивало свои интересы. Грузинское крепостное право сложно, но некоторые категории крепостных совершенно ясно выделяются: во многих случаях был на лицо простой патронат, крепостной считался вечным владельцем земли, повинности и все остальные обязанности были строго и навсегда определены, нередко имелись и письменные договоры и условия. Все это не было принято во внимание и единообразная с Россией система, примененная вообще в Грузии, была величайшей несправедливостью и нарушением права грузинского крестьянства. Но это еще не все и не главное. Дело в том, что крепостные в Грузии имели право безвозмездно пользоваться для собственных нужд помещичьим лесом и выгонными местами. В § 172 законов ц. Вахтанга VI, напр., говорится: **«пользование лесом и дровами нельзя воспрещать** потому что, если житель равнин не построит дома и не будет пользоваться дровами, то в стране народонаселение уменьшится, а у государя войска и охоты не достанет^[57]. Но владелец леса может оставить для охоты один участок заповедным и воспрещать рубить»^[58]. Таким образом кроме одного заповедного участка весь помещичий лес должен был быть открыт для домашнего потребления крестьян. И до нас дошел один приказ царя Ираклия II от 1785 года о том, чтобы князья Амилахвари не смели «воспрещать крестьянам пользоваться и вывозить материалы на устройство арроб»; «разрешить им также пасти свой скот», повелевал царь; а так как Амилахвари нарушили право пользования крестьян и начали взыскивать с них деньги, то Ираклий II предписывал возратить немедленно все деньги крестьянам^[59]. И в § 64 «обычаев, введенных при грузинских царях законом», которые были записаны при русском управлении, сказано: «находятся князья и дворяне, кои имеют леса, воды и сенокосы с горами и долами, и оные употребляют в пользу свою и

никто без позволения их не мог пользоваться таковыми местами; но **тамошние и ближайшие поселяне вывозили для себя дрова и лес для дома, а не для продажи; также не было запрещено им пасти скот на их лугах;** жители же посторонних селений пользовались оными местами с позволения их помещиков не иначе, как с платежном положенной цены»^[60]. При освобождении крепостных в Грузии на это их право не было обращено должного внимания и за крестьянами оно не было ни закреплено, ни компенсировано. А это ведь являлось лишением грузинских крестьян их векового права; ведь жить им без леса и пастбища не возможно.

Рано или поздно это должно было принести свои плоды. Однако в момент освобождения крестьян от крепостной зависимости самый факт уже производил в Грузии такое могучее умиротворяющее действие, что указанные выше правонарушения не производили на крестьян сильного впечатления; тяжелые последствия тех урезок, которым подверглись права грузинского крестьянства, могли быть и становились тем чувствительнее, чем больше времени проходило с момента отмены крепостничества.

Но еще в 1878 г. в Восточной Грузии, Сигнахском уезде были волнения, возникшие на несколько иной почве. Так как Берлинский конгресс одно время грозил осложниться новым конфликтом, то правительство, уже утомленное 10-тимесячной войной с Турцией, принуждено было вновь приняться за военные приготовления. Было объявлено о наборе милиции в числе прочих мест и в Сигнахском уезде; тогда уездный начальник граф Тизенгаузен приказал сельским старшинам немедленно же приступить к составлению списков крестьян в возрасте от 19 лет до 30-ти. Как громом порозило это правительственное распоряжение жителей всего уезда; уже 15 лет сряду ни разу не было урожайного года, население обнищало, по горло впало в долги, и только последний год небо послало крестьянам обильную жатву. Вздохнувшие было свободно жители, однако, должны были распрощаться с приятными надеждами: во время войны крестьяне были вынуждены выставить почти все имевшиеся у них подводы для нужд войска; масса скота пала, вся рабочая сила населения была оторвана от полевых работ. Крестьяне видели, что им угрожало; повсюду в деревнях замечалось явное брожение: по вечерам собирались сходы и толковали о своих нуждах, крестьянки призывали своих мужей, братьев и отцов отказать правительству, которое их разоряет, в повиновении, но пока еще чувствовалось колебание. Лишь только однако весть о наборе милиции распространилась по деревням, брожение уже приняло реальный характер. Все побросали работу и устремились на сходы; горячие, зажигательные речи, особенно женщин, находили отклик в сердцах слушателей. Крестьяне требовали от старшин не составлять списков; но вдруг разнесся слух, что участковые пристава и старшины тайно уже составляют списки подлежащих призыву, причем за 15 – 20 руб. взятки они, подобному тому, как и во время подводной повинности, вычеркивали фамилии одних и вносили других. Тогда крестьяне решили выступить активно и заявить правительству, что и им не вмоготу милиционный набор и поэтому отказываются подчиниться правительственному распоряжению. Население начало вооружаться; женщины начали агитировать о необходимости пойти походом на местную администрацию. 4 июня, в воскресный день, когда должны были кинуть жребий, в одной большой деревне сельчане избили старшину. Присланный уездным начальником по этому делу прап. Шаншиев вначале было успокоил толпу, но потом, разозлившись на одного парня за его заявление об отказе в повиновении правительству, приказал сельскому рассыльному арестовать парня. Народ не позволил схватить парня

и избил рассыльного, а прап. Шаншиеву предложил по добру по здорову убраться домой. В этот день происходила соединенная сходка многих деревень. Получив обо всем этот донесение, уездный начальник понял, что дело принимает серьезный оборот, и решил вызвать войска. Для этого нужно было доложить о положении дел ген. Орбелиани, начальнику квартировавших в этом районе войск. Отправившийся в экипаже к генералу уездный начальник был настигнут по дороге огромной толпой, бушевавшей и грозно потребовавшей от него, чтобы он сошел с экипажа. Ему кричали, что он разорил и погубил их прежде подводной повинностью, а теперь набором. Уездный начальник через грузинского переводчика объяснил, что все это он делает по распоряжению государя и он может только хлопотать об облегчении их положения; он проверит все списки, и всех виновных в подлоге строго накажет. Уездный начальник спросил, почему до сих пор они не обратились к нему с жалобой на подлог в призывных списках. При этих словах какая-то женщина напомнила ему, что одно лицо обратилось к нему с подобной жалобой, а он выгнал его. Народ приходил все больше и больше в возбуждение; слышались призывы избить начальника, но в это время один из старшин кинулся между начальником и толпой; тогда разозленная толпа принялась бить старшину; воспользовавшись этим, начальник приказал кучеру во весь карьер погнать экипаж. Народ бросился в догонку и на перерез, но настичь все же не смог. Граф Тизенгаузен прискакал к ген. Орбелиани, которому и доложил обо всем происшедшем. Только генерал отправил приказание ближайшей войсковой части поспешно прибыть, как разъяренная толпа начала подступать к дому с криками и бранью. Генералу заявили, что они умрут, но не дадут солдат. Генерал объяснил, что это распоряжение государя, и он с уездным начальником могут только хлопотать, об облегчении, что они им и обещают исполнить. Начинаясь было успокаиваться толпа была вновь взвинчена насмешкой одной женщины, что де достаточно двух приятных слов, чтобы их одурачить и успокоить. Толпа кинулась за генералом и уездным начальником и избивала их. Когда один из стражников хотел кинжалом защитить генерала, то он запретил ему кого либо трогать. Этот рыцарский поступок генерала сразу расположил к нему бушевавшую толпу; она прекратила избивание и внесла его даже в комнату. Избитого уездного начальника посадили в экипаж и повезли окруженного со всех сторон в уездный город, чтобы заставить его порвать составленные призывные списки. Однако по дороге толпа раздумала и разошлась по домам; народ начал успокаиваться; тем временем туда были стянуты войска. Виновные были арестованы и из 17 обвиняемых 9 мужчин и 2 женщины были приговорены судом к каторге на 45 лет^[61].

С 80-ых годов, в царствование Александра III, по отношению Грузии применялись исключительно полицейско-репрессивные меры: школа стала прямым орудием самой бесцеремонной русификаторской политики и учреждением, где «верноподданные» учителя должны были внедрять в питомцев «беспредельную веру» и «благонадежность»; своей основной задачей г. г. попечители кавказского учебного округа считали изгнание из сельских школ родного языка населения и введение преподавания всех предметов при помощи бессмысленного «немного» метода, т. е. без посредства родного языка. Суд хотя и подвергся благодетельному влиянию либерального духа эпохи Александра II, но лишь отчасти, и самые важные институты, как суд присяжных заседателей, выборные, несменяемые судьи, вопреки многократным ходатайствам груз. общества, не введены еще и до сих пор. Кроме того,

суд по прежнему ведется на непонятном населению русск. языке. Из политических соображений отклонялись многочисленные ходатайства грузинского общества и о введении земства. Даже церковь продолжала являться в руках правительства орудием политической и обрусительной пропаганды; высшие русск. иерархи грузин. церкви находились в открытых связях с полицией, явной и тайной; даже в церковно-приходских школах с крайней настойчивостью и упорством начали изгонять грузин. язык. И в это же самое время русск. экзархи и их апостолы выказывали фарисейскую заботливость о грузинских племенах и проливали крокодиловы слезы о том, что те не могут слушать слова божья на родном наречии!.. в трогательном единении с попечителем учебного округа они в умилении создавали мингрельцам, грузинскому племени столетиями не знавшему и не желавшему знать иной письменности кроме родной ему грузинской, духовной и светской литературы, якобы новую собственную грамоту, в основу которой был положен русский алфавит; новоявленные мудрые семидесяти-толковники полицейского духовенства занимались переводом св. писания на мингрельский яз. Но тщетно! Народ не хотел слушать слова божья, оскверненного ядом предателей родины, и всюду с брезгливостью и отвращением встречали «просветителей» мингрельцев... При все более и более прогрессирующем малоземельи, когда в Кутаисской губернии в среднем на дым приходится всей удобной земли только 3,28 десят., а пахотной только 1,92 дес., в Тифлисской же губернии при значительно менее плодородной почве всей удобной земли на дым приходится 6,84 дес., а пахотной только 4,92 д.; когда плотность населения дает, за исключением пустынных и каменистых горных мест, весьма почтенную цифру: 36,2 на 1 кв. версту в Тифлисск. Уезде (с пустын. караязск. степью с 3,5 жит. на 1 кв. в.), 42,3 в Меджврисхев. участке Горийского уезда, 45,4 в Мачхаанском уч. Сигнахск. уезда, 114,8 в Самтредском и 93,5 Хонском участках Кутаисск. уезда, 110,1 в Абашском уч. Сенакского уезда, 113,4 в Квирильском уч. Шорапанского уезда; словом, когда безземелье доходит до крайних пределов, в это самое время все свободные казенные земли в Грузии предоставлялись для колонизации русским крестьянам, богатейшее же черноморское побережье было поделено между г. г. министрами и другими баловнями судьбы, а местному грузинскому крестьянству правительство ни под каким видом не разрешало селиться на свободных казенн. землях; грузинское крестьянство ясно видело исключительное покровительство русским «колонизаторам» и явное игнорирование и пренебрежение к их положению и нуждам. Все было подготовлено для того, чтобы в случае возникновения движения оно охватило все слои грузинского общества и разрослось до грандиозных размеров. И это движение, как то бывало и раньше. Началось на аграрной почве и прежде всего среди крестьян. В Восточной Грузии еще с начала девяностых годов недоразумения на почве нарушенных прав крестьян пользования пастбищами и лесными угодьями стали возникать все чаще и чаще. Стесненные нуждой, они шли и на потраву и самовольные порубки, причем крестьяне в таких случаях всегда ссылались на обычное право; им не было известно, что это право закреплено за ними и законами ц. Вахтанга. Отношения между помещиками и крестьянами сильно обострились; осмысленная часть дворянства возбуждала вопрос о необходимости урегулировать этот больной вопрос законодательным путем; но правительство хранило упорное молчание, хотя положение вещей было очень серьезно. В Западной Грузии в виду острого малоземелья арендная плата за землю достигла колоссальных размеров; так как правительство не позволяло грузинск. крестьянам селиться на свободных

казенных землях по черноморскому побережью, то искусственное повышение арендной платы на землю должно было по прежнему прогрессии ровать. Временные вспышки и отдельные проявления брожения начали принимать всеобщий характер с 1901-2 г. В это время в Западной Грузии, в Гурии (Озургетс. уезде) был неурожай; и без того тяжелые арендные условия стали тогда совершенно невыносимыми; было глухое недовольство; в 1902 году в г. Батуми на фабриках, на которых большинство рабочих их безземельных и малоземельных крестьян Озургетского уезда, началась забастовка. Многие из забастовщиков были высланы администрацией на родину. Вернувшиеся домой рабочие застали у себя глухое брожение; в тот момент недоставало только организационной деятельности и инициативы, чтобы оно приняло реальную форму; высланные рабочие и внесли этот организаторский дух, идеи о необходимости бороться за свои права соединенными усилиями; все это было им хорошо знакомо по своим рабочим организациям. Уже в 1902 г. одновременно в четырех больших селениях началось аграрное движение. В сел. Нигоити произошло столкновение между управляющим одного крупного помещика и местными крестьянами из-за пастбищ; призванная полиция, конечно, прежде всего арестовала «бунтовщиков». Но это только ухудшило отношения, так как возбужденное крестьянство усмотрело в этом пристрастие и покровительство полиции помещикам. Тогда крестьяне собрались вместе и выработали общие требования, которые были предъявлены всем помещикам, на что администрация ответила вторичными арестами. В район аграрного движения выехал и губернатор, и местным населением ему были перечислены следующие неотложные нужды, удовлетворение которых только и могло успокоить взволнованное крестьянство: 1) необходимо понизить арендную плату на землю, 2) уничтожить плату за пользование выгонами и пастбищными местами, 3) отмена акциза за выкуривание водки, одного из главных источников доходов местного населения, 4) обязательность общественных работ и несение повинностей всеми без различия сословиями и 5) уничтожение натуральной повинности в пользу духовенства. Ответом на эти требования были экзекуция и репрессии. Раздраженные таким поведением администрации, крестьяне объявили помещикам полный бойкот и ни одна помещичья земля не была взята в аренду, не была вспахана; это, конечно, должно было вызвать страшный экономический кризис в стране. Тогда, кроме обычных своих приемов, администрация прибегла, как ей наивно казалось, к радикальному искоренению «крамолы»: она закрыла все сельские библиотеки, считая эти маленькие культурные учреждения за очаги «смуты».

Но и это не помогло делу; наоборот, народ потерял всякое уважение к администрации; правительство и суд, уже с давних пор не пользовавшиеся особым доверием грузинского народа, теперь, под влиянием политических процессов, пали совершенно в глазах населения; оно перенесло свой бойкот на администрацию и суд, и организовало свою собственную выборную администрацию, свой выборный народный суд. Конечно, эти учреждения не были безупречны, но зато были вполне демократичны и понятны, так как все велось на груз. языке, и подлежало контролю; в этом проявилась организационная способность и многовековая культура грузинского народа. Одинаковые во всей Грузии условия способствовали быстрому распространению движения по всей территории расселения грузинского народа и чем дальше, тем все более и более это движение из аграрного стало переходить в политическое. Уже высшая администрация не была в силах найти какого либо выхода

из созданного движением положения: ни правительственные должностные лица, ни суд нигде больше не действовали, всюду была своя администрация, свой суд. Вековой гнет и нарушение всех элементарнейших прав грузинского народа, систематическое игнорирование и попираание кровных интересов грузинского народа со стороны царского правительства привели последнее к полному моральному банкротству и потере всякого доверия и престижа!.. Нет сословия в Грузии, у которого бы оно пользовалось уважением и симпатиями... Назначенный в 1905 году наместником Кавказа граф Воронцов-Дашков еще до своего приезда в Тифлис объявил народу, что он посылает своего помощника Султан-Крым-Гирея для ознакомления с нуждами и желаниями населения и все, что будет в его власти разрешить, он не замедлит исполнить, обо всем, что превышает его полномочия, будет доложено Государю. 18 февраля Султан-Крым-Гирей прибыл в Озургетский уезд и, объезжая деревни, ознакомился с требованиями населения. Если оставить частности, то главные требования выражались в следующих пунктах: 1) право собираться для обсуждения местных общественных дел и избирать администрацию и суд (самоуправление), 2) суд и школа на грузинском языке, 3) земля должна принадлежать земледельцу; 4) отмена акциза и косвенных налогов, 5) гарантия свободного выражения мнения – устного и печатного (свобода слова и печати) и т. д. Были посланы правительственные чиновники и в другие районы Грузии; требования были выставлены такие же, указывалось лишь особенно настойчиво на необходимость самоуправления для грузинского народа.

Наместник признал некоторые требования справедливыми и подлежащими удовлетворению. Между тем, пока почти ничего не сделано в этом направлении. Наоборот, под влиянием реакции, в эпоху «подавления революции» Грузия подверглась такому разгрому, как если бы она перенесла вражеское нашествие.

* Впервые опубликован автором в 1906 году под заглавием: Прив.-доц. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПб, 1906. книгоиздательство «Сакартвело».

- [1] **Пурцеладзе**. Церковные грамоты, стр. 36.
- [2] Там же, стр. 81.
- [3] Там же, стр. 35.
- [4] Там же, стр. 27.
- [5] Там же, стр. 12 – 13, 45.
- [6] Там же, стр. 92.
- [7] Там же, стр. 53, дек. 1791 года, стр., 27 дек. 1776 года.
- [8] Там же, стр. 17.
- [9] Там же, стр. 17, дек. 1764 года.
- [10] **Цагарели**, Грамоты II, № 126, **Авалов**, Присоединение Грузии к России, 169.
- [11] Акты II, стр. 57.
- [12] Акты II, стр. 199.
- [13] Акты II, стр. 20.
- [14] Акты II, стр. 362-3.
- [15] Акты II, стр. 303.
- [16] Акты II, 311.
- [17] Акты II, 306 – 7.
- [18] Акты II, 308 – 9.
- [19] Акты IV, 22.
- [20] Акты V, 65 и 66.
- [21] **В. Н. Иваненко**, Гражданское управление Закавказьем, 76.
- [22] Акты V, 2.
- [23] Акты VIII, 9.
- [24] Акты V, 65.
- [25] Акты VIII, 7.
- [26] Акты VIII, 7 – 8: Всепод. док. сен. гр. Кутаисова и Мечникова.
- [27] Акты IV, 22.
- [28] Акты V, 65 и 66.
- [29] Акты V, 60.
- [30] Там же.
- [31] Акты V, 60.
- [32] Акты V, № 97.
- [33] Там же, V.
- [34] Записки И. Дубецкого (Рус. Старина, 1895 г., апрель, 119).
- [35] Записки И. Дубецкого (Рус. Старина, 1895 г., апр., 121).
- [36] Там же, 122 – 3.
- [37] Там же, стр. 121.
- [38] **Иваненко**, Гражд. упр. Закавк., 128.
- [39] Акты VII, 18.
- [40] Акты V III, 5.
- [41] Акты V III, 5.
- [42] Акты V II, 33.
- [43] Акты V III, 6.

- [44] АКТЫ VII, № 54.
- [45] АКТЫ VIII, № 5.
- [46] АКТЫ VII, 26.
- [47] АКТЫ VIII, 54.
- [48] АКТЫ VIII, 54.
- [49] АКТЫ VIII, № 8.
- [50] АКТЫ VIII, № 11.
- [51] АКТЫ IX, № 33.
- [52] Иваненко, Гражданское управ. Закавказьем, 298.
- [53] Там же, 299-300.
- [54] **К. Бороздин**, Упразднение двух автономий (Исторический Вестник, 1885 г., № март, стр. 485).
- [55] **К. Бороздин**, Упразднение двух автономий (Исторический Вестник, 1885 г., № март, стр. 485 - 6).
- [56] Там же, стр. 486.
- [57] Охота в прежнее время заменяла маневры.
- [58] Сравн. **Френкель**, Сборник законов груз. ц. Вахтанга, стр. 51, перевод не совсем точный.
- [59] **Д. Пурцеладзе**, Груз. крестьян. Грамоты, 45 – 46.
- [60] **Френкель**, Сборн. Законов ц. Вахтанга, стр. 380.
- [61] Протокол и корреспонденции об этом напечатаны в газ. «Обзор», 1878 г., №№ июнь, ноябрь, декабрь.

დამატებანი

1. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX – XIII საუკუნეებში.
2. ხელმწიფის კარის განრიგება.
3. გიორგი VII. კონსტანტინე I. ალექსანდრე I.

დამატება I

სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX – XIII საუკუნეებში

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი დამოუკიდებელი ნაშრომი კი არ არის, არამედ ამოღებულია ჩემი "საქართველოს ეკონომიური ისტორიის" ჯერ გამოუქვეყნებელი სათანადო წიგნიდან. ამიტომ მისი შინაარსის მთელი სისრულით გასაგებად აქა-იქ იმ ცნობების გათვალისწინება იყო საჭირო, რომელიც იმ წიგნებში მომეპოვება. მაგრამ, რაკი "საქ. ეკონ. ისტორიის" ბეჭდვა ფერხდება და იმ წიგნების გამოქვეყნებას,

საიდგანაც სოციალური ბრძოლის IX – XIII ს. ს. ამბები მაქვს ამოღებული, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი დრო მოუწდება, საქართველოს ზოგადი ისტორიისათვის კი ამ ფაქტების ცოდნაა საჭირო, ამიტომ ამ ნაწილების ”საქ. ეკონომ. ისტორიიდან” დროებით ამოღება და ცალკეულ პატარა მონოგრაფიად გამოქვეყნება ვამჯობინე. რაკი იგი დიდი წიგნის მხოლოდ პატარა ნაწილია, ბუნებრივია, რომ მას მთლიანობა აკლდეს, მაგრამ სხვა გზა არ იყო. იმედი მაქვს, რომ ამ სახითაც აქ მოთხრობილი ამბები მკითხველისათვის საინტერესო იქნება, საქართველოს XIII ს. შესწავლასაც, რომლის შესახებ ”ქართ. ერის ისტორიის” III წიგნის გამოქვეყნება აქამდის ვერ მოვახერხე^[1], ცოტად მაინც ხელს შეუწყობს. ვითარცა ”საქ. ეკონ. ისტორიის” ნაწილი, წინამდებარე წიგნში მონათხრობი თბილ. სახ. უნივერსიტეტშია 1918 – 1928 წ-მდე არა ერთხელ და საისტორიო საზოგადოებაშიც ორი მოხსენების სახით მქონდა წაკითხული.

1934 წ. 24. VII.

თავი პირველი

ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოებისა და ბრძოლის ანარეკლი IX – X ს ს. საისტორიო თხზულებებში

”ქართული სამართლის ისტორიაში” მოთხრობილი გვაქვს იმ ხანგრძლივი საყურადღებო ბრძოლის მიმდინარეობა, რომელიც საქართველოში IX - XII საუკუნეებში იყო როგორც წოდებრივობის გარშემო, ისევე ხელისუფლების გამოც^[2]. იქვეა აღნიშნული მაშინდელი იდეალებიცა და მოძღვრებაც საკუთრებასა და შრომაზე^[3], ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება და ბრძოლა კი ”საქართველოს ეკონომიურ ისტორია“-ში გვაქვს განსახილველი. მაინც გასაშუქებლად უხვი ცნობების იმედი არ შეიძლება რომ ადამიანს ჰქონდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ საისტორიო თხზულებებში, თუ საერო იყო, ავტორებს მიზნად მაშინდელი პოლიტიკური ამბების მოთხრობა ჰქონდათ დასახული, ხოლო, თუ საეკლესიო იყო, არც მათ დამწერთ, არც მათ წამკითხველთ, ცხადია, მაინცდამაინც სოციალური ბრძოლის ამბები არ აინტერესებდათ. ამიტომაც არის, რომ ასეთ ძეგლებში ამ საკითხის შესასწავლად იშვიათად თუ მოიპოვება ხოლმე ცნობები.

ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებასა და ბრძოლაზე ყველაზე მეტად ცნობები, რასაკვირველია, საბუთებში იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ X საუკუნემდე ჯერ არც ერთი საბუთი არა ჩანს გადარჩენილი და XI საუკუნიდანაც ძალიან ცოტაა შერჩენილი. მით უფრო ძვირფასია ყოველი ცნობა, რომელიც ამა თუ იმ ძეგლში, თუ საბუთში მოგვეპოვება. მაგრამ ეს რამდენიმე ცნობაც აქამომდე შეუმჩნეველი და გამოუქვეყნებელი იყო.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა შემდგომ, ვგონებ ცხადი უნდა იყოს, რომ ქვემოთ XI - XII საუკუნემდე შესამღებელია სოციალური ბრძოლის მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებზე იყოს საუბარი.

მონასტრების დამაარსებელთა ცხოვრების ავტორებს აღნიშნული აქვთ, რომ ჩვეულებრივ ერისკაცნი, მეტადრე მსხვილი მემამულე აზნაურნი, ახალი

მონასტრების აგებასა და სამონასტრო მეურნეობის აღორძინებას ყოველნაირად უწყობდნენ ხელს. უფრო ნაკლები ცნობები მოიპოვება მდაბიო ხალხის განწყობილების შესახებ, მაგრამ აქაც ჩვეულებრივ თანაგრძნობაზეა ხოლმე საუბარი. ასეთ შემხვევაში კი, უეჭველია, ინტერესთა წინააღმდეგობის გამო, ზოგჯერ შესაძლებელი იყო უთანხმოება და მტრობაც კი ჩამოვარდნილრიყო, რადგან, ცხადია, რომ, რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო ქრისტიანული რწმენა, როდესაც მონასტრის გაშენება მათ რაიმე განსაცდელს უქადდა, ეს გრძნობა მათი ეკონომიური ინტერესების შელახვით გამოწვეულს გულისწყრომას ვერ დახშავდა, მართლაც, მახლობლად მდებარე დაბა-სოფლების მკვიდრთ შორის მონასტრების გაშენებას ყოველთვის აღტაცება არ გამოუწვევია.

ამის გამომძღვანელებელი ორიოდე ამბავი ბასილ ზარზმელს აქვს მოთხრობილი.

იმ მიწა-წყლის პატრონმა მთავარმა, სადაც სერაპიონი თავისი მონასტრის გაშენებას აპირებდა, თურმე სერაპიონს განუცხადა: "მე არა მშურს ადგილი ესე" და იმაზე უკეთესს აძლევდა კიდევაც^[4]. ის თურმე ეხვეწებოდა: "არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი", სადაც თქვენ "ადგილნი და შესავალნი და ყოველი საკმარი უხუებით" გექნებათო^[5]. ამ მთავარმა თავის ხელქვეითებს უბრძანა კიდევ: სადაც კი რა მოეწონოთ, ამ ბერებისათვის მიწყალობებია და, რაც კი "განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე შემოწერით შემოვლონ, მიმცემია მათდა"-ო^[6].

მაგრამ იქაური მცხოვრებნი, მონადირენი და ზოგიერთი სოფლელი, სრულებით ასეთი სტუმართმოყვარე და ბერთა-მოტრფიალე არ აღმოჩენილან. საკმარისი ყოფილა, რომ სერაპიონსა და მის თანამგზავრებს სამონასტროდ ადგილი დაბა მინძეთის ტყეში ამოერჩიათ და მცირე ტალავრის, ანუ კარავის შენება დაეწყოთ, რომ სოფლელებს მაშინვე მათთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. ისტორიკოსის სიტყვით, "ეუწყა რაჲ უფალსა მის დაბისასა, ვითარმედ უცხოთა ვიეთთამე მონაზონთა ნებავს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი", ეს ამბავი მასაც და იქაურ მცხოვრებლებსაც, თურმე, ვერაფრად მოსწონებიათ, მათი იქ ჩასახლება სრულებით არ სდომებიათ, ეს "მათ არა ინებეს"-ო.

ბასილ ზარზმელის სიტყვით, ასეთი არაჩვეულებრივი ამბავი ვითომც მხოლოდ იმიტომ უნდა მომხდარიყო, რომ ამ დაბის პატრონი და მცხოვრებნი "იყვნეს ყოვლითურთ მკვეცბრივ, უწირავ და ბოროტ". მათი მტრული განწყობილების ნამდვილი მიზეზი კი, რასაკვირველია, ის ბუნებრივი შიში იქნებოდა, რომ მონასტერს მთელი მახლობელი მიწაწყალი, მათ შორის მათი საკუთარი ადგილებიც, ხელთ არ ჩავარდნოდა.

აღსანიშნავია, რომ სოფლელთა მტრული გრძნობა და აღშფოთება იმდენად დიდი ყოფილა, რომ, ბასილ ზარზმელისავე ცნობით, ბერთა იქ დასახლების წადილის გამო, "ზედა მიეტევნეს მათ", ბერებს მივარდნენ ისე, რომ ისინი იძულებულნი ყოფილან იმ ადგილიდან "დასავალით მისსა ვითარ ორ მილიონ"-ის^[7] სიშორეზე წასულიყვნენ "ადგილთა ყოვლად ტყე[ან]თა და უფალთა კაცთა მიერ"^[8].

ასევე უკმეხად და მტრულად დაჰხვედრიან ადგილობრივი მკვიდრნი ზარზმის პირველ დამაარსებელთა მაშინაც, როცა ისინი "მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა", სადაც მდგარა "წისქვილი, სახლი რამე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა". როდესაც ბერებს სამონასტრო სამფლობელოს "გარეშეწერით" შემოსაზღვრა უნდოდათ, მაშინვე იმ დაბის მცხოვრებთ წინააღმდეგობა გაუწევიათ. ეს შემთხვევა ერთ თანამგზავრთაგანს ასე აქვს აღწერილი: როდესაც "ჩუენ გუენება", რომ "გარეშეწერით შემოვლოთ სიმგრგულე

მათ ადგილთა..., გვხილნეს რამ კაცთა მის დაბა-წისქვლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდადა, ვითარცა ცოფნი, წინარბიოდეს” გზის გადასალობადაო^[9].

ცხადია, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევები ასეთი უთანხმოებისა და მტრული განწყობილების ერთადერთი მაგალითი არ იქნებოდა. ამაზეც ხომ არა გვეცოდინებოდა რა, ბასილ ზარზმელს ეს ცნობები წმინდანის, სერაპიონ ზარზმელის, ცხოვრებაში რომ არ შეეტანა. ვინ იცის, სხვა წმინდანთა და სამონასტრო, თუ საეკლესიო ქართველ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერილობას რომ ჩვენამდის მოეღწია, ეგების რამდენიმე კიდევ ასეთივე შინაარსის სხვა ცნობებიც შეგვძენოდა. ამიტომ, თუ მომავალში ზოგი ამ დაკარგულ წყაროთაგანი აღმოჩნდა, შესაძლებელია ამ საკითხის გასაშუქებლად კიდევ ახალი ამბები გაგვეგო.

თუ ზემოაღნიშნულ გარემოებას გავითვალისწინებთ და გვეხსომება, რომ მონასტრებსა და მახლობელ ადგილობრივ მოსახლეობას შორის ზოგჯერ ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება და მტრობაც კი ყოფილა, მაშინ შესაძლებელია ზოგი აქამდე გაუგებარი ცნობაც გასაგები გახდეს. მაგალითად, საფიქრებელია, რომ გრიგოლ ხანძთელის მოწინააღმდეგემ და დაუძინებელმა მტერმა, უკანონო გზით გაეპისკოპოზებულმა, ცქირმაც ხანძთის მონასტრისა და ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობითა და უკმაყოფილებით ისარგებლა, როდესაც მან იმ დროისათვის იმდენად არაჩვეულებრივი და მკვრეხელობად მიჩნეული საქმე მოაწყო, რომ **”შეკრიბა ერი ანჩისაჲ და წარავლინა დარღვევად ხანძთისაჲ”**. წაქეზებული სოფლელნი თურმე ”აღმოსვლასა ოდენ მზისასა მივიდეს” ხანძთას მონასტრის დასანგრევად^[10].

ანჩელთა ასეთი, იმ დროისათვის სრულებით გაუგონარი, განზრახვა და გადაწყვეტილება მათს უკიდურეს გულისწყრომასა და მღელვარებას ამჟღავნებს. ცქირს ხალხის მონასტრისადმი სამტროდ ასე სწრაფად აყოლიება არ შეეძლო, რომ ამისთვის ნიადაგი უკვე მომზადებული არ ყოფილიყო. ანჩელთა გადაწყვეტილების დაუნდობელი სიმკაცრე გვაფიქრებინებს, რომ აქაც მტრობა აგრარულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული.

მონასტრებსა და თვით მათ შემღებულ მეზობლებს შორისაც ყოველთვის კეთილი განწყობილება არ ყოფილა. ამას თუნდაც ის ერთი საგულისხმო ცნობაც ამტკიცებს, რომელიც გ. მერჩულს აქვს მოთხრობილი. მისი სიტყვით, გრიგოლ ხანძთელის მოწაფის ”ხანძთას ეპიფანწს მამობასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას”, **რომელსაც** სახელად თურმე **წერტა ეწოდებოდა**. მას თხები ჰყოლია და სადაც ”თხათა მისთა სადგური ყოფილ არს”, იმას შემდეგშიაც, ჯერ კიდევ გ. მერჩულის დროსაც კი, **”წერტაჲსნი”** ჰრქმევია. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ ”მას ჟამსა კაცი იგი მონაზონთათჳს მკსინვარედ იყო”^[11]. ბერებზე გადამტერება შესაძლებელია თხათა სამოვრების გამო ყოფილიყო ამტყდარი.

თავი მეორე

მემამულისა და მონასტრის მიწების მითვისების ცდა სოფლის მოსახლეობისაგან

თუ ამ ხანაში, როდესაც, როგორც ცნობილია, ეკლესიას ხალხზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, მაინც მოსახლეობასა და მონასტრებს შორის ეკონომიურ ნიადაგზე უთანხმოება და მტრობაც კი ჩამოვარდნილა, ცხადია, რომ წოდებათა და კლასთა შორისაც ამავე მიზეზით მაშინდელსა და მერმინდელ საქართველოში უთანხმოებაც

არა ერთხელ მოხდებოდა, ბრძოლაც გაჩაღდებოდა და მტრობაც იქნებოდა ჩათესლებული, მაგრამ, იმდროინდელი წერილობითი ძეგლების მომეტებული ნაწილის დაღუპვილობისა და გადარჩენილ ხელნაწერთა ჯეროვნად შეუსწავლელობის გამო, ზემოაღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითი, ერთს გარდა, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. იმ ერთადაც კორიდეტის სახარებაში მინაწერის სახით დაცულს იმ საბუთს ვგულისხმობ, რომელზედაც “ქართული სამართლის ისტორიაში” უკვე მქონდა სისხლის სამართლის თვალსაზრისით საუბარი^[12]. იქვეა მოყვანილი ამ საბუთის მთელი ტექსტიც, ისე რომ მისი გამეორება აქ აღარ დაგვჭირდება.

ს. კორიდეტის მახლობელ პატრონს, მურვანს, ს. თიხჩეთში მამული ჰქონია, რომელიც, რგორც ჩანს, უკაცრიელი ყოფილა. ეს უძრავი საკუთრება მურვანს კორიდეტის მონასტრისათვის შეუწირავს იმ პირობით, რომ მისთვისა და აგათისათვის, რომელიც საფიქრებელია მისი მეუღლე იქნებოდა, სამარადისო ხსენება და აღაპი გადაეხადათ. ამ შეწირულების უფრო მეტი დაცულობისა და დაუკარგველობისათვის, მურვანს თავის შეწირულობის წიგნი კორიდეტის სახარებაში დაუწერელ თავისუფალ ფურცელზე დაუწერია. თავიდანვე, თუ შემდეგში, ამ შეწირული მიწებით თურმე ს. თიხჩეთის მცხოვრებნი სარგებლობდნენ, რა თქმა უნდა, გარკვეული ყოველწლიური გამოსაღებლით. მაგრამ შემწირველის შვილისშვილისა, ან და სხვა ერთ-ერთი შთამომავლის, მურვანადვე სახელდებულის, დროს თიხჩელებს ეს მიწები მოულოდნელად თავიანთ საკუთრებად გამოუცხადებიათ. კორიდეტის მონასტერს რომ თავისი შელახული უფლება აღედგინა და სასამართლოში დაემტკიცებინა, რომ მითვისებული მიწები, შეწირულების გზით მიღებული, კორიდეტის მონასტრის ქონებაა, უნდა თვით შეწირულობის წიგნის დედანი წარედგინა. მაგრამ, როდესაც ბერებს კორიდეტის სახარება, სადაც ეს საბუთი იყო ჩაწერილი, ხელში აუღიათ და გაუშინჯავათ, შეწირულობის წიგნი ვეღარ უპოვიათ: მთელი ფურცელი ამოჭრილი და მოპარული ყოფილა.

რაკი შეწირულობის წიგნი მოპარული აღმოჩნდა და შეწირული მიწაც მონასტერს უნდა დაჰკარგოდა, ამიტომ, ან შემწირველის კანონიერ მემკვიდრეს მონასტრისათვის თავისი წინაპრის შეწირულების უცილობელი მფლობელობის საშუალება უნდა მიეცა, ან და მონასტერი მისი წინაპრის საუკუნო სახსენებელს მოსპობდა. ქართული სამართლით, შეწირულება შენაწირველის მიმღების მხოლოდ პირობითს ქონებად ითვლებოდა, საკუთრების უფლება კი შემწირველის მემკვიდრეებს ეკუთვნოდათ^[13]. მურვანსაც ამ საქმეზე უნდა თავი გამოედვა.

მურვანი კი რომ ამ საქმის გამორკვევას შესდგომია, ცხადი გამხდარა, რომ შეწირულების წიგნის ამოჭრა და მოპარვა ს. თიხჩეთის მთელი მოსახლეობის გადაწყვეტილებით უნდა ყოფილიყო მოწყობილი იმ მიზნით, რომ ამ მიწების სოფლისაგან დაპატრონებისა და საკუთრებად გამოცხადების წინააღმდეგ არც მონასტერსა და არც შემწირველის მემკვიდრეს სასამართლოში წერილობითი საბუთის წარდგენის საშუალება არ ჰქონოდა. ამნაირად, ამ შემთხვევაში მემამულის მიწების გლებთაგან დაპატრონების მცდელობა ყოფილა.

რაკი საბუთის ამოჭრა და მოპარვა მთელი სოფლის თაოსნობით ისე საიდუმლოდ ყოფილა მოწყობილი, რომ მურვანს ამის ფიზიკური ამსრულებელის ვინაობის გამორკვევა ვერ მოუხერხებია, მთელი სოფლის წინააღმდეგ მოქმედება კი მურვანს, როგორც ჩანს, არ მოუსურვებია, თუ ვერ გაუბედნია, ამიტომ მურვანს თიხჩელებთან შეთანხმება უმჯობინებია. თიხჩელები მურვანის პირობებს

დასთანხმებიან, რადგან თიხჩეთის ეს მიწები, ამ ახლად დადებული პირობის ძალით, ამიერიდან უკვე მათ ქონებად ხდებოდა მამულობით იმ პირობით, რომ მონასტრისათვის 50 ბოტინატი უნდა ეძლიათ სააღაპოდ, კორიდეთის მონასტერს კი ეს ქონება უნდა სამარადისოდ დაეკარგა. თიხჩელებს უფლება ჰქონდათ მაინც კმაყოფილი ყოფილიყვნენ, რადგან, თუ ეს მიწები მთლიანად ვერ დაისაკუთრეს, უკვე უცილობელ ქონებად მიიღეს მაინც.

თავი მესამე

უთანხმოება და ბრძოლა საეკლესიო მისაცემლების გამო ანისის ქართველთა და ქალკიდონიან სომეხთა მრევლსა და სამღვდელთა შორის 1218 წ.

§ 1. ამ ამბის შემცველი წყარო: ეტიფანე კათალიკოზის 1218 წ. განაჩენი

1910 წელს ზაფხულში, ანისში გათხრის დროს, აკად. ნ. მარმა ქვებზე ამოჭრილი ქართული ასომთავრული დიდი წარწერა აღმოაჩინა, რომლის ტექსტი ფოტოტიპირული სურათით, რუსული თარგმანითა და პატარა მოხსენებითურთ იმავე წელს რუს. სამეც. აკადემიის უწყებებში გამოაქვეყნა^[14]. ახლად ნაპოვნი ძეგლი ეტიფანე კათალიკოზის 1218 წ. განაჩენი გამოდგა. რაკი სხვადასხვა ქვებზე ამოჭრილი ეს გრძელი წარწერა დაშლილი აღმოჩნდა, ამიტომ, მიწიდან ყველა ქვების ამოღების შემდგომ, აკად. ნ. მარს ამ ქვების თავდაპირველი რიგისა და წარწერის ტექსტის აღდგენა მოუხდა, რაც ადვილი საქმე არ იყო. ქვების სათანადოდ დალაგებისა და წარწერის წაკითხვის შემდგომ, უმთავრესი ყურადღება მან ამ ძეგლის პალეოგრაფიულ დახასიათებას მიაქცია^[15]. მერე მის მოხსენებაში ამ წარწერის ქართ. ტექსტი და რუს. თარგმანია მოყვანილი^[16] და სულ ბოლოს ორნახევარ გვერდზე^[17] მოკლედ ამ ძეგლის სხვადასხვა-მხრივს მნიშვნელობაზეც არის ნათქვამი. არსებითად ამ წარწერის აკად. ნ. მარრი არ შეჰხებია, არამედ მხოლოდ ზოგადად აღნიშნულია, რომ ქართ. ეკლესიის რეფორმების ისტორიისათვისაც საინტერესოა^[18].

იმისდა მიუხედავად, რომ ამ ძეგლის აღმოჩენის შემდგომ უკვე ბევრმა დრომ განვლო, იგი აქამომდე შეუსწავლელი და გამოუყენებელია, მას-კი იმდენად საქართველოს საეკლესიო რეფორმებისათვის არა, რამდენადაც სოციალური მოძრაობის ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა.

რაკი რუს. სამეც. აკადემიის ის ორგანო, რომელშიც ეტიფანე კათალიკოზის 1218 წ. განაჩენის ტექსტია დაბეჭდილი, ჩვენში ძნელი საშოვნელია, და რადგან იგი, როგორც აღნიშნული მქონდა, განსაკუთრებით საყუარდებო წყაროა, ამიტომ, რომ ეს ძეგლი ყველასათვის მისაწვდომი გახდეს, ამ წარწერის ტექსტი აქვე მომყავს მთლიანად ისევე, როგორც აკად. მარს თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში გამოქვეყნებული აქვს.

ეტიფანე კათალიკოზის 1218 წ. წარწერა:

“იტყუს ჳმად საღმრთოდ: “უსასყიდლოდ მიგიღიეს, უსასყიდლოდ მისცემდით”, ესე იგი არს, გეტყუს || ღმელმერთი უკვდავი: ჩემდა რა-მე გიცემიეს მადლისა მისთუს, რომელი ჩემგან მიიღეთ? თქუენცა ჳყიდლით დიდსა || მადლსა ჩემგან უსყიდულსა. უკეთუ მე უსასყიდლოდ მომიცემიეს, არცა თქუენგან ჳერ არს სყიდაა ლოც || ვათა ერისა მიმართ. აწ, სასონო ჩემნო ანელნო ხუცესნო, ნუ

ნიშნად, ხან, ზოგ ეკლესიაში, თურმე მრევლი არ დადიოდა თავის მოძღვრის წირვა-ლოცვაზე, ზოგან კიდევ, სამწყსოზე სასურველი გავლენის მოსახდენად და მაღალ ნიხრზე დასათანხმებლად, თვით ხუცესი აკლებდა ხოლმე მრევლს წირვა-ლოცვას.

§ 3. ეტიფანე კათალიკოზის მიერ 1218 წ. ამ უთანხმოების გარჩევა და მსჯავრის დადება

ამ გამწვავებული ურთიერთობისა და ბრძოლის მოსპობა მხოლოდ გარეშე, ავტორიტეტით მოსილს, პირს შეეძლო და საქმემ თვით საქართველოს კათოლიკოზამდე მიაღწია კიდევ. 1218 წ. რომ ეტიფანე კათოლიკოზი ქართული ეკლესიების საკურთხევლად ანისში ჩაბრძანებულა, იქ ამ უთანხმოების გარჩევას შესდგომია და თავისი განაჩენიც დაუდვია. საფიქრებელია, რომ პირადად თვით კათოლიკოზის ანისში ჩასვლას მიზნად იმდენად ახალი ეკლესიების კურთხევა არ უნდა ჰქონოდა, რამდენადაც ამ ატეხილი უთანხმოების გარჩევა და მოგვარება. ანისში ჩასვლისა და საქმის მთელი ვითარების გაგებისთანავე **კათოლიკოზს უყოყმანოდ სამწყსოსთვის დაუჭერია მხარი და ანელ ხუცესთა ქცევა მკაცრად დაუგმია^[19]**. თავის განაჩენსა და წაწერაში მას პირდაპირ აქვს ნათქვამი: როგორც ღმერთს, იესო ქრისტეს, ნაბრძანები აქვს, “უსასყიდლოდ მიგიღიეს, უსასყიდლოდ მისცემდით”-ო, თუ თქვენთვის “მე უსასყიდლოდ მომიცემიეს არცა თქუენგან ჯერ არს სყიდვად ლოცვათა ერისა მიმართ”, - ისევე, ამ მცნების თანახმად, ლოცვისათვის მღვდელმა არავითარი სასყიდელი არ უნდა აიღოს. მით უმეტეს **“ყოვლად უწესო არს აღებად თქუენგანცა გუირგუინთა კურთხევისათვის ასისა დრამისა”** და ამდენსავე მკვდრისათვისაო.

ამაზე მკაფიოდ და მკაცრად ანელ ხუცესთა მოქმედების დაგმობა, წარმოუდგენელია. ისიც კი გასაკვირველია, რომ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა მღვდლები ასე **მოურიდებლივ და საჯაროდ გაკიცხა და მათ ქცევას “ყოვლად უწესო”** უწოდა! ანისის ქართველთა და ქალკიდონიან სომეხთა სამწყსოს კათოლიკოზის ამ სიტყვებში, რასაკვირველია, შეეძლო ანელი მღვდლების გაკიცხვა ამოეკითხა და თავი ზნეობრივად მაინც დაკმაყოფილებულად ეგრძნო.

ამ მკაფიო განცხადების შემდგომ, ეტიფანე კათოლიკოზი ორსავე მხარეს აგონებს, რომ მოძღვარ-სამწყსოს შორის სიყვარულზე დამყარებული ურთიერთობა უნდა სუფევდეს: **“ყოველსა ზედა უფროსად საღმრთოდ იგი სიყუარული ერთმანეთისად მოიგეთ** და ამით მიეცით სასურვო საღმრთოთა მცნებათად”-ო. ქრისტიანობის ამ უზენაესი მცნებისდა თანახმად, კათოლიკოზი ორსავე მოწინააღმდეგე მებრძოლ მხარეს სთხოვდა: მრევლო, ხუცესნი “თქუენ გიყუარდენ, ვითარცა მამანი სულიერნი, და მათ უყუარდით, ვითარცა შვილნი”-ო.

მაგრამ ეტიფანეს, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა, რომ იქ, სადაც ურთიერთობაში ფულის ანგარიში იყო გარეული, და მას შემდგომ, რაც ხუცესთ თავიანთი ნიხრის კვალობაზე მისაცემლის მისაღებად “დაჭირებას” მიჰმართეს, წინანდელი “მამაშვილური”, სათნო დამოკიდებულების აღდგენა მარტო ცარიელი დარიგებითა და მუდარით არ შეიძლებოდა. მეორე მხრით, მისთვის ისიც ცხადი იყო, რომ სახარების მცნება სამღვდელო მოვალეობის უსასყიდროდ ასრულების შესახებ იმ დროს და კარგა ხანია წინათაც უკვე მიუწვდომელ იდეალად იყო ქცეული. თუ ეტიფანე კათოლიკოზმა ანელ მღვდლებს ეს მცნება მაინც მოაგონა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მათთვის მათი ნიხრის მთელი შეუსაბამობა ცხად-ეყო. ხუცესთა სრულ

უსასყიდლობაზე ანისის ქართველი მკვიდრნიც, რასაკვირველია, ლაპარაკს არ დაიწყებდნენ.

ამისდა მიხედვით, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ანისის სამწყსოს შემდეგი დარიგებით მიჰმართა: რადგან კარგად იცით, რომ “მღდელთაგან გივს ლოცვა და წირვა, ნუ გეწყინების მათთვის ძალისაებრი მისაცემელი. უფროსად მხიარულებით მისცემდით თუინიერ დაჭირებისა, რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყუარს უფალსა”-ო.

ანელ ხუცესთა ნიხრად დადებული 100 დრამის მაგიერ, მაშასადამე, კათოლიკოზს მხოლოდ “ძალისაებრი მისაცემელი” მიაჩნდა სამართლიანად. სამწუხაროდ, ეტიფანე კათოლიკოზის 1218 წ. წარწერის სწორედ ის ადგილები, სადაც ამ “ძალისაებრი მისაცემლის” ოდენობაა განსაზღვრული, დაზიანებულია და ზედმიწევნით ტექსტის აღდგენა ძნელია, მაგრამ წარწერის ბოლო ნაწილი ამ დაზიანებული ადგილების შინაარსის გაგების საშუალებას მაინც გვაძლევს.

ეტიფანე კათოლიკოზის სიტყვით, უთანხმოება ისე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი, რომ, როგორც გვირგვინის კურთხევისათვის, ისევე მიცვალებულისათვის წესის აგებაში ხუცესს “ეგდენივე ასისა ტფილურისა (იგულისხმება ფული: დრამა) მიეცეს” და რაოდენიც “ძალი ედვას, პური აჭამოს”-ო. ხოლო მიცვალებულის დასაფლავებაში მღვდელს “სხუაჲ წაღებაჲ ძალისაებრად” მისცენო.

მაგრამ ასი ტფილური დრამა ანელ ხუცესთ ისე კი არ უნდა მიეღოთ, როგორც მათ ჰსურდათ, არამედ იმ ვარაუდითა და ანგარიშით, რომ “ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დანგი ერთი გ (ე. ი. სამში) მიეცეს და ზროხის ტყავი, რომელ ერთობ წაგიღია აქამდის, აწ საწირავადვე მისცემდით თუითო შოლტსა”-ო.

მაშასადამე, ეტიფანე კათოლიკოზს მისაცემელის ოდენობა ისე შეუმცირებია, რომ სამი დანგის მაგიერ ერთი დანგის გამოღება დაუწესებია^[20] და ხუცესისათვის მისაცემელი მრევლს სწორედ ამ ვარაუდით უნდა გამოეღო. სამწუხაროდ, რამდენი დანგი ითვლებოდა ამ დროს ერთ დრამაში, ამაზე ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება. თავდაპირველი შეფარდებით კი დანგი, როგორც ამას თვით სახელიც ცხად-ყოფს, დრამის 1/4 –ედი იყო. მაგრამ შემდეგში დანგი დრამის 1/6-ედადაც ფასობდა. ხოლო საქართველოში XVI– XVII საუკუნეებში თეთრში ხუთი ორიანი დანგი ითვლებოდა^[21]. მაგრამ, როგორადაც არ უნდა ვიანგარიშოთ, რაკი წინანდელი ყოველი 3 დანგის მაგიერ მრევლს ამიერიდან 1 დანგი უნდა გამოეღო, ცხადია, რომ მისაცემლის ოდენობა ეტიფანე კათოლიკოზს სამჯერ შეუმცირებია და, ამისდა მიხედვით, 100 ტფილური დრამის მაგიერ, ყოველ ანელ ქართველს ან ქალკიდონიან სომეხ მკვიდრს უნდა 33 ტფილურ დრამაზე ცოტა მეტი გამოეღო. ამოდენა ფულის გამოღება გვირგვინთა კურთხევისა და მიცვალებულის წესის აგებისათვის ეტიფანე კათოლიკოზს, მაშასადამე, “ძალისაებრ მისაცემლად” მიაჩნდა.

გვირგვინის კურთხევის ან მიცვალებულის დასაფლავების შემდგომ, ახალ ჯვარდაწერილების ნათესავებმა და ჭირისუფლებმა ჩვეულებისამებრ მხოლოდ რაოდენიც ოჯახს “ძალი ედვას, პური აჭამოს”-ო, უბრძანებია ეტიფანე კათოლიკოზს ანისში. აქაც ეტყობა ანელ მღვდლებს მადა გახსნილი ჰქონიათ და თავის მრევლისაგან, როგორც ჩანს, მოჭარბებული მასპინძლობა მოუთხოვიათ. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს აქაც მრევლისათვის დაუჭერია მხარი და ხუცესთა მადისათვის საზღვრის დადება საჭიროდ უცნია.

§ 4. ეტიფანეს განაჩენში მრევლის მისაცემელთა შორის დასახელებული წაღებას, საწირავისა და შოლტის რეალური მნიშვნელობა

პროფ. ნ. მარრს, ალიშანის *Շիրակ*-ის (გვ. 63 – 64) დამოწმებით, აღნიშნული აქვს, რომ ანისის სომეხთა ეპისკოპოზმა გრიგოლმა ის წესი, რომლის ძალითაც ანისის მცხოვრებნი მოვალენი იყვნენ ანისის სომეხთა ეპისკოპოზისათვის ყოველ წლივ აღდგომა დღეს ზვარაკის ტყავი მიერთმიათ ხოლმე, გააუქმა. ნ. მარრი ფიქრობდა, რომ ეტიფანე კათოლიკოზის ანისის 1218 წ. წარწერაშიც სწორედ ასეთ ზვარაკის ტყავზე იყო საუბარი და ეგონა, რომ გრიგოლ სომეხთა ეპისკოპოზისაგან ზვარაკის ტყავის მისაცემლის ამოკვეთილობამ ქართველთა სამრევლოც ამ ზვარაკის ტყავის მისაცემლის მოწინააღმდეგედ აქცია და მისი და სხვა მისაცემლის გაუქმების მებრძოლად გახადა^[22]. ნამდვილად კი კათოლიკოზ ეტიფანეს ანისის 1218 წ. წარწერის “**ზროხის ტყავი**” სრულებით სადღესასწაულო ზვარაკის ტყავს არ ჰგულისხმობდა და სამწყსოსა და ხუცესთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებაც ტყავის მისაცემლის გამო არ ყოფილა ატეხილი.

ეტიფანე კათოლიკოზის ანისის 1218 წ. წარწერაში, დამარხვაში ხუცესისათვის დაწესებულს მისაცემელზე და პურისჭამა-ქელეხზეა საუბარი და ამ ადგილას დამატებულია: “**და სხუაჲ წაღებაჲ ძალისაებრად**”-აო. ხოლო ამავე ძეგლის ბოლოში ნათქვამია: “**და ზროხის ტყავი, რომელ ერთობ წაგიღია აქამდის, აწ საწირავადვე მისცემდით თუითო შოლტსა**”-ო. პირველი წინადადებისა და მეტადრე ტერმინი **წაღებაჲ**, ისევე როგორც მეორე წინადადების ტერმინების **საწირავი**-სა და **შოლტი**-ს მნიშვნელობის გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რომ პირველი წინადადება კათოლიკოზის იმ განკარგულების ნაწილია, რომელიც მიცვალებულის წესის აგების და დამარხვისათვის დაწესებულ მისაცემელს ეხება. ამისდა მიხედვით, ცხადია, რომ აქ საუბარი იმაზეა, რაც მკვდრის ოჯახიდან ხუცესს, ფულად მისაცემელს გარდა, კიდევ უნდა, ან შეეძლო წაეღო. მაგრამ მარტო ანისის 1218 წ. წარწერის ცნობებით ამაზე მეტის გაგება არაფრისა შეიძლება.

ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნისა და წილკნელის სარგოს გარიგების წიგნის ცნობების^[23] წყალობით კი ეტიფანე კათოლიკოზის განკარგულების შინაარსი სახუცო სარგო-მისაცემლის შესახებ უკვე გასაგები ხდება. ერთი იმ ტერმინთაგანი, რომელიც მიცვალებულის ჭირისუფლებისაგან ხუცესისათვის მისაცემ გამოსაღებელს აღნიშნავდა, ეტიფანეს წარწერაშიც იხსენიება კიდევ. მისი სიტყვით, ანისის სამწყსოს წევრთ **საწირავად** წინათ **ზროხის ტყავი** უძღვევიათ: ასე ყოფილა გადაკვეთილი “**საეკლესიო წესებში**”. ამ ოდენობის მაგიერ ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს გადაუწყვეტია, რომ ხუცესისათვის მხოლოდ თითო **შოლტი**-ღა უნდა მიეცათ. აქ ერთგვარ დაბრკოლებას მხოლოდ ის გარემოება წარმოადგენს, რომ წილკნელის სარგოს გარიგების წიგნში საწირავად არსად არც ძროხის ტყავი და არც “**შოლტი**” მოხსენებული არ არის, საერთოდ ასეთი გადასახადი არა ჩანს. მაგრამ თუ იქ ამნაირი მისაცემელი არ გვხვდება, სამაგიეროდ მასზე უფრო ადრინდელ ძეგლში მკითხველი ამგვარ ცნობებს იპოვის.

ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნში “**შოლტი-ქალამანი**” შემდეგ სოფლებს, - ჯიდარს, გუგუმსჯუარს, ნოკორნას, შიგონასძის ქედს, თორნს და წიაბეთს, - ჰქონია მისაცემლად დაკისრებული, ხოლო ს. მაგუს უნდა “**ცხურის ტყავი მჭარი**” გამოეღო. უფრო მეტი მნიშვნელობა სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის იმ ცნობასა აქვს, რომელშიც ნათქვამია: “**რომელიც ხუცესი იყოს და ამისი (ე. ი. სამთავნელის) სამწყსო ეჭიროს და მოკუდეს, თუ შეეძლოს, მართებულის მსახურის**

საწირავი მართვას (სამთავნელს მისმა სახლობამა), უკუეთუ არა, ერთი ტყავი მხარი”-ო^[24].

ზემომოყვანილთაგან ცხადი ხდება, რომ “ტყავი” ჯერ კიდევ XV-ს.-ში საწირავად ითვლებოდა. ანისის 1218 წ. წარწერისა და სამთავრელის სარგოს გარიგების წიგნის ცნობები ერთმანეთისაგან მხოლოდ იმ მხრივ განსხვავდებიან, რომ XIII ს. დამდეგს “ზროხის ტყავი” ჭირისუფალი მრევლისაგან ხუცისათვის მისაცემ საწირავად ითვლებოდა, XV ს-ში კი “ტყავი მჭარი” უკვე ეპისკოპოზისათვის ხელქვეითი გარდაცვლილი ხუცის ოჯახისაგან მისაცემ საწირავად იხსენიება. ამ მხრივ საუკუნეთა განმავლობაში თვალსაჩინო ცვლილება მომხდარა, მაგრამ ძროხის, ან საზოგადოდ საქონლის ტყავს თავისი დანიშნულება საეკლესიო მისაცემელთა სისტემაში მაინც შეუნარჩუნებია.

ყოველივე ზემონათქვამის შემდგომ, უფრო ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, თუ დანამდვილებით რას ჰგულისხმობდა ეტიფანე კათოლიკოზი, როდესაც ანისის მკვიდრთ და ხუცესთ აგონებდა, რომ მიცვალებულის ჭირისუფალთაგან ხუცესს “სხუაჲ წაღებაჲ ძალისაებრ” ეძლეოდა ესო. უეჭველია, აქ იგივე იგულისხმება, რასაც შემდეგში ნიშანი ეწოდებოდა, რომლის ძალითაც მწირველს მიცვალებულის ტანისამოს-სამკაულისა და მოკაზმულობის გარკვეულ ნაწილს აძლევდნენ ხოლმე. ამ მისაცემლის ოდენობის თაობაზეც, როგორც ჩანს, ანისის მრევლსა და მღვდლებს შორის უთანხმოება ყოფილა. სამწყსოს ეს ნიშანი ეტყობა დიდად მიაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ კათოლიკოზს ეტიფანეს აქაც მრევლისათვის დაუჭერია მხარი: მას საგრძნობლად შეუმცირებია იგი და, გარკვეული ოდენობის მაგიერ, ნიშნის მიცემა შეძლების კვალობაზე დაუწესებია.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად შეუმსუბუქდა 1218 წ. შემდგომ საწირავის ტვირთი ანისის ქართველთა და ქალკიდონიან სომეხთა სამრევლოს, უნდა ტერმინი შოლტის მნიშვნელობა ვიცოდეთ. ეს სიტყვა ქართულ მწერლობაში ამაზე გაცილებით უფრო ადრინდელ ძეგლებშია ნახმარი. ნიკორწმინდის X I ს. სიგელში, მაგ., ნათქვამია: “ვივშს ზოსქლელისაგან ვიყიდე ვენაჯი და მივეც ჯარი ა(1), საჯნისი გ(3) და ქალამანი შოლტი ა(1)”^[25]. XIII – XIV ს. ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნშიც ეს ტერმინი ხშირად იხსენიება, საბა-ორბელიანის განმარტებით შოლტი არის “ტყავისნაჭერი გრძლად” (ლექსიკ.). ხოლო, პროფ. ნ. მარრის სიტყვით, გურიაში მოხუცებულებს ჯერ კიდევ ხსომებიათ, რომ წინათ მღვდელს აძლევდნენ საქონლის ტყავს, რომელიც ორი ტერფის სიგანეზე, შუაზე, უგრძელეს ადგილას, სიგრძლივ იყო ხოლმე ამოჭრილი^[26].

საფიქრებელია, რომ ხუცისათვის საწირავად ძროხის მთელი ტყავის მისაცემელი მარტო ანისში კი არა, არამედ მთელ მაშინდელ საქართველოშიც იქნებოდა “საეკლესიო წესად” მიღებული. მაგრამ, თუ მერმინდელ სარგოს გარიგების წიგნებს გადავშინჯავთ, დავრწმუნდებით, რომ ამ ოდენობის მაგიერ, XIII – XIV ს.-ში “ტყავი მჭარი” უკვე გარდაცვლილი ხუცის ოჯახის მისაცემლად სწერია ეპისკოპოზისათვის, სოფლის კაცნი კი მხოლოდ “შოლტი ქალამანი”-ს გამოძღვნი ყოფილან^[27]. ცხადია, რომ ეტიფანე კათოლიკოზის 1218 წ. განკარგულებას საქართველოს სხვა სამრევლოებშიც ამ საეკლესიო მისაცემლის ოდენობის შემცირება მოჰყოლია. მომავალი გვიჩვენებს, თვით საქართველოში საწირავის ოდენობის ასეთი შემცირება უმტკივნეულოდ მოხდა, როგორც კათოლიკოზ ეტიფანეს 1218 წ. განკარგულების ბუნებრივი შედეგი, თუ აქაც მრევლს ამისთვის ბრძოლა დასჭირდა?

თავი მეოთხე

ბრძოლა საქართველოს ეკლესიასა და მთავრობას შორის საეკლესიო მიწების გამო

§ 1. ეკონომიურ-ფინანსური კრიზისი საქართველოში XIII ს. შუა ათეულებში

როდესაც, მონღოლთა მიერ შემოღებული მრავალ-გამგეობისა და გადასახადების წყალობით, მიწა და ქონება სხვადასხვა გამოსაღებლით იმდენად დაიტვირთა, რომ ამოდენა ტვირთს ვეღარ უძლებდა, ისე რომ მიწის დამუშავება, თუ მთლად საზარალო არა, დამუშავებლისა და პატრონისათვის თითქმის უნაყოფო შრომად იქცა, რადგან შემოსავლის უდიდესი ნაწილი გადასახადების გასასტუმრებლად უნდა წასულიყო, მიწამა და უძრავმა ქონებამ, როგორც დავრწმუნდით, თავისი ფასი დაკარგა და მიწა ამოდრავდა. ვალებით დატვირთული მემამულენი იძულებულნი იყვნენ უძრავი ქონება, ან თვითონვე გაეყიდათ, ან მევალისათვის მიეცათ. ძველი და დიდი საგვარეულოების წარმომადგენელნი ამით გაღარიბების კარამდე მივიდნენ: უძრავი, ხშირად დიდი, ქონება ხელიდან ეცლებოდათ და თითქმის უმიწაწყლოდ, ან მცირე ქონების პატრონად-ღა უნდა ქცეულიყვნენ.

ამ საშინელი ქონებრივი განსაცდელის დროს, რომელიც, როგორც ვნახეთ, ფართოდ იყო მოდებული და აზნაურთა წოდებას, მეტადრე მის უმოხელეო წრეს, სრულ განადგურებას უქადდა, ამ მწვავე კრიზისის შენელებისა და მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების წადილი და აზრი ბუნებრივად უნდა დაბადებულიყო, როგორც თვით დაზარალებულთა წიაღში, ისევე საქართველოს მთავრობის წრეშიც, რადგან ეს განსაცდელი უცხოთესლთა ბატონობის შედეგი იყო და მოწინავე წოდების გაღარიბება, მაშინდელი სახელმწიფო და სოციალური წესწყობილების გამო, სახელმწიფოსათვისაც ფრიად მნიშვნელოვან და დამაფიქრებელ გარემოებად იყო მიჩნეული.

ქვეყნის ამ საერთო გაჭირვების დროს, მონღოლთა წესების წყალობით, განსაკუთრებული უპირატესობა, შეუვალობა, მხოლოდ ეკლესიასა და საეკლესიო საკუთრებასა ჰქონდა მინიჭებული. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ საეკლესიო დაწესებულებათა ქონებას საქართველოს მეფეთაგანაც ყოველგვარი გადასახადების შეუვალობაც ჰქონდა შერჩენილი, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ მაშინდელი საქართველოს გასაჭირში მყოფი ყველა წრეები ეკლესიის დაწესებულებათა მესვეურებისა და მათი ყმების ამ უპირატესობითა და შეუვალობით შექმნილს ქონებრივ კეთილდღეობას, რა თქმა უნდა, შურის თვალით დაუწყებდნენ ყურებას. ზოგს მათგანს, მეტადრე, რასაკვირველია, ეკლესიისათვის ოდესღაც გადაცემული მამულების უკვე დიდ გაჭირვებაში ჩაცვივულ შემწირველთა შთამომავლობას, ქონებრივი მდგომარეობის ასეთი განსხვავება შესაძლებელია დიდ უსამართლოებადაც კი ჩაეთვალა.

ყველა ყალანს, სხვა მოვალეობასა და ხარკს იხდიდა, ყველა სახელმწიფო გადასახადების გამომღები იყო, ეკლესიის გარდა. მისი შეუვალობა გაჭირვებაში

ჩავარდნილ საქართველოს სახელმწიფო საჭურჭლესაც და სალაროსაც და დანარჩენ მცხოვრებთაც მძიმე ტვირთად აწვებოდა.

მართალია, როგორც ქვევით აღნიშნული იქნება, საქართველოს მთავრობისაგან ნახმარი ღონისძიება, შეუვალობით მოსილს საეკლესიო მიწებს კი არ ეხებოდა, არამედ სწორედ შესავალს, ე. ი . ისეთს, რომელიც გადასახადებისაგან განთავისუფლებული არ იყო. მაგრამ ჯერ ერთი ეკლესიის ქონება საეროსთან შედარებით, მსუბუქად იყო დაბეგრული, მეორეც ის, რომ ეკლესია მონღოლთა ბატონობის ყველაზე უფრო მძიმე ტვირთისა, ყალბობისაგან, თავისუფალი ყოფილა. ამ გარემოებას ისიც ცხად-ჰყოფს, რომ ეკლესიის წარმომადგენელი, როგორც დავრწმუნდებით, ყალბობის მოხდის თანახმანი იყვნენ, ოღონდ გაცემული ქონება კვლავ ეკლესიას დაჰბრუნებოდა.

ულუ-დავითის-დროინდელი საეკლესიო კრების მონაწილეთა მოწმობითაც ჩანს, რომ ამაზე მაშინ ლაპარაკიცა და დრტვინვაც ყოფილა. მართალია, ასეთი მსჯელობა მათ უსამართლოდ მიაჩნდათ, “**ნუცა ვინ ყალბობის მიზეზს შემოიღებს**”-ო – მაგრამ ამას მათი მოწინააღმდეგენი, რასაკვირველია, არ დაეთანხმებოდნენ. ამავე კრების წევრები ადასტურებენ, რომე **მრავალნი კადრობენ ჟამისა ძნელბედობასა და საჭიროებასა**”-ო^[28].

§ 2. მთავრობის ღონისძიება იმ კრიზისის შესანელებლად, მისი არსება, დანიშნულება და უფლებრივი საფუძველი

იმ საშინელი კრიზისის შესამსუბუქებლად, რომელიც მაშინდელ საქართველოს, უმთავრესად მის ამიერ ნაწილს, მონღოლთა ბატონობისა და საფინანსო სისტემის წყალობით თავს დაატყდა, საქართველოს მთავრობას ერთი საშუალებისათვის მიუმართავს, რომელიც საქართველოს ეკლესიის მესვეურთ თავის იურიდიულ და ქონებრივ უფლებათა შელახვად მიუჩნევიათ. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: საეკლესიო წრეებში მთავრობისაგან ნახმარი ღონისძიება მიჩნეული იყო “შლად საყდართა საეპისკოპოზოთა” და “მონასტერთა”, ესე იგი ეკლესიათა რღვევადა და ყველა საეკლესიო მამულების თითქოს მიტაცებადა სთვლიდნენ. მაგრამ ასეთი ბრალდება უეჭველია ვნებათა-ღელვითა და მოწინააღმდეგესთან საბრძოლველ საშუალებათა გაურჩევლობით იყო წარმოშობილი.

ნამდვილად კი საქართველოს მთავრობისაგან საეკლესიო ქონებიდან დაზარალებულებზე მარტო იმ ნაწილის გაცემა იყო ამ გაჭირვების შემანელებელ ღონისძიებად განზრახული, რომელიც ეკლესიას საქართველოს მეფეთაგან ოდესმე შეწირულებად ჰქონდა მიღებული. ეს საშუალებაც მხოლოდ საეპისკოპოზო საყდრებისა და მონასტრების შეწირულ ქონებას შეეხო. ეს თვით საეკლესიო კრების მოხსენებიდანაც ნათლად ჩანს და ჟამთა აღმწერელის სიტყვებითაც მტკიცდება. საეკლესიო კრების მონაწილენი ულუ-დავითს ეკითხებოდნენ: განა წინათ კი არ ყოფილა საქართველოში დიდი გაჭირვება, მაგრამ რატომ ეს “მიზეზი არავინ კადრა საყდართა ქუეყნის ქონებას და დარღუევის მნებებელმან”-ო: საეკლესიოდ შეწირული ქონების წინანდელ მეფეთაგან გაცემულობის საბუთები არავის აქვს: “რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა სიგელი თქუენტა გუართაგან ბოძებული [აქუს] და, თუ ვის აქუს, არავინ დაჰმაღავს, - რად არავინ გამოაჩინა, რომე საყდართა სოფელი ვის ზედა გაცემული იყოს და ეწეროს თუინიერ ამისისა, რომე თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა”-ო^[29].

ჟამთააღმწერელიც ხომ ულუ-დავითზე ამბობს: “იწყო შლად საყდართა საეპისკოპოსოთა, რომელნი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიჭნეს, გაცემდა, - ეგრეთვე მონასტერთა”-ო^[30]. ისტორიკოსის ეს უკანასკნელი ცნობა ცხად-ჰყოფს, რომ საქართველოს მთავრობისაგან გამოყენებული ღონისძიება მეფეთაგან საყდრებისა და მონასტრებისათვის ყველა შეწირულ მამულებს კი არ ეხებოდა, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომელნიც “შესავალნი” იყვნენ. ამგვარად, ყველა მეფეთაგან შეწირული “შეუვალობის” მქონებელნი და კერძო პირთა ყველა შეწირული მამულები ხელუხლებელი რჩებოდნენ და საყდართა და მონასტერთა “შლა”-ზე ლაპარაკი მხოლოდ გაბოროტებული მოწინააღმდეგის დაუზოგველი ბრძოლის წარმოების გამომძევავენებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

საეპისკოპოზო საყდრებისა და მონასტრებისათვის შეწირული, როგორც ეტყობა, მარტო მოწინავე წოდებისათვის კი არ გადაუციათ, არამედ აგრეთვე დარბაზის ერთა და გლეხებზეც. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საეკლესიო კრება ულუ-დავითს ეკითხებოდა: “რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა სიგელი თქუენთა გუართაგან ბოძებული [აქუს] და, თუ ვის აქუს, არავინ დაჰმალავს, - რად არავინ გამოაჩინა, რომე საყდართასოფელი ვისზედა გაცემული იყოს და ეწეროს თვინიერ ამისასა, რომე თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებინან სიგლითა”-ო.

საქართველოს მაშინდელი ეკონომიური და ფინანსიური კრიზისის შესამსუბუქებლად შემუშავებული ვაზირთა-უპირველესის ეს გეგმა საქართველოს მთავრობას, ერთის მხრით, უძრავი ქონების ახალ ფონდს უქმნიდა, მეორე მხრით, ამ მამულების ერისკაცებზე გაცემით სახელმწიფო საჭურჭლე-სალაროს შემოსავლის ახალი ერთდროულიცა და ყოველწლიური წყაროც უჩნდებოდა: წინათ თუ ეს საყდარ-მონასტრებისათვის შეწირული მიწები სახელმწიფო ხაზინას არას ჰმატებდნენ და ამიტომ სამეფოსათვის ფინანსიურად საზარალო იყვნენ, ეხლა იმას გარდა, რომ ამ მიწების გაცემისას ერთდროულად ფული უნდა შემოეტანათ, მიწების მიმღებნი ყოველწლიურად მონღოლთათვის გნაკუთვნილი ხარკის, ყალანის, გადახდის გარდა, ყველა სახელმწიფო გადასახადების მთლიანად გამოღებასაც კისრულობდნენ. ეს ცხადად ჩანს საეკლესიო კრების იმ წინადადებიდანაც, რომელსაც მეფე და საქართველოს მთავრობა უნდა დაერწმუნებინა, რომ ამ მიწების ისევე ეკლესიის ხელში დაბრუნება და დატოვება სახელმწიფოსათვის ფინანსიურად საზარალო არ იქნებოდა.

შეეძლო, თუ არა, მეფეთაგან ეკლესიისათვის დროთა განმავლობაში შეწირული შესავალი მიწების სხვებზე გაცემის დროს, ულუ-დავითსა და მის მთავრობას თავისი მოქმედება, ფინანსიური თვალსაზრისით აუცილებლობის მოსაზრების გარდა, იურიდიულად, სამართლის თვალსაზრისითა და დებულებითაც გაემართლებინა? საეკლესიო წრეები და კრება, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, სრულ უკანონობად, სხვის ქონების მითვისებადა და მძარცველობად აცხადებდნენ. მაგრამ საქართველოს მთავრობის მტკიცე პოზიცია ამტკიცებს, რომ ის ამის შესახებ სულ სხვა აზრისა იყო და სხვანაირად მსჯელობდა.

ქართული სამართლის თანახმად, მეფის ყველა განკარგულებას ძალა მხოლოდ მისი სიცოცხლის დროსა და განმავლობაში ჰქონდა. მისი სიკვდილის შემდგომ მისგან მინიჭებულ უპირატესობასა და წყალობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ძალა შერჩენოდა, თუ ტახტზე ასული მისი მომდევნო მეფე ამას დაამტკიცებდა, თუ არა და ეს წყალობა, ან განკარგულება გაცუდებულად და გაუქმებულად ითვლებოდა. ამ გარემოებით აიხსნება, რომ სახელმწიფო ტახტზე

ახლად ასულ მეფესთან გარდაცვლილი მეფის წყალობისა, შეწირულობისა და სხვაგვარი წიგნები მოჰქონდათ ხოლმე განსაახლებლად და დასამტკიცებლად. ვინც ამნაირ საბუთებს არ განაახლებინებდა, წინათ მიღებულ უპირატესობას და უფლებას ჰკარგავდა. ამგვარად, შემწირველის მემკვიდრის ნებაყოფლობა იყო საჭირო, რომ შეწირულებას თავისი ძალა შეჰრჩინოდა^[31].

საფიქრებელია, რომ ულუ-დავითმა და საქართველოს მთავრობამ თავისი ფინანსიური გეგმის განხორციელებისათვის კანონიერი მოქმედების თვისების მისანიჭებლად, ვითარცა მის წინაპართაგან შეწირული მამულების მემკვიდრემა და პატრონმა, სწორედ ამის უფლებით ისარგებლა. ამ აზრს თვით გაცემული მამულების ახალ მფლობელთა ის სიტყვებიც ადასტურებენ, რომლებითაც მათ მიღებული მამულების უკან დაბრუნების ეკლესიისაგან მოთხოვნის უკანონობა დაუსაბუთებიათ: ეკლესიის მესვეურთათვის უპასუხნიათ – “მქონებელი და მნებებელი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისაჲ პატრონი არ დაგუადებინებს” და თქვენ რა უფლებით გვთხოვთ პატრონისაგან ამ გადმოცემულ ქონებათა თქვენთვის უკან დაბრუნებასაო.

მაშასადამე საქართველოს მთავრობის მოქმედება, მისი ფინანსიური გეგმისა და ღონისძიების განხორციელების დროს, იურიდიულად არას გზით სხვისი ქონების მითვისებად და გაფლანგვად არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო. ეპისკოპოზებსა და მონასტრებს ამის საპასუხოდ უფლება ჰქონდათ მხოლოდ ის აღაპები და სახსენებელი მოესპოთ, რომელიც ამ გაცემული ქონების პირვანდელ შემწირველთაგან დაწესებული იყო. ქართული სამართლის თვალსაზრისით მათ ამაზე მეტის არაფრის თქმა არ შეეძლოთ. სარწმუნოებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით კი სათქმელად ბევრი მოსაზრების მოყვანის საშუალება ჰქონდათ და ამით აიხსნება, რომ საეკლესიო კრებას თავის მოხსენებაში საცილობელი საკითხის სწორედ ამ მხარისათვის მიუქცევია ყურადღება და საბუთად გამოუყენებია კიდევაც.

§ 3. ამ სოციალურ-ეკონომიური გეგმისა და ღონისძიების თაოსანის ვინაობა

მონღოლთა-დროინდელს ქართველ ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს, თუ მიწის ამოდრავებისა და დაკარგვით გაღარიბებულთა ქონებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პირველად ვის მოუვიდა აზრად, რომ წინანდელ მეფეთაგან მონასტრებისათვის შეწირული მიწები საეპისკოპოზო საყდრებს და მონასტრებს ჩამოჰრთმეოდათ და გაჭირვებულ ოჯახებს გადასცემოდათ, მაგრამ ამ სოციალ-ეკონომიური გეგმისა და ღონისძიების ავტორი ულუ-დავითის-დროინდელი საეკლესიო კრების ძეგლისწერაშია მოხსენებული. ამ კრების მონაწილენი აღშფოთებით ამბობენ: “ღმრთისათვის შეწირულთა ადგილთა ვაზირი, მნებებელი, მაწუეველი და მაქნეველი გაცემისაი, ვითამცა არა ღმრთისაგან რისხვეულ იქნა”-ო^[32]. აქედან ცხადი ხდება, რომ შეწირული მიწების გაღარიბებულ მცხოვრებლებზე გაცემის “მნებებელი”, “მაწუეველი” და “მაქნეველი” თვით ვაზირი ყოფილა. საეკლესიო კრებას მისი ვინაობა, უეჭველია, მორიდებით არ დაუსახელებია, მაგრამ მისი სახელი მეფესაც და ყველა იმდროინდელ ქართველებს ისედაც კარგად ეცოდინებოდათ.

რაკი, ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად, საეკლესიო საკითხები ვაზირთა ყოველთა უპირველესსა და მწიგნობართ-უხუცესს ჰქონდა ჩაბარებული^[33], ამიტომ ზემომოყვანილ ცნობაში, ცხადია, ვაზირთა-უპირველესი უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ, ამავე ქართული სამართლის მიხედვით, მამულის

შეწყალების წესით გაცემის, ან ბომების დროს ეუჭველად სამხედრო საქმეების ვაზირს, ამირსპასალარსაც, უნდა მიეცა თავისი დასტური. ამიტომ ამ საქმეში ამირსპასალარის მონაწილეობაც უნდა ვიგულისხმოთ.

ულუ-დავითის მეფობაში, რასაკვირველია, ერთი მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა - უპირველესი არ იქნებოდა და არ იყო, მაგრამ მათ შორის იმ დროისათვის ესოდენ გაბედული გეგმა და მოქმედება ყველაზე მეტად ბასილ ჭყონდიდელ-უჯარმელს შეჰშვენის, რომელიც, ქართველი **ჟამთააღმწერლის** სიტყვით, იმდენად თამამად მოქმედებდა, რომ “იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა” და რომელმაც “მეფისა იმერთ ყოფასა შინა დიდად აწყინა სეფეთა ქვეყანათა”^[34], ხოლო შემდეგ “ჩოჭანიცა აღიჭადა”, ე. ი. მონაზონობას თავი დაანება, საერისკაცო ტანისამოსი ჩაიცვა და “მთავრობა მიიტაცა”-ო^[35]. ეს ის ბასილი ვაზირთა-უპირველესია, რომელიც სხვათა შორის არსენი ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის მგელა აბულხოტრისძისადმი მიცემულს დაწერილს ამტკიცებდა და თავის თავზე ამბობდა: “დაწერილისა ამისა მეცა დამამტკიცებელი ვარ უღირსი **ბასილი ჭყონდიდელი მწიგნობართ-უხუცესი და პროტიპერტიმოსი**, მტკიცე ყოს ღმერთმან და შემცვალებელთა ამისთა შერისხვითა მისცეს სასჯელი”-ო^[36].

მაგრამ ჩვენ რომ საეკლესიო კრების მეგლისწერაში მოხსენებული ვაზირისა და ბასილი ვაზირთა-უპირველესისა და მწიგნობართ-უხუცესის ჭყონდიდელ-უჯარმელის ერთიდაიგივეობა დამარწმუნებლად ვიცანთ, ამისთვის წინასწარ უნდა როგორც საეკლესიო კრების, ისევე ბასილის მწიგნობართ-უხუცესობის ზეობის დრო ვიცოდეთ. თუმცა, საუბედუროდ, არც ერთი ამ თარიღთაგანი შენახული არ არის, მაგრამ “ქართული სამართლის ისტორიაში”^[37] უკვე გამორკვეული მაქვს, რომ ეს საკლესიო კრება 1263 წ. ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო და მაშინვე უნდა იყოს კრების ეს მიმართვაც დაწერილი.

ეხლა ვაზირის ვინაობის საკითხს რომ შევეხოთ, **ჟამთააღმწერელს** ბასილი ჭყონდიდელისა და უჯარმელის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ, ბერქა ყაენის მოსალოდნელი შემოსევის მოსაგერიებლად, ილხანებმა “თეთრსა წყალსა ზედა ლობე შეკრეს და მუნ იზამთრიან, ვითარცა მითქუამს, ხოლო, ვითარცა ამათ საქმეთაგან უცალო იქმნა მეფე” ულუ-დავითი, “განდიდნა ბასილი ჭყონდიდელი და უჯარმელი” და სხვადასხვას, უკვე ზემომოყვანილ თვითნებითს მოქმედებას მიჰყო ხელიო^[38]. რადგან მონღოლებმა ამ ლობის, ანუ “სიბას” აგება 1263 წ. შემოდგომას დაიწყეს, ამიტომ ბასილი ვაზირთა-უპირველესის განდიდების დასაწყის თარიღად სწორედ 1263 წ. უნდამივიჩნით. მაგრამ რაკი ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელის დამოუკიდებელი მოქმედების მიზეზად ულუ-დავითის სიბაზე გამგზავრება და ზამთრის იქ გატარებაა დასახელებული, ასეთი თვითნებობა კი მეფის პირველსავე გამგზავრების დროს ვერ გამომჟღავნდებოდა, ამიტომ, ამ დასაწყის წლიდან მოყოლებული, რამდენსამე ხანს მაინც უნდა გაევილო, სანამ ულუ-დავითს მისი ვაზირთა-უპირველესის ქცევა მოთმინებიდან გამოიყვანდა და განარისხებდა. ამას ისტორიკოსის სიტყვებიც – “ვითარ ამათ საქმეთაგან უცალო იქმნა მეფე”-ო – გვაფიქრებინებს. მრავლობითი რიცხვი მეფის არაერთგზისი გამგზავრების გამომხატველი უნდა იყოს.

ჟამთააღმწერლის მოთხრობის თანმიმდევრობის მიხედვით, ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელის სიკვდილად დასჯა თითქოს 1264 წ. უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ამ ამბავს სწორედ 1264 წ. შემოდგომის სიბაზე მორიგე გამგზავრების შესახები ცნობა მოსდევს^[39]. მაგრამ აქაც, როგორც არა ერთგან სხვაგანაც, შესაძლებელია ჩვენ ისტორიკოსს ქრონოლოგიური წესრიგი მთლად დაცული არა ჰქონდეს და

შესაძლებელია ბასილი ჭყონდიდელისა და ვაზირთა უპირველესის განდიდების ამბავის აღნუსხვას სისრულისათვის მისი მერმინდელი საბოლოო ბედიღბალიც ჰქონდეს ზედ დართული.

ბასილის თვითნებური ქცევის დასაწყისი **ჟამთააღმწერელს** მთლად სისწორით თითონაც გათვალისწინებული არ უნდა ჰქონდეს და მის მოთხოვნას ამ ადგილას სრული ზედმიწევნილობა არ ატყვია. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ჯერ ნათქვამი აქვს, რომ მეფის დაუკითხავად მოქმედება ვაზირთა-უპირველესმა მას შემდგომ დაიწყო, რაც ულუ-დავითი იძულებული შეიქმნა მონღოლებს ყოველწლიურად თეთრი-წყლის სიბაზე გაჰყოლოდა, მაგრამ რამდენიმე სიტყვის შემდგომ თვითვე უმატებს: ბასილმა “მეფისა იმერით ყოფასა შინა დიადი ეწყინა სეფეთა ქვეყანათა, რამეთუ ვითარ თვსთა ჰხედვიდა”-ო^[40]. ამ სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ ბასილ მწიგნობართუხუცესს თვითნებური მოქმედება გაცილებით ზემომოყვანილ თარიღზე უწინარეს დაუწყია, სახელდობრ უკვე 1260 წელს.

უკვე ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ, როგორც **ულუ-დავითისაგან** საეკლესიო მიწების გაცემა, ისევე ბასილ ვაზირთა-უპირველესის დამოუკიდებელი მოქმედება ერთსა და იმავე დროს მონღოლთა საქმეებისა და მძლავრებისაგან მეფის “სიბაზე” სიარულით გამოწვეული მოუცლელიობის დროს დაწყებულია. აქ, მაშასადამე, ორს ერთი-და-იმავე-დროინდელს მოვლენასთანა გვაქვს საქმე. ხოლო, თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ბასილ ვაზირთა-უპირველესს თვითნებური მოქმედების გაჩაღება და განდიდება, **ჟამთააღმწერელის** სიტყვით, იმის წყალობით შესძლებია, რომ მეფე დავითს, მონღოლებთან ერთად სიბაზე ყოველწლიურად გალაშქრების გამო, საქართველოს სახელმწიფო საქმეებისათვის აღარ სცალოდა, თუ ისტორიკოსის ზემომოყვანილი ცნობა სამართლიანია, გამოდის, რომ საეკლესიო მიწების გაცემისათვის იმდენად ულუ-დავითი არ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი, რამდენადაც მისი კანონიერი მოადგილე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა-უპირველესი. საეკლესიო კრებაც, როგორც დავრწმუნდებით, საქმის ნამდვილ ვითარებას თავის ძეგლისწერაში სწორედ ასევე გვისურათებს. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ საეკლესიო მიწების გაცემის თაოსნობა, თუ აქტიური მონაწილეობა ბასილ ვაზირთა-უპირველესს უნდა ჰქუთვნებოდა.

§ 4. მთავრობის მოქმედებით გამოწვეული საეკლესიო წრეების გულისწყრომა და ბრძოლა მის გასაქარწყლებლად

სოციალ-ეკონომიური კრიზისის შესამსუბუქებლად განკუთვნილს საქართველოს მთავრობის ამ ღონისძიებას ქართული ეკლესიის მესვეურნი, რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილნი არ დაჰხვედრიან, არამედ, პირიქით, წინააღმდეგობის გაწევასაც და ბრძოლასაც შეუდგნენ, მაგრამ ფრთხილად და მარჯვედ მოფიქრებული საშუალებით. ჯერ თურმე საუკეთესო საბრძოლველ იარაღად დაკრულვა მიუჩნევიათ, მაგრამ მთავრობა კი არა, არამედ მხოლოდ საეკლესიო მიწების მთავრობისაგან მიმღები შეუჩვენებიათ.

ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად, დაკრულვას უნდა სახელმწიფო ხელისუფლების მხრივაც დაკრულვილის “შერისხვა” მოჰყოლოდა. მას მოქალაქეობრივი უფლებები უნდა წარჰთმეოდა: მამული ჩამორთმეოდა და “ლაშქართა შიგა” აღარ ყოფილიყო შემვებული, ე. ი. თავის სამშობლოდან უნდა გაწბილებული განედევნათ.

ეს იარაღი ეკლესიის მესვეურთათვის იმითაც იყო მარჯვე და ხელსაყრელი, რომ დაკრულების მიზეზად შესაძლებელი იყო სულ სხვა გარემოება ყოფილიყო გამოცხადებული, რომ საქართველოს მთავრობას საბუთი არ ჰქონოდა, მღვდელმთავართა ასეთს მოქმედებაში თავისი თავის შეურაცხყოფა შეემჩნია, შედეგად კი ამ დაკრულვას სწორედ ის უნდა მოჰყოლოდა, რაც ეკლესიას სწადდა: ეკლესიისათვის შეწირული მიწის მიმღებს ყველა მამულები ჩამოერთმეოდა და ლაშქრიდანაც გაძევებული იქნებოდა. ასეთი სასჯელი იმდენად მკაცრი იყო, რომ სხვებს თავიანთი ქონებრივი მდგომარეობის “გაცემული” საეკლესიო მიწებით გამოკეთების წადილს, სამღვდელოების აზრით, სამუდამოდ დაუკარგავდა.

ქართული ეკლესიის მესვეურთ ამ საშუალებისათვის მიუძღრთავთ კიდევაც, მაგრამ, როდესაც დაკრულებისათვის ჯვარისწერაზე და, უეჭველია, სხვა საიდუმლოებათა ასრულებაზე მღვდელმსახურთ წესისაებრ უარი უთქვამთ, მათ ეკლესიის ასეთი მოქმედება, როგორც ეტყობა, საეკლესიოდ შეწირული, მაგრამ “გაცემული” მიწის მიღებით გამოწვეულ შურისძიებად მიუჩნევიათ და მღვდელმთავართა მსჯავრი, ვითარცა უსამართლო, სამეფო კარზე განუსაჩივრებიათ. უეჭველია, საჩივართან ერთად მათ მთავრობისადმი მირთმეულ წერილობითსა, თუ სიტყვიერ განცხადებაში ეს თავიანთი ეჭვი და რწმენაც კი საგანგებოდ აღნიშნული ექნებოდათ.

საქართველოს მთავრობასაც, როგორც ჩანს, დაკრულებილ მოჩივართა ეჭვები და რწმენა, სადაც კი ასეთი ეჭვისათვის რაიმე საფუძველი არსებობდა, გაუზიარებია: დადებული სასჯელი უსამართლოდ მიუჩნევია, დაკრულებილთა მოსარჩლეობაცა და დაცვაც დაუწყია. ამ გარემოებას თვით საეკლესიო კრების მონაწილენიც აღიარებდნენ და მეფე ულუ-დავითისადმი წარგზავნილ მოხსენებასა და მუქარაში სხვათა შორის ნათქვამი აქვთ: წინათ ასეთი წესი იყო, რომ “ვინცავინ დაკრულებილა, რადთაცა მიზეზითა და საქმითა, თქუნ (ე. ი. საქართველოს მთავრობის) მიერცა შერისხულა, მამული დასჭირვია და ლაშქართა შიგან არ შემვებულა”, ეხლა კი, “აწ, თუ ვის დავკრულავთ, გამოაჭენებს თქუნს დარბაზსა და თქუნთა ვაზირთა მოჰმართებს, ბრძანებასა და კაცს უბოძებთ “ჯუარი დასწერე”-ო, გაწყრომისა და ავად გაჯდის ნაცვლად”-ო.

ყოველთვის ჰშველოდათ, თუ არა, მთავრობის გამოქომაგება დაკრულებილთ, არა ჩანს, მაგრამ იქ, სადაც დაკრულების სარწმუნოების წინაშე ბრალეულობის დამტკიცება ასე თუ ისე შეიძლებოდა, ეკლესიის მესვეურნი ალბათ უკან არ იხევდნენ. მაინც, რასაკვირველია, მღვდელმთავართ, მონღოლთა ბატონობის ამ ხანაში, ულუ-დავითის დროს, როდესაც წინანდელი ზნეობრივი საფუძველი შეირყა და ცხოვრება უკვე ძირიანად აფორიაქებული იყო, მარტო ამ თავიანთი იარაღით, მთავრობის დაუხმარებლივ, ბრძოლის მოგება არ შეეძლოთ. პირიქით, სოციალ-ეკონომიური კრიზისის შესამსბუქებლად საქართველოს მთავრობის მხრით ასეთი ღონისძიების გამოყენება სხვებსაც მაგალითს აძლევდა. შესაძლებელი იყო, როგორც თანამედროვე, ისევე მომავალ თაობათა შორისაც, მიმბაძველები გამოსჩენოდნენ: განა კერძო პირთა შენაწირევი მიწები კი ეკლესია-მონასტრებს ცოტა ჰქონდა?

სწორედ ამიტომ არის, რომ კრების მონაწილენი ულუ-დავითს ეკითხებოდნენ, თუ თქვენ თქვენზე წინაპრების საბუთებს არ ასრულებთ და ეკლესიის შელახულ უფლებებს არ აღადგენთ, სხვას ვის-ღა უნდა მივმართოთ, ანდა განა ამის შემდგომ თქვენი სიგლების დარღვევას კი ვინმე მოერიდებაო: “თუ თქვენსა მეფობასა შინა არ შეჰკაზმავთ საყდართა და მონასტერთა და არა უბოძებთ ჳელთა მათთა საქონებელთა, ვინმცა დაუურვა, ანუ ვინმცა არა ჰკადრა თქუნთა სიგლებ-ნიშნებთა გატეხად”.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ამაზე უმძიმესი ცოდვა არაფერია, როგორც “ცოდვისა სახედ და იგავად დადება მომავალთა და ყოფადთა ჟამთა და კაცთათუის მისათხრობელ-მოსაცსენებლად”-ო.

ეკლესიისათვის შეწირული მიწების ჩამორთმევა და გაცემა რომ უკვე ამ დროს მარტო მთავრობის საქმე აღრ იყო და კერძო პირებიც, შემწირველთა მომდევნო შთამომავლობა და ნათესაობაც, ამავე გზას დასდგომიან, ამას კახა მეჭურჭლეთ-უხუცესის 1259 წ. რკონის სიგელში მოყვანილი სიტყვებიც ცხადჰყოფენ: “**თუ ვინ იმისი მომშლელი გამოვიდეს ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყუასი, ანუ ყუ თლუარსლან ვითარყო და ვითა ქირშიშელარიონს უყო; თუ აბხაზთ (ე. ი. საქართველოს) მეფეთა წარიკითხონ ესე ჩემი დაწერილი და მათ არა მიასაბიონ (ე. ი. დამტკიცებით დამეხმარონ), მათ ჰკითხეს ღმერთმან... და ვინ ჩემის გუარისაი სხუაი იყოს, თუ მან არ მიასაბიოს, მასცა უგმია ღმერთი**”-ო^[41]. მაშასადამე, დიდგვარიან აზნაურთაგან 1259 წლისათვის ორს, ყუთლუარსლანს (რომელიც საფიქრებელია თამარის დროინდელი ცნობილი პირი არ უნდა იყოს) და ქირშიშს თავიანთი წინაპრების შეწირულობის დარღვევით უკვე გაუთქვამთ სახელი და ასეთ საქციელს იმდენად უკვე შესჩვევიან, რომ კახას აღარავინ ეგულებოდა, ვისაც მომავალში ასეთი საქმის ჩადენა არ შეეძლოს: თვით საკუთარ ძმაზე და შვილზეც კი, რომლის შეძენის იმედი მას ჰქონდა, კახას ამ მხრივ ეჭვი გულიდან ვერ ამოუშლია!

როდესაც ეკლესიის მესვეურნი გაცემული მიწების მფლობელებს ამ უძრავი ქონების უკან დაბრუნებას სთხოვდნენ, ისინი თურმე ცივსა და გადაჭრილ უარს ეუბნებოდნენ. საეკლესიო კრების მონაწილეთა სიტყვით მათ ასეთი პასუხი მიუღიათ: “თუით პირად და ზედაით-დაღმა ამას გუებნებთან: “მქონებელი და მნებებელი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისაი პატრონი არ დაგუადებინებს და არცა წაგუილებს, რომელსა სიგლითა უბოძებია, - და თქუენ არ დაგიდებთ და არცა გუემართლებით დადებინებასა, - ქრთამსა მოგცემთ”»-ო^[42].

ამ ცნობიდან ჩანს, რომ გაცემული საეკლესიო ქონების ახალ მფლობელთა საბუთიანობა იმ დებულებაზე ყოფილა დამყარებული, რომ, რაკი წინანდელ მეფეთაგან საყდარ-მონასტრებისათვის შეწირული მიწების მზრუნველი მეფე ულუ-დავითი, ვითარცა კანონიერი მემკვიდრე, ამასთანავე მათი პატრონიც, მქონებელიცა და მნებებელიც, რომელმაც ეს ოდესღაც საყდარ-მონასტრებისათვის შეწირული ქონება მათ სიგლით უბოძა, ამ მიწების უკან დაბრუნებას არ თხოულობდა, ეკლესიასაც უკვე უფლება აღრა ჰქონდა, რომ მათგან ამ გაცემული მიწების დაბრუნება მოეთხოვა. ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ მეფისა და საქართველოს მთავრობის განკარგულებით საყდარ-მონასტრებისათვის ჩამორთმეული და გადაცემული მიწების უფლების მქონებლად მხოლოდ მეფე და ამ მიწების თავდაპირველი მფლობელნი მიაჩნდათ და ფიქრობდნენ, რომ მათი უკან დაბრუნების მოთხოვნაც მარტო მათვე შეეძლოთ.

ამგვარად, მათი პასუხი მოკლედ ასე შეიძლება გამოითქვას: თუ საყდარ-მონასტრების მესვეურთ გაცემული მამულებისა და ქონების უკან დაბრუნების სურვილი ჰქონდათ, უნდა იმავე სახელმწიფო ხელისუფლებისათვის მიემართათ, რომელმაც ეს მიწები გასცა. მაგრამ ეს იყო, რასაკვირველია, ფორმალურ-უფლებრივი პასუხი და, თუ გაცემული მიწების პატრონთა საბუთიანობა ამ მხრივ უზადოა, ამ სადავო საკითხს ზნეობრივ-უფლებრივი მხარეც ჰქონდა და ამ თვალსაზრისით კი რომ დაიწყებოდა კამათი, მათ არ შეეძლოთ უარეყოთ, რომ ამ მიწების ახალ მფლობელებად ისინი მხოლოდ ძველი, კანონიერად შედგენილი საბუთების, - შეწირულების წინებისა და ანდერძების, - ძალით შექმნილი უფლების

დარღვეულობის წყალობით იქცევენ, ანუ, თუ ასე შეიძლება ითქვას, თავიანთი ახალი ფორმალურად კანონიერი უფლება ძველი კანონიერივე უფლებრივი მდგომარეობის დარღვევითა და ეკლესიისათვის ქონებრივი ზარალის მიყენებით მოიპოვეს.

გაცემული მიწების ახალი მფლობელების ზნეობრივ-უფლებრივი შეგნება, რომ ამ მხრივ მთლად დამშვიდებული არ ყოფილა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მათ საყდარ-მონასტრების მესვეურთათვის ერთგვარი ქონებრივი საზღაურიც კი შეუძლებელია: “ქრთამს მოგცემთ”-ო. ცხადია, რომ ამით მათ ასე თუ ისე ამ დავის მშვიდობიანი შეთახმებით დამთავრება ჰსურვებიათ, რომ მათი მფლობელობის უცილობელ იურიდიულ უფლებას, ნებაყოფლობითი შეთანხმების გზით, ზნეობრივი საფუძველიც მოჰპოვებოდა.

§ 5. ბრძოლით დამყარებული ვითარება მაშინდელ საქართველოში

ატეხილი უსიამოვნება რომ მთავრობისა და ეკლესიის ბრძოლად იქცა, ამის შემდგომაც ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, მარტო მათ შორის არ სწარმოებდა. მრევლიც, ხალხიც მათ თვალყურსაც ადევნებდა და წინანდებურად მაინც მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

კრიზისის შესანელებლად მთავრობისაგან ნახმარმა ღონისძიებამ კრიზისისაგან დაზარალებულთა წრეებში მეფესა და ვაზირებს, რასაკვირველია, თანაგრძნობა და სიყვარული მოუპოვა. კერძო პირთაგან მთავრობის მსგავსად მათი წინაპრების საეკლესიოდ შეწირული მიწების მითვისებამ კი ეკლესიის მდგომარეობა უფრო გააუარესა. ეპისკოპოზებსა და მონასტრის მესვეურთ უბრძოლველად “მიტაცებული” ქონების დანებება არ სურდათ. რაკი მარჯვედ მოფიქრებული ბრძოლის გეგმა, დაკრულვითა მთავრობისაგან გამოქომაგების გამო, ჩაიშალა, ამიტომ საქმე ისე დატრიალდა, რომ ეკლესია უნდა თავის სამწყსოს თვითნება წევრებსაც და უნებლიეთ თვით საქართველოს მთავრობასაც შეჰბრძოლებოდა.

ამ დროს ატეხილი ბრძოლის გამო, მრევლის დაინტერესებულ წრეებში ეკლესიის მესვეურებისადმი მტრულმა გრძნობამ იჩინა თავი და გამწვავებული დამოკიდებულება დამყარდა: ამ წრეებმა ეკლესია თავის მოძულედ, მთავრობა კი თავისი არსებობის საბრალო პირობების გამოსწორებისათვის მზრუნველად მიიჩნიეს, საქართველოს იმდროინდელი ეკლესიის ასეთი მძიმე მდგომარეობა თვით საეკლესიო კრების ძეგლისწერაშიც არის აწერილი. ამ კრების მონაწილენი თითონაც ვეღარ მალავდნენ და გულახდილად ამბობდნენ: “არდარავისგან გუაქუს პატივი, არც სჯულსა და არც ებისკოპოსთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც მიჰრონსა, არც ქორებისკოპოსთა, ყუელაი ყუელასა უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბასრობით ვჰყავთ”-ო^[43].

კრების მონაწილენი ფიქრობდნენ, რომ მრევლის მათდამი ასეთი მტრული განწყობილება და ამნაირი უპატივცემლობა საქართველოს მთავრობის წყალობით წარმოიშვა. ულუ-დავითს საეკლესიო კრება პირდაპირ ეუბნებოდა კიდევაც: “რად უპატიო ჰყოფთ პატოსნებასა და საკრძალვობასა ამის სახითა საქმისა? რომელი მეფე იქნების უპატიო-მყოფელი, შეურაცხად მქსენებელი ებისკოპოზთა და მონაზონთა?... თუ თქუენ უპატიოდ გყავთ, ვინმცა არა შეურაც-გყვნა, ვინმცა არ გუაგინნა, ვინმცა არა უპატიოდ და ჰავად დაგუჯადნა”-ო^[44].

რაკი დაკრულვითა და მოლაპარაკებით თითოეულ კერძო შემთხვევაში არაფერი გამოდიოდა, პირიქით საქმე უფრო-და-უფრო რთულდებოდა კიდევაც, რადგან შეწირული მიწების მიტაცება ლამის გადამდებ სენად ქცეულიყო, მთავრობა

და თვით მეფეც, ეკლესიისათვის მხარის დაჭერისა და დახმარების მაგიერ, შესაჩივლელად მიმსვლელი მისი წარმომადგენლების შეურაცხყოფის მიყენებასაც კი არ მოჰრიდებია, ამიტომ საქართველოს ეკლესიის მესვეურთ გადაუწყვეტიათ, რომ ამ გამანადგურებელ მიმართულებას შეერთებული ძალითა და უუკიდურესად მკაცრი საშუალებით შეჰბრძოლებოდნენ. ამ მიზნით მოწვეული იყო საეკლესიო კრება, რომელმაც, შექმნილი მდგომარეობის შესახებ მსჯელობის შემდგომ, გადასწყვიტა მეფისა, მთავრობისათვის და საყოველთაოდ ეცნობებინათ, რომ ეკლესიის მოთმინების ფიალა აივსო და, თუ მისი შელახული უფლებები აღდგენილი არ იქნებოდა, მას, უკიდურესი საშუალებისათვის მიმართვის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩენია.

§ 6. 1263 წ. საეკლესიო კრების დადგენილება, მეფისადმი წარდგენილი მოხსენება და ულტიმატუმი

1263 წ. მოწვეულმა საეკლესიო კრებამ, საქმის ვითარებაზე და უაღრესად სახიფათო მდგომარეობაზე მსჯელობისა და ასეთი განსაცდელის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა შესაძლებელი საშუალების აწონ-დაწონის შემდგომ, მეფისა და მთავრობისათვის ვრცელი, დასაბუთებული მოხსენებისა და გადაჭრილი მოთხოვნის წარდგენა გადასწყვიტა და აასრულა კიდევაც.

ცენტრარქივში **გ. გოზალიშვილმა** 1925 წ. იპოვა ულუ-დავითის-დროინდელი ამ საეკლესიო კრების დადგენილების თვით დედანი, რომლის ტექსტიც პირველად **თ. ჟორდანიამ** XVII საუკუნის პირის მიხედვით დაბეჭდა^[45].

გ. გოზალიშვილმა მისი ტექსტი ცენტრარქივის “საისტორიო მოამბე”-ში გამოაქვეყნა (1925 წ. II, 219 – 224). მისი სიტყვით, “საბუთი დაწერილია ქალაღდზე (ზომით 443/4 X 241/2 სანტიმ. მაქსიმ.) XIII საუკუნის ლამაზი მხედრული ხელით. დასაწყისი დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა არ იკითხება, მაგრამ ალბათ იგივე უნდა წერებულყო, რაც **ჟორდანიას** მიერ დაბეჭდილში, რადგან ტექსტი სხვაში ერთმანეთს ეთანხმება. ამის მიუხედავად **ჟორდანიას** ტექსტი და ჩვენი საბუთი ბევრ რამეში განსხვავდებიან. წვრილმან განსხვავებათა გარდა, თვალსაჩინო განსხვავებაც საკმაოა”-ო.

გ. გოზალიშვილს ეს ძეგლი საერთოდ კარგად აქვს გამოცემული, მაგრამ ხელთნაწერში აქა-იქ ტექსტი იმდენად წარყვნილია, რომ მოხსენება-ულტიმატუმის აზრი დამახინჯებულია, ამიტომ აქ ამ ძეგლის აღდგენილი ტექსტის დაბეჭდვა საჭირო. აი თვით ძეგლიც:

“[გვედრებით და ვრევთ კარსა მოწყალებისა თქვენისასა მოიწყინეთ ჭრტინვა] ჩუენი და სიგლახაკე და უქონებელი... და ობლად დასხმულნი ეკლესიანი ღვთისანი შეიწყალენით, განშიშულებანი [სამართ]ლით შემოსენით, იკსენით დაწუნებულნი, უსაჯეთ სამართალი მართალი, რადთა მართალთა თანა დაეწესნ---ებისაგან მწარისა, ვითარცა იტყუის წინაისწარმეტყუელისა პირითა უფ’ლი საბაოთ ღ’თი წ’დად ისრაფლისაჲ. “რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოსა”. - რომელთა პირველი არის თავი სჯულისა და ეკლესიათაჲ მცხე[თა] და, უკუეთუ თავსა, ჯერეთცა ნედლსა, ესრეთ ეყოს, ჰელ-ფერჯ-თით-მწუერვ(ა)ლებამან რადმცლა ინაყოფეს: - კ’დ იტყუის: “აღუთქუ და აღუსრულე უფალსა ყ’ელი აღნათქუემიო” და “უმჯობეს არს არა აღთქუმაჲ, ვიდრე აღთქუმაჲ და არა აღსრულებაჲ”.

“სრულ ყავთ, წ’დაო და ქ’ტე-მოსილო მეფეო ბრძანებული ესე, თქუენი სიტყუანი საქმით სრულ-ყვენიო: მოაღებინეთ სიგლები და ნიშნები ყუელაჲ ყუელას, ვისთვისცა გიბოძებია.

“[არა] თუ ჩუენთუის რასამე და ჩუენისა შეძენისათუის ვიწყინებით, მაგრა სლ’თოდ შ[ე]წირულისა ს’ლოდვე ჳამს ქონებაჲ და მიყენებაჲ და თუით საყდართა ქონებაჲ დიდად უფრო თქუენი ქონებაჲა: -

“აწ, თუ ერთხელ საჭურჭლესა თქუენსა შინა შემოღებული და ერთგზის თქუენთუის შემოდლუნებული, თუალთა და მარგალიტთა და ჳურჭელთა ოქროდს და ვერცხლისათა თანაჲ რადმე მცირე, ანუ გინა დიდი საჭურჭლესა შინა თქუენსა მდებარე გამოიღოს ვინმე, ანუ თქუენვე შემოგწიროს, ანუ წარაგოს სადმე, ნიჳნიმცა მიანიჳენით, ანუ პატივნი და ქებანი აღუვარენით, არამცა უფროდს რისხვეულ და პატიჳეულ ჳყავით?

“ღ’თისთუის შეწირულთა ადგილთა^[46] ვაზირი, მაწუეველი, მნებებელი^[47] და მაქნეველი გაცემისაი ვითამცა არა ღ’თისაგან რისხვეულ იქმნა და ვინც იკადრებს და გაქნევს, ვითა კეთილის მამოქმედებელს კეთილი ნ[იჳ]ი მიენიჳების ღ’თისა მიერ, ეგრეთვე ბოროტისა მიზეზი ბოროტსა მოისთულებს.

“ვიციოთ, რომე მრავალნი კადრებენ ჳამისა მნებედობასა და საჳიროობასა, მაგრა ამის უძნელბედესნიც ყოფილან მაშინ ჳამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებულა, ჳასრე რომე ჳაფარ ამირად ჯდომილა ტფილის და ქალაქი სპარსთა ჳქონებია, და თვით რადმცა მიზეზი არავინ კადრა საყდართა ქუეყნის ქონებისა და დარღუევის მნებებელმან? “ყოველი დრკუდ მავალი მიზეზობად მზააო” (sic), მაგრა ნუ მისცემთ გზასა მეტყუელთა ესე-ვითარისა მეტყუელებისათა.

“სამოცდამეათხუთმეტენი შვილნი ხართ თქუენთა გუართანი და რომელი მეფე თქუენთა ჳირთა, ლუაწლთა და განსაცდელთაგან ჳსნილა, ვითა ღ’თსა, თქუენსა მჳსნელსა, თქუენ უჳსნიხართ, და არცა რომელსა მეფესა თქუენგან უფრო ღ’თისა გზისა დაჳირვაჲ ჳმართებია. და ამ სამოცდაათხუთმეტთა თქუენთა გარდასრულთა მეფობათა შიგა უფროდსი და უმრავლესი ჳამი ამისაგან უძნელესი და უბოროტესი ყოფილა, ვითა ქართლისა ცხოვრებაჲ გამოაჩენს. რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლახსა სიგელი, თქუენთა გუართაგან ბოძებული [აქუს] და, თუ ვის აქუს, არავინ დაჳმალავს, რად არავინ გამოაჩინა, რომე საყდართა სოფელი ვის ზედა გაცემული იყოს და ეწეროს, თუინიერ ამისასა, რომე თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა: -

“ესეც იუწყოს წ’ნ მეფობამან თქუენმან აწ შეკრებულისა ამისა კრებისაგან: წესი სახლისა და პალატისა თქუენისაჲ ესე ყოფილა: ვინცა ვინ^[48] დაკრულვილა, რადთაც მიზეზითა და საქმითა, თქუენ მიერცა შერისხულა, მამული დასჳირვია და ლაშქართა შიგან არ შეშუებულა. აწ თუ ვის დავჳკრულავთ, გამოაჳენებს თქუენს დარბაზსა და თქუენთა ვაზირთა მოჳმართებს, ბრძანებასა და კაცს უბოძებთ, ჳუარი დასწერეო, გაწყრომისა და ჳავად გაკდის ნაცვლად. ესე უწესოი წესი ნულაროდეს იქნების, ნუც დაგუემართების. ვისაც დავჳკრულვიდეთ, თქუენც შეჳრისხევდეთ და ჳრმლითა თანა-უდევით სჯულთა და წესთა სამღვდელოთა, საღთოთა წერილთა მოძღურებისაებრ. თუ თქუენსა მეფობასა შიგა არ შეჳკაზმავთ საყდართა და მონასტერთა და არა უბოძებთ ჳელთა მათთა საქონებელთა, ვინმცალა დაუურვა, ანუ ვინმცალა [არა] ჳკადრა თქუენთა სიგლებ-ნიშნებთა გატეხაჲ:

“ცოდვაჲ ეგრე ბრალი და ცოდვაჲ არ არის, ვითა ცოდვისაჲ სახედ და იგავად დადებაჲ მომავალთა და ყოფადთა ჳამთა და კაცთათუის მისათხრობელ-მოსაჳსენებლად. არღარავისგან გუაქუს პატივი, არც სჯულსა და არც ებისკოპოსთა,

არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც მიპრონსა, არც ქორებისკოპოსთა! ყუელაი ყუელასა უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბასრობით ვჰყავთ. რად დაჰქსნით წესსა საქებელსა, რად უპატიო ჰყოფთ პატიოსნობასა და საკრძალოვობასა ამის სახისასაქმისასა? რომელი მეფე იქნების უპატიო მყოფელი, შეურაცხად მქსენებელი ებისკოპოსთა და მონაზონთა?^[49] თქუენ სიყრმიტგან ღ'თივ სწავლულნი ხართ და საღმრთონი წერილნი ზეპირათ უწყნით: რომელთა საქმეთ მოქმედი მეფე იქნების, ანუ რომელთა იყუედრების! რანიც პატივნი თქუენტა გუართაგან ზედსხმიან ებისკოპოსთა და მონაზონთა, მასვე თქუენგან ვიღირსებოდეთ და, თუ თქუენ უპატიოდ გყავთ, ვინმცა არა შეურაცხ-გუყვნა, ვინმცა არა გუაგინნა, ვინმცა არა უპატიოდ და ჰავად დაგუჰადნა? თუით პირად და, ზედაით დაღმა ამას გუეუბნებიან: “მქონებელი და მნებებელი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისაი, პატრონი, არ დაგუადებინებს და არცა წაგუიღებს, რომელს სიგლითა უბოძებია, და თქუენ არ[ც] დაგიდებთ და არც გუემართლებით დადებინებასა, ქრთამსა მოგცემთ”. ამა საქმისა თქუენვე სწამლეთ და დასდევთ ემბლასტროდ საკურნებელი: -

“ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებს: რადცა საყდართა საქონებელთა ყალანი ჰმართებს, მისნიცა მზღველნი ვართ, და არას უკუ ვადგებით და თქუენსა თქუენნი თქუენტაგან განაღამცა გმსახურებდით, ძალისაებრ და შეძლებისა ჩუენისა!

“ესე ამისა კრებისა, აწ შეკრებულისა, ძალი ყოველთა შორის საცნაურ იყავნ წ'სა და თუით-მჰყრობელისა მეფეთა მეფობისა თქუენისა წინაშე, რომელ, თუ ღ'თი გურისხავს და მიუდრეკელი და წდ'ად გონებად თქუენი, ცოდვათა ჩუენტა სიმრავლისაგან, მიდრკების და ესე რადც გუიკადრებია და მოგუიქსენებია, არ დაგუეურვების ჩუენითა წესითა^[50], რაცა დაგუიპირებია, მისნი მქმნელნი ვართ: არცა მიპრონსა გავჰქსნით, საქართველოდსა ეკლესიათა დავჰბეჭდავთ, ხუცესთა დავაყენებთ წირვისა და ნათვლისა და სამკუდროთა ზიარებისაგან! თუინიერ ამისისა ქმნისა, სხუისა ღონისა ყოვლისაგან უღონო ვართ, და ნუთუ ამისითა ქნითა, სხუათ სჯულთა და სხუათ ტომთაგან^[51] მეფობასა თქუენსა საწყინო რადმე შემოუვიდეს და სჯულიცა ჩუენი დაკნინდეს! ეზომის კადნიერებისა და წყენა-კადრებისათუის ვითა საშინელისა ღ'თისა საშინელებათაგან, ვძრწით და ვიშიშვით, გარნა საღმრთონი სჯულნი მეფეთაცა ზედა მთავრობად ბრძანებულან და, სადა ღ'თი დაგუქირდების, მუნ ყოველსავე შეურაცხვჰყოფთ, და “მაუნებელი კაცთაჲ ქ'ტესცა მონა არ ვიყოვო”, წ' დაჲ მოციქული პავლე ბრძანებს! აწ აქა შეყრილნი და გაუყრელნი და მოძლოდენი ამისისა დაურვებისანი ყ'ელნივე აქა ვართ და ულოცავთ წ'ასა მეფეთ-მეფობასა თქუ'ენსა:“-“.

საეკლესიო კრების მიერ წარდგენილ მოხსენება-ულტიმატუმში საბუთიანობა საღმრთო წერილის იმ დებულებაზეა დამყარებული, რომ “აღუთქუ და აღუსრულე უფალსა ყოველი აღნათქუემი და უმჯობეს არს არა აღთქუმად, ვიდრე აღთქუმად და არა აღსრულებად”-ო.

რაკი მიწები საქართველოს მეფეთა შეწირული იყო, ეს შეწირულებაც ისეთივე აღთქმაა, რომელიც უეჭველად შესრულებული უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, რომ ღვთისათვის შეწირული ქონება საღმრთოდვე უნდა იყოს დაცული და გამოყენებული. როგორც სახელმწიფო საჭურჭლეში შეტანილი განძეულობის გატანისა და გაფლანგვისათვის თქვენ, მეფეო, დამნაშავეს, რასაკვირველია, “რისხვეულ და პატიჟეულ” ჰყოფდით და დასჯიდით, ისევე უნდა მოჰპყრობოდით უეჭველია საეკლესიო ქონების გაცემის მრჩეველსაც. ამის მაგიერ კი, საეპისკოპოზო საყდრებისა და მონასტრების მიწები “თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა”-

ო. ამნაირად წამოყენებული დებულებით საეკლესიო კრებას უნდოდა, უხეში სიტყვის უხმარებლივ, თვით მეფისათვის მაინც ეგრძნობინებინა, რომ მისი და მისი მთავრობის მოქმედება ამ შემთხვევაში სხვისი ქონების მიტაცება მითვისებად და გაფლანგვად მიაჩნდათ.

ამას გარდა, თუ თქვენი წინაპრების შეწირულების წიგნებს თქვენ თითონვე არღვევთ, ამის შემდგომ “ვინმცა არა ჰკადრა თქუენტა სიგლებ-ნიშნებთა გატეხად”-ო.

მართალია, ესეც კარგად “ვიცი, რომ მრავალნი” მიწების მიტაცება-გაცემის მოსაბოდიშებლად და გასამართლებლად “კადრებენ ჟამისა ძნელბედობასა და საჭიროობასა, მაგრამ ამის უმნელ-ბედესნიც ყოფილან მაშინ ჟამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესია^[52] შენებულა, ჰასრე, რომე ჯაფარ ამირად ჯდომილა ტფილისს და ქალაქი სპარსთა ჰქონებია” და მაშინ რატომ “თვით რადმცა მიზეზი არავინ კადრა საყდართა ქუეყნის ქონებას და დარღუევის მნებებელმან”-ო? მაგრამ ცნობილია, რომ “ყოველი დრკუდ მავალი მიზეზობად მზააო”.

თქვენ ასეთ მსჯელობასა და მობოდიშებას ყური არ უნდა უგდოთ, “ნუ მისცემთ გზასა მეტყუელთა ესე-ვითარისა მეტყუელებისათა”, რადგან სამოცდათხუთმეტ თქვენზე უწინარეს მყოფ “თქუენტა გარდასრულთა მეფობათა შიგა უფროდსი და უმრავლესი ჟამი ამისგან უმნელესი და უბოროტესი ყოფილა, ვითა ქართლის ცხოვრებად გამოაჩენს” ამაზე უფრო ცუდი დროცა და უფრო მძიმე პირობებიც ყოფილაო.

ამასთანავე თქვენ “სამოცდამეათხუთმეტენი ხართ თქუენტა გუართანი და რომელი მეფე თქუენტა ოდენტა ჭირთა, ლუაწლთა და განსაცდელთაგან ვსნილა, ვითა ღმერთსა თქუენტსა მცსნელსა, თქუენ უცსნიხართ” და სწორედ ამიტომ “არცა რომელსა მეფესა თქუენგან უფრო ღმრთისა გზისა დაჭირვად ჰმართებია”^[53], არავის თქვენოდენი განსაცდელი არ გამოუვლია და არ გადარჩენილა, რისთვისაც ღმერთს მაღლი უნდა შესწიროთ და მისი ყველა მცნება დაიცვათო.

საეკლესიო კრება მეფე ულუ-დავითს აგონებდა აგრეთვე, რომ მის და საქართველოს ვაზირებისაგან დარღვეულია ქართული სახელმწიფო სამართლის ის ძირითადი დებულება (“წესი სახლისა და პალატისა თქუენისაჲ”), რომლის მიხედვითაც “ვინცა ვინ” ეკლესიისაგან “დაკრულვილა რადთაც მიზეზითა და საქმითა”, საქართველოს მთავრობის მიერაც, დაკრულვილობის მიზეზის განუხილავად, “შერისხულა: მამული დასჭირვია და ლამქართა შიგან არ შემვებულა”. ამის მაგიერ ეხლა დაკრულვილი “თქუენს დარბაზსა და თქუენტა ვაზირთა მოჰმართებს” თუ არა, “განწყრომისა და ჰავად გაკდის ნაცვლად”, მთავრობა საქმეში ერევა, დაკრულვილს ესარჩლება და “ბრძანებასა და კაცს უბოძებთ”, რომლის ძალითაც კრულვა უნდა ახსნილი იყოსო. კრება გადაჭრით თხოულობდა, რომ ასეთ საქმეებში მთავრობის ჩარევა ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილიყო და დაკრულვილს, წინანდელი წესისდა მიხედვით, მთავრობისაგან მოქალაქეობრივი უფლებებიც ჩამოჰრთმეოდა: “ესე უწესოდ წესი ნულაროდეს იქმნების, ნურც დაგუემართების”, არამედ “ვისაც დავჰკრულვიდეთ, თქუენც შეჰრისხევდით და ჯრმლითა თანა უდევით სჯულთა და წესთა სამღდელოთა, საღთოთა წერილთა მოძღურებისაებრ”!

რაკი, საეკლესიო მიწების მიტაცების გამო ატეხილი ბრძოლის დროს, მთავრობას ასე გარკვევით ეკლესიის პრეტენზიების საწინააღმდეგო მიმართულება ჰქონია არჩეული და ეკლესიის წარმომადგენლებს მწვავე ცილობის დროს მთავრობისაგან უპატივცემლობა და შეურაცხყოფაც კი უნახავთ, ამიტომ საეკლესიო

კრება მეფეს სთხოვდა: “რანიც პატივნი თქუენთა გუართაგან ზედასხმიან ებისკოპოზთა და მონაზონთა, მასვე თქუენგან ველირსებოდეთ”-ო.

თუმცა, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, კრებამ ქონებრივი გაჭირვებითა და ცხოვრების მძიმე პირობებით საეკლესიო მიწების გაცემა-მიტაცების მოზოდიშება უსაფუძვლო მომიზეზებად გამოაცხადა, მაგრამ საქმე რომ მთლად ასე არ იყო, ამის უარყოფა არც მას შეეძლო ერთის მხრით სახელმწიფო ხაზინის გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობა და მრავალგვარი ხარკითა და გადასახადების ტვირთით საქართველოს გაღარიბებული მკვიდრნი, მეორე მხრით ყოველგვარი შეუვალობით აღჭურვილი ეკლესიის ქონებრივი კეთილდღეობა იმდენად დიდ კონტრასტს წარმოადგენდა, რომ ამ განსხვავებასა და უთანასწორობას ყველა ცხადად გრძნობდა. ამაში რომ ბევრს უნებლიეთ ერთგვარი უსამართლობისა და ფინანსიური დატვირთულობის უსწორმასწორობის დანახვა შეეძლო, ეს, როგორც ეტყობა, საეკლესიო კრებასაც მშვენიერად ესმოდა. მისთვისაც ამის გამო ცხადი იყო, რომ ეკლესიას, ქონებრივი, საგადასახადო და მოქალაქეობრივი ტვირთის თავის თავზე აუღებლივ, საქართველოში აღმოცენებული ამ მიმართულება-მოდრაობისა და ატეხილი გამწვავებული ბრძოლის არამცთუ სრულ მოსპობაზე, არამედ მის შენელებაზეც კი ოცნება არ შეეძლო. ამიტომაც არის, რომ საეკლესიო კრების წევრთ, ზემომოყვანილი მრავალგვარი საბუთიანობის შემდგომ, მაინც აუცილებლად საჭიროდ უცვნიათ თავიანთ ძეგლისწერაში მთავრობისათვის გარკვევით ეცნობებიათ, რომ ისინი ყოველნაირი ხარკისა და გადასახადების გამოღებას იკისრებდნენ, რაც კი ეკლესიისათვის შეწირულ მიწებს შეხვდებოდა. მეფისაგან მირთმეულ განცხადებაში მათ ნათქვამი აქვთ: მოგახსენებთ, რომ საეკლესიო მიწების გაცემის გასამართლებლად “ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებს”, რადგან **“რადცა საყდართა საქონებელთა ყალანი ჰმართებს, მისნიცა მზღველნი ვართ და არას უკუ-ვადგებით”**, ხოლო **“თქუენსა (იგულისხმება გადასახად-სამსახურს) თქუენნი თქუენთაგან განალამცა გმსახურებდით ძალისაებრ და შეძლებისა ჩუენისა”**-ო.

ამგვარად, საქართველოს ეკლესია მეფეთაგან შეწირული მიწების შეუვალობაზე უარს ამბობდა და საგადასახადო ტვირთის ზიდვასაც კისრულობდა, ოღონდ შეწირული მიწები გაუცემელი შეენარჩუნებინა და გაცემული უკან დაებრუნებინა. ამით საეკლესიო კრებას იმ მთავარი მიზეზის მოსპობა უნდოდა, რომლითაც საქართველოს მაშინდელი მთავრობა საეკლესიოდ შეწირული მიწების გაცემის აუცილებლობას ამართლებდა.

მაგრამ საეკლესიო კრება დარწმუნებული არ ყოფილა, რომ საღმრთო წერილზე, ზნეობრივ მოსაზრებებზე და წინანდელ უფლებრივ წესებზე დამყარებული მთელი მისი საბუთიანობაცა და შეუვალობის უპირატესობაზე ნებაყოფლობითი, თუ უნებლიეთი უარისთქმა და საგადასახადო ტვირთის თავის თავზე აღებაც ჯეროვან შთაბეჭდილებას მოახდენდა და ეკლესიის შელახული უფლების აღდგენას ხელს შეუწყობდა. ამიტომ თავის მიმართვაში შეყრილ სამღვდელთაგან საჭიროდ დაუნახავს მეფე, მთავრობა და ხალხი გაეფრთხილებინა, რომ, თუ საეკლესიო კრების მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნებოდა და შელახული უფლებები აღდგენილი არ იქნებოდა, უკიდურეს საბრძოლველ საშუალებისათვის მიმართვასაც არ დაერიდებოდა. საეკლესიო კრებას უნდოდა ამით ეკლესიის ძალა ყველასთვის ეგრძნობინებინა. საეკლესიო კრების მიმართვა ამის გამო გაფრთხილებითა და მუქარით თავდება და შემდეგნაირად არის დაწერილი: “ესე ამის კრებისა, აწ შეკრებულისა, ძალი ყოველთა შორის საცნაურ იყავნ წმიდისა და თუით-მპყრობელისა მეფეთა-მეფობისა თქუენისა წინაშე”, რომ “თუ ღმერთი გურისხავს და

მიუდრეკელი და წმიდად გონებად თქუენი... მიდრკების და ესე რაღც გუიკადრებია და მოგუიკსენებია, არ დაგუეურვების ჩუენითა წესითა, რაღცა დაგუიპირებია, მისნი მქმნელნი ვართ, - არცა მიჰრონსა გავჰკსნით, საქართველოდა ეკლესიათა დავჰბეჰდავთ, ხუცესთა დავაყენებთ წირვისა და ნათვლისა და სამკუდროთა ზიანებისაგან"-ო.

მაშინდელი შეხედულებით ამ უმკაცრესი სასჯელის საბრძოლველ საშუალებად გამოყენების გასამართლებლად კრების მონაწილეთ აღნიშნული "აქვთ, რომ ამის გარდა მათ აღარაფერი დარჩენოდათ: "თუნიერ ამისისა ქნისა სხუისა ღონისა ყოვლისაგან უღონო ვართ"-ო.

საეკლესიო კრების მონაწილენი ეტყობა ერთგვარ უხერხულობასა გრძნობდნენ, რომ მთავრობასა და სამწყსოსთან ქონებრივი საკითხის გამო ასეთი მტრული განწყობილება და განხეთქილება უნდა ჩამოვარდნილიყო, რომ მთელი თავისივე სამრევლოს დაკრულვა ბოლოს-და-ბოლოს ამქვეყნური ავლადიდების გამო უნდა მომხდარიყო ისე, რომ სამღვდელოების მოქმედება ადამიანს უნებლიეთ ანგარებით ნაკარნახევად შეიძლება სჩვენებოდა. საეკლესიო კრება ცდილობდა მეფისათვის ამ ეჭვის უსაფუძვლობა შთაეგონებინა და დაერწმუნებინა: "[არა] თუ ჩუენთუის და ჩუენისა შეძენისათუის ვიწყინებით, მაგრა საღმრთოდ [შე]წირულისა საღმრთოდვე ჳამს ქონებად და მიყენებად და თუით საყდართა ქონებად დიდად უფრო[ს] თქუენი ქონებადა"-ო.

საეკლესიო კრების მონაწილეთ სურდათ მეფეცა და სხვებიც დაერწმუნებინათ, რომ ანგარება და პირადი სარგებლობის ინტერესი კი არ ალაპარაკებდათ, არამედ საღმრთო სჯულის დარღვეული კანონების აღდგენის წადილი. თავიანთ განცხადებაში ბოლოს პირდაპირ ნათქვამიცა აქვთ: "საღმრთონი სჯულნი მეფეთაცა ზედა მთავრობად ბრძანებულან და სადა ღმერთი დაგუჭირდების, მუნ ყოველსავე შეურაცხვეჰყოთ"-ო.

თუმცა საეკლესიო კრების ძეგლისწერაში სხვადასხვა ადგილას აღნიშნულია, რომ სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის უფლებათა შელახვისათვის პასუხისმგებლად თვით მეფე ულუ დავითსა სთვლიდა, მაგრამ კრების მონაწილეთ ეტყობა უნდოდათ მეფისათვის მაინც ეგრძნობინებინათ, რომ ნამდვილ დამნაშავედ მათ მისი ვაზირები მიაჩნდათ და მთავარი დამნაშავე კი ის ვაზირი იყო, რომელმაც მეფეს შეწირული მიწების გაცემა ფინანსიური გაჭირვების შესამსუბუქებელ საშუალებად წარმოუდგინა. მოხსენების წერის დროს, ამ ვაზირისადმი უალრესი სიძულვილით გამსჭვალულ კრებას იმდენად თავი ვერ შეუკავებია, რომ მას ამ დანაშაულობისათვის ღვთის დიდ რისხვასა და შავბედითს დასასრულს უქადდა: **ღმრთისათუის შეწირულთა ადგილთა ვაზირი მაწუეველი, მაქნეველი და მნებებელი გაცემისად ვითარცა არა ღმრთისაგან რისხვეულ იქმნა? და ვინც იკადრებს და გაქნევს, - ვითა კეთილის მამოქმედებელს კეთილი ნ[იჭ]ი მიენიჭების ღმრთისა მიერ, ეგრეთვე ბოროტისა მიზეზი ბოროტსა მოისთვლებს"-ო.**

§ 7. საეკლესიო კრებისა და ულტიმატუმის შედეგი და საქმის მერმინდელი მიმდინარეობა

გაიმარჯვა, თუ არა, საქართველოს სამღვდელოებამ, მიაღწია, თუ არა, თავის მიზანს საეკლესიო კრებამ? მისი ძეგლისწერის დასასრული სიტყვები ისეთი შეურყეველი გადაწყვეტილებით არის გამსჭვალული, რომ უკან დასახევი გზა არა

ჩანს. მეფისადმი მირთმეული ულტიმატუმი ასე თავდებოდა: **“აწ აქა შეყრილნი და გაუყრელნი და მომლოდენი ამისისა დაურვებისანი ყოველნივე აქა ვართ და ულოცავთ წმიდასა მეფეთ-მეფობასა თქუენსა”**-ო.

ბრძოლა იმდენად გამწვავებული იყო, ხოლო მოთხოვნა საეკლესიო კრებას ისე კატეგორიულად ჰქონდა წარმოთქმული, რომ ეს უთანხმოება თითქოს მხოლოდ საქართველოს მთავრობის დათმობას შეეძლო ჩაექრო, რადგან უამისოდ საეკლესიო კრება თავისი მუქარის განხორციელებას უნდა შედგომოდა. მაშასადამე, გამოსარკვევია, დაუთმო, თუ არა, საეკლესიო კრებას საქართველოს მთავრობამ და, თუ არა, სახელდობრ რა შედეგი მოჰყვა ამას?

ქართველი **ჟამთააღმწერელის** თხზულებიდან ჩანს, რომ მეფე ულუ-დავითსა და მთავრობას სამღვდელოების მუქარისა არც შეშინებია და არც უკან დაუხევია. პირიქით, მეფეს ამ საკითხში მოქმედების ერთხელ არჩეული გეზი სიკვდილამდის არ შეუცვლია. ჩვენს ისტორიკოსს ულუ-დავითზე დამტყდარი ოჯახური უბედურება, პირმშო ძის უდროვო სიკვდილი და თვით მეფის მუცლის სნეულებისაგან გარდაცვლაც-კი სწორედ ამისთვის მოვლენილ ღვთის რისხვად მიაჩნდა. **ჟამთააღმწერელს** ნათქვამი აქვს: ულუ-დავითს რომ მუცლის ავადმყოფობა შეხვდა და მკურნალთა წამლობამაცა და მარტყოფის ხატთან ლოცვამაც ვერა უშველა რა, **“ადარა პოვა ლხინება ამისთვის, რამეთუ მოაკლო ღმრთის მსახურება და იწყო რღვევად საყდართა და შლად [მონასტერთა]. ამისთვის აღილო ღმერთმან ჳელი წყალობისა და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო გიორგი, სიკეთე აღმატებული, და აქა მიიცივალა თვითცა”**-ო^[54]. საკმარისია ამავე ისტორიკოსის საეკლესიო მიწების გაცემის შესახები პირველი ცნობა გავიხსენოთ, სახელდობრ, რომ მასაც საყდართა და მონასტერთა “რღვევა”-სა და “შლა”-ს უწოდებს, რომ ცხადი შეიქმნეს, რომ აქაც სწორედ საეპისკოპოზო საყდრებისა და მონასტრებისათვის შეწირული მიწების გაცემას ჰგულისხმობს. ულუ-დავითს რომ საეკლესიო კრებისათვის დაეთმო და ეკონომიური პოლიტიკა შეეცვალა, ქართველი ისტორიკოსი პირველი ცნობის შემდგომ ამ გარემოებას, უეჭველია, სადმე აღნიშნავდა და მეფის სიკვდილის ამბავში ზემომოყვანილ წინადადებას აღარ ჩაურთავდა. მაშასადამე, საეკლესიო კრების მთელ საბუთიანობასა, ვედრებასა და მუქარასაც სრულებით ამაოდ ჩაუვლია: საქართველოს მეფისა და მთავრობის ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკა არ შეცვლილა.

რაკი გამოირკვა, რომ საქართველოს მეფემა და მთავრობამ თავისი პოლიტიკა არ შესცვალა და საეკლესიო კრების ულტიმატუმმა, მაშასადამე, ვერ გასჭრა, საინტერესოა, თუ რა გზას დაადგა ამის შემდგომ სამღვდელოება: აასრულა, თუ არა, მან თავისი მუქარა, დაკეტა, თუ არა, ყველა ეკლესიები, შეაჩერა, თუ არა, საიდუმლოებათა აღსრულება?

საეკლესიო კრების ძეგლისწერის ის ნაწილი, სადაც ამ უკიდურეს საშუალებაზეა საუბარი, ისე გადაჭრით არის გამოთქმული, რომ მთავრობისაგან უარყოფითი პასუხის მიღებისთანავე, საფიქრებელი იყო, რომ მუქარა ასრულებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველი **ჟამთააღმწერელი** ამაზე არაფერს ამბობს. ასეთი არაჩვეულებრივი ამბავი კი რომ საქართველოში დატრიალებულიყო, სრულებით დაუჯერებელია, რომ ამის შესახებ რაიმე ცნობა არ ჰქონოდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ, დინჯი მსჯელობის შემდგომ, საეკლესიო კრებას ასეთი უკიდურესი საშუალების საბრძოლველ იარაღად გამოყენება სახიფათოდ მიუჩნევია და მუქარის განხორციელებას არ შესდგომია.

თუ ამ საეკლესიო კრების ძეგლისწერასა და მიმართვას ჩავუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ უკვე პირველი მსჯელობის დროსვე კრებას ამ საშუალებისათვის მიმართვის მთელი საშიშროება კარგად ჰქონია გათვალისწინებული და ეს მუქარა, როგორც ეტყობა, იმდენად განსახორციელებლად არ ჰქონია განზრახული, რამდენადაც მეფისა და სამწყსოს შესაძრწუნებლად და შესაშინებლად ნახმარი ფანდი იყო. საეკლესიო კრების მეფისადმი მირთმეულ ულტიმატუმში მუქარას შემდეგი დამახასიათებელი სიტყვები მისდევდა: **“და ნუ თუ ამისითა ქნითა (ე. ი. ეკლესიების დაკეტვითა და შეჩვენებით) სხუა სჯულთა და სხუა ტომთაგან მეფობასა თქუნსა საწყინო რამე შემოუვიდეს და სჯულიცა ჩუენი დაკნინდეს? ეზომისა კადნიერებისა და წყენისა კადრებისათვის, ვითა საშინელისა ღმრთისა საშინელებათაგან ვძრწით და ვიშიშვით”-ო.**

ზემომოყვანილი წინადადებიდან ცხადად ჩანს, რომ საეკლესიო კრებას ესმოდა, თუ რამდენად სახიფათო საშუალება იყო ის, რის განხორციელებასაც მეფესა და სამწყსოს ემუქრებოდა, და, ეტყობა, გრძნობდა, რომ ამით შესაძლებელი იყო თვით ეკლესიასვე ეზარალა და უფრო უარესად დაცემულ-დაკნინებულიყო. ცხადია, ამავე შიშმა და შეგნებამ დაიცვა კრება ამ უკიდურესი ნაბიჯის გადადგმისაგანაც.

როგორც მეზრძოლი და მეომარი, რომელსაც მოწინააღმდეგისაგან შიში და ძრწოლა ვერ დაუმაღავს, თავისი მღელვარების გამომჟღავნებით თავისივე მტერის გამბედაობას აძლიერებს, ისევე საეკლესიო კრების მიმართვაში შეჩვენების მუქარის შემდგომ შიშისა და ძრწოლის შესახები წინადადებისა და ცნობის ამოკითხვა მეფეს და საქართველოს მთავრობას დაარწმუნებდა, რომ ეკლესიის მუქარა საშიშარს არაფერს არ წარმოადგენდა. ამიტომ შესაძლებელია ითქვას კიდევაც, რომ საეკლესიო კრებამ თავის დამარცხებას ნაწილობრივ თითონაც შეუწყო ხელი.

§ 8. შურისძიება მარცხისთვის

ეკლესია და ეკლესიის მსახურნი თავის ასეთ დამარცხებასა და დამცირებას, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ: მათი გული საეკლესიო მიწების გაცემის გეგმის შემუშავებელისა და განმახორციელებელისადმი, რა თქმა უნდა, წყრომითა და სიძულვილით წინანდელზე უფრო მეტად იქნებოდა ავსებული. მართლაც, ზევით უკვე გვქონდა ულუ-დავითის სიკვდილის შესახებ ქართველი **ჟამთააღმწერელისა**, თუ მისი წყაროს ცნობა მოყვანილი, სადაც მეფის სენისაგან განუკურნებლობა და სიკვდილი საეკლესიო მიწების გაცემისათვის ღვთაებისაგან მოვლენილ რისხვადა და სასჯელად არის წარმოდგენილი. ამასთანავე აღსანიშნავია ის განზრახი გაზვიადებაც, როგორადაც მეფეთაგან საეკლესიოდ შეწირული მამულების გაცემის ამბავია მოთხრობილი, როდესაც საქმის ნამდვილი ვითარების გადმოცემის მაგიერ, მთელი ეს ეკონომიურ-ფინანსიური ღონეობა ნაწოდებია **“შლად საყდართა საებისკოპოსოთა”^[55]**, ანდა **“რღვევად საყდართა და შლად”^[56]**. ამასვე უნდა ჰგულისხმობდეს ჩვენი ისტორიკოსი, როდესაც ულუ-დავითზე ამბობს **“მოაკლო ღმრთის მსახურებას”-ო^[57]**.

თუ სამღვდელოების მძულვარებამ მეფის პიროვნებაც კი არ დაინდო, ადვილი წარმოსადგენელია, რაოდენი შხამი იქნებოდა დანთხეული საქართველოს მაშინდელი მთავრობის იმ ვაზირთა-უპირველესის განსაქიქებლად და გაპირშავებისათვის, რომელიც საეკლესიო უძრავი ქონების გაცემის **“მნებებელი”**, **“მაწვეველი”** და ნამდვილი **“მაქნეველი”** იყო. აკი მას მისი მომავალი ჯერ კიდევ საეკლესიო კრებამ გაუთვალისწინა და უწინასწარმეტყველა, რომ **“ბოროტისა მიზეზი**

ბოროტსა მოისთულებს“-ო! და აი მართლაც, ყოვლად ძლიერი და გაბედული ვაზირთა-უპირველესისა და მწიგნობართ-უხუცესის ჭყონდიდელ-უჯარმელის, ბასილის, ბედიც ხომ უკუღმა დატრიალდა!..

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ბასილზე ხმა გაუვრცელებიათ, “სიტყუაცა იყო, ესუქნის (დედოფალს) თანა-ეყო. ამითვს შესმენილ იქმნა ბასილი წინაშე მეფისა, რომელმან სწრაფლ მოიყუანა და ბრძანა ძელსა დამოკიდება. დამოკიდეს ძელსა შუა ქალაქსა“-ო^[58]. ამ ამბავს ჩვენი ავტორი კვლავ უბრუნდება და იქ ზოგიერთი უფრო ვრცელი ცნობებია. მისი სიტყვით, ბასილი უჯარმელი “მოაკუდინა მეფემან უწესოებისათვს: თანა-ეყო ბასილი ესუქნის და არა ჰრიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა, **ჩოჭანიცა აღიკადნა და მთავრობაც მიიტაცა**, - ამის უწესოებისათვს მოიკლა ბასილი“-ო^[59].

ულუ-დავითთან ბასილი, მაშასადამე, დაუსმენიათ, დედოფალთან სქესობრივი კავშირი აქვსო. ეს დასმენა ხმებზე და ჭორებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული: ამას **ჟამთააღმწერელის** გამონათქვამიც ჰმოწმობს “სიტყუაცა იყო“-ო. ამ ბრალდების საფუძვლიანობა რომ თვით მასაც არ სჯეროდა, ამას ჩვენი ისტორიკოსის უკანასკნელი სიტყვები ცხად-ჰყოფენ. იმ საშინელი სასჯელის მოხსენების შემდგომ, რომლითაც ულუ-დავითს საქართველოს ვაზირთა უპირველესი დაუსჯია, მას ასეთი მეტად დამახასიათებელი წინადადება აქვს დართული: **“რამეთუ იყო მეფე მალე-მორწმუნე და ლიტონიცა“-ო**^[60]. ამგვარად, მეფე რომ ასეთი გულუბრყვილო არ ყოფილიყო და ისეთი ხასიათი არ ჰქონოდა, რომ ყველაფერს, რასაც-კი ეტყოდნენ, ადვილად იჯერებდა, შესაძლებელია საქმე არ დატრიალებულიყო. ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ საეკლესიო მიწების გაცემის “მნებებელი”, “მაწვეველი” და “მაქნეველი”, როგორც დავრწმუნდით, ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი უნდა ყოფილიყო, რომლისადმი ამის გამოც და იმიტომაც, რომ სასულიერო ტანისამოსის გახდა და საეროს ჩაცმაც გაბედა, სამღვდელოების მთელი სიძულვილი იქნებოდა მიმართული, მაშინ შესაძლებელია ისეთი ეჭვიც კი წამოიჭრას, რომ ეგების ვაზირთა-უპირველესზე საბედისწერო ჭორებისა და ხმების გასავრცელებლად ნიადაგი სწორედ საეკლესიო მიწების გაცემით აღძრული ძლიერი სიძულვილით იყო მომზადებულ-გაპოხიერებული.

^[1] [გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1949 წელს. რედ.]

^[2] იხ. წიგნი II, ნაკვეთი 2, გვ. 63 – 107, 123 – 186.

^[3] იქვე, გვ. 33 – 62 და 92 – 107.

^[4] ც'დ სრპ'ნ ზრზ'მლსდ, 14.

- [5] იქვე, 15.
- [6] იქვე, 15.
- [7] მანძილის საზომის სახელია.
- [8] ც'დ სრპ'ზრზ'ლსდ, 8 – 9.
- [9] ც'დ სრპ'ნ ზრზ'მლსდ, 16.
- [10] **გ. მერჩული**, ც'დგ'ლ ხნმ'თლსდ, გვ. ძწ, სტრ. 46 – 50.
- [11] გვ. პა, წ პე.
- [12] იხ **ივ. ჯავახიშვილი**, ქართული სამართლის ისტორია II, 2 ნაკვ. , გვ. 313 – 314.
- [13] იხ. **იქვე, გვ. 437 – 438 და 409 – 411.**
- [14] იხ. Изв. Акад. Наук. 1910 წ. გვ. 1433 – 1441: «Надпись Епифания, католикоса Грузии»).
- [15] იქვე, გვ. 1433 – 1437.
- [16] იქვე, გვ. 1437 – 1439.
- [17] იქვე, გვ. 1439 – 1442.
- [18] Изв. Акад. Наук. 1910 წ. «Надпись Епифания, католикоса Грузии, გვ. 1441.
- [19] გასაოცარია, რომ პროფ. **ნ. მარტი** ამტკიცებდა, ვითომც კათალიკოზი ეტიფანე არც ერთ მხარეს არ მიმხრობოდა (იხ. op. cit გვ. 1440).
- [20] ეს გარემოება აკად. **ნ. მარტსაც** აქვს თავის მოხსენებაში აღნიშნული.
- [21] იხ. ჩემი “ქ'ლი საფას-საზომთა-მცოდნეობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია”.
- [22] **Н. Марр**, Надпись Епифания, католикоса Грузии: ИАН 1910 წ., გვ. 1440.
- [23] მათ შესახებ ჩემი “საქართ. ეკონ. ისტორიის” იმ წიგნშია საუბარი, რომელიც გადასახადების სისტემას ეხება.
- [24] იხ. ამის შესახებ იქვე “გადასახადების სისტემა”.
- [25] ქ'კბი II, 48.
- [26] იხ. **Н. Марр**, Надпись Епифания, католикоса Грузии: ИАН 1910 წ. გვ. 1436. შენ. 1.
- [27] იხ. ერწო-თიანეთის XIII – XIV ს. და სამთავნელის 1459 წ. სარგოს გარიგების წიგნები.
- [28] იხ. აქვე, გვ. 149.
- [29] იხ. აქვე, გვ. 148.
- [30] ჟამთააღმწერელი, * 851ბ გვ. 696.
- [31] იხ. ამის შესახებ ჩემი “ქ'ლი სამართ. ისტორია”-ში, წიგნი II, 2 ნაკვ., გვ. 409 – 411 და 437 – 438.
- [32] იხ. იქვე, გვ. 148.
- [33] იხ. ამის შესახებ ჩემი “ქ'ლი სამართლის ისტ.” წ. II, 1..
- [34] ჟამთააღმწერელი, * 846, გვ. 691.
- [35] იქვე * 867, გვ. 712.
- [36] საისტ. მოამბე, 1925 წ. II, 132.
- [37] იხ. წიგნი I, წყაროების შესახები თავი.
- [38] ჟამთააღმწერელი, * 841, გვ. 691.
- [39] იქვე * 846 – 847, გვ. 692.
- [40] ჟამთააღმწერელი, * 846, გვ. 691.
- [41] ქ'კბი II, 136.
- [42] იხ. იქვე, გვ. 149, სტრ. 12 – 16.
- [43] იხ აქვე, გვ. 149, სტრ. 1 – 4.
- [44] იხ აქვე, გვ. 149, სტრ. 4 – 12.
- [45] **თ. ჟორდანია**, ქრონიკები და სხვა მასალები... II, გვ. 163 – 166.
- [46] გაცემის.
- [47] მქნეველი და მნებებელი.
- [48] აქ რაღაც სიტყვა არის დაწერილი და ისევ წაშლილი ხაზების გასმით.
- [49] ამის შემდეგ დაწერილია იმავე ხელით უფრო წვრილი ასოებით და სუფთად, ტექსტი უფრო მქრთალად ჩანს.
- [50] და
- [51] სხუას სტომთაგან.
- [52] სვეტიცხოველი იგულისხმება.
- [53] იხ. აქვე, გვ. 148, სტრ. 14 – 17.
- [54] ჟამთააღმწერელი, * 867, გვ. 711.
- [55] ჟამთააღმწერელი, * გვ. 696.
- [56] იქვე, * 867, გვ. 711.

[57] იქვე, * 867, გვ. 711.

[58] იქვე, * 846, გვ. 691.

[59] იქვე, * 867, გვ. 712.

[60] იქვე, * 846, გვ. 692.

დამატება II

ხელმწიფის კარის განრიგება

თავი პირველი

“ხელმწიფის კარის განრიგების” ტექსტის ნაწილები და მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობა

კ. განრიგების ტექსტის თავდაპირველი დალაგებულობის საკითხთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია დარბაზობის წესის მთელი შედგენილობა და მისი პირველადი ადგილი. დიდი დარბაზობის გარდა, ათორმეტ დიდ დღესასწაულებთან დაკავშირებული წესებიც დარბაზობის განგებისა და წესრიგის აღწერილობას ეკუთვნოდა, თუ არა? თუმცა ამ დღესასწაულების განრიგების შემცველ მთელ ტექსტს არ მოუღწევია ჩვენამდის, მაგრამ მისი გადარჩენილი ნაწილის გულდასმითი შესწავლა ადამიანს დაარწმუნებს, რომ დღესასწაულების განრიგება უეჭველია დარბაზობის წესრიგის განრიგების ნაწილი ყოფილა. ეს განცხადების, ანუ ნათლისღების დღესასწაულის განრიგებიდან ჩანს, რადგან იქ სხვათა შორის ნათქვამია: განცხადების დღეს **“დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს, დიდისა წესითა და თუ უმცროსითა, ვითარცა ღა წესი იყოს იქნას”**ო (გ 3, სტრ. 26 – 27). ამჟამად ამას მე 4–მუხლად მიჩნეული ტექსტი მისდევს, რომელშიც ნათქვამია: “ეს ზემოთ დამაკლდა: კმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა”-ო (გ 4, სტრ. 28 – 29). ზემომოყვანილიდან ცხადი გახდება, რომ ზემოთაც დარბაზობაზე ყოფილა საუბარი და დღესასწაულების განრიგებამაც ამა თუ იმ წესით დარბაზობის მოწყობა ნახსენები ყოფილა.

ამავე გარემოებას ძღვენის შესახები ცნობების შემცველი 28-ე და 29-ე გგ-იც ამჟღავნებენ: 29-ე გ-ის ბოლოში პირდაპირ არის ნათქვამი: “დასრულდა დარბაზობის წესი”-ო (გ 29, სტრ. 380). ამ ორს გ-ში, რომელნიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ ჯერ **“ძღვენი საწელიწდისთაო”**-ა აღწერილი, ხოლო შემდეგ **“სანახავი ძღვენი”** (სტრ. 369 – ბოლომდე 380-მდე). პირველი ახალწლის დღესასწაულთან არის დაკავშირებული, მეორე – მცირე დარბაზობასთან.

რაკი უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ ხელმწიფის კარის განრიგებაში დიდი დღესასწაულების წესის განრიგება დარბაზობის წესის განრიგების ნაწილად და მის ერთ-ერთ შემადგენელთაგანად ყოფილა მიჩნეული, რომ ამ ძეგლის ავტორსაც თავდაპირველად სწორედ ასე ჰქონია აღწერილი, ეხლა მხოლოდ ისდაა გამოსარკვევი, თუ დარბაზობის განრიგების სახელდობრ რომელ ადგილას, თავში, შუაში თუ ბოლოში ყოფილა იგი თავდაპირველად მოთავსებული.

გადარჩენილ ხელნაწერებში ამჟამად დღესასწაულების წესის განრიგება თავშია მოთავსებული (გვ. 1 - 3, § 1 - 7), დარბაზობის დაცული ტექსტი კი გაცილებით უფრო გვიან იწყება, სახელდობრ მხოლოდ 279 სტრიქონიდან და 29-ე §-ით თავდება.

დღესასწაულების განრიგებასა და დარბაზობას შუა ვაზირთა უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი ტექსტია მოთავსებული, რომელსაც თითქმის სრული 9 დაბეჭდილი გვერდი უკავია (სტრიქ. 52 - 278). ცხადია, რომ შეუძლებელია ტექსტის ნაწილების ადგილმდებარეობა თავდაპირველადაც ასე არეული ყოფილიყო და დარბაზობის ნაწილში ასე უალაგო ალაგას ვაზირთა უფლება-მოვალეობის შემცველი ტექსტი ყოფილიყო ჩაჩხირული. ამიტომ **უპირველესად უნდა დავასკვნათ, რომ ვაზირთა უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი ნაწილი თავის თავდაპირველ ადგილას არ არის, არამედ შეცდომითაა დარბაზობის განრიგებაში ჩართული.** ალბათ, ერთ-ერთი გადამწერის ხელში მყოფი “ხელმწიფის კარის განრიგების” დედნის დაზიანებულობისა და ფურცლების არეულობის გამო.

ვაზირთა და სხვა მოხელეთა უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი ნაწილების გამოყოფის შემდგომ, **უნდა დარბაზობის განრიგების ორი ნაწილის ადგილმდებარეობის გამორკვევას შევუდგეთ, სახელდობრ, დღესასწაულების წესები, ისევე, დარბაზობის წინ იყო მოთავსებული, როგორც ამჟამადაა. თუ პირიქით წინაუკმო?**

უკვე ის გარემოებაც, რომ განცხადების, ანუ ნათლისღების წესის აღწერილობაში ნათქვამია, დარბაზობა ამ დღეს, როგორც მეფეს ენებოს, დიდითა, თუ უმცროსითა წესითა, ესე იქმნეს მოწყობილიო (§ 3, სტრ. 26 - 27), გვაგულისხმებინებს, რომ დარბაზობის ამ ორსავე წესზე ზემომოყვანილ სიტყვების შემცველ მუხლზე უწინარეს უკვე უნდა ჰქონოდა საუბარი. უფრო გარკვევით ეს მომდევნო მე-4-ე და მე-5-ე მუხლების შინაარსით, მეტადრე პირველი ამათგანის დასაწყისი წინადადებით მტკიცდება. იქ ნათქვამია: **“ეს ზემოთ დამაკლდა: ჳმალი ამილახორსა” არტყია დარბაზობასა ზედა**”ო (სტრ. 28 - 29).

ავტორის ამ სიტყვებიდან უცილობლად ირკვევა, რომ ზემოთ სწორედ დარბაზობის განრიგება ყოფილა მოთავსებული. დაცულ ხელნაწერში კი არც განცხადებისა და არც საწელიწდისთაო დღესასწაულის წესებში დარბაზობის არავითარი აღწერილობა არ მოიპოვება. რაკი დღესასწაულების წესებში პირველად უექველია ახალწლის ზნეჩვეულებების აღწერლობა იქნებოდა მოთავსებული, რადგან დღესასწაულთა შორის პირველი იყო, და ხელნაწერშიც ასევეა დაცული, ამიტომ ცხადია, რომ “კარის განრიგების” ავტორისთვის სიტყვებში **“ეს ზემოთ დამაკლდა”**-ო “ზემოთ”-ად დღესასწაულების წესების შემცველი ნაწილი კი არ უნდა ჰქონოდა ნაგულისხმევი, არამედ ამ ნაწილზე უწინარეს მდებარე. **მაშასადამე, ამისდა მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ “კარის განრიგების” თავდაპირველ ტექსტში ჯერ დარბაზობის განრიგება ყოფილა მოთავსებული, ხოლო შემდეგ უკვე დიდი დღესასწაულების წესები, რომელთა აღწერილობით დარბაზობის მთელი განრიგება თავდებოდა კიდევაც.**

დღესასწაულების წესები რომ დარბაზობის განრიგების სწორედ ბოლოში იყო მოთავსებული, ეს ამ ძეგლის ჩვენამდე მოღწეული ტექსტიდანაც ჩანს: საწელიწდისთავო და სანახავი ძღვენის შესახები ცნობების შემცველი § 28 - 29-ის ბოლოში სწერია: **“დასრულდა დარბაზობის წესი”**-ო.

რაკი გამოირკვა, რომ “ხელმწიფის კარის” განრიგება ორი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა, იბადება საკითხი, თუ თავდაპირველად როგორ უნდა

ყოფილიყო ეს ნაწილები დალაგებული. სახელდობრ, ვაზირების უფლებამოვალეობათა აღმნუსხველი და ვაზირობის აღმწერი ნაწილების დარბაზობის წესრიგისა და დღესასწაულების მომთხრობელ ნაწილებს უსწრებდა, თუ, პირიქით, ჯერ დარბაზობაზე იყო საუბარი, ხოლო შემდეგ მოხელეთა ხელისუფლებასა და ვაზირობას ჰქონდა ადგილი დათმობილი.

თეორიული მსჯელობით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ პირველად მოხელეობაზე იქნებოდა ლაპარაკი, მერმე კი დარბაზობაზე, რადგან დარბაზობის წესრიგის ჯეროვნად გასაგებად მოხელეთა უფლება-მოვალეობის ცოდნა იყო საჭირო. მაგრამ ეს თეორიული მოსაზრება ამ ძეგლის ტექსტის აწინდელი დალაგებულობით არ მართლდება. ამჟამად ჯერ დარბაზობის დარჩენილი ნაწილია, შემდეგ ვაზირების ხელისუფლებასა და მათ ქვეშეთს მოხელეებზეა საუბარი, მერმე ისევ დიდი დარბაზობის წესის ნაწყვეტი მისდევს და მარტო ამის ბოლოს იწყება, რომელიც თითქოს უცნაურად მეფის შეკაზმასთან არის დაკავშირებული: **“აწე ვიწყით შეკაზმა მეფისა და ვაზირობისა”-ო** (§ 35, სტრ. 458).

ამნაირად, ჯერ დარბაზობაა, შემდეგ ვაზირობა. საფიქრებელია, რომ “ხელმწიფის კარის განრიგების” თვით ავტორსაც ასევე ექნებოდა თავისი ნაშრომი დალაგებული, რადგან მისი თვალსაზრისი, ვითარცა დარბაზობის ერთი მოხელეთაგანის, წმინდა პრაქტიკული იყო: მისთვის დარბაზობის აღწერილობას, როგორც უფრო რთულ საქმეს, უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა. სახელმწიფო წესწყობილების მხრივაც დარბაზობა, ვითარცა უზენაესი ორგანოს სხდომა, ვაზირობაზე მაღლა იდგა. საგულისხმოა, ვახტანგ VI-მაც თავის “დასტურლამალში” სასახლეებისა და მეჯლისის წესრიგი განსაზღვრა და აღწერა, ხოლო შემდეგ უკვე მოხელეთა უფლება-მოვალეობაა მოწესრიგებული.

ისევე როგორც დარბაზობა დღესასწაულების შემცველი ნაწილის ტექსტის ოდინდელი დალაგებულობა გვაქვს გამორკვეული, **მოხელეთა და ვაზირობის შესახები ნაწილის ტექსტის პირვანდელი თანამიმდევნობაც** უნდა ვიცოდეთ.

ამჟამად “აღვსების საკითხავის” ცნობებს უშუალოდ მისდევს მუხლი, რომელიც ჭყონდიდელის სამოსამართლო ხელისუფლებას ახასიათებს: **“ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯოხა კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა განიკითხავს”-ო** (§ 8). ცხადია, რომ ვაზირთა უპირველესის უფლებამოვალეობის მომთხრობელი ნაკვეთი შეუძლებელია თავდაპირველადაც ასე უშესავლო განმარტებითა და წინადადებით ყოფილიყო დაწერილი.

ვინც ქართული სამართლის დაწერილობის წესი იცის (იხ. ჩემი “ქართული სამართლის ისტორია I), მისთვის ამ აზრს დასაბუთება არ დასჭირდება, მაგრამ სჯობია ამ საკითხს აქაც შევხვით. “ხელმწიფის კარის განრიგება”, როგორც ცნობილია, ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლი არ არის, არამედ დარბაზის კარსა მყოფი მანდატურთ-უხუცესის ხელქვეშეთი ერთ-ერთი მოხელის ნაშრომია (იხ. იქვე), ამის გამო ბუნებრივად შესაძლებელია ადამიანს ეჭვი დაეზადოს, რომ ასე ცალკეული მწერლისათვისაც, როგორც “ხელმწიფის კარის განრიგების” ავტორი იყო, ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში გაბატონებული წერის წესი სავალდებულო ყოფილიყოს, ანუ უფრო სწორად ითქვას, თავისთვის სავალდებულოდ მიეჩნის. სწორედ ასეთი ეჭვის თავიდან ასაცილებლად უკანასკნელი გარემოება უნდა იქნეს გამორკვეული.

ვაზირთა ხელისუფლების განმსაზღვრელი ნაწილის იმ ადგილებიდან, რომლებშიც ამა თუ იმ ვაზირის უფლება-მოვალეობის შესახები ცნობის დასაწყისი დაცულია, შემდეგი სურათი ეძლევა ადამიანს. ნაკვეთი მსახურთ-უხუცესის შესახებ

ასე იწყება: “აწ ვთქვათ მსხაურთ-უხუცესი ვაზირია და მისისა ჯელისა არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, ფარემთ-უხუცესი, ციცხვთ-უხუცესი, მეხილეთ-უხუცესი. საწოლისა და სალაროს, მეფის შეკაზმამდის, ამათია საურავი და ზღვენი მსახურთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა [და] მოლარეთ უხუცესისა”-აო... (§ 14, სტრ. 107 – 111).

ამნაირადვე მეჭურჭლეთ-უხუცესის ხელისუფლების აღმნუსხველი ნაკვეთი ასე იწყება: “დიდი არის მეჭურჭლეთ უხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვაზირი იყო”¹⁴ და ესა და ეს დაწესებულებანი და მოხელენი “მისისა ჯელისა არიან”-ო (სტრ. 177 – 179).

ამირსპასალარის შესახები ნაკვეთის თავშიც ნათქვამი აქვს: “ლაშქრობაჲ და ლაშქრობის ვაზირობა ამირსპასალარის ჯელთ არის. მას წინ არავინ იტყვს, რაჲ ვაზირობა იყოს, და ამილახორი ვაზირი არის ამირსპასალარისა და ამის ჯელისაჲ მებაჯრეთ-უხუცესიცა. მებაჯრეთ-უხუცესი და მებაჯრენი და მესარტყლენი და საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის ჯელისანი არიან (§ 18, სტრ. 193 – 197).

ზემომოყვანილი ამონაწერები ადამიანს დაარწმუნებს, რომ ვაზირთა ხელისუფლების მომთხრობელი თითოეული ნაკვეთი ჯერ ზოგადი ცნობებით იწყება, ხოლო შემდეგ უკვე ცალკეულ საკითხებზე აქვს ხოლმე “ხელმწიფის კარის განრიგების” ავტორსაც საუბარი. ამ გარემოების გამორკვევის შემდგომ სრულებით დაუჯერებელია, რომ ამავე პირს მწიგნობართ-უხუცესისა და ვაზირთა-უპირველესის უფლება-მოვალეობის მოთხრობა, ზემომოყვანილი ამონაწერის მსგავსად, ცალკეული საკითხით, ჭყონდიდლის სამოსამართლო ფუნქციებით დაეწყო და მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობის შესახებ ზოგადი ცნობების მოთავსება სწორედ აქ დაჰვიწყებოდეს. ამიტომ ცხადია, რომ მოხელეთა და ვაზირობის შესახებ ნაწილს დასაწყისი აკლია და დაკარგული უჩანს.

ცნობილია, რომ მწიგნობართ-უხუცესის ხელისუფლების შესახები ნაკვეთი მის ქვეშეთ მწიგნობართათვის განკუთვნილი ქალაქის ოდენობაზე მომთხრობს წინადადებაზე ისე წყდება, რომ უკანასკნელი წინადადება დამთავრებული არც-კია, რადგან შემდეგ ხელთნაწერს ხუთი ფურცელი ანუ 10 გვერდი აკლია. ამის მომდევნო შერჩენილ ფურცელზე კი “ხელმწიფის კარის განრიგების” ტექსტი აგრეთვე ნაკლოვანი წინადადებით იწყება, რომლისაგანაც ორი უკანასკნელი სიტყვადაა გადარჩენილი: “... ანგარიშს აიღებს”-ო. ამის შემდეგი დამნაშავე ხაზაზის დასჯას ეხება (§ 10), რომლის შინაარსიდან არც ისა ჩანს, თუ ანგარიშს ვინ და რისას აიღებდა, არც ბრალდებული თუ დამნაშავე ხაზაზის განმსჯელ და დამსხელად ვინ იგულისხმება. მომდევნო, მე-11 §-ი კი მანდატურთ-უხუცესის ხელისუფლებაზე მოგვითხრობს. რაკი დანარჩენი ორი მე-12 და მე-13 §-ებიც მანდატურთ-უხუცესის ხელქვეშეთ მოხელეებსა და დაწესებულებებს ეხება, ამიტომ დაკარგული ხუთი ფურცლის მომდევნო გადარჩენილ ფურცლებზე ზემოდასახელებული ნაკვეთები უფლება გვაქვს მანდატურთ-უხუცესის ხელისუფლების განმსაზღვრელი ნაწილის ნაწყვეტად, სახელდობრ დასასრულად მივიჩნიოთ.

თუ გავიხსენებთ, რომ ამ ნაწილს მანდატურთ-უხუცესის უფლება-მოვალეობაზე მეტად მცირე ცნობები მოეპოვება, ზოგად დებულებათა შემცველი შესავალიც არსად უჩანს, მაშინ ჩვენთვის უცილობელი შეიქმნება, რომ მანდატურთ-უხუცესის ხელისუფლების მაუწყებელი ტექსტის უდიდესი ნაწილი დაკარგულია. უეჭველია, ეს იმ ხუთი ფურცლის უკანასკნელ გვერდებზე იქნებოდა მოთავსებული, რომლებიც ხელნაწერს აკლია.

რა თქმა უნდა, ამ ხუთ ფურცელზე მარტო მწიგნობართ-უხუცესის ხელისუფლების განსაზღვრის დანაკლისი ნაწილი დასასრულიანად და მანდატურთ-უხუცესის უფლება-მოვალეობის შესახები ცნობის დასაწყისი არ იქნებოდა. ამიტომაც უნდა გამოირკვეს, თუ რომელი ვაზირებისა და მათ ქვეშეთი დაწესებულებისა და მოხელეების შესახებ უნდა ყოფილიყო იქ ცნობები და რა თანმიმდევრობით.

იმ ხანაში, როდესაც “ხელმწიფის კარის განრიგება” იყო დაწერილი, საქართველოში სულ 6 ვაზირი იყო: მწიგნობართ-უხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, მანდატურთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი. ჩვენი ძეგლის გადარჩენილ ტექსტში კი ათაბაგის უფლება-მოვალეობის შესახებ ერთი სიტყვაც არ მოიპოვება. ეს ვაზირი მხოლოდ დარბაზობა-პურობისა და სავაზიროს სხდომის აღწერილობაშია მოხსენებული სხვებთან ერთად. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ათაბაგის ხელისუფლების განმსაზღვრელი ნაწილი მთლიანად აკლია და დაკარგულია.

ძალიან მოკლეა ცნობა მეჭურჭლეთ-უხუცესზეც, რომლის მოცულობაც მხოლოდ 14 დაბეჭდილ სტრიქონს უდრის (178 – 192). იმ დიდი მეურნეობისა და რთული მოვალეობის გამო, რომელიც საქართველოს ფინანსთა მინისტრს ჰქონდა მინდობილი, სრულებით დაუჯერებელია, რომ “ხელმწიფის კარის განრიგების” ავტორს მეჭურჭლეთ-უხუცესზე შერჩენილზე მეტი არაფერი ჰქონოდა ნათქვამი. მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი საფრანგეთზე უფრო დიდი ჰქონდა (იხ. აკად. ვ. ბარტჰოლდის გამოკვლევა. “აღმოსავლეთის” და ჩემი “საქართველოს ეკონომიური ისტორია”). ცხადია, რომ მეჭურჭლეთ-უხუცესის ხელისუფლება დიდი და ფართო უნდა ყოფილიყო. თვით “ხელმწიფის კარის განრიგების” ავტორსაც ხომ აქვს აღნიშნული, რომ “დიდი არის მეჭურჭლეთ-უხუცესი”, რომ მეჭურჭლეთ უხუცესი ძველი ვაზირი არის საბატიო”-ო (სტრ. 178 და 482). ამიტომ უეჭველია **მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ ოდინდელ ნაწილთაგან მხოლოდ მცირედი ნაწყვეტი-ღა უნდა იყოს გადარჩენილი, უდიდესი კი აკლია.**

შედარებით ცოტაა ცნობები ჩვენს ძეგლში ამირსპასალარის უფლება-მოვალეობის შესახებ, მაგრამ იმიტომ, რომ სწორედ აქ ხელთნაწერს ექვსი ფურცელი, ანუ 12 გვერდი მთლიანად აკლია (იხ. §18).

მსახურთ-უხუცესის ხელისუფლების აღმნუსხველი ნაწილის დასაწყისი თუმცა გადარჩენილია და დანარჩენიც შედარებით უხვს ცნობებს შეიცავს (იხ. § 14 - § 17 სტრ. 177-მდე და ვგონებ §§ 19 – 20, სტრ 233 – 278-მდეც), მაგრამ ამისდა მიუხედავად ამ ნაწილსაც ძალიან ბევრი უნდა აკლდეს. საკმარისია თუნდაც აღინიშნოს, რომ მაშინდელ საქართველოში მრავლად არსებულ საფარემოებზე თითქმის არაფერია ნათქვამი. მთელი ეს ნაკვეთი ბევრ სხვასთან ერთად, როგორც ჩანს, დაკარგული უნდა იყოს.

მაგრამ თუ მწიგნობართ-უხუცესისა და მანდატურთ-უხუცესის, ისევე როგორც ამირსპასალარისა და ნაწილობრივ მსახურთ-უხუცესის, ხელისუფალთა განსაზღვრის ნაწილების დანაკლისი ხელთნაწერის დაზიანებულობის და ფურცლების დაკარგვის შედეგია, მწიგნობართ-უხუცესის შესახების მთელი უდიდესი ნახევრის დაკარგულობა აწინდელი ხელთნაწერის ბრალი არის, რადგან ამ ადგილებში ხელთნაწერის ფურცლები არეულად არის დაცული. როგორც ჩანს, ამ ხელთნაწერის თვით გადამწერს “ხელმწიფის კარის განრიგების” ტექსტის უკვე დაზიანებული და არეული დედანი ჰქონია ხელთ.

დაკარგული ფურცლების შინაარსისაგა და ამ ძეგლის თავდაპირველი დედნის ტექტის აღსადგენადაც მოხელეთა ხელისუფლების განმსაზღვრელი ცნობები ყველა

ნაწილების დალაგებულობის თანამიმდევნოების გამორკვევაა საჭირო. ამისთვის კი უნდა გათვალისწინებული გვექონდეს ის ძირითადი მოსაზრებანი, რომლებითაც, “ხელმწიფის კარის განრიგების” შემდგენელს თავის ნაშრომის ამ ნაწილის წერის დროს შეეძლო ეხელმძღვანელა, ვითარცა დარბაზობის ცერემონიალთან დაკავშირებულ მოხელეს, “ხელმწიფის კარის განრიგების” ავტორს საფიქრებელია უპირველესად თავისი ცოდნითა და გამოცდილებით უნდა ეხელმძღვანელა. ამიტომ ვაზირთა უფლება-მოვალეობაზე მსჯელობის დროს ჩვეულებისამებრ ის იმ რიგს მიჰყვებოდა, რომელიც დარბაზობისა და ვაზირობის დროს იყო დაკანონებული. ეს წესრიგი კი მთლიანად ხელისუფალთა უფროს-უმცროსობის პრინციპზე იყო დამყარებული. ამ მოსაზრებისდა მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ავტორს ჩვენი ძეგლის ეს ნაწილი ვაზირთა უფროს-უმცროსობისდა მიხედვით ექნებოდა მოთხრობილი.

მაგრამ შესაძლებელია “ხელმწიფის კარის განრიგების” შემდგენელს იმ წესრიგითაც ეხელმძღვანელა, რომელიც ამავე შინაარსის უფრო ადრინდელს, მის ხელთამყოფს, წყაროებში იყო მიღებული. ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორის მოთხრობის თანამიმდევნოება მისდა უნებლიედ ვაზირთა ხელისუფლების ისტორიული განვითარების აღმბეჭდველი იქნებოდა.

დასასრულ, შესაძლებელია “ხელმწიფის კარის განრიგების” შემდგენელს წმინდა პრაქტიკული მოსაზრებითაც ეხელმძღვანელა და პირველად იმ ვაზირების უფლება-მოვალეობაზე ემსჯელა, რომელნიც სახელმწიფო დარბაზობასთან სხვებზე უფრო ახლო იდგნენ. მაშინ, რა თქმა უნდა, უწინარესად მწიგნობართ-უხუცესსა, მსახურთ-უხუცესსა და მანდატურთ უხუცესზე ჩამოაგდებდა საუბარს.

ამ სამ შესაძლებლობათაგან მეორე ყველაზე ძნელი დასაჯერებელია, რადგან “ხელმწიფის კარის განრიგების” ავტორს, რასაკვირველია, დაწესებულებათა ისტორია კი არ აინტერესებდა, არამედ მხოლოდ თავის ამბები მას მართო მაშინ აგონდება და დასახელებული აქვს, როდესაც რაიმე სიტყვა საკამათოდ ქცეულ საკითხზე ჩამოვარდებოდა. ამიტომ ანგარიშგასაწევი მხოლოდ პირველი და მესამე შესაძლებლობაა. ის საკითხი, თუ რომელს მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და ჩვენი ძეგლის ავტორისაგან თავისთვის ხელმძღვანელ დებულებად მიჩნეულ იქნეს ცნობილი, უეჭველია, იმისდაგვარად უნდა გადაწყდეს, თუ სხვა შემთხვევებში და “ხელმწიფის კარის განრიგების” გადარჩენილ სხვადასხვა ადგილას თავისი თხრობის რა წესს მისდევს. ამისდა მიხედვით უფრო მეტი უფლება გვექნება დავასკვნათ, რომ ხელისუფალთა უფლება-მოვალეობაზე საუბარის დროსაც თავის თხრობას ამავე წესით დაალაგებდა.

“ხელმწიფის კარის განრიგების” ავტორს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხისათვის სრულებით გარკვეული ცნობები სავაზიროს სხდომის აღწერილობაში მოეპოვება. თუმცა მას აღნიშნული აქვს, რომ “ჰყონდიდელი მამა არს მეფისა”, ხოლო “ათაბაგი ახალია” მწიგნობართ-უხუცესისა, ამირსპასალარისა, მანდატურთ უხუცესისა და მეჭურჭლეთ-უხუცესთან შედარებით, რომ “ამირსპასალარი საპატიო ვაზირი არის” და “მისი პატივი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის” რომ “მეჭურჭლეთ-უხუცესი ძველი ვაზირი არის” საპატიო, მსახურთ-უხუცესის გავაზირება შედარებით ყველაზე ახალი ამბავი იყო, რადგან პირველად ეს ხელისუფალი “რუსუდან მეფესა შეუყვანია სავაზიროსა”-ო (§36), მაგრამ ჩვენივე ავტორის სიტყვიდან ჩანს, რომ ყველა ამისდა მიუხედავად ვაზირთა უფროს-უმცროსობა და სავაზიროში მათი ჯდომის წესი ხელისუფლების სიძველის პრინციპის მიხედვით არ ყოფილა განსაზღვრული.

სავაზიროს სხდომის დროს იქ, სადაც მეფე იჯდა, იმის “პირისპირ” ნოხით მომრგვალებით დაფენილი ფერხედი სუფრის თავს დადგმულ სელებზე ისხდნენ ვაზირები. თითოეულს მათგანს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. როდესაც სავაზიროს სხდომა უნდა დაწყებულიყო, პირველი ადგილი ვაზირთა უხუცესს მწიგნობართა-უხუცესს ჰყონდიდელს უნდა დაეკავებინა, შემდეგ კი ათაბაგსა და ამირსპასალარს, მეჭურჭლეთ უხუცესსაც და დანარჩენ წევრებსაც მოიწვევდნენ თავ-თავიანთ ადგილას დასაჯდომად. “ხელმწიფის კარის განრიგების” ავტორს ისიც, თუ რომელი ვაზირი სად იჯდა, საკმაოდ გარკვევით აქვს აღნიშნული. მას ნათქვამი აქვს: “ჰყონდიდელს ქვემოთ... ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდნენ”, ხოლო “მსახურთ უხუცესი მეჭურჭლეთ უხუცესისა გვერდით ზის ვაზირობასა ზედან”-ო (§ 36, სტრ. 475 – 476 და 485 - 486). ჩვენი ძეგლის ავტორს, თუ უფრო მისი ნაშრომის გადამწერს, რატომღაც მხოლოდ მანდატურთ-უხუცესის ადგილის დასახელება დავიწყებია. მაგრამ ამის გამორკვევა ადვილია, რადგან, როგორც დავრწმუნდით, თვით მასვე აქვს ნათქვამი, რომ **“პატივი ამირსპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის”**. ცხადია, რომ ამისდა მიხედვით მანდატურთ-უხუცესი უნდა ამირსპასალარის გვერდით მჯდარიყო. მაშასადამე, ვაზირთა უფროს-უმცროსობა ასე ყოფილა განსაზღვრული: პირველი ადგილი მწიგნობართ-უხუცესს ჰქონდა მიკუთვნებული. ეს გარემოება ხომ მის წოდებულებაშიც იყო აღბეჭდილი და **ვაზირთა უპირველესი** ერქვა კიდევაც. მერმე უფროს-უმცროსობით ერთმანეთს მისდევენ: ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი, მეჭურჭლეთ უხუცესი და მსახურთ უხუცესი.

“ხელმწიფის კარის განრიგების” ერთადერთ გადარჩენილს, დაზიანებულ ხელნაწერში პირველად მართლაც მწიგნობართ უხუცესის უფლება-მოვალეობაზეა საუბარი, მაგრამ სამწუხაროდ სწორედ ამ ადგილას ხუთი ფურცელი აკლია და მომდევნო შერჩენილ ფურცლებზე კი უკვე მანდატურთ-უხუცესისა და მის ხელქვეშეთ თანამდებობის პირებზეა მსჯელობა. თუ ამ ძეგლის ავტორს ვაზირთა უფროს-უმცროსობისდა მიხედვით ჰქონდა თავისი ცნობები დალაგებული, მაშინ იმ დაკარგულ 10 გვერდზე მწიგნობართ-უხუცესის შესახები ცნობის დასასრული და ათაბაგის, ამირსპასალარის უფლება-მოვალეობათა სრული აღნუსხვა და მანდატურთ-უხუცესის ხელისუფლების შესახები ცნობის უდიდესი ნაწილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული და ხელთნაწერის გადარჩენილ ნაწილში ათაბაგისა და ამირსპასალარის უფლება მოვალეობაზე აღარაფერი ყოფილიყო ნათქვამი.

მართლაც, ათაბაგის ხელისუფლებისა და მის ქვეშეთს დაწესებულებასა და თანამდებობის პირებზე “ხელმწიფის კარის განრიგების” გადარჩენილ ნაწილში ცალკეული ცნობა არც მოგვეპოვება. მაგრამ ამირსპასალარის ხელისუფლების შესახებ თუმცა სრული ცნობა არ გვაქვს გადარჩენილ ფურცლებზე დაცული, არამედ, ზოგადი ცნობის შემცველი წინადადების შემდგომ, მხოლოდ მის ზოგიერთ ხელქვეშეთ თანამდებობის პირებსა და ზარდახანაზეა საუბარი, მაინც, მაშასადამე, მოულოდნელად ამირსპასალარზე მოგვეპოვება ცნობა ისეთ ადგილას, სადაც არ უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ცნობა მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ დაუმთავრებელ ცნობას მისდევს, რომელსაც თავის მხრით მსახურთ-უხუცესის ხელისუფლების შესახებს დაუსრულებელსავე ცნობას მისდევს. ერთი სიტყვით მოთხრობა ამჟამად უფროს-უმცროსობის წესრიგისდა მიხედვით არ არის დალაგებული.

მწიგნობართ-უხუცესის უფლება-მოვალეობის განმარტებას რომ მთელი დასაწყისი ნაწილის ტექსტი არ აკლდეს და მსახურთ-უხუცესისა, მეჭურჭლეთ-

უხუცესისა და ამირსპასალარის შესახები ცნობები ერთმანეთს დაუმთავრებლივ არ მისდევდნენ იმისდა მიუხედავად, რომ ხელთნაწერს ამ ადგილას ფურცლები სრულად აქვს დაცული, მსახურთ-უხუცესის ცნობის ერთი ნაწყვეტთაგანი მოულოდნელად ამირსპასალარის შესახებ ცნობას, რომლის შემდგომაც ექვსი ფურცელია დაკარგული, არ მისდევდეს, მაშინ კიდევ შეეძლო ადამიანს ეფიქრა, რომ ვაზირთა ხელისუფლების მომთხრობელი ნაწილი მოხელეთა უფროს უმცროსობისდა მიხედვით კი არა, არამედ რომელიღაც პრაქტიკული მოსაზრებით იყო დალაგებული. ზემოაღნიშნული გარემოება ცხად-ყოფს, რომ აქაც, სადაც ხელთნაწერი დაუზიანებელია, ტექსტი მაინც სრული არ არის, ხშირად სრულებით მოულოდნელად წყდება, ზოგი ცნობა უალაგო ალაგას არის მოთავსებული, ისე რომ მოთხრობას უაზროდ ხდის, ბევრიც აკლია და ერთი და იმავე ხელისუფლის უფლება-მოვალეობის შესახები ცნობის ნაწყვეტები სხვადასხვა ადგილას არის მოთავსებული. ერთი სიტყვით, ტექსტი ნაკლულოვანიც არის და არეულიც. ამიტომ “ხელმწიფის კარის განრიგების” შინაარსის აწინდელი დალაგებულება ამ ძეგლის პირვანდელი დალაგების თანამიმდევროების საფუძველად არ გამოდგება. ერთადერთ სანდო საყრდნობად ამ შემთხვევაში ისევ მხოლოდ ვაზირთა უფროს-უმცროსობის პრინციპის მიჩნევაა შესაძლებელი, რადგან ამ ძეგლის ავტორი თითონაც დარბაზობისა თუ ვაზირობის დროს სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობას იქნებოდა მიჩვეული.

თავი მეორე

“ხელმწიფის კარის განრიგების” ტექსტის წარყვნილი ადგილები აღდგენის ცდა და აღნადგენის დასაბუთება

“ხელმწიფის კარის განრიგების” დასაწყისის დაკარგულობა აწ 1 და 2 მუხლების შინაარსის გაგებას აძნელებს, რადგან იმ მთავარი პირის ვინაობა, რომელსაც ეს ორი მუხლი ეხება და ჰგულისხმობს, ნათლად არა ჩანს. ორივე საწელიწდისთავო დღის წესს ეხება: პირველში ნათქვამია, რომ “**მას წელიწადის თავს დღეს მეფე არავის[გან] შე[ი]მოსს (sic) ამისგან კიდევ, რომე მონადირეთ-უხუცესი ყვთლითა ყაბარჩით შეიმოსების**”-ო (§ 1, სტრ. 2 – 4), მეორე მუხლში კი სწერია, რომ “**აქითგან წლის თავით თევდორობამდის მონადირეთ უხუცესი მწვადს მიიხვამს... იკითხავს “ხვალ სით ჰკვლევენ”? უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების**”ო (§ 2, სტრ. 13 – 15).

თვალის ერთი გადავლებითაც ცხადი გახდება, რომ პირველი მუხლის ზემომოყვანილი წინადადების შინაარსი, მისი ტექსტის **ე. თაყაიშვილის** შესწორების შემდგომაც, გაუგებარია: ჯერ ნათქვამია, რომ ახალწელიწადს მეფე არავისგან “**შე[ი]მოსს ამისგან კიდევ**”-ო, შემდეგ კი არამც თუ ის პირი, რომელსაც ამ დღეს უნდა მეფე შეემოსა, დასახელებული არ არის, არამედ სრულებით მოულოდნელად აღნიშნულია, რომ “**მონადირეთ-უხუცესი ყვთლითა ყაბარჩით შეიმოსების**”-ო. უკანასკნელი ცნობა შეუსაბამოც არის და დაუჯერებელიც: შეუსაბამოა იმიტომ, რომ წინამავალი სიტყვების შემდგომ უცილობლად მეფის შემმოსველ მოხელეზე უნდა ყოფილიყო საუბარი, აქ კი ამის მაგიერ მონადირეთ-უხუცესის შემოსვაზეა მსჯელობა. მეორე მხრით, სრულებით დაუჯერებელია, რომ ახალწელსა, თუ სხვა დროს რომელსამე მოხელეს მეფის წინაშე შემოსვის ან უფლება ჰქონოდა ან-და ასეთი

რამ თითონ ეკადრა. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ტექსტი ამ ადგილას გადამწერთაგან უქველია დამახინჯებული უნდა იყოს. ხელნაწერში დამახინჯებული წინადადება ასეა დაცული: “მას წელიწდის თავს დღეს მეფე არავის შემოსს ამისგან კიდე, რომ მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შეიმოსების... და მალლად აშვერილსა ქუდსა დაარქვამს”-ო (გვ. 1 § 12 - 7). ამ სახით წინადადება არც გრამატიკულად არის მართებულად აგებული და შინაარსითაც უაზროა მეფეს ვინ უნდა შეემოსა? ისე გამოდის, თითქოს მონადირეთ-უხუცესი და ვითომც მეფევე მას ქუდსაც კი დახურავდა. უფროს-უმცროსობისა და დარბაზის კარზე განმტკიცებული ასევე როგორც მაშინდელი უბრალო ზრდილობის წესების მიხედვით ასეთი რამ სრულებით დაუჯერებელია. ამიტომ, თუ “შეიმოსების”-ს ისე, როგორც ამჟამად არის, მონადირეთ-უხუცესს მივაკუთვნებთ, მაშინ ამ ზმნის შინაარსი ისე უნდა გავიგოთ, რომ ყვითელი ყაბარჩით თვით მონადირეთ-უხუცესი შეიმოსებოდა. მაგრამ, თუ ამ ზმნის მნიშვნელობა ასე ვიგულისხმეთ, მაშინ მომდევნო სიტყვები “და მალლად აშვერილსა... ქუდსა დაარქვამს” გრამატიკულადაც წინამავალთან შეუთანხმებელი აღმოჩნდება და მათი დედააზრიც გაუგებარი გახდება, რადგან გაუგებარი იქნებოდა თუ მონადირეთ უხუცესი ვის “დაარქვამს”, ე. ი. დახურავს ქუდს.

ყველა ასეთი შეუთანხმებლობა, გაუგებრობა და უაზრობა გაქრება, თუ აქ გადამწერის მეხსიერებითი თვისების ისეთი შეცდომის შესაძლებლობას გავითვალისწინებთ, რომელიც ერთსა და იმავე წინადადების ორ ნაწილში ერთი და იმავე ზმნისაგან ორი ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული ფორმის (“შემოსს” და “შეიმოსების”) გამოისობით არის წარმომდგარი. რაკი გადამწერს, დედნის ტექსტის წაკითხვის შემდგომ, უკანასკნელი სიტყვები უფრო ძლიერად ახსოვდება ხოლმე, ამიტომ გადამწერთ არა ერთხელ მოსდით შეცდომა, რომ, თუ წინადადებაში ორი მსგავსი სიტყვაა, მათი ადგილმდებარეობა გადამწერის დროს ერევათ და უკანასკნელ სიტყვას წინა ფორმის მაგიერ წერენ ხოლმე.

საფიქრებელია, რომ იმ დედანში რომლიდანაც უკანასკნელი ხელთნაწერია გადმოწერილი ასე ეწერებოდა: “მას წელიწდის თავის დღეს მეფე არავისგან შეიმოსების ამისგან კიდე, რომე მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შემოსს... და მალლად აშვერილსა... ქუდსა დარქვამს”. ამ წინადადების ზმნების “შეიმოსების” და “შემოსს”-ის გადამწერისაგან მეხსიერებითი შეცდომით ერთმანეთის ადგილას მოთავსებამ ამ ცნობის მთელი შინაარსი არია და გაუგებარი გახდა.

ზემოაღნიშნული სახით მთავარი წინადადების ტექსტის აღდგენის შემდგომ, ამ მუხლის, როგორც დასაწყისი წინადადებისა, ისევე მთელი მომდევნო ნაწილის შინაარსი უფრო გასაგები ხდება. პირველ წინადადებაში სახელდობრ ნათქვამია: “მსახურთ უხუცესსა სალაროთ მოლარეთ უხუცესი მოართომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების”, და შემდეგ უკვე აღდგენილი წინადადება მოსდევს.

დასაწყისის ზემომოყვანილს ცნობაში გაუგებარია ან რატომ არის აქ მსახურთ-უხუცესი დასახელებული, ან სალაროდან სახელდობრ რას მოართმევდა და მოუფენდა მოლარეთ-უხუცესი, ან დასასრულ ვის ეთაყვანებოდა მსახურთ-უხუცესი?

შემოსვასთან დაკავშირებული მთელი ამ ცნობის სისწორით გასაგებად, უნდა ამავე ძეგლის § 35-ად მიჩნეულის შინაარსი გვახსოვდეს. იქ სახელდობრ ნათქვამია: “აწე ვიწყოთ “შეკაზმვა მეფისა და ვთქვათ ვეზირობისა: რად მეფე შეეკაზმოდეს, ტაშტი მსახურთ-უხუცესმან დაიჭიროს, პირის მანდილი მესაწოლეთ-უხუცესმა, წყალი მოლარეთ-უხუცესმან დაუსხას, ტანისსამოსი მსახურთ-უხუცესმან ჩააცვას, ღილი მესაწოლეთ-უხუცესმან შეუკრას, - მუკლთ-დაყრით ქუდი მოლარეთ-

უხუცესმან მიიღოს”-ო (§ 35, სტრ. 458 – 463). ამ დებულებიდან ჩანს, რომ მეფის შეკაზმასა, ანუ ჩაცმაში ჩვეულებრივ სამი მოხელე იღებდა მონაწილეობას: მსახურთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი და მესაწოლეთ-უხუცესი, რომელთაგან ორი უკანასკნელი მსახურთ-უხუცესის თანაშემწენი იყვნენ. ტანისამოსს მეფეს მსახურთ-უხუცესი აცმევდა. ამას გარდა, “კარის განრიგებაში” ნათქვამია, რომ “რაჲ მეფე საწოლით გავიდეს,... სარმუზა აცვია, ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა”. ფარემთ-უხუცესი “ჩაფლთ წახსნის, ანუ ფარეში გახსნის და შეუწახავს და იგი ტახტსა ზედა გავა” და თუ “აქვს ცოტა გარეჯით ნაძღნობი, ანუ, თუ იგი არ იყოს, მანდილი გრძელი... მეფეს გარდამოუკმაზავს წინ”-აო (§ 16, სტრ. 143 – 149).

ზემომოყვანილი ცნობისდა მიხედვით ჩანს, რომ დილას მეფე საწოლიდან გამოვიდოდა თუ არა და ტახტზე გასასვლელად შეემზადებოდა, მაშინვე ფარემთ-უხუცესს გრძელი, ანდა უფრო მომცრო გადასაფარებელი უნდა წინ მოეფინა.

ამის შემდგომ წელიწდის თავის დღის შესახები მუხლის შინაარსი შედარებით უფრო ადვილი გასაგები იქნება. სალაროდან მოლარეთ-უხუცესს რომ უნდა მსახურთ-უხუცესისათვის მიერთმია, აქ საფიქრებელია ყველაფერი უნდა იგულისხმებოდეს, რაც მეფის შესამოსავად და შესაკაზმავად იყო საჭირო. რაკი ეს მუხლი ახალი წლის დღესასწაულის წესის აღწერილობას შეიცავს, ცხადია, რომ მეფეს ამ დღეს სანიადაგოდ სახმარებელი ტანისამოს თავსაბურავის ჩაცმა-დახურვა არ შეეძლო, არამედ ყველაფერი ახალი უნდა ჰქონოდა, რომ მაშინდელი წარმოდგენით ეს დაკვებებოდა. “კარის განრიგებიდან” კი ვიცით, რაც სანიადაგოდ სახმარებელი არ იყო, სალაროში იყო დაცული. ამითვე აიხსნება, რომ ამ მუხლში სწორედ სალაროდან მორთმევაზეა საუბარი და მოფენილიც იქიდანვე უნდა ყოფილიყო მოტანილი.

შემდეგ “კარის განრიგების” § 1-ში მსახურთ-უხუცესი და მოლარეთ-უხუცესი მეფის შეკაზმაში, ანუ ჩაცმა-დახურვაში ჩვეულებრივაც მთავარი მონაწილე მოხელეები ყოფილან. ახალწლის წესში ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ მხრივ ყოფილა განსხვავება, რომ ამ დღეს მეფეს ტანისამოსს უკვე პირადად მსახურთ-უხუცესი კი არ აცმევდა, არამედ მისი თანადასწრებით მარტო მონადირეთ-უხუცესი.

§ 2 პირველი მუხლის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს: აქაც ახალწლის დღესასწაულთან დაკავშირებული წესებია მოთხრობილი, აქაც მეფე და მონადირეთ-უხუცესი არიან მთავარი მონაწილე პირები. მართალია, აქაც მონათხრობი ისეთი სიტყვაძვირობით არის გამოთქმული, რომ მისი შინაარსის გაგებაც განუმარტავად ძნელია, მაგრამ მაინც ... “აქითგან წლის თავით თევდორობამდის მონადირეთ-უხუცესი მწვადს მიიხვამს უკანის-ლა მიდგების, იკითხავს: “ხვალ სით ჰკვლევენ?” უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების, - ჭიქას უბოძებს, და მწვადს შესჭამს და შესვამს ღვინოსა, და მუნ [ვ]ე წავა და დაჯდების თავის ადგილსა”-ო (§ 2).

ზემომოყვანილი მონადირეთ-უხუცესის მოვალეობასა და უფლებას ეხება, მაგრამ აზრი იმდენად ბუნდოვანდაა გამოთქმული, რომ ნათლად არა ჩანს, თუ ვისთვის უნდა მოეტანა მწვადი, ან ვისთვის უნდა ეკითხა, “ხვალ სით ჰკვლევენ”-ო, ანდა ვინ იყო, რომ მწვადს შესჭამდა და ღვინოს შესვამდა?

ის, რაც კითხვას “ხვალ სით ჰკვლევენო”-ს მისდევს, სახელდობრ “უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების”-ო, ცხად-ჰყოფს, რომ მონადირეთ-უხუცესი სწორედ თვით მეფეს ჰკითხავდა, თუ ხვალ საითკენ ჰნებავდა. ეს იმ გარემოებით მტკიცდება, რომ ამ კითხვის პასუხის გამცემად მეფეა დასახელებული. თუ მონადირეთ-უხუცესის კითხვა მეფისადმი პირდაპირს მიმართვას კი არა, არამედ მესამე პირის შესახებ გამოთქმული შეკითხვის სახით არის აგებული, ეს მხოლოდ უმცროსისათვის უფროსისადმი ზრდილობიანი მიმართვის დროს სავალდებულო საუბრისწესით

არის ნაკარნახევი: მაშინდელი შეხედულებით უმცროს უფროსისადმი პატივისცემის ნიშნად სწორედ ასე უნდა ესაუბრა.

მეფის პასუხის მომდევნო სიტყვების მნიშვნელობას წინადადების ამ ნაწილის მცდარი დანაწილება და ამისდა გვარად სასვენი ნიშნების ტექსტის დედააზრისათვის შეუფერებლად დასხმა აძნელებს. სახელდობრ, მძიმე (,) “უბოძებს”-თან კი არა, არამედ “მწვადს”-ის შემდეგ უნდა იყოს დასმული. მაშინ ტექსტი ასე წარმოგვიდგება: “ჭიქას უბოძებს და მწვადს, შესჭამს და შესვამს ღვინოს და მუნვე წავა და დაჯდების თავის ადგილსა”. ამ ცნობაში იგულისხმება, რომ ჭიქას ღვინითა და მწვადს მეფე უბოძებდა მონადირეთ- უხუცესს მას შემდგომ, როდესაც ამ მოხელეს მის შეკითხვაზე უპასუხებდა, ხოლო მონადირეთ-უხუცესი ამ ნაბოძებს შესჭამდა და შესვამდა, მერე კი წავიდოდა და თავის ადგილას დაჯდებოდა.

იმის გასაგებად, თუ რატომ იყო, რომ მწვადი მეფისათვის მონადირეთ-უხუცესს სწორედ “წლისთავით თევდორობამდის” უნდა მიერთმია, “კარის განრიგების” § 20, სტრქ. 259 – 268-ის გახსენებაა საჭირო. იქ ნათქვამია: **მონადირეთ-უხუცესი და მონადირენი “გიორგობას კარზედ (იგულისხმება: სამეფო კარი) მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან”-ო.**

ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობა

ცნობა ხელნაწერის შესახებ

ხელნაწერი, რომელშიაც დაცულია გარიგება ჯელმწიფის კარისა, ჩვენ ვიპოვეთ რამდენიმე წლის წინათ ქართლში მოგზაურობის დროს ერთს გაპარტახებულს სახლში და ამოვიღეთ ნაგავიდან, რომელიც ჩვენს თვალს წინ გამოგავეს ოთახიდან. ხელნაწერი პატარა ტანის არის, in 16⁰, სულ 16,4 x 12,2 სანტიმეტრი. დაწერილია ქაღალდზე წვრილის ნუსხა ხუცურის ხელით და შავი მელნით, ხოლო სათაური და პირველი სიტყვა თითოეულის მუხლისა ნაწერია სინგურით. ტექსტი ერთ სვეტად არის დაწერილი. თითოეულს გვერდზედ ოც-ოცი სტრიქონია. ყდა აღარ შერჩენია, მაგრამ ეტყობა, ჰქონია. რვეულები აკინძულია. თავი და ბოლო აკლია, აკლია აგრეთვე შიგა-და-შიგ მთელი რვეულები და ცალკე ფურცლები. რვეულების სათვალავი აღნიშნული არ არის გარდა მესამე რვეულისა, მაგრამ აქაც სათვალავი ხუცური ასო **u** არა ტექსტის ხელით არის დაწერილი. რვეულში ექვსი ფურცელია და ამის საშუალებით შეგვიძლია დაახლოებით გავარკვიოთ, თუ რამდენი რვეული აკლია თავში და შიგა-და-შიგ. რამდენი რვეული აკლია ბოლოში, გამოცნობა შეუძლებელია. დანამდვილებით შეიძლება მხოლოდ თქმა, რომ ყოველ შემთხვევაში ერთი რვეული უეჭველად აკლია, ვინაიდან მეთერთმეტე რვეულზედ ტექსტი არ არის დამთავრებული, არამედ შეწყვეტილია. თავში ხელნაწერს აკლია ერთი რვეული. სულ უნდა ყოფილიყო დარჩენილი რვეულების მიხედვით თორმეტი რვეული, თუ ბოლოში მარტო ერთს რვეულს მივიჩნევთ ნაკლულად. ამათგან მთლად დაკარგულია პირველი, მეექვსე, მერვე, მეათე და მეთორმეტე. მთლად დაცულია მეორე, მეოთხე, მეშვიდე და მეცხრე, მესამე რვეულიდან უკანასკნელი ფურცელია დაცული და პირველი ხუთი აკლია, მეხუთე რვეულიდან მარტო პირველი ფურცელია შენახული, დანარჩენი ხუთი აკლია, მეთერთმეტე რვეულს აკლია ორი ფურცელი. საერთოდ ნაკლოვანი რვეულების ფურცლები (მე-3, 5 და მე-11-სა) ექვსია და უდრიან რიცხვით ერთს რვეულს. ამრიგად, თუ ხელნაწერს 12 რვეულით განვსაზღვრავთ, გამოვა, რომ სულ დაცულია ხუთი რვეული და დაკარგულია შვიდი,

ანუ დაცულია 60 გვერდი და დაკარგულია 84. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბოლოს ხელნაწერს არა ერთი, არამედ რამდენიმე რვეული უნდა აკლდეს, და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სადაც ჩვენ შიგა-და-შიგ ნაკლულად თითო რვეულს ვთვლით, შეიძლება ორი ან მეტი აკლდეს, შეგვიძლია დავასკვნათ: საზოგადოთ ხელნაწერის ტექსტს და მასში მოქცეულს კელმწიფის კარის გარიგებას ჩვენამდის ნახევარსაც არ მოუღწევია. შინაარსის მიხედვით ხელნაწერი ორ ნაწილად იყოფა. პირველი შეიცავს მეფის გიორგი ბრწყინვალის სამართალს ანუ ეგრეთ წოდებულს ძეგლის-დებას მთლიულთადად. ამ ნაწილს უკავია სულ 23 გვერდი, დანარჩენი ნაწილი, 24 – 60 გვერდი, შეიცავს გარიგებას კელმწიფის კარისა-ს. პირველ ნაწილს თავი აკლია და ძეგლის-დების შესავალი არ შენახულა, დაცულია მხოლოდ ბოლო შესავლისა, რომელიც იწყება სიტყვებით: "... ჩნდა ერთმანერთის ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წასვლა და დაგდება უბრალოსა...". ამას გარდა გიორგი მეფის სამართალს აკლია შუაში კიდევ 20 – 26 მუხლი. დანარჩენი სრულად არის დაცული. ამრიგად, გიორგი მეფის სამართალი შედარებით ბევრად უფრო მცირე ნაკლით არის მოღწეული ჩვენამდის ამ ხელნაწერში, ვიდრე ტექსტი კარის გარიგებისა. თუ 12 რვეულით განვსაზღვრავთ რაოდენობას ხელნაწერისას, ნაკლოვანება ასე განაწილდება: გიორგი ბრწყინვალის სამართალს აკლია 22 გვერდი, ხოლო კელმწიფის კარის გარიგებას 62. აქ უნდა შევნიშნოთ კიდევ: ეს პირველი მაგალითია ჯერ-ჯერობით, რომ გიორგი მეფის სამართალი ცალკე ხელნაწერში გვხვდება. ამდენხანს ძეგლის-დება გიორგი ბრწყინვალისა ცნობილი იყო მხოლოდ ვახტანგ მეფის ქართულ სამართალთა კრებულიდან.

არა ჩანს, თუ როდის ან ვისგან არის გადაწერილი ხელნაწერი. ქარხნის ნიშანი ქალაქისა ანუ ფილიგრანი, როგორც ეტყობა, ყოფილა სამი ნახევარ-ნახევარი მთვარე, მაგრამ ვინაიდან ტანი ხელნაწერისა პატარაა, ეს ნიშანი ნახევრად არის დაცული ზოგ ალაგას (გვ. 34 – 35, 46 – 47). მეორე მთვარის ქვემოთ ერთს ადგილს ემჩნევა კიდევ მოგრძო ლათინური ასო A თითო პატარა წრით ბოლოებში და ორი წრით შუაში. ამას გარდა გვხვდება კიდევ მოგრძო ნიშანი მსგავსი ლათინურის Z თითო წრით თავში და ბოლოში (გვ. 21). სრულად ამგვარი ნიშნები ერთად ლიხაჩოვის გამოცემაში არ გვხვდება. ჩვენს ხელნაწერებში სამი ნახევარ-ნახევარი მთვარე XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნეში მოიპოვება. მაგალითად, სამი ნახევარ-ნახევარი მთვარე სხვა ნიშნებთან ერთად გვხვდება 1696 წ. გადაწერილს ხელნაწერში საეკლესიო მუზეუმისა N 195 და მეორე ხელნაწერში N 121, რომელიც გადაწერილია 1715 წელს. წერის ხასიათის მიხედვით ხელნაწერი XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს და ამაზე უადრესი ყოველ შემთხვევაში არ არის. XVII საუკუნის მხედრულის ხელის ხასიათი აქვს აგრეთვე მხედრულს მინაწერს მე-7 გვერდის აშიაზედ, სადაც სწერია: თეთრი: რა არის: ანუ; დრაჰკანი: აქვე სხვა ხელით შემდეგი დროისა და მქრალის მეღნიით მიწერილია: ერთი: დრაკანი: ფლური ერთი: თეთრად: ორ მარჩილ ნახევარი და: ერთი: თეთრი ხუთიანი არი:

დრო კარის გარიგების შედგენისა

არავითარი პირდაპირი ცნობა არა გვაქვს, თუ როდის არის შედგენილი ჩვენამდის მოღწეული გარიგება კელმწიფის კარისა. ამის გამოსარკვევად თვით კ. გარიგების შინაარსს უნდა მივმართოთ და მასში აღნუსხული ისტორიული ამბების და ისტოიული პირების დროს უნდა განვსაზღვროთ. ამით ჩვენ შეგვეძლება

გამოვარკვით, რომელი საუკუნეების ადრე შეუძლებელი იქნებოდა მისი დაწერა და რომელი საუკუნის შემდეგ ვერ წარმოიშვებოდა ჩვენამდის მოღწეული კ. გარიგება. ეს დაახლოებით შესაძლებელია, ვინაიდან ტექსტში ბევრი ისტორიული პირია მოხსენებული და მრავალ ფაქტს უჩვენებს ავტორი როგორც ძველს ამბავს, ძველ ისტორიულ მოვლენას. მაგალითად, კ. გარიგებაში ვკითხულობთ:

“ამიერი ბედიელი მოსაფლავა და ქუთათელი მოსაფლავეც არის (მეფისა). დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერძენთა მეფე გააქცია, მისა (ქუთათლის) საყდარსა შიგან არის” (§ 27). ვინ არის ეს გიორგი მეფე? რასაკვირველია, ეს არის გიორგი I, მამა ბაგრატ IV, რომელიც ეომებოდა ბერძენთა მეფეს ბასილ მეორეს, ხან სძლევდა მას, ხან ძლეული იყო მისგან. ბოლოს ბასილმა გაიმარჯვა და შერიგება მოხდა. გიორგი მეფობდა 1014 – 1027 წლებში. ის მართლა დასაფლავებულია ქუთაისის ტაძარში. ბედაში, როგორც ვიცით, დაკრძალულია ბაგრატ III, გიორგი I-ის მამა, რომელიც გადაიცვალა 1014 წ. ამ ფაქტების მიხედვით კ. გარიგების შედგენა არ შეიძლებოდა XI საუკუნის ადრე მომხდარიყოს. ამასვე მოწმობს ფულის დუკატის მოხსენება (სტრ. 120), რომელიც ეკუთვნის ბერძენთა მეფეს კოსტანტინე დუკს (1059 - 1069). შემდეგ მოხსენებულია არსენ იყალთოელი, ცნობილი მეცნიერი, მოღვაწე და მოძღვარი დავით აღმაშენებლისა, რომელიც ცხოვრობდა XII საუკუნის პირველ ნახევარში და რომელზედაც კ. გარიგებაში სწერია: “არსენ იყალთოელი, ეგეთი კაცი მტყუანი როგორ ეგების? (სტრ. 285). მოხსენებულია აგრეთვე მეფე გიორგი III, თამარის მამა, რომელიც გადაიცვალა 1184 წ.: “გიორგი მეფეს, თამარის მამას, თვით ვერცხლისა შეუქნია (ჯაჭვის პერანგი) სალა მასურის სახესა ზედა და მას ჩაიცმიდენ” (სტრ. 33 – 34). თამარ მეფე მოხსენებულია კიდევ მეორე ადგილს და ჩამოთვლილია, თუ ვის რა თანამდებობა უბოძა (§ 30). თამარი გადაიცვალა 1212 წ., მაშასადამე, XIII საუკუნის დამდეგამდის ჩვენი კ. გარიგება ვერ დაიწერებოდა. ამას გარდა, რომ კ. გარიგება XIII საუკუნეზედ ადრე ყოფილიყო შედგენილი, მასში მოხსენებულნი არ იქნებოდნენ ათაბაგი და აფხაზეთის კათალიკოსი. ათაბაგი მრავალჯერ არის მოხსენებული კ. გარიგებაში. მას მეორე ადგილი უჭირავს ვეზირთა შორის, პირველი ვეზირი ჭყონდიდელი არის. კ. გარიგებამ იცის, რომ ათაბაგობის შემოღება ახალი მოვლენაა: “ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალია”, ვკითხულობთ კ. გარიგებაში (§ 36). ათაბაგობის შემოღება საქართველოში, ეჭვს გარეშეა, მეცამეტე საუკუნეს ეკუთვნის და ამაზე ადრე არ ყოფილა, ვინაიდან პირველ ათაბაგად ქარ. ცხ.-ში ჯერ მოხსენებულია ივანე ახალციხელი და შემდეგ ზაქარია მხარგრძელის ძმა ივანე, რომელსაც მიუბოძა ათაბაგობა თამარმა 1212 წლის ახლო ხანში^[2].

აგრეთვე აფხაზეთის კათალიკოსი ფაქტიურის ცნობებით მხოლოდ მარტო XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩანს. აზრი ვითომც აფხაზეთში 820 წელს დაარსებულიყოს ცალკე საკათალიკოსო ძლიერ საეჭვოა^[3]. აფხაზეთის კათალიკოსის მოხსენება ჯერ-ჯერობით პირველად გვხვდება ჩვენ ერთს ლაშა გიორგის დროის სიგელში, რომელიც დაწერილია მეექვსე ინდიკტიონს გიორგი მეფისა, მაშასადამე 1218 წლის ახლო ხანში. თუმცა ამ სიგელს თ. ჟორდანიას გიორგი II მიაწერს, ესე იგი 1078 წელს, მაგრამ ეს შეცდომაა. სიგელი ეკუთვნის ლაშა გიორგის^[4]. შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსი მოხსენებულია დავით ნარინის დროს ორს სიგელში. ერთი ამათგანი, 1290 წ. დაწერილი, ჩვენ გვაქვს ხელში და ჯერ არ გამოგვიცია. მეორისა მარტო პირს მოუღწევია ჩვენამდის^[5]. ორი კათალიკოსი ქარ. ცხ.-ში რუსუდან მეფის კურთხევის დროს, 1223 წ., არის მოხსენებული და ამ ორთა შორის ერთი აფხაზეთის კათალიკოსი უნდა იყოს^[6]. შემდეგ საუკუნეებში მოხსენება აფხაზეთის კათალიკოსისა ჩვენს წყაროებში ჩვეულებრივია. აფხაზეთის კათალიკოსი კ. გარიგების

მიხედვით ბედიამი უნდა ცხოვრობდეს (§ 27, სტრ. 341 – 351). ეტყობა აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შემდეგ ქუთათელის როლი და პატივი შემცირებულა და ზოგი მისი უფლებანი სადაოდ გამხდარა.

კ. გარიგებაში მოხსენებულია რუსუდან მეფე, თამარის ასული, რომელიც მეფობდა 1223 – 1247 წწ. აქ ვკითხულობთ: “მსახურთ-უხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა და ვაჩნაძე შეუყვანია” (§ 36-ის ბოლო). აქედან ცხადია, რომ მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდის ჩვენი კ. გარიგება ვერ დაიწერებოდა. მაგრამ ძველი კიდევ უფრო გვიან არის დაწერილი: კ. გარიგებაში მოყვანილია დავა ქუთაისის ეპისკოპოსის და აფხაზეთის კათალიკოსისა, რომლის გადაწყვეტაში ლაშქარსაც მიუღია მონაწილეობა, და აქ მოხსენებულნი არიან მეფენი ვახტანგ და კოსტანტინე. ამის შესახებ კ. გარიგებაში ასე სწერია: “ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კოსტანტინე, დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმან ასე თქუა: “თუ აწ ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან, და არ მემართლები, გზრგზნი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა”. და მერმე ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართა თქვეს თუ, “ქუთათელი უმართლეა”. და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს, და მოანება აფხაზეთის კათალიკოზმა” (§ 27, სტრ. 344 შდდ.). აქ მოხსენებული ვახტანგ მეფე უნდა იყოს ვახტანგ II. (1289 – 1292), დავით ნარინის ძე, ხოლო კოსტანტინე – ვახტანგ II ძმა, რომელიც მეფობდა დავით ნარინის შემდეგ, ესე იგი 1293 წლიდან. თუ ამათ მაგიერ ვიგულისხმებთ ვახტანგ III († 1304), დიმიტრი თავდადებულის შვილს, და კოსტანტინე II († 1414), ბაგრატ V-ის ძეს, მაშინ შედგენა კარისგარიგების მეთხუთმეტე საუკუნეს უნდა მივაწეროთ. მაგრამ ეს მეფენი დროთი ერთმანეთზედ ძლიერ დამორებულნი არიან, ხოლო ზემო მოყვანილი ტექსტის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგის და კოსტანტინეს კურთხევა თუ ერთ დროს არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში დიდი ხანი არ გასულა ერთის კურთხევიდან მეორემდის. ამიტომ ჩვენ აქ ვგულისხმობთ ვახტანგ II და კოსტანტინე I. ამრიგად კ. გარიგების შედგენა ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია მივაწეროთ მეცამეტე საუკუნის დამლევის ადრინდელ დროს. ამავე დასკვნას ამტკიცებს კიდევ მეორე გარემოება: ჩვენს ძველში ნათქვამია, ამირ-სპასალარობა და მანდატურთ-უხუცესობა ზოგჯერ ერთს კაცს აქვსო და უფრო შანშეთ სახლის არის ეს თანამდებობაო: “პატივი მისი (ამირ-სპასალარისა) და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის და ესეც იქნების, რომე ორივე ერთსა ქონდეს. და უფრო შანშეთ სახლის არის” (§ 36). მართლაც, ჩვენ ვიცით, მანდატურთ-უხუცესობა შანშეს სახლის ანუ მხარ-გრძელთა სახლის ხელთ იყო. შანშე I († 1261) იყო მანდატურთ უხუცესი. მისი შვილი ზაქარია († 1261) – ამირ-სპასალარი, მეორე მისი შვილი ივანე - მანდატურთ-უხუცესი. ივანეს შვილი შანშე II ერთ და იმავე დროს ამირ-სპასალარიც იყო და მანდატურთ-უხუცესიც. შანშეს მეორე შვილი მხარგრძელი ცოცხალი იყო კიდევ 1295 წელს²¹. ყველა ზემომოყვანილი კარგად ცნობილი ისტორიული ფაქტები მოწმობენ სისწორეს “კარის გარიგების” ცნობებისას და გვამღევენ საბუთს დაწერა ჩვენი ძველისა მეცამეტე საუკუნის დასასრულის შემდეგ დროს მივაწეროთ. თუ ეს ხანა ჩვენი ძველისათვის terminus ante არის, terminus post იქნება 1469 წელი, ანუ უკეთ ვსთქვათ, XV საუკუნის მეორე ნახევარი. ყოვლად შეუძლებელია ამაზე უგვიანეს დროს მივაწეროთ შედგენა თუ დაწერა ჩვენი ძველისა, ვინაიდან ამ დროს შემდეგ საქართველო დანაწილდა და ერთ-მეფობა მოიშპო. “კარის გარიგება” კი შედგენილია სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ ერთმეფობა იყო. ძველის მიხედვით საქართველო არ არის დაყოფილი ორ თუ სამ სამეფოდ და ცალკე სამთავროებად. ქართლი, კახეთი, იმერეთი და ზემო ქართლი

მთელი ჭოროხის ხეობით ერთ სამეფოს შეადგენს. ყოველგვარს საქმეში მონაწილეობას იღებენ ამერ-იმერის მოხელენი: ერისთავნი, ქართლის ერისთავი, სამცხის სპასალარი და დადიანი – ყველა მეფეს სძღვნობენ (§ 28). იშხნელი, მაწყვერელი, ბედიელი, ჭყონდიდელი, ქართლის კათალიკოსი, ძმანი გარესჯელნი მეფის კარისადმი ილტვიან. ეს შეუძლებელი იქნებოდა XV საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ, როდესაც საქართველო გაიყო სამ სამეფოდ და ცალკე სამთავროებად. მაშასადამე, კ. გარიგება შედგენილია არა უადრეს მეცამეტე საუკუნის დასასრულისა და არა უგვიანეს მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. ეს არის უმთავრესი დასკვნა დროს შესახებ კარის გარიგების დაწერისა. მაგრამ შეიძლება ეს დრო შევზღუდოთ და მოსაზრება გამოვთქვათ, რომ ძველი უნდა ეკუთვნოდეს მეთოთხმეტე საუკუნეს, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის დროს (1318 - 1346). მეცამეტე საუკუნიდან მეთხუთმეტემდის ეს ერთადერთი ღირსშესანიშნავი დრო იყო, როდესაც საქართველო გაერთიანდა, მონღოლთა უფლება დაეცა და ერთმეფობა დამკვიდრდა. შემთხვევით კი არ უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალის სამართალი და კარის გარიგება ერთად მოქცეული ჩვენს ხელნაწერში, არამედ ეს ორი ძველი ერთ და იმავე დროს უნდა ეკუთვნოდეს, ამას ემოწმება თანამდებობა სამცხის სპასალარისა (§ 28), რომელიც გიორგი ბრწყინვალემ მიუბოძა სარგის II († 1334), ბექას შვილს.

ამას გარდა ერთი ცნობა ვახუშტი ბატონიშვილისა ეთანხმება ჩვენს მოსაზრებას, რომ ჩვენამდის მოღწეული ძველი გიორგი ბრწყინვალის დროის უნდა იყოს. ვახუშტი აღნიშნავს რა, რომ “ფლობასა თათართა ყენობისასა რომელიმე წესნი შეიშლებოდნენ”, შემდეგ განაგრძობს: “ხოლო შემდგომად ბრწყინვალემან მეფემან გიორგიმ კვალად აგო წესსავე მას ძველსა ზედა, და შემდგომთა მისთა მეფეთა, ვიდრე შიხთა მეფეთა სპარსთათა გამოჩინებისამდე”^[8]. ჩვენ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენამდის მოღწეულს კარის გარიგებას არა ვსცნობთ კანონმდებლობად რომელიმე ერთი მეფის მიერ შემუშავებულად და გამოცემულად, მაგრამ ეს შეკრება და აღნუსხვა ძველი წესებისა და მათი რედაქცია ადვილად შესაძლებელია მეფის განზრახვით და დავალებით შეესრულებიოს მის კარისკაცს ანუ მოხელეს. ასე თუ ისე გიორგი ბრწყინვალეს რაღაც ღვაწლი მიუძღვის ძველი წესრიგის აღდგენაში და მის ჩამოყალიბებაში, და ჩვენი ძველიც ხშირად ისტორიულად აღნიშნავს, თუ რომელ მეფეს რა ხელისუფლება და მოხელეობა განუწესებია.

სად არის დაწერილი ანუ შედგენილი “კარის გარიგება” და გვაქვს თუ არა ცნობა ამ ძველის შესახებ ლიტერატურაში

კარის გარიგებაში საკმაო ცნობები მოიპოვება კითხვის გამოსარკვევად, თუ საქართველოს რომელ ნაწილში დაუწერიათ ანუ შეუდგენიათ ჩვენამდის მოღწეული კ. გარიგება. ამ ნიშნების მიხედვით ძველის შემდგენელი უნდა სწერდეს თავის შრომას უთუოდ დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, და არამც და არამც აღმოსავლეთ საქართველოში. კარის გარიგების ავტორის სიტყვით ამერი მაჩვენებელია იმერეთისა, დასავლეთ საქართველოსა, და იმერი – აღმოსავლეთ საქართველოსა და ზემო ქართლისა. კ. გარიგებაში ვკითხულობთ: “ამერი ბედიელი მოსაფლავეა და ქუთათელი მოსაფლავეც არის” (სტრ. 341). გარიგება რომ ქართლში ან აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილიყო დაწერილი, ავტორი იტყოდა: “იმიერი ბედიელი” და სხვა. მეორე ადგილს სწერია: “რა სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ იმერით იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი, მათ რაჲ ეთაყვანენ, ჳელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს” (სტრ. 336 – 338). აქ ჩამოთვლილ ეპისკოპოზთა კათედრები

ზემო ქართლში არის და კ. გარიგება რომ აღმოსავლეთ საქართველოში იყოს დაწერილი, ავტორი იტყოდა: “რა სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ ამერიოთ იმხნელი” და სხვა. ამგვარი მაგალითები ცხად ყოფენ, რომ კ. გარიგება დასავლეთ საქართველოშია დაწერილი. შესაძლებელია იმ დროს, რა დროსაც ჩვენი კ. გარიგება იწერებოდა, მეფის რეზიდენცია ქუთაისში იყო და ამერიო მაშინ ავტორისათვის, რასაკვირველია, იმერეთი იქნებოდა. არის კიდევ გარემოება, რომელიც ნებას გვაძლევს მოსაზრება, მხოლოდ მოსაზრება, გამოვთქვათ, რომ კ. გარიგება გელათში ან გელათის მახლობლად არის დაწერილი: ერთს მუხლში ჩამოთვლილია მეფის მისართმევი საწელიწდისთაო ძღვენი და სხვათა შორის სწერია: “გელათური ძღვენი საქარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სტალახე ცხენი ფიცხლავ მოაგებონ საქრისტიშობოთ მომავალსა” მეფესო (§ 28). ამ სტრიქონების დამწერი რომ სხვა ადგილს ყოფილიყო და არა გელათში, ანუ მის მახლობლად, იტყოდა: “მოაგებონ მიმავალსა” მეფესაო. უფრო განმარტებით ავტორს შეეძლო ეთქვა: “ფიცხლავ მოაგებონ აქ გელათს მომავალსა მეფესაო”, მაგრამ ენა კ. გარიგებისა მეტად ლაკონიურია და ამ შემთხვევაში არც საჭირო იყო გავრცელება, რადგანაც უბრალო ზმნის თავსართი მოსაუცხოოდ ხატავს იმას, რისიც აღნიშვნა ავტორს სურდა. ტექსტიდან ჩანს, რომ ჩვეულებად ჰქონია მეფეს საქრისტიშობისთვოდ გელათს გამგზავრება და მონასტერს ძღვენი უნდა მიეგებებია წინ. ნუ იფიქრებთ, რომ ძღვნის მირთმევა მარტო გელათის მონასტერს ემართა. დავით გარესჯას უფრო დიდი ძღვენი და სხვა მოვალეობა ედვა თავზედ (§ 29). ზემოთქულიდან ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კ. გარიგება ან გელათშია დაწერილი ან გელათის მახლობლად ქუთაისში, სადაც იმ დროს მეფის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

კარის გარიგება არა თუ ქუთაისში ანუ გელათშია შედგენილი, არამედ იმ გარიგების წიგნის პირი უნდა იყოს, რომელზედაც ბუნდოვანი და მოკლე ცნობა ბატონიშვილს ვახუშტის აქვს თავის ისტორიაში. ვახუშტი გვაუწყებს, თუ რა წყაროები ჰქონია მას ხელში მის მიერ შედგენილი ქრონოლოგიური ცნობებისათვის და სწერს სათაურში: “ქორონიკონები ჩვენ მიერ პოვნილნი წიგნებთა შინა და სახელნი წიგნებთა არიან ესენი: იმერული ძველი გარიგების წიგნი, დავითნი მესხური ხუთ წიგნად განყოფილი, იმერული სძილის პირი ეტრატისა, ტლაშადის აღმოწერილი ქორონიკონები, გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხვათათა” (ქარ. ცხ. ტომი მეორე, გვ. 237). მეორე ადგილს ვახუშტი უფრო გარკვეულად სწერს იმერული ძველი გარიგების წიგნის გამო:

“ხოლო უმეტეს განმამართლებელი სხვათა პოვნილთ ქორონიკონებთ გარდა და მოწამე აქ აწერილთა ესე არს, რამეთუ ყოველნი აქა წერილნი მეფენი და მთავარნი თამარიდამ სვიმონის ძის გიორგისამდე დაწერილ არიან ძველის გარიგების და სამართლის წიგნსა შინა იმერეთს გელათურსა, რამეთუ ბრწყინვალეს გიორგიდამ გიორგისამდე, ძისა ალექსანდრესა, სწერს: “ესე მეფე მოკუდა, ეს მეფე მოკლეს” და შემდგომად გიორგისა ქართლის მეფე, იმერთა მეფე, კახთ მეფე მოკუდა, აქ ქვეყნით სახელსდებენ, ვითარცა ქართველთ მეფეს გურიელმან სძლო მოხისს, კახთ მეფე ლევან მოკუდა. ხოლო იქ უქვეყნოდ, მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა, ალექსანდრე მიიცვალა. ამათ მუნ აჩენს ერთ მეფობასა და აქ გაყრასა: გონიერმან თვთ განიხილოს, ვინათგან იმერეთს არს აღწერილი და არა ქვეყნობით ახსენებს, მაშ კვალად ერთმეფობა ყოფილა და შემდგომად განყოფა” (იგივე, გვ. 8, შენ. 1).

უმეტესი ნაწილი მესხური დავითნის ქრონიკისა, სულ 11 ფურცელი, დაცულია დღემდის, ხოლო დავითნიდან, რომლის დამატებად ეს ქრონიკა ყოფილა, ჩვენამდის მოაღწია 4 ფურცელმა^[9]. დედანს გელათურის გარიგების და სამართლის წიგნისა და

მისი ქრონიკისა ჩვენამდის არ მოუღწევია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჩვენი კ. გარიგება და ძველის-ძევა მთიულთადმი გიორგი ბრწყინვალისა იმ ძველი გარიგების და სამართლის წიგნის პირია, რომელსაც იხსენიებს ვახუშტი. სახელი ძველი გარიგების და სამართლის წიგნი ზედ გამოჭრილია ჩვენი კ. გარიგებისათვის, ვინაიდან აქ კელმწიფის კარისგარიგებაც არის და სამართლის წიგნიც გიორგი ბრწყინვალისა. უფრო ვრცლად ვახუშტის ამ გელათური გარიგების და სამართლის წიგნის ქრონიკა ჰქონია ხელში დედნის თუ პირის სახით და ეს ცნობები ვრცლად შეუტანია თავის ისტორიაში. ამა თუ იმ სახით ვახუშტი რამდენიმეთ კ. გარიგების ტექსტსაც იცნობს, მაგრამ ვრცლად არ სარგებლობს, თუ ვერ სარგებლობს ამ ცნობებით. ვახუშტის ცნობები სახელმწიფოს ხელისუფალთა და მოხელეთა შესახებ, რომელიც მას მოჰყავს თავის გეოგრაფიის შესავალში, ძლიერ მოკლეა, მაგრამ საზოგადოდ ეთანხმება ზოგ ნაწილს კ. გარიგების ცნობებისას. განსაკუთრებით ცნობები ჭყონდიდლის ხელისუფლების შესახებ თითქმის იგივეა, რაც კ. გარიგებიდან ვიცით. მაგრამ მთლად რომ კ. გარიგება ვახუშტის ჰქონოდა ხელში, გვგონია მეტს ცნობებს შეიტანდა იქიდან თავის შრომაში. წარმოუდგენელია ვიფიქროთ, რომ ვახუშტიმ გვერდი აუქცია იმ საუცხოო ცნობებს, რომელიც კ. გარიგებაში მოგვეპოვება და არც ერთს სხვა წყაროდან ცნობილი არ არის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტის ნაწილობრივ სცოდნია ეს შრომა და არა მთლად. ზოგიერთ ხელისუფალთა წოდება-სახელებს, რომელიც კ. გარიგებაში გვხვდება, ვახუშტი სრულიად არ იხსენიებს, მაგრამ მან კარგად იცის, რომ როსტომ მეფემ XVII საუკუნეში ძველი ქართული ანუ, უკეთ ვთქვათ, ძველად საქართველოში მიღებული ხელისუფალთა და კარის კაცთა სახელები სპარსული სახელებით შესცვალა. ვახუშტი სწერს: “ხოლო როსტომ მეფემ ჯელისუფალთა უწოდა: მსახურთ-უხუცესსა – ყორჩიბაში, მონათ-უხუცესსა – ყულარადასი, სპასპეტსა სარდარი, მეჭურჭლეთ-უხუცესსა – მოლარეთ-უხუცესი და მეჭურჭლეთ-უხუცესი არღარა, არც იგი წინათ მოლარეთ-უხუცესი; ჩუნჩერახსა – სუფრაჩი, ჩაჩნაგირსა – სუფრაქეში, მანდატურთ-უხუცესსა – ეშიყადასი, მანდატურსა – სოჰბათიასაული, ბოქაულსა – ელიადაჯი, მსაჯულთ-უხუცესსა – მდივანბეგი, ეზოს-მოდღვარსა – ნაზირი, მესტუმრეთ-უხუცესსა – მეჰმანდარი, მწერალსა – მუშრიბი, ხუროთ-მოდღვარსა – სარაიდარი, და ეჯიბი არღარა, არამედ მგზავსი მისი მეითარი. ხოლო სხვანი ჯელისუფალნი იყუნენ აგრეთვე, არამედ კვალად ყოზილბაშთა რიგის შესძინა ვეზირი მუსტოფი და მუნში. კვალად მეკარეს – ყაფიჩი და ასისთავსა – უზბაში”^[10].

აქ ჩამოთვლილი ძველი სახელები ზოგიერთთა გამოკლებით იგივე სახელებია, რაც კარის გარიგებაში გვხვდება.

ისტორიკოსი ი. ჯავახიშვილიც იმ აზრის არის, რომ ვახუშტის “უეჭველია ერთ-ერთ წყაროდ კარის გარიგებაც ექნებოდა”^[11]. მაგრამ ამავე დროს ი. ჯავახიშვილი შესაძლებლად თვლის, რომ ვახუშტის მიერ მოხსენებული “გელათური ძველი გარიგების და სამართლის წიგნი” შეიცავდეს გელათის მონასტრის გარიგებას და სამართალს. ეს ის “გაენათის საყდრის ძველი იადგარი და გვიჯარი” უნდა იყოს, განაგრძობს ი. ჯავახიშვილი, “სადაც დაურვების წესი და სამონასტრო სამართალი წერებულა, რომელიც მოხსენებულია იმერეთის მეფის ბაგრატ III 1545 წ. სიგელში”^[12]. აქ ავტორი უჩვენებს ერთს ჩვენ მიერ დაბეჭდილს გელათის გუჯარს, რომელშიაც მოხსენებულია ეს ძველი იადგარი და გვიჯარი^[13]. ჩვენ ამ აზრს ვერ ვიზიარებთ: რომ ქრონოლოგიური ცნობები, რომლებიც ვახუშტის მოჰყავს თავის ისტორიაში, ყოფილიყო იადგარში და გვიჯარში, ავტორი ამ წყაროებს დაგვისახელებდა, ისე როგორც მესხურ დავითნს იხსენიებს და გუჯრებს ბარათიანთა, თუმანიანთა და სხვათა. ის კი გარიგების და სამართლის წიგნს ასახელებს და ეს სახელწოდება უფრო შეეფერება ჩვენს კარის გარიგებას და გიორგი ბრწყინვალის სამართალს, რომელიც თან დართული აქვს კ. გარიგების ტექსტს. ამიტომ ჩვენ გვგონია, ვახუშტის ძველი გარიგების და სამართლის წიგნი

იმერეთს გელათური არის ჯელმწიფის კარის გარიგების და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის დედანი, ვახუშტის დროს გელათში დაცული თავისი ქრონოლოგიური ცნობებით. მოხსენებული ხელნაწერის ქრონოლოგიური ცნობები ჩვენ შეგვიანხა თვით ვახუშტიმ და უფრო ვრცლად კიდევ შეუტანია თავის შრომაში პარიზში დაცული ქართული ქრონიკის შემდგენელს^[14]. თვით ის გარემოება, რომ ქრონოლოგიური ცნობები ამ გელათურ ძველი გარიგების და სამართლის წიგნში გიორგი ბრწყინვალის იწყებოდნენ, მოწმობს, რომ წიგნი გიორგი ბრწყინვალის დროს უფრო გვიან არ ყოფილა გადაწერილი. ვახუშტის შენიშვნა, რომ იმერეთს არს აღწერილი, რასაკვირველია, ქრონოლოგიურ ცნობებს ეკუთვნის, მაგრამ ეტყობა ხელნაწერიც იქ ყოფილა გადაწერილი და თუ ჩვენს ზემო მოყვანილ მოსაზრებას მივიღებთ, კ. გარიგებაც იქ უნდა იყოს შედგენილი გიორგი ბრწყინვალის დროს.

ვის მიერ უნდა იყოს შედგენილი კარის გარიგება

ჯელმწიფის კარის გარიგების მსგავსი ძველი ჩვენ მარტო ერთი გვაქვს, ეს არის დასტულამალი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისა, რომელიც შედგენილია და გამოცემული ვახტანგ მეფის მიერ. დასტულამალი არის კანონმდებლობა ანუ “წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა” და ამის გამოცემის და დაკანონების მიზანი იყო, “რათა ყოველნი ჯელის-უფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი ესრეთ (როგორც დასტულამალშია) იქცეოდნენ და განაგებდეს თვს თვსნი მოხელენი საჯელოთა თვსთა და წესითა შემსგავსებითა იქცეოდნენ”^[15]. აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ვახტანგ VI არ იცნობს სრულებით ჩვენს კარის გარიგებას. ის არც ერთს მაგალითს არ უჩვენებს ამ გარიგებიდან. არც ერთი შედარება არ მოჰყავს, თუ როგორ იყო ძველად. ის აკანონებს მხოლოდ იმას, რაც როსტომ მეფის დროს იყო შემოღებული და უმატებს კიდევ თავისას. ვახტანგ მეექვსეს რომ ჩვენი გარიგება სცოდნოდა, ის უსათუოდ გამოიყენებდა მას და ღირსეულადაც დააფასებდა. ყოველ შემთხვევაში ამის ტექსტს შეგვიანხავდა თავის დასტულამალთან ერთად, ისე როგორც მან შეგვიანხა თავის სამართალთან ყველა სხვა მეფეთა კანონმდებლობა, რომელიც მოიპოვა საქართველოში. მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა ჩვენს კარის გარიგებაშიც ვიცნათ ისეთივე კანონმდებლობა ანუ განწესება რომელიმე მეფისა, როგორც ვახტანგ მეფის დასტულამალია? ჩვენ გვგონია არა. ჩვენი კარის გარიგება საერთოდ ოფიციალური აქტი არ არის. ის არ არის განწესებული და გამოცემული ერთი მეფის მიერ როგორც სახელმწიფო კანონმდებლობა, არამედ შედგენილია რომელიმე კარისკაცის მიერ პრაქტიკულის საჭიროებისათვის, პრაქტიკულის მიზნით, როგორც სახელმძღვანელო კარისკაცებისათვის, ხელისუფალთათვის და საზოგადოდ ყველა მოხელეთათვის. ეს არის ერთგვარი კრებული, კოდექსი, სახელმწიფოს მართა-გამგეობისა, მეფის კარის წესრიგისა, მოხელეთა და ხელისუფალთა უფლება-მოვალეობისა, რომელიც დაკანონებული იყო სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეფის მიერ და კანონად და ჩვეულებად შემოღებული. ადვილად წარმოსადგენია, ავტორს ეს შეესრულებიოს მეფის დავალებით, მაგრამ მეფეს ის თავის მხრით არ დაუკანონებია და სახელმწიფო აქტად არ უქცევია, არ უბრძანებია ვახტანგ VI მსგავსად, რომ ყოველნი ჯელისუფალნი და მოქმედნი ამ წესით განაგებდნენ საჯელოთა თვსთა. ამით აიხსნება, რომ კარის გარიგებაში დიდი ადგილი აქვს სუბიექტურ მხარეს, ავტორის პირად შეხედულებას, მის მოსაზრებას და პოლემიკას სხვა კარის გარიგების ავტორებთან. ცხადია, ასეთი კილო, კერძო შეხედულება და პოლემიკა შეუძლებელი იქნებოდა მეფის საკანონმდებლო აქტში.

ავტორი ანუ შემდგენელი კ. გარიგებისა უსათუოდ კარისკაცია, მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მეფესთან, ის მოხელეა და ზოგჯერ აღმასრულებელი ზოგიერთი სადარბაზო წესისა. ეს ცხადად ჩანს შემდეგი ადგილიდან: “წვევა სამთა საბატოთა დარბაისელთა საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და პატრონისგან არ მასმია, მისმან კეთილმან” (სტრ. 305 – 307). ავტორი პატრონს, მეფეს, ფიცულობს, რომ მას არ სმენია მეფისაგან, რომ საწოლის მწიგნობრის საქმე იყოს წვევა სამთა საბატოთა დარბაისელთა. რასაკვირველია, ამის თქმა მხოლოდ მეფესთან დაახლოვებულს კარისკაცს შეეძლო. ამას გარდა ავტორი მეფის მხლებელია მოგზაურობის დროს და მისი ბრძანების მიმღები და ამსრულებელი. ის სწერს: “ალის ჭალას, ოდეს მათი (მეფის) შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკოზ[ი] თანა ჰყვა და აღს ეკლესიის კარს დგა^[16]. და რად წვევის ჟამი მოვიდეს, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე პატრონ[ი]ს წინაშე დგა, და პატრონმა ბ[რ]ძანა: “ვინ უწყის კათალიკოზიო?” და მიბ[რ]ძანეს მე: “ვაწვევო”, (სტრ. 307 – 312). აქედან ცხადია, რომ ავტორი კარისკაცია, მეფის მოხელეა, მისი მახლობელია. არის კიდევ მესამე ადგილი, სადაც ავტორი სწერს: “მაგრამ მე ვიცი პატრონისა ბრძანებად, რომე ოთხნივე (მეფენი) დაისხმიან დიდროანითა სკამითა” და სხვა (სტრ. 293 – 295). მართალია, ამ ადგილს სიტყვა ვიცი-ს მაგიერ სწერია კაცი, მაგრამ ეს შესწორებაც რომ უარვევოთ, მაშინაც ცხადია, რომ ავტორი კარისკაცია და მეფესთან ასე თუ ისე ახლო დგას. მაგრამ არა ჩანს, თუ რა მოხელეა ავტორი, რა თანამდებობის პირია. ხოლო ერთი შეიძლება ითქვას, ის ვეზირი არ არის, მაგრამ არც საწოლის მწიგნობარზედ და ამირეჯიბზედ ბევრად დაბალი მოხელე არის. რაკი ამირეჯიბის მაგიერ მას მიანდვეს კათალიკოსის წვევა, ის შეიძლება გამგეთ-უხუცესი იყოს, ვინაიდან განმგეთ-უხუცესი თანამშრომელი იყო ამირეჯიბისა. აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ: როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ავტორი კარის გარიგებისა მეფის კარისკაცია, ამით არ გვინდა ვამტკიცოთ, ვითომც კ. გარიგების შედგენის დროსაც ის უსათუოდ მეფის კარზე იყოს, ადვილად შესაძლებელია, ავტორი ამ ძეგლის დაწერის დროს უკვე ყოფილი კარისკაცი იყო და ან ქუთაისში ან გელათში იყო დამკვიდრებული, თუ მართლა ძეგლი ამ ადგილებშია დაწერილი.

რა წყაროებით სარგებლობს ავტორი “კარის გარიგების” შედგენისათვის

რაკი გამოირკვა, რომ ავტორი კ. გარიგებისა თვით მეფის კარისკაცია ანუ ყოფილი კარისკაცი, ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ ის აგვიწერს უმთავრესად იმ წესწყობილებას, რომელიც არსებობდა საქართველოში მის დროს, რომლის მოწამე და ზოგჯერ აღმასრულებელი თვით იყო, მაგრამ ეს წესწყობილება ძლიერ რთულია, ის გამომუშავდა თანდათანობით საუკუნეთა განმავლობაში და არა შემოღებულ იქმნა ერთი რომელიმე მეფის დროს. ეჭვს გარეშეა, ყოველ ბრწყინვალე მეფობას თავისი “კარის გარიგება” ჰქონდა. ერთი მეორისაგან ზოგ რამეში განირჩეოდა. სხვადასხვა ხელისუფლება სხვადასხვა დროს იყო შემოღებული. ზოგ მოხელეს მეტი პატივი ენიჭებოდა, ზოგი მცირდებოდა. აქ საჭირო იყო ამ სხვადასხვა განწესებათა და წესრიგთა სისტემაში მოყვანა, ერთგვარი კოდიფიკაცია, ერთგვარი ჩამოყალიბება. ეს უკისრია ჩვენი კ. გარიგების შემდგენელს. მას ყოველ ეჭვს გარეშე ჰქონია ხელში წინანდელი კარის გარიგება, არა ერთი, არამედ რამდენიმე, სხვადასხვა ავტორებისა. როდესაც ის უჩვენებს სხვა კ. გარიგების ავტორს, ჩვეულებრივად ხმარობს სიტყვას “დაუწერია”. მაგალითად: ამ ოთხთაგან ერთი საჯდომი მარჯვენით დაუწერია... (სტრ. 291); საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია (სტრ. 306); აწ ვინათგან დაუწერია (სტრ. 316); ზოგთა ვი[ე]თმე ასრე უწერია (სტრ. 282). შემდგენელი ჩვენი კ. გარიგებისა მაშინ იხსენიებს სხვა კ.

გარიგების ავტორებს, როდესაც მათ აზრს და ნაწერს არ ეთანხმება, არღვევს, ეკამათება, პოლემიკას უწევს. სხვისი აზრის გასაბათილებლად ის ხან მეფეს, პატრონს, იმოწმებს, მას ფიცავს. მაგალითად ის ამბობს: “წვევა სამთა საბატოთა დარბაისელთა საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია, და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან!” (სტრ. 305 – 307). ზოგჯერ ის ცნობილი ისტორიული პირის ავტორიტეტით სარგებლობს და მის ნაწარმოებს მიმართავს სხვისი აზრის გასაბათილებლად. ასეთი ავტორიტეტია მისთვის არსენ იყალთოელი, რომლის ლექსის პირველი ტაეპი: “ვინ ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს”, მოჰყავს მას იმის დასამტკიცებლად, რომ არა თუ ოთხი მეფე, არამედ თორმეტიც ერთად დაისხმიან პურობის დროს: “არსენ იყალთოელი ეგეთი კაცი მტყუანი (ტყუილის მთქმელი) - როგორ ეგებს”-ო, დასძენს ჩვენი ავტორი (სტრ. 285 – 286). აგრეთვე არღვევს ავტორი სხვა კარის გარიგების შემდგენელის აზრს, რომ წვევა სამთა საბატოთა ვეზირთა საწოლის მწიგნობრის მოვალეობა არისო. ამ შემთხვევაში ის მაგალითს უჩვენებს და მოწმობს, რომ ალის ჭალას ყოფნის დროს პატრონმა მას, ჩვენს ავტორს, უბრძანა კათალიკოსის წვევა, თუმცადა საწოლის მწიგნობარი ინასარიძე იქვე პატრონის წინაშე დგა, ხოლო მეორეს წელს პატრონს განუცხადებია, რომ სამთა ვეზირთა წვევა ამერეჯიბს მართებსო, და რომ ეს ასე ყოფილა, ამას სოფრომისძეც მოწმობსო, შენიშნავს ავტორი. თუმცა ავტორი ჩვენი კარის გარიგების ამგვარი საბუთებით არღვევს წინა ავტორის “კარის გარიგების” ცნობებს, მაგრამ ზოგჯერ უთმობს და თანახმაა დარჩეს ისე, როგორც დაუწერია წინა ავტორს: აწ ვინათგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმანო, აბოლოებს ერთს თავის შენიშვნას ავტორი (სტრ. 316).

კ. გარიგების წყაროდ მარტო ყოფილ კ. გარიგების წიგნები კი არ აქვს ავტორს, არამედ ის სარგებლობს ისტორიული საბუთებით, მატთანებით და ნამეტნავად ქართლის ცხოვრებით. მან იცის ამ წყაროების მეოხებით, თუ რომელ მეფეს რომელი მოხელეობა შემოუღია, ვის რა წესი მიუღია და სხვა. მან იცის, რომ გიორგი მეფეს, თამარის მამას, ჯაჭვი სეფეთათვის ვერცხლისა შემოუღია სალმასურის სახესა ზედა (სტრ. 33 – 34). მან იცის, რომ ათაბაგი შედარებით ახალი ვეზირია, მან იცის რომ მსახურთ-უხუცესი რუსუდან მეფეს გაუხდია ვეზირად და სხვა. ხოლო რაც შეეხება ქართლის ცხოვრებას, მას მოჰყავს ვრცელი ტექსტი თამარ მეფის ისტორიკოსიდან, რომელიც სიტყვა სიტყვით ეთანხმება კარის გარიგებაში მოყვანილს ცნობებს. შესადარებლად მოგვყავს აქ ორივე ტექსტი:

კარის გარიგება

**ერისთავნი და კელის მქონებელნი დიდისა
თამარ მეფისა:.**

რომელიცა განაჩინა და ერთ ნებითა შჯდსავე სამეფოსა დიდებულთა ბ[რ]ძანა დამტკიცებად ჭყონდლად. მწიგნობართ-უხუცესად და ვეზირად გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ-მეფისა ანტონე გლონისთავისძე, კაცი ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს სჯანი, ერთგული და შემცნებელი საურავთა. და განაჩინა ამირ-სპასალარად სარგის მჭარგრძელი, კაცი გვარიანი და აღზრდილი ლაშქრობასა შინა და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა. და გააჩინა და უბოძა ჭიაბერს მანდატურთ-

უხუცესობა და უბოძა არგანი ოქროსა ჯელთა მისთა და შთააცვეს საფრამანგი ტანსა მათსა და დასვეს სელებითა ოქრომჭედლითა რომელიმე მარჯვენით მისა და რომელიმე მარცხენით. და კუალად უბოძა მეჭურჭლეთ უხუცესობა დიდსა და გვარიანსა კაცსა კახაბერსა ვარდანის ძესა, და მსახურთ-უხუცესობა ვარდან დადიანსა, და ჩუხჩარეხოზად მარუშიანსა, ძესა ჩახჩურეხისასა, და უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელსა.. (ამას იქით აკლია მთელი რვეული ანუ ექვსი ფურცელი) (§ 30).

ქართლის ცხოვრება

(თამარ მეფემ..) თანადგომითა და ერთნებობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჰყონდიდლად, მწიგნობართა უხუცესად, ვაზირად გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ-მეფისა ანტონი გლონისთავისძე, კაცი ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს ერთგული და შემცნებელი საურავთა და გააჩინა ამირ-სპასალარი სარგის მჭარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა ჭაბუკობათა და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა.. და გააჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ჯელთა მისთა და შთააცვეს ტანსა საკრამანგი მათსა და დასვეს სელებითა ოქრომჭედლითა რომელიმე მარჯვენით მისსა და რომელიმე მარცხენით. და კუალად უბოძა მეჭურჭლეთ-უხუცესობა დიდსა და გვარიანსა კაცსა კახაბერსა ვარდანის ძესა, და მსახურთ-უხუცესობა ვარდანს დადიანსა, ჩურჩერახობა მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარეხისასა... და უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელსა.. (ქართ. ცხ 'ბა, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 410 – 411. ბროსეს გამოცემა გვ. 282 - 283).

კარის გარიგებაში ზემო აღნიშნული ტექსტი უფრო კარგად არის შენახული, ხოლო ქართლის ცხოვრებაში იგივე ტექსტის აღდგენა შეიძლება მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით, რომელნიც ჩვენ ნაჩვენები გვაქვს ჩვენს მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების გამოცემაში. და ამის მიხედვით მოგვყავს ზემოთ ქართლის ცხოვრების ტექსტი. ის გარემოება, რომ მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტების საშუალებით შეიძლება აღდგენა ამ ადგილისა, რომელიც შეუნახავს უცვლელად კარის გარიგებას, ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვარიანტებს ქართლის ცხოვრების ტექსტის აღდგენისა და შესწავლისათვის. ავტორი კარის გარიგებისა იხსენიებს კიდევ ზოგიერთ პირებს და ემყარება მათ სიტყვას თავის აზრის დასამტკიცებლად. მაგალითად, ავტორი იმოწმებს ვიღაც სოფრომისძეს, რომლის თქმით ოთხთა მონაზონთა და სამთა ვეზირთა წვევა მეფეს მიუხდვია ამირეჯიბისათვის და არა საწოლის მწიგნობრისათვის, როგორც სხვა კარის გარიგებაში წერებულა (სტრ. 312 – 314).

ასეთ უტყუარ საბუთებს ემყარება ავტორი კარის გარიგებისა და რასაკვირველია მისი ცნობები დიდ ღირებულებას წარმოადგენენ ჩვენთვის.

წესრიგი ჩვენი კარის გარიგებისა, უნდა ვიფიქროთ, საერთოდ სრულდებოდა საქართველოში არა თუ ერთმეფობის დროს, არამედ საქართველოს სამ სამეფოდ გაყოფის შემდეგაც, მაგრამ რასაკვირველია უფრო მცირე მასშტაბით. ხოლო ახალი წესრიგი, ახალი გარიგება, შემოიღო როსტომ მეფემ სპარსეთის კარის გარიგების მიხედვით XVII საუკუნეში, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ. რომ კარის გარიგებაში მოხსენებულნი წესნი და განჩინებანი ცხოვრებაში იყო გატარებული და

სავალდებულო იყო ყველასათვის შემდეგ დროშიაც, ამას მოწმობს ერთი მერმინდელის ხელით (XVIII საუკ.) მინაწერი დავით-გარესჯის ტყავის სიგელზედ 1479 წლისა, # 6 საეკლესიო მუზეუმისა: “ქ: დიდის^[17] უდაბნოს დავით გარეჯის. ძღვენი უნდა მიერთმოდეს. ქარ[თ]ველ მეფეს. და კახთ მეფეს. ქ: ექუსი ქვევრი თაფლი: -

ქ: სამი ქვევრი კაპრის მწნილი: -

ქ: სამი ცოცხი. ის ცოცხი ფარემთ-უხუცეს. უნდა ებაროს.

ნიადა. დილაზედ დო-

რსა და სუზანზედ სამჯერ. უნდა. გადმოუსვამდეს. ორი

მღდელ მონაზო-

ნი უნდა. გამოარჩიოს. მამამა კარგნი მოწესენი, და კარგნი მწიგნობარნი. და კარგნი

მოჟამნენი. ამათის. ჰელით უნდა მიართონ ძღვენი. ყველიერის. კვირას. და მარხ-

ვაში მონაზონები მეფის. კარზედ. უნდა, იყვნეს იმათ. უნდა იწესონ. და მარხვის. დღესასწ-

აული იმათ აღასრულონ. აღდგომის. დღეს. ჟამი უნდა წირონ და უთხოვ-
ლათ.

წამოვიდენ. დიდს. მამას იახლნენ. ახალს. კვირიაკეს მართლმადიდებელთ მეფეთ. უნდ-

ა. აღტვირთონ. ჯორები და კარაულები. მრავლის სანოვაგით. და შესაწი-
რავით და მო-

უძღვანონ. დიდსა. მამასა და. წმიდათ კრებულთ:”

თუ ამას შევადარებთ რაც მოთხრობილია მე-29 მუხლში ჩვენი კ. გარიგებისა (სტრ. 365 – 380) და აგრეთვე ერთს ადგილს მე-16 მუხლისა (სტრ. 148 – 150), დავრწმუნდებით, რომ არსებითად განწესება დავით გარესჯის მოვალეობის შესახებ სამეფო კარის წინაშე უცვლელად სავალდებულოდ დარჩენილა შემდეგ საუკუნეებშიაც.

ენა და ტექსტი კარის გარიგებისა

ენა კარის გარიგებისა უჩვეულოა ჩვენთვის. ჩვენ არა გვაქვს გამოქვეყნებული სხვა ნაწარმოები, რომლის ენა მსგავსი იყოს კარის გარიგების ენისა. ეს ენა ერთობ ლაკონიურია, გრძელი ფრაზები და სხოლასტიური ფორმები აქ არ არის სრულებით. აზრი ყოველთვის მოკლედ მოჭრილია. მრავალსიტყვაობა უკუგდებულია. ხშირად სიტყვები აკლია, თქვენ უნდა უფრო აზრით მიხვდეთ, რა უნდოდა გამოეთქვა ავტორს, ვიდრე ეს იქ ნახმარი სიტყვებით არის გამოთქმული, სიმარტივით კარის გარიგების ენა უფრო საკანონმდებლო ძეგლების ენას მოგვაგონებს და გიორგი ბრწყინვალის სამართალს შეიძლება რამდენიმედ დაუახლოვოთ, თუმცა თვალსაჩინო მსგავსება კი არ არის. პროვინციალური ფორმები გვხვდება ზოგჯერ და ამით აიხსნება სიტყვები: ვირემდი ვიდრემდის მაგიერ (სტრ. 423), რომე რომ-ის მაგიერ (სტრ. 455), მუნე მუნვე-ს მაგიერ (სტრ. 16) და სხვა. ასეთი სიტყვები: როგორიც არის მეგრული სიტყვა ურთუმელი – უთავო (ო რთუმელი მეგრულად მუთაქას, თავის დასადებს ნიშნავს. ი. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, стр. 307) და ჩაფლა (მეგრულად ჩაფულა, სვანური ჩაფულ) ერთ და იმავე დროს ფეხსაცმლის და საჩუქრის მნიშვნელობით (სტრ. 379), მოგვაგონებენ დასავლეთ საქართველოს და ავტორი კ.

გარიგებისა იქიდან უნდა იყოს. ხშირია სინტაქსური ანომალიებიც. მაგალითად, ერთგვარი დამატებანი ხშირად სხვადსხვა ბრუნვაშია, როგორც ეს შეუსწორებელ ტექსტს ემჩნევა მე-7 მუხლისა (სტრ. 42 – 52). მაგრამ ასეთი მოვლენა ტექსტის დამახინჯებითაც შეიძლება ავსხნათ.

ტექსტმა “კარის გარიგებისა” არა თუ ნაკლულად მოაღწია ჩვენამდის, არამედ ძლიერ გარყვნილადაც. ტექსტი დაყოფილია მუხლებად. ყოველი მუხლი იწყება სინგურით ნაწერ სიტყვით ანუ სიტყვებით. სათვალავი მუხლებს არა აქვთ და ამ გამოცემაში ჩვენ დავურთეთ. სულ ჩვენამდის მოღწეულს ტექსტში 39 მუხლია. ამათში მე-10, მე-19, მე-34 ნაწყვეტად არის მოღწეული, მე-9, მე-18, მე-30, მე-33 და მე-39 ნაკლულად. ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთი მუხლები “კარის გარიგებისა” თავის ადგილზე არ არის, არეულია გადაწერის დროს, ან არეულად და ნაკლულად ყოფილა დედანში, რომლიდანაც გადმოუწერიათ. მაგალითად, მეოთხე მუხლი იწყება სიტყვებით: “ეს ზემოთ დამაკლდა: ჳმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა”. ზემოთ კი პირველ სამ მუხლში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი დარბაზობის შესახებ. დარბაზობის წესი იწყება მეოცე მუხლის ბოლოდან (სტრ. 279) და თავდება ოცდა მეცხრე მუხლით, სადაც სწერია: დასრულდა დარბაზის წესი. ცხადია, ზემო მოყვანილი შენიშვნა ამილახორის შესახებ ამ მუხლების შემდეგ უნდა ყოფილიყო და არა თავში “კარის გარიგებისა”, ანდა დარბაზობის წესი მესამე და მეოთხე მუხლებს შუა უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ასეთივე შენიშვნა გვაქვს ჩვენ მონადირეთ-უხუცესის შესახებ მეოცე მუხლში (სტრ. 258), სადაც ვკითხულობთ: “მონადირეთ-უხუცესისა ზემოთ დაგწერია”, მაგრამ ეს შენიშვნა სწორია, ვინაიდან მართლა ზემოთ პირველს და მეორე მუხლში მონადირეთ-უხუცესის შესახებ არის ცნობები. ამას გარდა მეორე ნახევარი მეხუთე მუხლისა (სტრ. 34 – 36), სადაც ამილახორის დაჯდომის წესი იხსენიება, უფრო მეოცდაცამეტე მუხლის ნაწილს უნდა შეადგენდეს, რომელშიაც მოთხრობილია პურობის ანუ მეჯლიშის დროს დასხდომა და წესრიგი (იხ. § 33). მეცამეტე მუხლში სწერია: “განმგეთ-უხუცესისაგან მიღება ზემო დამიწერია” (სტრ. 101), ხოლო ზემოთ გამგეთ-უხუცესის შესახებ არაფერი სწერია მაგრამ ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამის ზემოთ დედანს ხუთი ფურცელი აკლია. ნაკლულოვანებით აიხსნება აგრეთვე, რომ არ მართლდება შენიშვნა: “ძმანი გარესჯელნი და თორმეტნი უდაბნოთანი, ვითარცა მართებს, ქვემო სწერია, ესენი მარცხენის მკარსა სუფრისასა” (§ 32, ბოლოში). ქვემოთ კი ამათ შესახებ არაფერი არ სწერია.

ბევრი გაუგებრობა ტექსტისა სიტყვების და ფრაზების გამოშვებით აიხსნება. თუმცა ენა კარის გარიგებისა საზოგადოდ ლაკონიურია, ფრაზები მოკლედ მოჭრილი, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ამით ავსხნათ ისეთი მოვლენა, როგორიც მეშვიდე მუხლში გვხვდება. აქ მთელს მუხლში შესმენილი არ არის. ჩვენი აზრით მივუმატეთ საკითხავია, ესე იგი მოსაკითხავია, რადგანაც აშკარაა, რომ უმცროსს ხელისუფალს უფროსი ხელისუფალი უნდა მოეკითხა აღდგომა დღეს. ფრაზების გამოშვება ეტყობა კიდევ მეექვსე და მეშვიდე მუხლებში (იხ. § 6-და § 7-ის ორი შენიშვნა), აგრეთვე მე-17 მუხლში (სტრ. 172 შენ.), მე 33 მუხლში (სტრ. 436, შენ.) და სხვა ადგილებში. ზოგჯერ სიტყვები შეცდომით არის გამეორებული (იხ. სტრ. 151, 152, შენ; სტრ. 167 – 8 შენ.), ხოლო დამახინჯება სიტყვებისა და აქედან წარმომდგარი გაუგებრობა ფრაზებისა ჩვეულებრივია. ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ შეძლებისამებრ ზოგიერთი ასეთი სიტყვები შეგვესწორებინა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჩვენ აღნიშნული გვაქვს სხოლიოში, თუ რა ფორმით იყო წარმოდგენილი სიტყვა დედანში. მოგვყავს აქ ნუსხა ზოგიერთ შესწორებათა:

აშვერილისა

აშვერილსა (სტრ. 6)

ტყვის მცველი	ტყის მცველი (10)
სახლისა	საჯელოსა (62)
სამი სახელი	სამასი სახლი (99)
ვეზირთა	ვეზირია (107)
ზედა დამდგომელი	ზედამდგომელი (113)
გარდაფაორონ	გარდააფაორონ (131)
მ' ფლთ	ჩაფლთ (146)
წერიტა	სელიტა (158)
საგაზროსა	სავაზიროსა (176)
არა	რა (177)
მ' ფსა	მეფისა (180)
მერმე	მერემეთ (103 - 204)
სამოშაოს	სამუშაოს (255)
დასწერეს	დასწერს (265)
უყალთელი	იყალთოელი (285)
ტოელთა	ტაოელთა (288)
შარვან შალენნი	შარვან-შაჰენნი (289)
კაცი	ვიცი (293)
გაბლებიტა	ტაბლებიტა (295)
რა იყო	არა იყო (315)
ბერებთა მეფე	ბერბენთა მეფე (342 - 343)
დარ	და არ (347)
მითი	მით (351)
ჯამის	ჯამს (504)

ზოგიერთი შემოკლებანი სიტყვებისა აღნიშნული გვაქვს აგრეთვე სხოლიებში. ციფრები სხოლიების მძიმემდის უჩვენებენ გვერდის სტრიქონის რიცხვს.

ზოგიერთი შესწორება, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს სიტყვების თუ ასოების მიმატებით ფრჩხილებში, გამოწვეულია ტექსტის აზრის მსვლელობით და იმ წინააღმდეგობით, რომელიც შეუსწორებლად ამკარა ხდება. მოვიყვანთ ერთს მაგალითს. მე-20 მუხლის ბოლოს სწერია: “ზოგთა ვი[ე]თმე ასრე უწერია, ვითა ტრაპიზონელ[ნი] და შარვან-შანშე და სომეხთა მეფე რა მოვიდნენ, საჯდომი ერთი არის ოთხთავე” (სტრ. 282 – 284). შემდეგ ამისა ავტორი ეკამათება ავტორს ამ სიტყვებისა და არსენ იყალთოელის ლექსის მოყვანით ამტკიცებს, რომ დავით აღმაშენებელს (მეფის სახელი მოხსენებული არ არის, მაგრამ თავისთავად იგულისხმება) ნაჭარმაგევს თორმეტი მეფე დაუსხამს ერთად: “ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგევს და თორმეტნი დასხდეს” (სტრ. 289). და ამის შემდეგ ავტორს დასკვნა გამოჰყავს და კითხულობს, თუ დავითმა თორმეტი ჩასხა ერთად, ერთი საჯდომით, “**ოთხნი რად ვერ დაეტოდეს**”-ო (სტრ. 290). ამკარაა, ეს კითხვა და პოლემიკა უსაფუძვლო იქნებოდა, რომ იმ ზოგთა ვი[ე]თმეს ნაწერი ზემოთ სწორად იყოს მოყვანილი ჩვენს ტექსტში. ცხადია, ზოგთა ვი[ე]თმეს ნაწერში ყოფილა: საჯდომი ერთი არ არის ოთხთავეო, ან მსგავსი ამისა. ამიტომ ჩვენ აქ ფრჩხილებში მიუმატეთ არ. კიდევ უნდა აღვნიშნოთ ერთი სიტყვის შესწორება, რომელიც უამისოდ ჩვენთვის გაუგებარი რჩება. მე-34 მუხლი ნაწყვეტად არის მოღწეული. აქ რაღაც დიდი ცილობა ყოფილა ორ კათალიკოს შორის და ნახმარია ასეთი ფრაზა: “არ მოელის კათალიკოსსა, რომე არავი ქვეშეთ შექმოდესო.”

სიტყვა არავი ქარის სახელია ლიონოტოსის და ლიფსის საშუალო მქროლის საბას განმარტებით, ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარია ჩუბინაშვილის განმარტებით, მაგრამ ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა აქ ყოვლად მიუღებელია, ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ აქ შეცდომაა და არავი-ს მაგიერ უნდა ყოფილიყო არავიქი, რომელიც მღვდელმთავრის შესამოსელს ნიშნავს საბას განმარტებით და აზრით აქ უდგება. შეცდომის ჩადენა გადამწერის მიერ ადვილად აიხსნება, რადგანაც შემდეგი სიტყვა ასო ქ-ით იწყება. მრავალია სხვა შესწორებანიც, რომელნიც ჩვენ შემოგვაქვს სიტყვების თუ ასოების მიმატებით. ყველა მიმატებული ასოები, რომელნიც ქარაგმის გახსნით არ არის გამოწვეული, ჩასმულია ფრჩხილებში. რასაკვირველია, მრავალი შესწორება, რომელნიც ჩვენ შემოგვაქვს, საცილობელი და სადავოა, მაგრამ ეს პირველი ცდა არის ძლიერ გარყვნილად მოღწეულის ტექსტის შესწორებისა და სრული აღდგენა მისი მომავლაზე დამოკიდებული.

აზრის გაგება ჩვენი ძეგლისა ხშირად დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ დავსვამთ სასვენ ნიშნებს. ტექსტში არავითარი სისტემა არ არის, დაცული გარდა იმისა, რომ ყოველი მუხლის დასასრულს უზის სამი წერტილი, იშვიათად ორი. ამას ჩვენ ვიცავთ. სხვა შემთხვევაში აქა-იქ წერტილია ნახმარი, მაგრამ ხშირად ერთი წინადადება მეორისაგან წერტილით არ არის გაყოფილი. ამიტომ ნიშნების დასმა დიდი საპასუხისგებო საქმეა. მოვიყვან ერთ მაგალითს. იქ, სადაც ჭყონდიდლის და ათაბაგის შესახებ არის ლაპარაკი (გვ. 6), ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი:

“ჭყონდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახ[ა]ლია. ჭყონდელისა მწიგნობრობა შემოსრულა, არ[ს] მწიგნობართ უხუცესობა ჭყონდელისა. გასულა ათაბაგი დიდი და საბატო და ძვრად ოდესმე იქმნების. ჭყონდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირ-სპასალარი დასხდენ”, მაგრამ შენახული ტექსტის მიხედვით თითქო უფრო სამართლიანია ასე დაუსვათ ნიშნები:

“ჭყონდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახ[ა]ლია. ჭყონდელისა მწიგნობრობა შემოსრულა, არ მწიგნობართ-უხუცესობა ჭყონდელისა. გასულა ათაბაგი დიდი და საბატო, და ძვრად ოდესმე იქმნების ჭყონდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირ-სპასალარი დასხდენ”.

პირველი ვარიანტით ჭყონდიდელი მწიგნობარიც არის და მწიგნობართ-უხუცესიც და მის ქვემოთ ჯდებიან დარბაზობის დროს ათაბაგი და ამირ-სპასალარი. მეორე ვარიანტით სულ ამის წინააღმდეგი აზრი გამოდის: ათაბაგობის შემოღების შემდეგ ჭყონდიდელს შერჩენია მხოლოდ მწიგნობრობა და არ მწიგნობართ-უხუცესობა და ძვირად, იშვიათად, იქნებოდა, რომ ოდესმე ჭყონდიდელს ქვემოთ ათაბაგი და ამირ-სპასალარი დამსხდარიყვნენ. აქ გადაჭრით თქმა, თუ რომელი ვარიანტია უფრო მისაღები, ძნელია, ვინაიდან ადვილი წარმოსადგენია, ჭყონდიდლის როლი და პატივი შემცირებული იყოს ათაბაგობის შემოღების შემდეგ და განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ჩვენი კ. გარიგება იწერებოდა. ძნელია აგრეთვე გადაჭრით თქმა როგორ სჯობია ნიშნების დასმა: მიბ[რ]ძანეს მე: “ვაწვეო”, თუ მიბრძანეს: “მე ვაწვეო” (13²⁸⁸).

სასულიერო პირნი “კარის გარიგებაში” მოხსენებულნი და მოძღვართ-მოძღვარი

საეკლესიო და სასულიერო დაწესებულებათა შესახებ სრული ცნობები კ. გარიგებაში არ არის, ალბათ ნაკლებლოვანობის გამო. საეკლესიო და სასულიერო საქმეების გამგე კ. გარიგების მიხედვით არის ჭყონდიდელი: “გელათისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც

საეკლესიო დასნი არიან ყველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საჯელოსა[ა], ვკითხულობთ კ. გარიგებაში (სტრ. 60 – 62). გელათი, როგორც ჩანს, სტავროპოგია არის, თავის საქმეებს თვით განაგებს და უმაშვალოდ ექვემდებარება მეფეს. ასეთივე უფლება ჰქონდა წინათ მინიჭებული დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტერს, მაგრამ, ეტყობა, ჩვენი კ. გარიგების შედგენის დროს ეს უფლება მას აღარ შერჩენია. გარდა ჭყონდიდელისა კ. გარიგებაში მოხსენებულნი არიან ორივე კათალიკოსი, მცხეთისა და აფხაზეთისა, და ეპისკოპოსნი: ქუთათელი, ბედიელი, იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევეარი და გოლგოთელი, უკანასკნელის მონასტერი, თუ ეს იერუსალიმის გოლგოთა არ არის, უნდა მდებარეობდეს სამცხე-საათაბაგოში, ვინაიდან ამ მხარის საეპისკოპოსო კათედრებთან არის მოხსენებული: “რა სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ იმიერით, იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევეარი და გოლგოთელი” (სტრ. 336 – 7). ერთი გოლგოთა ქართლშიაც იყო და სამთავისის სამწყსოს შეადგენდა, მაგრამ იქ ეპისკოპოსი არა მჯდარა და ყოვლად შეუძლებელია ის მონასტერი აქ იგულისხმებოდეს^[18]. ზემოაღნიშნულ ეპისკოპოსთა შორის ყველაზე დიდი პატივი აქვს იშხნელს (სტრ. 338 – 9) და მისი სწორი პატივი აქვს ქუთათელს (სტრ. 351 – 352). აქედან ცხადია, რომ კარის გარიგების შედგენის დროს იშხანის კათედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონია, როგორც ტაოს ეპისკოპოსის საჯდომს. ამას ვერ ვხედავთ ჩვენ მეორე ძეგლში: “წესი და განგება კურთხევისათვის მეფის დროსა, თუ ვითარ დაჰსხდენ მღუდელთ-მთავარნი სრულიად საქართველოსანი”. ამ ძეგლში იშხნელ ეპისკოპოსს ერთის ვარიანტის მიხედვით მე-10 ადგილი უჭირავს და მეორე ვარიანტი მე-11 და ორივე შემთხვევაში მაწყვერელზედ ბევრად დაბლა დგას, ვინაიდან მაწყვერელს მე-5 ადგილი აქვს მინიჭებული^[19]. აქედან დასკვნა შეიძლება გამოვიყანოთ, რომ ხსენებული ძეგლი უფრო გვიან არის შედგენილი ვიდრე კ. გარიგება. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ძეგლში მარტო აღმოსავლეთის საქართველოს ეპისკოპოსებია ჩამოთვლილი და ზემო ქართლისა. დასავლეთ საქართველოდან მარტო ჭყონდიდელია მოხსენებული და მხოლოდ ერთს ვარიანტში აფხაზეთის კათალიკოსიც, არც ქუთათელს, არც ბედიელს, არც მოქველს, არც ცაიშელს და არც სხვა დასავლეთის საქართველოს ეპისკოპოსებს აქ ადგილი არა აქვთ. რას მოასწავებს ეს თუ არ იმას, რომ ეს ძეგლი საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფის შემდეგ არის შედგენილი და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსათვის. დიახ, ძეგლი “თუ ვითარ დაჰსხდენ მღუდელთ-მთავარნი სრულიად საქართველოსანი ანუ აღსავალთათვის სამღუდელ-მთავროთა საყდართა” უფრო გვიან არის შედგენილი, ვიდრე ჩვენი კარის გარიგება და შედგენილია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის. ეს ძეგლი მეთხუთმეტე საუკუნის ადრინდელი არ უნდა იყოს.

დიდი პატივი აქვს კ. გარიგებით მინიჭებული მოძღვართ მოძღვარს. საბა ორბელიანის განმარტებით მოძღვართ-მოძღვარი უფროსი წინამძღვარია. ეხლა მოძღვართ-მოძღვარს უწოდებენ მღვდელს, რომელიც სხვა მღვდელთა მოძღვარია და მათ აღსარებას ჩამოართმევს ხოლმე. ძველად მოძღვარი მასწავლებელს ერქვა. ასეთის მნიშვნელობით არის ეს სიტყვა ნახმარი სახარებაში, ასეთისავე მნიშვნელობით იხმარება კ. გარიგებაშიც, ასე რომ მოძღუართ-მოძღვარი ნიშნავს მასწავლებელთა მასწავლებელს, მეცნიერთა მეცნიერს. მას მოწაფეები ყავს და მოწაფეებითურთ მობრძანდება სამეფო დარბაზს, როდესაც მიიწვევენ. კ. გარიგების მიხედვით მოძღვართ-მოძღვარი ბერია და ეპისკოპოსის ხარისხიც უნდა ჰქონდეს. ის ყოველთვის პირველად იხსენიება ოთხ წარჩინებულ და დიდ ხარისხოვან მონაზონთა შორის. ეს ოთხი მონაზონი არის: მოძღვართ-მოძღვარი, ჭყონდიდელი და კათალიკოზნი ქართლისა და აფხაზეთისა (სტრ. 299 – 300, 313). მოძღვართ-მოძღვარს

უფრო მეტი პატივი აქვს ვიდრე სხვა ეპისკოპოსებს, მეტი პატივი აქვს ვიდრე ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს. პატივი მისი სწორია ჭყონდიდლის პატივისა, მაგრამ ზოგჯერ ამასაც მეტობს. მეფე მას ეპყრობა განსაკუთრებულის ყურადღებით და განსაკუთრებულის პატივის მინიჭებით. როდესაც მოძღვართ-მოძღვარს დარბაზს მიიწვევენ, მას უნდა აახლონ დარბაზის ერნი, ესე იგი კარისკაცნი, დიდებულნი, და გაუგზავნონ ერთი ჯორი და სამი ცხენი თვით მოძღვართ-მოძღვარისათვის და ორი მისთა მოწაფეთათვის. კარის გარიგებაში ასე სწერია: “მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვარისათვის და ორნი მისთა მოწაფეთათვის” (სტრ. 302 – 304). კარის გარიგებაში, სადაც სამი წარჩინებული ხარისხის ბერია ნახსენები, ესე იგი ჭყონდიდელი, ქართლისა კათალიკოსი და აფხაზეთის კათალიკოსი, პირველი ადგილი ყოველთვის მოძღვართ-მოძღვარს უჭირავს, პირველად ყოველთვის მოძღვართ-მოძღვარია მოხსენებული. მაგალითად, კარის გარიგებაში ვკითხულობთ: “მწდე ჩვენთაცა დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთა ვეზირთა: ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა” (სტრ. 299 – 301). მეფე უფრო პატივით იღებს მოძღვართ-მოძღვარს, ვიდრე ჭყონდიდელს, კათალიკოსებს და სამს პირველ ხარისხოვან ვეზირებს. მოძღვართ-მოძღვარს მეფე ნოხის პირს მოეგებება ხოლმე, ხოლო სხვებისთვის ნოხსა ზედა მესამედს წამოიარს (სტრ. 319 – 324). უცხოელ მეფეთათვის ერთი საჯდომი წინანდელ კარის გარიგებაში მოძღვართ-მოძღვარისა და აფხაზეთისა კათალიკოზისა ქვეშეთ წერებულა. აქ ვკითხულობთ:

“ამ ოთხთაგან (ტრაპიზონელი, შარვან-შაჰენი. სომეხთა მეფე და ერთი კიდევ სხვა) ერთი საჯდომი მარჯვნივ დაუწერია მოძღვართ-მოძღვარისა და აფხაზეთის კათალიკოზისა ქვეშეთ და ჭყონდიდელისა ზემოთ (სტრ. 291 – 293).

ეხლა ვკითხოთ ვინ არის ეს მოძღვართ-მოძღვარი, სად ცხოვრობს და მოღვაწეობს ის? ქართულ წყაროებში არა ერთხელ იხსენიება მოძღვართ-მოძღვარი, მაგრამ უძველესი საბუთები უმეტესად გელათის მონასტერს ეხებიან ან რაიმე დამოკიდებულება აქვთ მასთან. ნუ ვინ იფიქრებს, რომ მოძღვართ-მოძღვარი ჩვეულებრივი წინამძღვარი იყოს გელათის მონასტრისა. არა, ერთ და იმავე გუჯარში წინამძღვარი ცალკეა მოხსენებული და მოძღვართ-მოძღვარი ცალკე. ერთს გელათის სიგელში დავით ნარინის დროისა (1267 – 1288) სწერია: “არცა ვისგან რა ეწყინებოდეს, არცა მოძღვართ-მოძღვართა და წინამძღვართაგან და მმათაგან”^[20]. იმავე დროის და მონასტრის მეორე სიგელში სწერია: “და მოწმობითა დიდისა მოძღვართ-მოძღვარისა დავითის მწირველისა ანტონისითა, დიდისა მონასტრისა წინამძღვრისა, პატრონთა მწირველისა იოანესითა და სხვ”... და შემდეგ იქვე: “...გარდაიხდიდეს ალაჰს.... და მერმე ტრაპეზს მოძღვართ-მოძღვარსა, წინამძღვარსა, დეკანოზსა და ყოველთა მმათა კეთილად ნუგეშინისცემითა და განსუწმებითა”^[21]. დავით მეფის სიგელში XIV საუკუნისა მოხსენებულია გელათის მოძღვართა-მოძღვარი საბა (საქ. სიმ. II, გვ. 35), გელათისავე გუჯარში 1495 წ. ვკითხულობთ: “წინამძღვრის კელით გარდაიჯდებოდეს (ალაპი)...მმანიცა სრულიად შეიყრებოდენ და ექუსი მდელი და მოძღვართ-მოძღვარი ჟამსა გვიწირვიდენ...”^[22]. გელათისავე სიგელში 1509 წ. სწერია: “მოვიდეს წინაშე ჩუენსა დიდისა მონასტრისა მოძღვართ-მოძღვარი... ილარიონ... მოგეცით ჩუენის სულის მოძღვარსა და მოძღვართა-მოძღვარსა ილარიონს (იქვე გვ. 327). კიდევ სხვა გუჯარში სწერია: “მივაბარეთ სასოსა ჩუენსა მოძღვართ-მოძღვარსა ილარიონს ჩუენისა სულისა საადაპოდ... ოცსა თეთრსა მოძღვართ-მოძღვარსა მიაართმევდენ (იქვე, გვ. 341). იგივე მოძღვართ-მოძღვარი ილარიონ მოხსენებულია სამს გელათის სიგელში 1519 წ. (იქვე, გვ. 343). ერთს 1527 წ. გელათის სიგელში სწერია: “თქუენ, აფხაზეთისა კათალიკოზო მალაქია და ქართლისა კათალიკოზო ბასილიოს და დიდისა საყდრისა მოძღვართ-მოძღვარო მანასე და წინამძღვარო მაკრე,

ასე დაუმტკიცეთ” (იქვე, გვ. 370). ცხადია, მოძღვართ-მოძღვარი გელათში ცხოვრობს, მაგრამ ჩვეულებრივი წინამძღვარი არ არის გელათისა. ის როგორც მოვიხსენიეთ ეპისკოპოსია.

გელათში საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ჩვენს ლიტერატურაში შემცდარი აზრია დამყარებული, ვითომც გელათი საეპისკოპოსოდ პირველად იმერეთის მეფის ბაგრატ III ბრძანებით დაეარსებინოს მალაქია კათალიკოზ-პატრიარქს. და პირველ ეპისკოპოზად გელათისა დაესვას მელქისედეკ საყვარელიძე. ეს აზრი დამყარებულია მალაქიას გუჯარზედ 1519 წლისა. მაგრამ გუჯრის შინაარსიდან ჩანს, რომ მალაქიას აღუდგენია გაუქმებული საეპისკოპოსო და არა ახლად დაუწესებია. გუჯარში სწერია: “პირველად სხუათა ეპისკოპოსთაგან უმეტესი იყო და აწცა ისევე პირველი საწირავი განუჩინეთ...”, ან კიდევ ასეთი ფრაზა: “და გაუჩინეთ (მელქისედეკ საყვარელიძეს) პატივი და საჯდომი ვითარ პატრიარქთა და მეფეთაგან განაჩენსა ძეგლსა შინა წერილ არს” (ჟორდანიას, ქრ. II, გვ. 343). მაშასადამე, გელათში ეპისკოპოსის კათედრა ძველთაგანვე ყოფილა და მისი პატივი და სამწყსოს საზღვრები პატრიარქთა და მეფეთაგან განაჩენსა ძეგლსა შინა წერებულა. დიახ, კ. გარიგების მოძღვართ-მოძღვარი ეპისკოპოსია, ის გელათში ზის, ის მასწავლებელთა მასწავლებელია, ის მეცნიერთა მეცნიერია, მას მოწაფეები ჰყავს. რას ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ გელათში უმაღლესი სასწავლებელია, იქ აკადემიაა და ამ აკადემიის ხელმძღვანელი, უფროსი, ანუ ეხლანდელის ტერმინოლოგიით რექტორი გელათის ეპისკოპოსია, რომელსაც მოძღვართ-მოძღურის ხარისხი აქვს. ის უსათუოდ ყველაზე უფროსია გელათში, ის უფროსი წინამძღვარია, მას ემორჩილება ჩვეულებრივი წინამძღვარი და მთელი კრებული. ყოველგან, სადაც გელათის კრებულზე ლაპარაკია, პირველად მოძღვართ-მოძღვარი იხსენიება.

ჩვენში გავრცელებულის აზრით უმაღლესი სასწავლებელი, აკადემია, საქართველოში მარტო კახეთში იყო, იყალთოს მონასტერში. შეიძლება იყალთოს მონასტერში იყო აკადემია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა უმაღლესი სასწავლებელი გელათში უნდა ყოფილიყო, ტყვილად კი არ სწერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის შესახებ: “აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იელუსალემად, სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლელებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა, სადთოთა შინა წესად-კანონად, ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად” (მარიამ დედოფლის ვარ., გვ. 295). მაშასადამე, გელათი ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს ცენტრი ყოფილა განათლებისა საქართველოში, იგი დაარსებული იყო მოძღურად სწავლელებისა, სხუად ანუ მეორედ ათინად ქართველთათვის. დავით აღმაშენებლის მეხოტბეც, ამიტომ უწოდებს მას ელადას: “ვნატრი ელადასა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძაღვენ წმინდათ სხეულთა”^[23]. როგორც პირველ ხარისხოვან მეცნიერს მოძღვართ-მოძღვარს, რასაკვირველია, დიდი პატივი უნდა ჰქონოდა და აქვს კიდევ ჩვენს “კარის გარიგებაში”, და ეს იმისი თვალსაჩინო მაჩვენებელია, თუ როგორ აფასებდნენ ცოდნას და სწავლა-მეცნიერებას ძველად საქართველოში.

მოძღვართ-მოძღვარი ერთი კი არ იყო საქართველოში. თვით “კ. გარიგებაში” მოხსენებულია როგორც მოძღვართ-მოძღვარი ისე მოძღვართ-მოძღვარნი, მაგრამ უმთავრესად “კ. გარიგების” ავტორს სახეში გელათის მოძღვართ-მოძღვარი ჰყავს, რომელიც იმავე დროს გელათის ეპისკოპოსიც უნდა იყოს და, მაშასადამე, უფროსი წინამძღვარი გელათისა. შემდეგ დროში მოძღვართ-მოძღვრებად მღვდელნიც იხსენიებიან და უბრალო ბერნიც, და მოძღვართ-მოძღვარი ჩნდება არა მარტო გელათში, არამედ სხვა ნაწილებში საქართველოსა. საქართველოს დანაწილების შემდეგ, ყოველ სამეფოს თუ სამთავროს თავისი მოძღვართ-მოძღვარი უნდა ჰყოლოდა. ნასწავლი სამღვდელო პირი, უფროსი წინამძღვარი მონასტრისა,

რომელსაც სკოლა ჰქონდა, ალბათ, მოძღვართ-მოძღვარად იწოდებოდა. ულუმბის ტაძრის ერთი სიგელი XV საუკუნის დასაწყისის იხსენიებს მოძღვართ-მოძღვარს: “აილოს (ულუმბისა მამათ-მთავარმა) სარჯულო და სახუცო და დრამა, ორი წილი მოძღვართ-მოძღვარსა, მესამედი კათალიკოზსა მოაბაროს”. იქვე კიდევ: “და ნიშანი მოძღვართ-მოძღვარისა არის” (ქორდანია, ქრ. II, გვ. 212 – 213). ვატიკანის წიგნთსაცავის ტყავზედ დაწერილის სურათებიანი სახარების ერთ არა ტექსტის ხელით მინაწერში მოხსენებულია “პალატის მონასტრის მოძღვართ-მოძღვარი გიორგი”. აქ ვკითხულობთ: “მე ყოველთა ტომთაგან უნარჩევსმან მღუდელმან და საწყალობელმან პალატისა მონასტრისა მოძღვართ-მოძღვართა წოდებულმან გიორგი მოვიგე ჩემითა ალალითა სასყიდლითა წმინდაჲ ესე... ოთხთავი” (ამ მინაწერის ფოტოგრაფიული სურათი მაქვს ხელში). მეორე ამგვარივე ხელით მინაწერში მოხსენებულია ჩვენის აზრით კახთა მეფე ალექსანდრე, მაშასადამე, მინაწერი XVI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. შესანიშნავი სწავლული და მოღვაწე XVII საუკუნისა ნიკიფორე ჩოლოყაშვილი კახეთში მოძღვართ-მოძღვარი იყო (იხილეთ ტიმოთეს მოგზაურობა, გვ. 155).

მნიშვნელობა კარის გარიგებისა საქართველოს ისტორიისა და სამართლისათვის

ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში აუარებელი ძეგლები და ისტორიული საბუთები აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, რომელთა მეოხებით ქვაკუთხედი ჩაეყარა ჩვენი ისტორიის შესწავლას, მაგრამ ჯერ არ აღმოჩენილა ძეგლი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც კელმწიფის კარის გარიგებას აქვს. თქმა არ უნდა, მრავალ სხვა ძეგლებში და ისტორიულ საბუთებში არის გაბნეული ცნობები ზემო აღნიშნული საგნების შესახებ, მაგრამ ასე მთლიანად დალაგებული და დაწვრილებით გაშუქებული სახელმწიფო წესწყობილების სურათი, როგორსაც კელმწიფის კარის გარიგება გვამღვეს, არც ერთს ძეგლში და საბუთში არ მოგვეპოვება. უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ არც მოველოდით ასეთი ძეგლის აღმოჩენას ჩვენს ძველს მწერლობაში. ასეთი ძეგლი იშვიათია თვით უაღრეს კულტუროსან დიდ ხალხების და სახელმწიფოთა ისტორიაშიც. რომ ეს ძეგლი მთლიანად შენახულიყო, ჩვენ სრული სურათი გვექნებოდა საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილებისა და ყოფა-ცხოვრებისა. მაგრამ რამაც ჩვენამდის მოაღწია, ისიც ფასდაუდებელია და ისიც საკმაოდ გვიშუქებს მრავალ მხარეს საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისა მეცამეტე საუკუნის დასასრულს და მეთოთხმეტის დასაწყისში. ეს წესწყობილება, რასაკვირველია, თანდათანობით გამომუშავებულია საუკუნეთა განმავლობაში. დაახლოებით მეათიდან მეთოთხმეტე საუკუნემდის, მას თავისი ევოლუცია აქვს და ნიშანია საქართველოს რთული კულტურული ცხოვრებისა და განვითარებისა.

“კარის გარიგება” უმთავრესი წყაროა ჩვენი სამართლის შესასწავლად, ვინაიდან გვამცნევს, რა და რა დაწესებულებანი არსებობდა საქართველოში, ვინ უდგა სათავეში თითოეულს დაწესებულებას, რომელნი ხელისუფალნი ანუ მოხელენი მსახურობდნენ დაწესებულებაში და რა უფლება და მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული თითოეულს მათგანს. თუ ყოველთვის სრული სურათი არა გვაქვს თითოეულის დარგის შესახებ, ამის მიზეზია ნაკლულოვანობა ტექსტისა. ამას გარდა “კ. გარიგება” გვიხატავს სურათს თვით ხელმწიფის კარისა ანუ დარბაზისა და იმ რთულის ეტიკეტისა და ცერემონიებისა, რომელიც არსებობდა კელმწიფის კარზე,

თითოეულს ხელმწიფის ფეხის გადადგმაზე, და რომელიც მოგვაგონებს ლიუდოვიკო მეთოთხმეტის კარის ეტიკეტს. ასეთ დარგს ეკუთვნის შეკაზმვა მეფისა (მუხლი მე-35), წესრიგი პურობისა (მუხლი 31 – 33), წესრიგი დარბაზობისა (მუხლი 20 – 29), წესრიგი ახალი წლისა (მუხლი 1 – 2), წესრიგი განცხადებისა ანუ ნათლისღებისა (მუხლი 3), წესრიგი აღვსებისა ანუ აღდგომისა (მუხლი 6) და სხვა.

მეფე განაგებს სახელმწიფოს ვეზირთა შემწეობით, რომელნიც პირველ ხარისხოვანი ხელისუფალნი არიან სამეფოსა და უდრიან ეხლანდელ მინისტრებს. სულ ექვსი ვეზირია: ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირ-სპასალარი, მანდატურთ-უხუცესი, მეჭურჭლეთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი, ამათში ჭყონდიდელი პირველი ვეზირია, ერთგვარი პრემიერია, უმისოდ არც ერთი სახელმწიფო საქმე არ გადაწყება, ანუ როგორც “კ. გარიგებაში” ნათქვამი ყველა საურავი უმისოდ არ იქნების (სტრ. 65). დანარჩენები ორ ჯგუფად იყოფიან, ერთი არის სამთა ვეზირთა ჯგუფი: ათაბაგი, ამირ-სპასალარი და მანდატურთ-უხუცესი (სტრ. 300 – 301), მეორე ორთა ვეზირთა ჯგუფი: მეჭურჭლეთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი (სტრ. 332 – 334), პირველ ჯგუფს მეტი პატივი აქვს დარბაზობის და პურობის დროს, ისე კი, როგორც ეტყობა, თანასწორნი არიან ყველა ვეზირები. ექვს ვეზირთა შორის ოთხი ძველი ვეზირია; ორი (ათაბაგი და მსახურთ-უხუცესი) ახალი. ათაბაგობა დაარსდა თამარ მეფის უკანასკნელ წელს, ხოლო მსახურთ-უხუცესი რუსუდან მეფემ გახადა ვეზირად. მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები წყდება ვეზირთა ბჭობაზედ მეფის თავმჯდომარეობით. ამ ბჭობას ვეზირობა ჰქვია და მისი სხდომა განსაკუთრებულის წესით და ცერემონიით ხდება ხოლმე (მუხლი 36 – 38). ვეზირთა ბჭობაში ამირ-სპასალარის თანაშემწე ამილახორიც იღებს მონაწილეობას, მაგრამ მხოლოდ სათათბირო ხმით (იხ. მუხლი მე-37). თითოეულს ვეზირის სახელოს სამართველოდ მთელი შტატია მოხელეთა, რომელთა სახელები ზოგი ცნობილი იყო სხვა წყაროებიდან, ხოლო ზოგი მარტო “კ. გარიგებაში” გვხვდება. ამჟამად ჩვენ საჭიროდ აღარ ვრაცხთ სათითოოდ ჩამოვთვალოთ და აღვნიშნოთ უფლება-მოვალეობა თითოეულის მოხელისა. წინათ კი, როდესაც ეს ძეგლი ვიპოვეთ, ჩვენ ორი მოხსენება წავიკითხეთ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზედ და იქ აღვნიშნეთ დაწვრილებით უფლება-მოვალეობანი და ფუნქციები თითოეულის მოხელისა, როგორც “კარის გარიგების” ისე სხვა წყაროების მიხედვით. “კარის გარიგება” უნდა დაბეჭდილიყო პეტროგრადის აკადემიის გამოცემათა სერიაში რუსულის თარგმანითურთ. ტექსტი უკვე აწყობილი იყო. ამ დროს ჩვენი ისტორიკოსი პროფესორი ივ. ჯავახიშვილი შეუდგა ქართული სამართლის ისტორიის გამოცემას და მისი თხოვნით ნება დავრთე ესარგებლა აკადემიის მიერ აწყობილის ტექსტით “კ. გარიგებისა”. ეხლა ივ. ჯავახიშვილის შრომა უკვე გამოსულია (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1. ქუთაისი. 1919) და ამ გამოკვლევაში საკითხი საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფალთა უფლება-მოვალეობისა უფრო დაწვრილებით და კარგად არის გაშუქებული, ვიდრე ჩვენს მოხსენებებში იყო, და ამიტომ ეხლა მისი აქ მოყვანა უმეტეს შემთხვევაში განმეორება იქნებოდა იმისი, რაც უკვე გამოქვეყნებული და გაშუქებულია. რაღა თქმა უნდა, ერთ უმთავრეს წყაროდ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევისა ჩვენი “კ. გარიგება” გახდა. პეტროგრადის აკადემიასთან ჩვენი კავშირი რევოლუციის შემდეგ შესწყდა და რომ ასეთი ძეგლის გამოქვეყნება, უმისოდაც ძლიერ დაგვიანებული, კიდევ დიდი ხნით აღარ გადაგვედვა, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ აქ თბილისში გამოგვეცა, რიგი სტრიქონებისა და ფორმა გამოცემისა ისეთივე დავტოვეთ, როგორც აკადემიის მიერ აწყობილ ტექსტში იყო, და ამიტომ ივ.

ჯავახიშვილის მიერ ნაჩვენები გვერდები და სტრიქონები “კ. გარიგებისა” ამ გამოცემასაც უდგება, მხოლოდ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ პეტროგრადში აწყობილი ტექსტი უკანასკნელად ჩემ მიერ შესწორებული არ ყოფილა და ის შესწორებანი, რომელნიც ჩვენ ბოლოს შევიტანეთ. ივ. ჯავახიშვილის მიერ ნაჩვენებ სტრიქონებში ველარ მოხვდნენ. მაგრამ ასეთი შემთხვევა ბევრი არ არის.

ველმწიფის კარის გარიგების მნიშვნელობა ზემო თქმულით არ ამოიწურება. ეს მეგლი მრავალ საყურადღებო ცნობებს გვაძლევს, ისტორიულს და ლიტერატურულს. ამ მეგლიდან ვტყობილობთ მაგალითად, რომ ტბეთის ეპისკოპოსი იმავე დროს შავშეთის ერისთავიც ყოფილა (სტრ. 357), ამ მეგლიდან ვტყობილობთ, რომელ სახელმწიფოთა მეფენი ესტუმრა დავით აღმაშენებელს ნაჭარმაგევს (სტრ. 287 – 289). მეგლი ჩვენ გვამცნევს, თუ როგორ ხდებოდა ძველად საქართველოში სიგლის მიცემა, რას იხდიდა სიგლის მიმღები და კიდევ უფრო საინტერესო ცნობაა, თუ როგორ იბეჭდებოდა სიგელი. მხოლოდ “კ. გარიგებამ შეგვინახა ცნობა, რომ ჩვენშიაც როგორც ბიზანტიაში და რუსეთში, ბეჭედი ტყვიისა ყოფილა (ბიზანტიაში ოქროსიც იყო, ხრისობულები) და ამგვარი ბეჭედი რასაკვირველია ჩამოკიდებული ყოფილა ზონარით სიგელზედ (6105 – 106). ზონარის გასაყრელი ნაშთები ძველ ტყავის სიგლებზე დღესაც მოჩანან, მაგრამ თვით ბეჭედი ერთიც არ შენახულა ჩვენს დრომდის, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ აღმოჩენილა. ჩვეულებრივი ლითონის ბეჭედი, ზედ ამოჭრილი სახელით პატრონისა, ცნობილია ჩვენში მხოლოდ XV საუკუნიდან. ასეთ ბეჭედს ვხედავთ ჩვენ, მაგალითად, ალექსანდრე მეფის სიგელზედ 1479 წ. (იხ. საეკლესიო მუზეუმის სიგელი 6). ამას გარდა “კ. გარიგებიდან” ვტყობილობთ, რომ არსენ იყალთოელს დაუწერია ეპიტაფიის სახით დავით აღმაშენებლის შესახებ ოთხ-ტაეპოვანი ლექსი. ეს ლექსი, ვგონებ, პირველად დავით ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა თავის ქრესტომათიაში, როგორც სახალხო პოეზიის ნაშთი მესხეთში გაგონილი (ჩუბინაშვილის ქრესტომათია, ნაწილი მეორე, გვ. 242). ზოგიერთები ამ ლექსს თამარ მეფის ეპიტაფიით ხადოდენ (თ. ჟორდანიას, ქრ. II, გვ. 52). ლექსმა ამ სახით მოაღწია ჩვენამდის:

როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი სამზღვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მომქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს.

“კარის გარიგება” გვამცნევს, რომ ლექსი ეკუთვნის არსენ იყალთოელს და ჩვენ ნება გვაქვს და საბუთი ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ მრავალი დაკარგული ავტორების ნაწარმოები უნდა ჰქონდეს ჩვენ ხალხურ პოეზიას ნაწყვეტად შენახული. ამასთანავე “კ. გარიგებას” თვალსაჩინო შესწორებაც შეაქვს ამ ლექსის პირველ ტაეპში, იქ ეს ლექსი ამ სახით არის მოყვანილი (12²⁶⁴):

ვვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს.

შეიძლება უკანასკნელი სიტყვა აქაც არ იყოს სისწორით გადმოცემული ტექსტის გარყვნილობის გამო, მაგრამ ერთი კი უეჭველია, რომ შვიდის მაგიერ თორმეტი ყოფილა, ვინაიდან ავტორს “კ. გარიგებისა” ჩამოთვლილი ყავს მეფეები და ქვემოთ დასძენს, თორმეტი დასხდეს-ო (სტრ. 290). ასეთი უცხო ცნობები “კ. გარიგებაში” არა ერთია.

ასეთია მნიშვნელობა “კარის გარიგებისა” და ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარის გარიგების აღმოჩენა ზეიმი ჩვენი ისტორიისათვის და კიდევ უფრო დიდი ზეიმი იქნება, როდესაც მისი სრული ტექსტი აღმოჩნდება.

ტექსტი

განრიგება ჯელმწიფის კარისა

1

მსახურთ-უხუცეს[ს]ა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოარ-
თომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების^[24]. მას წე-
5 ლიწდის თავ[ი]ს^[25] დღეს მეფე არავის[გან] შეიმოსების^[26] ამისგან კიდე,
რომე მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შემოსს საჯელმოკ-
ლით, ტყავიანითა მოყვენთუსლითა, არა დია პრტყელად, თავსა 5
და საყელოსა კარგისა ყვნიზისა და მალლად აშვერილსა, მჭლოდ
შეკერულსა ქუდსა დაარქვამს. საღვინეთ წინ ქვე დასმენ მალლა
სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს მოხარ-
10 შულს წინ დაუდგმენ. ამას წინათ, საღვინეთაკე, იმის კერძს შორს,
ადრე მკერვალთ-უხუცესი და ტყისმცველ[ნი] დასხდებიან. და მე- 10
ხელადეთ-უხუცეს[ნი] დგანან. აღთვალვენ მათცა, და დასხდებიან
მასვე ადგილსა, საცა დგებიან, და მონადირეთაცა:.

2

აქითგან, წლის თავით, თევდორობამდის^[27] მონადირეთ-უხუცე-
15 სი მწვადს მიიხვამს. უკანისდა მიდგების, იკითხავს: “ზვალ სით
ჰკვლევენ”. უბრძანებს მეფე^[28], სითაც ეპრიანების, ჭიქას უბოძებს 15
და მწვადს, შესჭამს და შესვამს ღვინოსა, და მუნ[ვ]ე წავა და დაჯ-
დების თავის ადგილსა.

3

აწ განცხადება ვსთქვათ დიდი დღესასწაული. და წესი არის,
20 რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოვე-
ლივე წავა. დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ, და 20

1 ჯ~მწიფის. - 6 ტყვ~იანითა. - აშვერილისა . - 8 წინათ ყოფილა “შეკერულისა”. - 11 ტყის მცველი.

დროშა განაღამცა წინა ამართული, და მერმე ჯვარის-მტვრთველი შემოსილი და ძელი ცხოვრებისა ჴელთა. ეგრევე წამოვიდნენ^[29] ეკლესიას, მივა მეფე და მენობათენი აღარა სცემენ ნობათსა და დროშა ეკლესიის კარსა დგას. და რა წყალი აკურთხონ. მეფე ეკ-
5 ლესიით გამოვიდეს, დროშით წავა და მუნვე კარის შესავ[ა]ლს 25 ქ[ვ]ეშე დადგების. დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს, დიდის წესითა, და თუ უმცროსითა, ვითარცაღა წესი იყოს, იქნას:

4

ეს ზემოთ დამაკლდა: ჴმალი ამილახორსა არტყია დარბაზობა-
სა ზედა^[30], სადა ძელი ცხოვრებისა ასვენია, მართ ერთითა ტერფითა
10 უკანარე დგას. რა მისისა დაჯდომისა ჟამი მოვიდეს, ჴმალი კარგს 30 მეაბჯრეს მისცეს, და იგი მჴარს ჩამოიკიდებს. და ერთსა სეფესა ჯაჴვი აცვია უთეთრესი, ზურგით დგანან:.

5

გიორგი^[31] მეფეს, თამარის მამას, თვით ვერცხლისა შეუქნია სალამასურის სახესა ზედა და მას ჩაიცმიდენ. ამილახორი თვის
15 ადგილს დაჯდების. და რა ჯვარის მტვრთველმან ძველი ცხოვრე- 35 ბისა წაასვენოს, იგივე დგას^[32] და მაშინღა მისცემს – რათა ტაბა-კი დადგან სეფე^[33]:

6

აღვსებისა საკითხავი^[34] - ჯვარის-მტვრთველისა და ხუცესთ-
უხუცესისსა[ა], მწიგნობართა – ვინცა კარგი მკითხველი იყოს სხვა-
20 ნი. ჴყონდიდელი^[35] - მეფესა და საწოლის მწიგნობარი ზარდახ- 40 ნის მწიგნობარსა:.

7 ვ~აღა. – 14 ეს სიტყვა ტექტის ხელით განმეორებულია აშიაზედ: ს~ლმასური. – 15-16ცხრ~ბისი.

- 16 რათა]რა. – 17 დადგ~ნ. – 18. აღს~ბსა. – 20 ჴყონდიდელი] სხვა ყველა შემთხვევაში ეს სიტყვა ნახმარია ამ სახით: ჴყონდიდელი - 20 მწიგნობარი] აქ უნდა აკლდეს სიტყვები, ვინაიდან საწოლის მწიგნობარი მაღლა იდგა ზარდახნის მწიგნობარზედ და ამიტომ მისი მკითხველი ვერ იქნებოდა. – 20-21 აშიაზედ ტექტის ხელით: ზარდახნის.

- ადვსებასა^[36] ამირ-სპასალარი [საკითხავია]^[37] ამილახორისა; ამი-
 ლახორი მეაბჯრეთ-უხუცესისა; მეაბჯრეთ-უხუცესი – მესაწოლეთ-
 უხუცესისა; მანდატურთ-უხუცესი – ამირეჯიბთ[ა]; ამირეჯიბი –
 მესტუმრისა და მერიგისა^[38]; მეჭურჭლეთ-უხუცესი – საჭურჭლეთ 45
 5 ნაცვალ[ი]სა; საჭურჭლის ნაცვალი – მუქიფის[ა]^[39]; მსახურთ-უხუცე-
 სი – მესაწოლეთ-უხუცესისა; მესაწოლეთ-უხუცესი – მოლარეთ-უხუ-
 ცესისა; მოლარეთ-უხუცესი – სალაროთ მოლარეებ[ი]სა. პირის მეღ-
 ვინე, მეღვინეთ-უხუცესი – საღვინის მუქაფის[ა]; განმგეთა-უხუცე-
 სი – საგანმგეოსა მუქაფის[ა]; საგანმგეოს-უხუცესი^[40] - მეჯამეთ-უხუ- 50
 10 ცესისა; - მეჯამეთ-უხუცესი – სარემოს ნაცვლისა:.

- ჭყონდიდელი** ორმაზათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების.
 ობოლთა და ქვრივთა და მიმძღავრებულთა მოჩივართა განიკით-
 ხავს. და ყოველი [საბჭოდ ჯდომის ჟამსა?] საწოლის მწიგნობარი
 გვერდს უზის. და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის
 55
 15 პირით მოახსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით
 ვერ დაიურვებს, ადგების და, რა ჟამსცა ჟამი იყოს, თვთ მივა
 და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს. არ მოეშვების, რომ
 არ დაიურვოს:.

- გელათისაგან** კიდე საყდარ[ნ]ი და სხვანი მონასტერნი და 60
 20 ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი
 არიან ყველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საწველოსა[ა].
 ჭყონდიდელსა ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებს და ეჯიბი, სხვა
 დარბაზით მართებს. საჭურჭლესაც შევა და, ვითა მამა არს მეფისა,

3 აშიაზედ, მწნდატური. – 4 მემსტუმრესა. – 4 მერიგესა. – 7 პირის-მეღვინე] აქაც უნდა აკლდეს
 ტექსტს. – 14 აშიაზედ. ზაოდახნი. – 17 იურვს. – 21 საწველოსა] სხლისა. – 22 მრთბს.

აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების. საწოლის მწიგნობარსა^[41] 65
ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებს. ხუთი ფურცელი ქალადი
ყოველთა დღეთა ჭყონდიდელსა, სამი ფურცელი საწოლი[ს] მწიგ-
ნობარსა, ორი ფურცელი ზარდახანის მწიგნობარსა და თვთო ფურ-
5 ცელი სხვათ[ა] მწიგნობართა. რად ეს დაწერონ და მეჭურჭლეს
ჩახვთ ყელსა...(აქ აკლია ხუთი ფურცელი)^[42]. 70

10

^[43] ... ანგარიშს აიღებს. და ზოგი გაპარსვადაც დაუწერია
შეუცოდებელისაცა, არცა რა შეეც[ოდე]ბინოს. ერთ ხაზას მაშინც
გაპარსვა[დ] გამართავს. მაგრამე თუ არ შეუცოდებია. ცემა რად
10 არ ეყოფის? თუ არ, ნაპარევი გამოაჩნდეს, განაღამც გაპარსავს:.^[44]

11

ზვარნი ამად არიან: ^[45] და მანდატურთ-უხუცესისა ჯელისანი. 75
სამუშაოსა ზედა-მდგომელად მანდატურს მისცემს, ბრძანებასა და
გამოსაჩვენიერსა დააწერინებს. უჩვენებს მუშათ, ვითა ესე ქვეყანა
მოასხითო. მანდატური და ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი
15 მეღვინე წავლენ, მუშაობენ, და ღვინის მკრეფელნიცა. ერთი მან-
დატური იქნების:.
80

12

ამირეჯიბს ყოველგან გზა აქვს საურავისა, სადა გინდ იყოს
მეფე, სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყოველგან მივა და ყოველ-
გან იურვის, ამისგან კიდე რომე უკაზმავი არ იყო[ს] მეფე. მსა-
20 ხურთ-უხუცესი და მისის [ვე]ლისანი^[46] უფრო იურვიან, მაგრამ

3 ყოველთა] ყ~თა. რ~დ. – 8 – 9 შეეც[ოდე]ბინოს, გაპარსვა[დ]. დედანში აქ ქალადი
მოჭრილია და ფრჩხილებში ასოებს აზრის მიხედვით ვუმატებთ. – 17 აშიაზედ; **ამირეჯიბი**. 19 იურ~ვს.

ამირეჯიბის დათხოვნა^[47] არც მაგათგან ეგების. და რა შეეკაზმოს
85
და გამოვიდეს, საურავი და ძღვნის შეწირვა ყოველი მათია საღა-
მოს რეკამდის. ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს.

- ცოცხალი მუქიფის ჯელთ მიაზარონ და რად თავი მოჰკვეთონ
- 5 საკლავსა რაზომიცა მრავალი დაიკლას, ერთი მჯარი, და თუ ერთი დაიკლას, ერთი მრჯარი ზროხისა მესტუმრისა კვრას დღესა და ერთი კაბიწი ფქვილი და ერთი საკლავი. და რაზომიც ქვეითი მემღვენე მოვა და მწიგნობარი, იგი აქმევს:.

90

13

- 10 **სიგელი** ვისცა უბოძონ, ვისთვცა დაუწერია, რა ჰყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის ქრთამი გათავდეს, რომელსაც დაეწეროს მასუკან მან მისი აღიოს, მაშინდა მესტუმრეს მისცეს. ქრთამი სიგ-95
- ლისა მანდატურთ-უხუცესსა და ამირ-სპასალარსა სწორი მართებს, მესტუმრეს უმცროსი და მერიგეს^[48]. რაც მას დაუვარდეს, მანდა-15
- ტურს მართებს და მიხვდების, მისგან მართებს.
- მანდატური სამ[ას]ი სახლი არის ამიერ და იმიერ. ხოლო სამნი აზნაურნი არიან: იკუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე. და 100
- სხვადა ყველა გლეხია.
- [განმგეთ-უხუცესისაგან მიღება ზემო დამიწერია^[49].
- 20 მეჯამეთ-უხუცესისა ჯელისა არის: ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზაფარი^[50]. წველა, მეკირე, ჯმელი თევზი, ტყემალი, მუხუდო, ყო-ველი მეკამბეჩე დიასახლისი. კარავი სამზარეულოსა და უვერცხლო 105
- ჭურჭელი: სპილენძისა და შეშისა^[51]..

14

- აწ ვთქვათ** მსახურთ-უხუცესი. ვეზირია და მისის ჯელისა^[52]
- 25 არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, ფარეშთ-უხუცესი, ციცხვთ-უხუცესი, მეხილეთ-უხუცესი. საწოლისა

2 მთ ია. - 4 ც ცხლი.- 16 სამი ს ხელი.- 18 სხ ე ყ ი. - 24 ვეზირთა.

და სალაროს, მეფის შეკაზმამდის, ამათი[ა] საურავი და ზღვენი მსახურთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა, მოლარეთ-უხუცესისა. რა ითაყვანოს^[53], ბეჭედი მათრებს, რომ უბოძოს მეფემან თვალედი. და ზედამდგომელი მესაწოლეთ-უხუცესსაც მართებს. ბეჭედი ეს-

110

- 5 რეთ სხენნ: დიდი ბეჭედი სასიგლე, საგასახსნითე რომ ბეჭედი არის, მით დაბეჭდულა, და მისი თასი ოქროსა გვერდსა უთქს, და ტუი- 115
 რითა დაბეჭდული მოლარეთ-უხუცესსა კელთ აცვია, (მოლარეთ-
 უხუცესი გახსნის)^[54] მეგოდრეს $\sqrt{32}$ სალაროს მოლარე აიხვამს. და
 მოლარეთ-უხუცესი გახსნის, თასსა შიგან წყალს შთაასხამს. ჯორის
 10 ნალი უკვრეტელი ორნი აქ. უნდა რომ ქვე დასხნეს. $\sqrt{32}$ და რა დაბეჭდ- 120
 ვენ სალაროს მოლარეს დუკატი ორი, მეგოდრეს დუკატი ერ-
 თი, ეს მისცეს, ვისიც სიგელი იყოს. და დაბეჭდავს მწიგნობარი,
 თან გამოიტანს და წამოვა. და მიცემა სიგლისა ზემოთ დამიწერია:^[55]

15

- ცხოვარნი** ყოველნი და მატყლნი მსახურთ-უხუცესისა კელთა-
 15 ვე არს. სიკისტოსანი ჯორი^[56] ესრე მოკაზმული^[57]: კეხი კეკლუცად 125
 მოკაზმული, მოჭედილი და ჯორის ყელსსაბამი და ზანზალაკი
 ოქროთა შეღებილი და სახურავი ხავედისა ნაკერი, ლაგამი ერთობ
 მოთვალული, დიდი მაფრაში^[58], რომელსა, შიგან იღვას ერთი
 მომცრო უკეთესი ორხოვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი
 20 და ერთი სასთაული, ეს ერთს თხელს ლარის ბუდესა შიგან და 130
 ეგეთი მაფრაშასა შიგან იღვას. და ერთი ტყავიცა და ეგეთი ზედ
 გარდაფარონ. მით სახურავითა ნაკერთა დახურონ და წითლის
 ბანბის ქარშიკით დააკრან. და შუდასი სახლი მესაწოლე^[59] არის და

4 ზ~ადამდგმელი. – 11 დედანში სწერია **დოკატი**, აშიაზედ განმეორებულია **დუკ~ტი**. – 15
 აშიაზედ განმეორებულია: სკისტროს~ნი. – 17 ხვ~ედისა. – 22 გარდაფარონ.

- გლეხი რვა სახლია დ სხვა ყოველივე აზნაური^[60]. და შუდასივე შუ
 ბოსანი ამა სიკისტრონსა ჯორისასა მისდევენ, რა მეფე აიყაროს.
 და სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი და ერთი ყათარი სხვაჲ 135
 ჯორი სასაგებლე ტურფადვე მოკაზმული, მაგარმ იგიცა სალა-
 5 როს წინათ იარების. სიკისტრონს უკანით. ბარგის-უხუცესი წინ
 მიუძღვების, და [მე]სიკისტრონი^[61] და მესაწოლენი წინ იარებიან:.

- საღამოს მეღვინე ფანჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანითა
 ჭურჭლითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაჰყრის და ჯელთა მან- 140
 დილი^[62] აქვს ბაღდადისა, და თუ მეფესა ღამით მოეწყურო[ს],
 10 ბ[რ]ძანოს, რომელიცა უნდა. რაც დარჩეს, წინა-მწოლნი და კა-
 რის დარაჯა და საწოლის მეკრე წაიღებენ. დილას, რად მეფე სა-
 წოლით გავიდეს, ფარეშთ-უხუცესსა ჯელის ნოხნი, სანთელი, ფა-
 ნაი, მაშხალა $\sqrt{[63]}$ და რად ტაბაკი აიღონ, სარმუზა აცვია, ანუ 145
 ჩაფლა მოგვსა ზედა. მას კედლის ძირსა ჩაფლთ წახსნის, ანუ
 15 ფარეში გახსნის და შეუნახავს, და იგი ტახტსა ზედა გავა (ანუ) თუ^[64]
 აქვს ცოტა [ძღვენი]^[65] გარეჯით ნამდნობი, ანუ, თუ იგი არა იყოს, მან-
 დილი გრძელი, $\sqrt{41}$ და მეფეს გარდამოუკაზმავს წინა, და სხვათა ნოხ-
 თა ფარეშნი გარდაჰკაზმენ. ცხვრის ტყავის ცოცხი აქვს ტარიანი და 150
 აგრევე. და აგრევე ხილობას ტახტი ოდესაც მოეკაზმოს, მას
 20 შიგან იგი ახლავს, ვითაცა ასწავლიან, დაფენა, კარავი, ხარგაი
 ჩადრი, ესე და ამისი კაზმა მას მართებს.

17

- თუ პურობას ღამე შემოესწრას, სანთელი სასანთლითა და
 მისითა ნატითა თავთავის საფარეშოთა არის, და ფარეშთა-უხუცე- 155
 25 სი მიიღებს, წამოაყენებს და თავთავის ადგილს ჩასდებს ვაზირთა
 წინა. და სუფრასა ზედა მაშხალის ასანთები ალყა ქონითა ანუ
 სელითა იქნების. მეტყავენი და მეჭურჭლენი მიიღებენ ქონსა.

9 ბაღდადლითა. – 14 ჩაფლთ] მაფლთ. – 19 ეს ორი სიტყვა (“და აგრევე”) აქ შეცდომით უნდა იყოს განმეორებული. – 20 ხარგაი] ეს სიტყვა განმეორებულია აშიაზედ. – 23 პურობ ს. – 27 სელითა] წერითა

- სასაპოვნეთაცა^[66] იგინი მისცემენ და სამაშხალედაცა. და ქონი თუ
 არ იყოს, სელის ზეთ[ს] ქალაქით აიღებდენ და მით იმქონენ სა- 160
 მაშხალესა ალყასა. და მაშხალა ექვსი თუ ათამდისცა უნდა ტარ-
 გ[რ]ძელი, თვთოს მემაშხალეს აქვს და კალათით ალყა ძირსა უდგს
 5 და ბოძალი შემა აქვს და თვთოს ჩასდებს, ვითარცა დაიწვას. და
 რა გაიყარნენ, ორი მაშხალა ჭყონდიდელს წაუძღვების და თვითო
 სამთა ვეზირთა^[67], და სხვათა არავის. და იგინი ფარეშთ შეჭამადთა 165
 და ღვინოს მოსცემენ.

სახილესა [ტაბაკსა]^[68] სათხილე უნდა იდვას, გაზნივითა^[69] შექ-

- 10 ნილნი თავნი განმგულებით, რომე პირსა მარწუხივით ერთგან
შეყრიდეს, ამოგუბვილი, და გარე თავთა ზედა თვთო თვალი იჯ-
დეს, და განამლაცა ოქროსა. და უკან კერძი არის ტარი მგრგვალი 170
და სახილესა ტაბაკსა ზედა დადვას მეხილეთ-უხუცესმან ხისასა,
არა თუ ვერცხლისასა. და რა მსახურთ-უხუცესმან მანდილი საყე-
15 ლე, მერმე იგი დადვას და მეხილე ანუ მოლარე თხილსა მით
ლეწდენ, ტაბაკსა დაჰყრის, რომელსა ზედა იგი სათხილე იდვას.
ციცხვთა ზედა ჯელი: აბანოსა თბობა, სახლის გვა, შეშის 175
კოდა, ცეცხლის ნთება, წყლის ზიდვა სალაროს, სავაზ[ი]როსა და
[აბანოს?]^[70]. რა მეფე აბანოს იყოს, ციცხვთა^[71] არის.
- 20 დიდი არის მეჭურჭლეთ-უხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდი მეო-
თხე ვეზირი [იყო, და მისისა ჯელისა]^[72] არის. მელნი^[73], ქალაქნი, ვაჭარ-
ნი, სავაჭრო რაც მეფისა[ა], სადაც წავა ანუ მოვა, და სახლისა სა- 180
ჭურჭლე^[74], რაც სალაროს ოქროს ჭურჭელი, ანუ ვერცხლისა საჯ-
მარებლად სანიადაგოდ არ უნდა და შეკრული სალაროსა ძეს,
25 სხვადა ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა^[75], ჩინური და
ქაშანური უსადვინო, ყოველი საჭურჭლესა ძეს და დვას, საჭურჭ-

2 იქმონ~ნ. – 5 ბომ~ლი.- 6 რა] არა. – 9-10 ეს ორი სიტყვა (“შექნილნი თავნი”) განმეორებულია
დედანში. – 10 პირესა. – 14 საყელე] აქ ექვს გარეშეა შესმენილი აკლია. შეიძლება იგულისხმებოდეს
“გაიკეთოს” ან სხვა რაიმე ამის მსგავსი. – 18 სავაზიროსა] სავაზროსა. – 19 რა] არა. – 22 მ~ფსა.

- ლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი 185
ქალაქისანი და თვთ დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მისისა ჯელისა
არიან. ზედამდგომელი მართებს მეჭურჭლე. და ქრთამი და სასაურვო,
უქალაქოთ, სხვადა მისია, და მსახურთ-უხუცესისა სწორია, ვით ამირ-
5 სპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა. მუშრიბი, რაც ქალაქთა
საჭურჭლე შევა და ნავაჭრი რაც შევა, და სანელელებელი, მასტაკი^[76] 190
და სამარხო წამალი, საჯმარი თუთუბო, ესეცა მუშრიბმან იცის
და უხუცესთა მიათვლის.

- ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირ-სპასალარის ჯელთ**
- 10 არის. მას წინათ არვინ იტყვს, რად ვეზირობა იყოს, და^[77] ამილა-
ხორი ვეზირი არის ამირ-სპასალარისა და ამის ჯელისა^[78] მებაჯრეთ- 195
უხუცესიცა. მებაჯრეთ-უხუცესი და მებაჯრენი და მესარტყლენი

- და საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის ჯელისანი არიან.
- რაჲ მეფე ცხენსა ზედა ზის, ვისცა უდარბაზებს ვინგინდა
- 15 იყოს, ათაყვანებს. თუ ვისი ძღვენი იყოს, შესძღვნის. თუ ოდესცა არა იყოს, ესე ოდენვე, ეგრევე უდარბაზებენ და ძღვენსაც შესძღ- 200
ვნიან. საჯედარი ცხენი მართებს საურავად. რასაც ამირ-სპასალარი იურვოდეს, მასვე გვერდით სალაშქროს საქმეს და იგიცა და მეაბ-
ჯრეთ-უხუცესი და მათნი მუახლენი, ჩუხჩი და ამირ-ჩქარი და მერე-
- 20 მეთ-უხუცესნი წინათ დგანან შორს და სიარულადაც წინათ იარე-
ბიან. დაჯდომა და სხვა წესი ზემოთ დაგვწერია. 205
- ამილახორი, მეაბჯრეთ-უხუცესი, ზარდახნის-უხუცესი და
მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ წარდახან[ს] შევლენ, და
ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ, და საანგარიშოს
- 25 გოდორსა შიგან ჩასდებს^[79]. 210
- ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი, სხვაჲ ყველა აბჯარი
რაზომიცა თანა აქვს: ჯაჭვი, მუზარადი, ჯმალი, ქაფა, საბარკული,
მშვლდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი მოჭე-
დილი და ხამი, აკმაზულობა, რაც ზედ აბია, და რაც საცხენე ჯავ-
30 შანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელს-სალბამი მოჭედილი, კან-
ჯრის კუდი და ამისთანა ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი 215
თავგადაჭედილ[ნი], ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე აღმითა,
ეს[ე] ყოველნი მნათობნი, მოჭედილნი ვერცხლითა და სპილენძიანი,

2 მისისანი. – 4 უქ~ლქოთ. – 12 უხუცესისა. 19-20 მერემეთ] მერმე.

- [ზარდახანსა შიგან ძეს დგას და ზარდახნის მწიგნობარმან ესე]^[80]
ყოველი რაჲ ასწეროს წლის თავსა, ერთი უნაგირი ზარდახნის 220
მწიგნობრისა, ერთი აკმაზულობა აღუვსებად.
- ცხენი რაჲ ითხოვოს მეფემან, ზარდახნის მოლარე აღვირთ^[81]
- 5 მისცემს, მისრ[ა]ტული პირსა აუსხამს, ერთს ყურს გაუყოფს და
მეორეს აღარა. მერმე ზარდახნის მეჯინიბე აუსხამს, საყბეურს შე-
უსხამს, ზარდახნის მოლარე უნაგირს გარდასდგამს, სამუეთ აღარ
ჩაუყრის, იგივე ზარდახნის მეჯინიბე შეჰკაზმავს და წაიყვანს, მის- 225
რატულთ უხუცესს მიუყენებს. შეჯდების, და მათრავი ზარდახ-
10 ნის უხუცესმა მისცე, და ორნივე უკანით იარებიან. ზარდახნის-
უხუცესი და ამერიითაჩუხჩი წინათ იარების, ჯუარის მტვრთველსა
და მეფეს შუა. და სადაც მეფე მივა, ცხენისაგან ჩამოვა, აჩუხჩიც
მანამდი ცხენით მივა და მერმე მობრუნდების და თავის ალაგს 230
გარდაჯდების. ჯუარი წინათ, მარქაფანი იმერით ეზომსა... (აქ

15 აკლია ერთი რვეული, ანუ ექვსი ფურცელი).

19

... და ბოლოს სათიკარი^[82] რკინისა არის, დაასობენ საღვინე-
სა შიგან, საღვინის მოლარე მას ზედა დაჰკიდებს, და ფანჯისა
მისაღებელი კელმანდილიცა მასვე ზედა ჰკიდავს, მანდილი უღარო, 235
სამუქლე და საფუკე, და რა დამტვერიანდეს, გარეცხა უნდა, საფა-
20 რეშოს მიიღებს მეღვინე და ერთს მაშრაპას^[83] ღვინოს მიართომს,
გარეცხენ და [სა]ღვინესვე მიიღებენ^[84]...

20^[85]

სამყინვარი ვერცხლისა უნდა ტაბაკი, ცულ-წერაქვი, პატარა
კვერისაგან უმძიმესი, ტარის ბოლო მოჭედილი, ტარ-მოკლე, მოჭე- 240

9 აშიაზე: მისრატული. – 12 აშიაზე: აჩუხჩი. – 20 დედანში. “მიშრაპას”, მაგრამ სხვა შემთხვევაში გვხვდება: მაშრაპს. – 21 ღვინესვე.

დილი მას ტაბაკსა ზედა ძეს. მყინვარს დასდებენ, ერთი ვერცხლის
კოვზი პირ-დიდი მასვე ტაბაკსა ზედა ძეს, წინ დასდგმენ^[86], წვერით
გასტეხს, კოვზით აიღებს, ჭიქასა შიგან ჩასდებს, იგიცა საღვინის
მოლარეს ვედრია. სხვადა საღვინე ჭურჭელი, სანიადაგო, უმეჯლიშო
5 საღვინეში დგას, და მეჯლიშისანი კიდევან დგანან^[87]. 245
და ბეჭედი მეჭურჭლეთ-უხუცესისა,
ანგარიში საანგარიშოთა გოდორთა შინა ძეს^[88].
პირის მწდესა საღამოს ერთი მაშრაპი ღვინო ოქროს მაშ-
რაპითა, მეფე რომ სვამს, მისთან [ით]ა^[89], და ერთი მუქიფსა.
10 ზვართა, ზემოთაც დაგწერია, მანდატურიცა ადგს ზედა, და 250
სხვათ [ა] მეღვინეთ-უხუცესი და მუქიფი იურვიან სამუშაოს^[90].
თვთო ჭური ღვინო ზვართაგან მეღვინეთ-უხუცესისა და თვთო
უმცროსი მუქიფისა.
[მემარნე] და საღვინის მოლარე [და მეღვინენი]^[91] მეზვრეთაგან აი-
15 ღებენ ღვინოსა, ვითარი ზვარი იყოს, ანუ მეზვრე. მეღვინენი საკრე- 255
ფელისა და სოფლისაგან იშოებენ, და სადა მეფე დგას, და $\sqrt{[92]}$
ღვინის ულუფა დაწერონ.

მონადირეთ-უხუცესისა ზემოთ დაგვწერია. მონადირენი კახეთს და იმერეთს ყოველგან არიან. ორას სამოცი სახლი არის. ტყის
 20 მცველ[ნი] კიდე არიან. ესენი გიორგობას კარზედ მოვლენ და თევ- 260
 დორობამდის^[93] კარზედ არიან. რაზომიც დაიკლვის, ერთისაგან
 კიდე, ყველასა შიგან[ი] მონადირეთ არის ძაღლთა სახარშოსა, ტყა-
 ვი მათი. გაშვებისა ჟამსა სამ-სამი თეთრი მართებს, ჯორციელისა
 კვირიაკესა ექვსი ტყ[ა]ვი. თევდორობის მეორეს დღეს ძაღლთ
 25 დასწერენ. და რომელიც მწიგნობარი დასწერს, ოთხსა ანუ სამს 265
 ძაღლსა მეფისად გარდააყენებს. მერმე მწიგნობარი გამოირჩევს
 ერთს ძაღლსა, ბერძული უნდა თუ მწევარი. და თორმეტ-თორმეტი
 ძაღლი სამ-სამი მონადირე წავა საკვებავად, და მონადირეთ გაუ-
 შვებენ. ორშაბათს მეორეს ლამპრას მონადირენი შეიქმენ, მეფეს
 30 წინაშე მიიღებენ, და ცოლსა მეფისსა და შვლთა, ვეზირთა,^[94] [მოუ- 270

6 მეჭურჭლეთ] წინათ წერებულა “მეღვინეთ”, შემდეგ ეს სიტყვა წაუშლიათ და ქვემოთ მიუწერიათ “მეჭორჭლეთ”. – 24 კვირიაკესა] კ`კსა. -25 დასწერეს. – 26 მგ`დ.

რავთა?]^[95] და მოლარეთა ყველას მიართმ[ევ]ენ^[96]. მეფე უბრძანებს
 პურსა, ღვინოსა და ფურ-ბერწსა. ეგრეთვე დედოფალიცა უბოძებს.
 ვეზირნი და მოურავნი ყოველნივე მისცემენ პურსა, ღვინოსა და
 საკლავსა. საგანმგებოს მუქიფსა და საღვინის მუქიფსა და გამცე-
 5 მარსა იაფებენ^[97] ყოველსა. და თუ მისცემენ პურსა, ღვინოს და საკლავ- 275
 სა, აღარას აწყენენ⁷⁵, მაგრამ იგინიცა კარგად დაიხიზვნიან⁷⁵ და ლამ-
 პარს ანთებ[უ]ლსა მჯარსა შეიდებენ, ეგრე მგრგვალსა დააბმენ. ვი-
 სცა ავად მიუცემია, ანუ პურად ავადია, აგინებენ და რაც უარესია.
 საწოლის მეკრე^[98] დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდე-
 10 ბის, ითვალვენ და საწოლსა წავა [და მასაცა]^[99] და წინმწოლსაცა 280
 მიუა სათვალავი^[100] და მუნ სჭამენ.
 და ზოგთა^[101] ვი[ე]თმე ასრე უწერია, ვითა ტრაპიზონელ[ნი]^[102]
 და შარვან-შანშე, [ოვსთა მეფე]^[103] და სომეხთა მეფე რა მოვიდნენ,
 საჯდომი ერთი [არ] არის ოთხთავე. მამა არსენ იყალთოელი,
 15 ეგეთი კაცი, მტყუანი როგორ ეგების? ამა შაირსა არა იგი იტყვს: 285
 “ვეინ (sic) ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს”. მა-
 შინ ორნი ოსთა მეფენი და კახათა მეფე და ალვანთა მეფე, წ[ა]-
 ნართა მეფე, სამნი ტაოელთა მეფენი და სომეხთ მეფე და ტრა-
 პიზონელნი და შარვან-შაჰენნი, ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგევს და
 20 თორმეტნი დასხდეს, და ოთხნი რად ვერ დაეტეოდეს? 290

ამ ოთხთაგან^[104] ერთი საჯდომი მარჯვენით^[105] დაუწერია მოძღვართ-მოძღვრისა და აფხაზეთის კათალიკოზისა ქვეშეთ და ჭყონდიდელისა ზემოთ, ეს თვთ მართალია მუნ მათი, მაგრამ მე ვიცი

10 ითვლენ. – 14 არსენ უყლელი. – 18 ტოელთა. – 19 შარვან-შალენნი. – 20 თორმეტნი] თუ ტრაპიზონიდან და შარვანიდან ორ-ორი მეფე ვიანგარიშეთ, მაშინ ცამეტი გამოვა, ამიტომ ან “შარვან-შაჰენნი” ან “ტრაპიზონელნი” მხოლოდობით რიცხვში უნდა იყოს. 23 ვიცი] კცი.

პატრონისა ბრძანებად, რომე ოთხნივე დაისხმიან დიდროანითა სკამითა, მას ზედა ოქსინოებითა და სასთაულითა, წინა ტაბლებითა 295
და ზედა ტაბაკითა. და რა ზედა სამი ჯამი მეფესა^[106] წინა დაუდგან, ექვსი ჯამი მათ წინა დადგან. აქათ დარბაზსაც სდგმიდენ მწდე
5 განაღამცა თვთო ადგა:

22^[107]

მწდე ჩვენთაცა^[108] დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთა ვეზირთა: ათაბაგსა 300
ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა:

23^[109]

მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბა-
10 ზის ერი უნდა, და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვრისათვს და ორნი მისთა მოწაფეთათვს. მოძღვართ-მოძღვრისა, კათალიკოზთა და ჭყონდიდლისა, რად დარბაზს მოვიდნენ, წვევა სამ-305
თა საბაიოთა და დარბაისელთა საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია, და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან! და ალის
15 ჭალას, ოდეს მათი შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკოზ[ი] თანა ჰყვა და ალს ეკლესიის კარს დგა. და რად წვევის ჟამი მოვიდეს, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე პატრონ[ი]ს წინაშე დგა, და პატრონმან ბ[რ]ძანა: “ვინ უწყის კათალიკოზიო”. და მიბ[რ]ძანეს მე: 310
“ვაწვეო^[110]”. ამის სიტყვსათვს სოფრომისძე იტყვს: და მეორეს
20 წელს ეგრე ბ[რ]ძანა: “ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა

და სამთა ვეზირთა წვევაო”. მაშინ ამირეჯიბი ქვაბლიძე უგემურად იყო, და არა იყო მანდა:.

315

24

აწ ვინათგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან. მო-
მღვართ-მომღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა და მერმე მეფეცა
25 ეთაყვანოს. ჰელნი სრულად დასხნეს ნატაკსა ზედა და მომგრგვალე-
ბით ეთაყვანოს, გინა დამრუდებით. მეფე ნოხთა პირსა მოეგებვის

2 ტაბლებითა] გაბლებითა. – 6 მომღვართ-მომღვარსა] მომღვართ-მომღვართა. – 15 კ~ზ. – 18 კო~ზო. – 22 და რად იყო.

და მოესალმოს: “მოახსენე, ბრძანოსო”. წავიდეს და მარჯვენით^[111] გარ- 320
დადგეს ახლო. კათალიკოზი და ჰყონდიდელიცა მანვე აწვივნეს. ეგ-
რეთვე კათალიკოზი, რომელიც მოვიდეს, ეგრეთვე ეთაყვანოს და მე-
ფემანცა ეგრევე ჰელნი დაასხნეს დამრუდებითცა, გინა ნოხსა ზედა
5 მესამედი წამოიაროს და მითვე წესითა ჰყონდიდელსა და მათ სამთა
ვეზირთა აწვიოს. ეჯიბმან^[112], რომელიც იყოს, შევიდეს. ეთაყვანოს
325
მეფესა, დამეფე ეთაყვანოს, და ნებნი ნახევრამდის დასხნეს დამ-
რუდებით. იგი მეორედ კვლავ ეთაყვანოს, სამი ბიჯი წამოი[ა]როს
მეფემან. აკოცოს, და უკუდგეს, და მარჯვენით⁸⁹ ახლოს აყოს:

25

10 **მეჭურჭლეთ-უხუცესი** საჭურჭლის ნაცვალმან აწვიოს, მსახურთ-
უხუცესი – მესაწოლეთ-უხუცესმან. რა ეთაყვანოს, მეფემან თითონი
330
ნოხსა ზედან დასხნეს და იგი მეორედ კვლავ ეთაყვანოს. მეფემან
მეორედ თაყვანებისთვის სამთა ვეზირთა უფრო, და ამ ვეზირთა ორთა
უმდაბლეს ჰელნი აღუპყრას, და ესე ორნი ვეზირნი სწორად, ვითა
15 ის ზემონი სამნი სწორად, და ამილახორიცა ამ ორთა სწორად
ნახოს მეფემან:.

335

26

რა სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ იმიერით^[113]: იმხნელი, მაწყვე-

რელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი, მათ რად ეთაყვანენ,
340 ჯელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს, იშხნელისათჳს უფრო მდაბ-
20 ლად და ორი ანუ სამი ბიჯი წამოიაროს და მოესალმოს, და ამ
სხუათათჳს სწორად ნუ დაიმჯრის:

27

ამიერი ბედიელი მოსაფლავეა და ქუთათელი [მაკურთხეველიცა
და]^[114] მოსაფლავეც არის. დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერ-
25 ძენტა მეფე გააქცია, მისსა საყდარსაშიგან არის. მეფენი და-

14 აღუპყრან – 21 სხდ~თათს. – 24 გიორგი] გ~ი. – 24 რომელმან] რ~ნ. – 24-25 ბერძენთა] ბერებთა.

ლოცვიან, და ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კოს-
ტანტინე, დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იო- 345
ვანე. ქუთათელმან ასე თქუა: “თუ აწ ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარ-
სა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან და არ მემართლები, გზრგზნი
5 ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა”. და მერმე ვეზირთ
და ერთობილთ ლაშქართა თქვეს თუ, “ქუთათელი უმართლეა”. და
სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს, და მონება აფხაზეთის კათალიკოზმა, 350
და ქუთაისის ღმრთის მშობლის წინ სამსჭვალნი მოჭედეს, და მით
ერთობ საბატო არის და იშხნელის სწორი პატივი მართებს:.

28

10 **სხუათა** ეპისკოპოზთა, კაცი ჩანს, ვითარი მონაზონი იყოს,
ანუ ვითარი კაცი, და ზოგთა უფრო და ზოგთა უმცრო. მტბევარსა
ზედა დარბაზს მისსა საჯდომსა უკანით მისსა მოლარეთ-უხუცესსა 355
ფარი და ჳმალნი აქვს უკანით, ამად რომე ერისთავიც არის შავშე-
თისა^[115].

15 ძღვენი საწელიწდისთა^[116] ერისთავთა, ქართლის ერისთავისა,
სამცხის სპასალარისა ^v[117] ჩანს. დადიანისა სამი ცხენი, ორი უკეთე-
სი და ერთი სატალახე. ამირ-სპასალარის – ბურთი, ჩოგანი, ცხენი 360
უკეთესი მოიღოს საგანმგებოსა, და საღვინის კელისუფალნი ვერას
მიიღებენ, ვერცა მანდატური არგანს დაიჭირავს. გელათური ძღვენი:
20 საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სატა-
ლახე ცხენი ფიცხლავ მოაგებონ საქრისტისშობოთ მომავალსა:.

- გარეჯული ძღვენი: კაპარი, კალამი და ცოტა ძღვენი, ცოცხი 365
 კარგად დაწყობილი. ამ ცოცხთ ფარეშთ-უხუცესი აიღებს, პურობას
 უკანით ნოხსა გარდმოგვს მეფის წინაშე, ოდეს წესია. და უდაბნო-
 25 თა საწელიწდისთაო არ მართებს.
 სანახავი ძღვენი: ლელვი კეოტსა ზედა დაცმული, ჩურჩხელი,
 ორთა კაცთა ქონდეს, ნუში, ნაჟვი^[118] თუთუბო, აღარდენი და ბრო- 370
 წეული, თორმეტი თაფლის ქვევრი^[119], სიღალორი.
 ორთა ძმათა ჳმა-კეთილთა^[120] და კარგთა მკითხველთა^[121] წინამძღ-

4 და არ] დარ.- 8 მით] მთი.- 10 სხე~თა.- 26 დაცმ~ლი.

- 5 ვარი გამოარჩევს, დარბაზს მივლენ ორშაბათსა პირმარხვასა და
 სამხრის ლოცვასა ზედა ფსალმუნსა აიღებენ. ორსავე სამჯროსა 375
 თვთო იქნების. და რად სამხრისასა გამოილოცვენ, არცავინ უდარ-
 ბაზებს. თვთ იგინი მეფეს კითხვენ, მეფე იჯრასა და სადგომსა
 გაუჩენს, ამოდ და საბატოოდ ამყოფებს. აღვსებისა ორშაბათსა
 10 რად გამოილოცონ, არცა დაეთხოვებიან, არცა რას იტყვან, შეს-
 ხდებიან და წავლენ. როცა [წავლენ?]^[122] ასსა თეთრისა^[123] ჩაფლასა
 გაუგზავნის მეფე. დასრულდა დარბაზის წესი: 380

30^[124]

- ერისთავნი და ჳელის მქონებელნი დიდისა თამარ მეფისა:.
 რომელიცა განაჩინა [თანადგომითა]^[125] და ერთნებ[აობ]ითა¹⁰³ შვდსავე
 15 სამეფოსა დიდებულთა¹⁰¹ ბ[რ]ძანა დამტკიცებად ჳყონდიდლად, მწიგ-
 ნობართ-უხუცესად და ვეზირად გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ
 მეფის ანტონე გლონისთავასძე, კაცი ბრძენი და გონიერი, პატრონ- 385
 თათვს სვანი, ერთგული და შემცნებელი საურავთა. და განაჩინა
 ამირ-სპასალარად სარგის მჯარგრძელი, კაცი გვარიანი და აღზრ-
 20 დილი ლაშქრობასა შინა, და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო
 სომხითსა შინა. და გააჩინა და უბოძა ჳიაბერს მანდატურთ-უხუ-
 ცესობა და უბოძა არგანი ოქროსა ჳელთა მისთა და შთააცვეს საფ- 390
 რამანგი^[126] ტანსა მათსა და დასვეს სელებითა ოქრომჳედლითა რო-
 მელიმე მარჯვნით მისა და რომელიმე მარცხენით. და კუალად
 25 უბოძა მეჳურჳლეთ-უხუცესობა დიდსა და გვარიანსა კაცსა კახაბერ-
 სა ვარდანისძესა, და მსახურთ-უხუცესობა ვარდან დადიანსა, და
 ჩუხჩარეხობად მარუშიანსა, ძესა ჩახჩურეხისასა. და უბოძა ამილა- 395

ხორობა გამრეკელსა თორელს... (აქ აკლია ერთი რვეული, ანუ ექვსი ფურცელი).

31^[127]

30 ... აქვს, ჳელთა ზედა იბრუნებს, ქვე ვერ დაიბიჯებს^[128]. პირის მწ[დ]ედ საჭურჭლის ნაცვალი, მეღვინეთ-უხუცესი. ზარდახნის

2 ფს^ლმუსა.- 15 დ^ბლთა. – 18 ერთგ^{ლი}. – 30 აქ^ს.

მწიგნობარი საწოლის მწიგნობრის გვერდით დგას^[129]. ეგრეთ საწერე- 400
ლი აქვს ღლიასა საგა[ნ]მგებოსა მუქიფსა და საღვინის მუქიფსაცა.
ესე ყოველნი პირის-პირ დგანან. სხვანი მწიგნობარნი ოცდა ოთხნი
საწერლებით ჳყონდიდელის მჯარს. მერიგე და მანდატურნი ამირე-
5 ჯიბსა დ მესტუმრეს უკანით დგანან. დიდი დროშა კარის შემოსა-
ვალსა დგას. მერემეთ-უხუცესი მჯარსა უთქს^[130] და მჯარსა საგდებე- 405
ლი აცვია და მერემენი უკან უდგანან. ზარდახნის უხუცესი და მსა-
ხურთ-უხუცესი მჯარსა დგანან.^[131]

32^[132]

აწ ესე მოძღვართ-მოძღვარი, კათალიკოზნი და ჳყონდიდელი,
10 ათაბაგი, ამირ-სპასალარი ქვე დგანან თავის ადგილსა^[133]. ეგრეთვე
მეჭურჭლეთ-უხუცესი, მსახურთ-უხუცესი, ამილახორი^[134], ეგრეთვე მე-
410
აბჯრეთ-უხუცესი, ამირ-ჩქარი. ამას ზედა ეპისკოპოზნი ქართლისა
კათალიკოზისავე, გელათელნი, ძმანი გარესჯელნი და თორმეტთა^[135]
უდაბნოთანი, ვითარცა მართებს, ქვემო სწერია, ესენი მარცხენის
15 მჯარს სუფრ[ის]ასა^[136].

33

აწ მეფე უბრძანებს მანდატურთ-უხუცესსა, იგი არგანსა დააგ- 415
დებს და ამირეჯიბი არგანს აიღებს. მანდატურთ-უხუცესი ტახტ[ი]ს
წინ მიდგების: “პური მოიღეო”. მანდატურთ-უხუცესი მობრუნდე-
ბის, არგან[ს] გამოუღებს და პურ[ი]ს წინაობას იურვეს. და რად

20 ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი გავიდნენ, კათალიკოზნი, მოძღ-
ვართ-მოძღვარნი, ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირ-სპასალარი და, ვინც 420
ქვე სხედან^[137], ყოველნი ზე ადგებიან. პატარა ხანი გამოვიდეს, მეფე
აწვევს კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჭყონდიდელსა, ათა-
ბაგსა და, ვისცა არ უბრძანებს, ვერავინ დაჯდების, ვირემდი^[138] სე-

14 ვ~ა.- 21 ამილსპასალარი.

ფეს ტაბაკს არ დასდგმენ^[139]. უნდა ოქროს ტაბაკი შუაზედ ურთუ-
მელი იყოს. ზედ შექმნილი თავი თვალმარგალიტიანი, შიგ მარილი 425
იყოს. ზედ ერთი კოვზი ბროლისა, ტარი მოჭედილი, ხალასის თვა-
5 ლი ზედა იყოს და ერთი ატლასის ჩილანი ზედ ისხდენ. ტაბაკს^[140] მან-
დატურთ-უხუცესი და ამირეჯიბი დასდგმენ. შაჰამადსა განმგეთ-უხუ-
ცესი მიიღებს კოზმანჩქითა. მოლარეთ-უხუცესი ადგების, მოიღებს^[141]
მსახურთ-უხუცესი, და იგი მოიღებს¹¹⁹. აწ მანდატურთ-უხუცესი მივა 430
და თ[ა]ვის ადგილს ქვე დაჯდების. ამირეჯიბი [და განმგეთ-უხუცე-
სი]^[142] კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჭყონდიდელსა, ამათ წინ
10 ტაბლას დასდგმენ, და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს. ეს ოთხნივე
ადგებიან და თავმოდრეკით ჯელთა ტაბ[ა]კზე დასხმენ, ამირეჯიბს
ეთაყვანებიან. ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა 435
ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს, ადგებიან. განმგეთ-უხუცესი მონაზონთ
ოთხთავე სამ-სამის ჯამით, ეგრეთვე სამთა ვეზირთა ითვალავს, და
15 მერმე ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი დასხდებიან. და მუქიფი ით-
ვალავს სხვათა ვეზირთა ოროლითა ჯამითა, პირის მწ[დ]ეს^[143], რად
მეორეს ჭიქას გამოღებს მეფე, ანუ მესამესა, სათვალავსა მიატა- 440
ნინებს, [მივა]^[144] და დაჯდების ამირეჯიბსა და განმგეთ-უხუცეს[ს]-
თანა. და სამნივე ერთად დასხდებიან. საწოლის მწიგნობარი მსა-
20 ხურთ-უხუცესი[ს] გვერდით ზის. რა რად სუფრა^[145] დაუფინონ, ჯე-
ლისუფალნი ესე, რომე ზემოთ დამიწერია, ვინც სხედან მეაბჯრეთ-
უხუცესსა პირდაპირ, ზარდახნის მწიგნობარი და მას ქვემოთ მწიგ- 445
ნობარნი, დასხდებიან პირისპირ. და იქით სხვანი ჯელისუფალნი
და ჯელოსანნი, [სა]სახლის დიდებულნი ჩასხდებიან, სუფრის ბოლოს
25 მერემეთ-უხუცესი და ფარემთ-უხუცესი სხედან, და მათ ქვემოთ
მეჯინიბენი. მაგრამ სუფრაზედ^[146] ჭაშნაგირი ზე დ[გ]ას ოქსინოსა

6 განმგეთ] გ~ნმეთ. – 6 მოლარეთ-უხუცესი. – 13 აქ, ალბათ, გამოტოვებულია ფრაზა: “[ჯელთა ტაბაკზე დასხმენ] და ეჯიბს ეთაყვანებიან”. ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებს უმატებს ივ. ჯავახიშვილი. – 16. მწედ (თაყაიშვილი “მწეს”).

ზედა ცალკესა, იგი და^[147] წინამდგომი ტახტსა ზედა დგანან. ჭაშნა- 450
გირს ჳელის მანდილით ცოტა ჩამჩა აქვს. რაჲ საჭამადი წამოაყე-
ნონ, ჩამჩით ამოიღებს და ჳელსა ზედა დაისხამს და შეხვრეტს და
აგრეთვე ღვინოს^[148]... (აქ ორი ფურცელი აკლია).

34

5 ...პირმშობეჲა მან მიიღო. და ოდეს აკურთხეს, არ მაგად^[149] 455
აკურთხევინეს, არ მოელის კათალიკოზსა, რომე არავი[ქი] ქვეშეთ
შექმოდესო. ვარქვე, და აცილნეს ორნივე კათალიკოზნი: “არა მე
მმართვესო, არა მეო”:^[150]

35

აწე ვიწყით შეკაზმვა^[151] მეფისა^[152] და ვთქვათ ვეზირობისა: რაჲ
10 მეფე შეეკაზმოდეს, ტაშტი მსახურთ-უხუცესმან დაიჭიროს, პირის 460
მანდილი მესაწოლეთ-უხუცესმა, წყალი მოლარეთ უხუცესმან დაუს-
ხას, ტანისსამოსი მსახურთ-უხუცესმან ჩააცვას, ღილი მესაწოლეთ-
უხუცესმან შეუკრას. მუჯლთ დაყრით ქუდი მოლარეთ-უხუცესმან
მიიღოს.

36

15 და თუ ვეზირობა იყოს, მათ მოახსენონ ჳყონდიდელსა და ათა- 465
ბაგსა, ამირ-სპასალარსა, [მანდატურთ-უხუცესსა]^[153] მეჭურჭლეთ-უხუ-
ცეს[ს]ა, მსახურთ-უხუცეს[ს]ა და ამილახორსა. დაფინოს ორხოვა
ფარეშთ-უხუცესმა მომცრო და ზედ სასთაული დადვას. დაჯდეს
მეფე მას ზედა. მოიღონ სუფრის ნოხი და მომრგვალებით დაფინონ
20 პირისპირ. თავსა სუფრის ნოხისასა სელნი დადგან. მსახურ[თ]- 470
უხუცესან “ბ[რ]მანეთ” თქვას. ჯალაბი გაიყაროს, ჳყონდიდელი ნოხ-
თავე პირს მიბრუნდეს, ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა მოახსენონ,
მობრუნდნენ, ეგრეთვე მეჭურჭლეთ-უხუცესი. ჳყონდიდელი მამა არს

მეფისა, ათაბაგი ახ[ა]ლია. ჭყონდიდელისა მწიგნობრობა შემოსრულა,

6 არვ. ი. – 15 ჭყონდიდელსა] ამ სიტყვით დედანში იწყება ახალი მუხლი, მაგრამ ჩვენ წინა მუხლიდან მიუმატეთ ექვსი სიტყვა, ვინაიდან აზრით ეს სიტყვები ამ მუხლს ეკუთვნიან. – 21 - თქ. – 27 მოახსენ.~ნ.

არ[ს] მწიგნობართ-უხუცესობა ჭყონდიდლისა, გასულა ათაბაგი დიდი და საბატო და ძვრად ოდესმე იქმნების. ჭყონდიდელს ქვემოთ ნობ- 475
თა ზედა ათაბაგი და ამირ-სპასალარი დასხდენ. ამირ-სპასალარი საბატო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უმისოდ ქვეყანა
5 არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების, და პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის. და ესეც იქნების, რომე ორივე ერთსა ქონდეს. და უფრო შანშეთ სახლისა არის. ესევე 480
ორივე ჰელი ერთსა აქვს, და თუ ორთა. მეჭურჭლეთა-უხუცესი ძველი ვეზირი არის საბატო და ვინ ამ[ა]ს იტყვს: მსახურთ-უხ[უ]-
10 ცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა და ვაჩნაძე შეუყვანია:.

37

აწე მსახურთ-უხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცესისა გვერდით ზის 485
ვეზირობასა ზედან. ამილახორსა მათ უკანით ვითა ზესკამი უთქს და ვეზირობა ესმის, და იგი არას იტყვს, რასაც არა ჰკითხვენ. და
15 რად (ჰ)კითხონ, მაშინდა პასუხს იტყვის:.

38

საწოლის მწიგნობარი ჭყონდიდლისაკენ დგას კედლის ძირსა, საწერელი აქვს თავისი, ამირეჯიბი შუაზედ, ამილახორი ცალკე 490
დგას და ჰელთა არგანი^[154] აქვს. მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ, მეფის ზურგით მოლარეთ-უხუცესი
20 სალაროს კართა შიგნა დგას გამოსავალსა. და მერმე ვინც უნდა-
ა[თ] მეაბჯრეთ-უხუცეს[ს]ა, განმგეთ უხუცესსა, საჭურჭლის ნაცვალსა, მესტუმრესა, ზარდახნის მწიგნობარსა, და ვინცა ჰელისუ- 495
ფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხმენ და გაგზავნიან. ეგრეთვე მწიგნობარს ჭყონდიდელი გარდასცემს და ასწერენ და იურვიან, რაც
25 სასაურვო იყოს. საწოლის მეკრე^[155] კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით, ან გამოუხშავს. ჰელთა არგ[ა]ნი აქვს, ქვე ზის, და ვისცა უბრძანებენ, შემოიყვანს. მერიგე შორსა დგას, და მან- 500
დატურნი გარემემო შორს დგანან. და ვისცა არ უბრძანებენ, არვის მიიყვანენ სიახლოეს:.

- აწ პირველ ხოლო ღმრთის ჯამს პატივი: ვინათგან “უკვე არა
თუ მან აღაშენოს სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი”.
საწოლისა ღმრთისმშობელი თვთ საწოლსა სვენებია და მის წინაშე 505
მისთა მვედრებელთაგან ენთების სანიადაგო სანთელი და კანდელი.
- 5 მცველი მისი მესაწოლე არის, იგივე, რომელი წინამწოლი არის
მეფისა. ძელი ცხოვრებისა ველსა კარვით დგას, და კარავი განა-
დამცა სეფე იყო. ეკლესია კარვისა¹⁵⁶ და სხვანი ხატნი პა... (შემ-
დეგ აკლია). 510

1 პირლ ხ ღის ჯმის. 1-2 ფსალმუნი 126,1. – 6 კრვით. – 7. სხენი.

^[1] ხელთნაწერში შეცდომით: “არის”.

^[2] ქართ. ცხ. **ბროსეს** გამ. 318 და 332, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 496, 526 – 527. მაგრამ ივანე ახალციხელის ათაბაგობა ძლიერ საეჭვოა და მარიამ დედოფლის და თეიმურაზის ვარიანტებით არ მართლდება.

^[3] **Ф. Жордания** Абхазские католикосы, стр. 9.

^[4] **თ. ჟორდანია**, ქრონიკები II, გვ. 50, ს. **კაკაბაძე**, შიომღვიმის სამი სიგელი, გვ. 11.

^[5] **თ. ჟორდანია**, ქრ. II, გვ. 160.

^[6] **ე. თაყაიშვილი**, ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 564.

^[7] **Brosset**, Additions, p. 362.

^[8] **ვახუშტის** გეოგრაფია, **ბროსეს** გამოცემა, გვ. 34 – 36.

^[9] იხ. ჩვენი სამი ისტორიული ხრონიკა და შესავალი ამ წიგნისა, გვ. 129.

^[10] **ვახუშტის** გეოგრაფია, **ბროსეს** გამოცემა. გვ. 38 – 40.

^[11] **ივ. ჯავახიშვილი**, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდი, გვ. 302 – 304.

^[12] ისტორიის მიზანი წყაროები და მეთოდი, გვ. 232.

- [13] საქართველოს სიმეველენი, ტ. I, გვ. 20, გამოცემა პირველი.
- [14] ე. თაყაიშვილი. სამი ისტორიული ხრონიკა, შესავალი, გვ. 142 – 144.
- [15] დასტულამალი, პ. უმიკაშვილის გამოცემა, გვ. 3.
- [16] სოფელი ალი ერთი ქართლშია, გორის მაზრაში, მეორე სამცხეში, ფოცხოვის ხეობაში, სადაც მშვენიერი ტაძრის ნანგრევებია დაცული.
- [17] თ. ჟორდანიას შეცდომით კითხულობს: “დოდოს” ქრ. II, გვ. 300.
- [18] თ. ჟორდანიას, ქრ. II, გვ. 275.
- [19] ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, გვ. 78 და 84.
- [20] თ. ჟორდანიას, ქრ. II, გვ. 159.
- [21] Ibid. გვ. 161.
- [22] Ibid. გვ. 311.
- [23] Проф. Март, Древнегрузинские описцы, გვ. 24 და 105, 4.
- [24] შეად. § 14, სტრ. 112 (“რა ითაყვანოს”).
- [25] წელიწდისთავი. ნახე § 28 და 29 (“საწელიწდისთავი”).
- [26] მეფის შემოსვა შეად. § 35. შეად. § 16, 141 – 150.
- [27] შეად. § 20, 260 – 261 (“თევდორობამდის”), 264 (“თევდორობის მეორე დღეს”).
- [28] შეად. § 20, სტრ. 271 (“მეფე უბრძანებს”).
- [29] წა[მო]ვიდნენ.
- [30] დარბაზობა. იხ. § 29, ბოლო (“დასრულდა დარბაზის წესი”).
- [31] ამ აზრს ივ. ჯავახიშვილი თვლის წინა პარაგრაფის გაგრძელებად: “...ზურგით დგანან გიორგი მეფეს...”.
- [32] “დგას” ამილახორს არ ეხება.
- [33] იხ. § 33, სტრ. 424, საიდანაც უნდა იყოს თითქოს ეს ნაწყვეტი.
- [34] იხ. § 29, სტრ. 373 – 377 (“აღვსებისა ორშაბათს...”).
- [35] რაკი აქ ჭყონდიდელია, ამიტომ ყველგან სხვაგანაც ეს ფორმა უნდა.
- [36] [ამ აზრს ივ. ჯავახიშვილი თვლის წინა პარაგრაფის გაგრძელებად.]
- [37] ე. თაყაიშვილის მიერ აღდგენილ სიტყვას “საკითხავია” ივ. ჯავახიშვილი კითხვით ნიშნს (?) უწერს.]
- [38] მესტუმრე, მერიგე: § 7, სტრ. 45; § 13, სტრ. 97; § 31, სტრ. 403 – 404, § 38, სტრ. 495.
- [39] მუქიფი იგულისხმება საჭურჭლისა. შეად სა-ნუფქოდ.საღვინის მუქაფი. “მუქიფი ძლუნთ მნე, შემნახავი” (საბა). მუქაფი, საგამგეოს მუქაფი.
- [40] იხ. საგანმგებო § 28, სტრ. 361.
- [41] ჭყონდიდელსა და საწოლის მწიგნობარს, ამერიჯიბსაც იხ. § 12, სტრ. 87 (“ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს”); მესაწოლეთ-უხუცესსაც იხ. § 14, სტრ. 113 (“ზედამდგომელი მესაწოლეთ-უხუცესსაც მართებს”); მეჭურჭლეთ-უხუცესსაც იხ. § 17, სტრ. 187 (“ზედამდგომელი მართებს მეჭურჭლეთ”).
- [42] რაკი აქ ხუთი ფურცელი აკლია, თუ ვაზირთა უფროს-უმცროსობას გავითვალისწინებთ (იხ. § 36 სტრ. 464 – 466 და 476 – 479), აქ უნდა მწიგნობართ-უხუცესის, ათაბაგის, მანდატურთ-უხუცესის, მეჭურჭლეთ უხ...
- [43] მანდატურთ-უხუცესის ნაწილს ეკუთვნის, თუ მსახურთ-უხუცესისას?
- [44] დამნაშავეთა და დასასჯელთა გაპარსვა საქართველოშიც ყოფილა და ამ ხანაშიაც.
- [45] + [მსახურთ-უხუცესისა], ანდა + [მეღვინეთ-უხუცესისა]. შეად. აქვე სტრ. 78-ს (“მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი...”) და სტრ. 250-ს (“ზვართა ზემოთაც დაგწერია...”).
- [46] მსახურთ-უხუცესის კელისანი. შეად. § 14, სტრ. 107 – 111 (“მსახურთ-უხუცესი... მისის კელისა არის...”).
- [47] დათხოვნა = გასტუმრებას, მიუშვებლობას.
- [48] მესტუმრე, მერიგე, იხ. § 7, სტრ. 45 (“ამირეჯიბი – მესტუმრისა და მერიგისა”).
- [49] სად ზემოთ დაუწერია? მამასადამე, ზემოთ გამგეთ-უხუცესზე ყოფილა საუბარი. განმგეთ-უხუცესი და ამირეჯიბი ერთი უწყებისა ყოფილან, იხ. § 33, სტრ. 428 – 430 (“ამირეჯიბი... შაჰამანდსა განმგეთ-უხუცესი მიიღებს...”) და სტრ. 438 (“ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი დასხდებიან”).
- [50] მუზაფარი = მუჟუჟს.
- [51] უვერცხლო ჭურჭელი: სპილენძისა და შემისა. შეშა = ხეს. შეად. სტრ. 183 (“ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა”).
- [52] შეად. § 12, სტრ. 83 – 84 (“მსახურთ-უხუცესი და მისის კელისანი”).

- [53] რა ითაყვანოს მეფემან იხ. § 1, სტრ. 2 (“მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების.2).
- [54] “მოლარეთ-უხუცესი გახსნის” მერმე კიდევ არის გამოვლენილი, მაგრამ უფრო ვრცლად “მოლარეთ-უხუცესი გახსნის თასსა”; ალბათ, გადამწერის შეცდომაა.
- [55] იხ. § 13, სტრ. 93. (“სიგელი ვისცა უბოძონ...”).
- [56] შეად. სტრ. 134, 135 (“სიკისტრონსა ჯორისასა...”). სიკისტრონისა ჯორსა: სიკიტრონისა ჯარი-საგან.
- [57] (აქაც და სხვაგანაც სწერია “მოკმაზული”, ივ. ჯავახიშვილი ასწორებს “მოკაზმული”).
- [58] მაფრაში: “მაფრაშა სხუათა ენაა, ქართულად გუალაგი ჰქვიან” (საბა). არაბ დაგებული, საგებელი, Teppich, Matte, Bett, tapis.
- [59] მესაწოლე იხ. § 39, სადაც მოძრავი საწოლის შესახებაა და რაც, ვგონებ, ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული.
- [60] 700 სახლი გლეხი და აზნაური, თავადის ხსენება არ არის.
- [61] (მე-ს უმატებს ივ. ჯავახიშვილი დ კითხვით ნიშანს სვამს).
- [62] მანდილი ბაღდადური.
- [63] (ასეთი ნიშანი √ უზის, ალბათ, გამოტოვებული ადგილის აღსანიშნავად).
- [64] (აქ დედანში სწერია “ანუ”, ხოლო ივ. ჯავახიშვილი თავზე უწერს “თუ”, ალბათ “ანუ”-ს შესაცვლელად).
- [65] [ძღვენი] იხ. § 29 (სტრ. 365: “ცოტა ძღვენი”).
- [66] (ამის გასწვრივ ივ. ჯავახიშვილი არშიაზე წერს) საპონი.
- [67] ვაზირთა.
- [68] (ივ. ჯავახიშვილი უმატებს “ტაბაკსა” და მიუთითებს ქვემოთ 171 სტრიქონში ნახმარ გამოთქმაზე: “სახილესა ტაბაკსა”).
- [69] (სწერია “გზანივითა”, ივ. ჯავახიშვილი ასწორებს “გაზნივითა”).
- [70] (უმატებს ივ. ჯავახიშვილი).
- [71] ციცხვთა? რაკი მათი მოვალეობა ცეცხლის ნთება ყოფილა, ხომ დამახინჯებული არაა?
- [72] (ასე ავსებს ივ. ჯავახიშვილი და მიუთითებს[©] შეად. სტრ. 107, სტრ. 195 და 197 (“მისის ჯელისა არის”, “ჯელისანი არიან”).
- [73] ალბათ: ძველნი.
- [74] (“სახლისა საჭურჭლე” ტექსტში იყო ზემოთ, სტრ. 177, “ციცხვთა არის სახლისა საჭურჭლე”, და აქ ჩამოიტანა ივ. ჯავახიშვილმა.)
- [75] ხის 13, სტრ. 103 ჭურჭელი (“შეშისაჲ”) მეჯამეთ-უხუცესის ხელთ იყო. იხ. § და 106.
- [76] მასტაკი. “ესე არს თეთრი კევი საცოხნელი” (საბა).
- [77] (ტექსტში იყო: “და რად ვეზირობა იყოს”. ივ. ჯავახიშვილს “და” აქ გადმოაქვს).
- [78] (ტექსტში იყო “ჯელის”, ივ. ჯავახიშვილი ასწორებს “ჯელისაა”).
- [79] შეად. § 20, სტრ. 247 (“ანგარიში საანგარიშოთა გოდორთა შინა ძეს”).
- [80] (ამას აღადგენს ივ. ჯავახიშვილი და მიუთითებს:) შეად. სტრ. 183 – 184 (“ჭურჭელი, ოქროსი და ვერცხლისა... საჭურჭლესა ძეს და დგას”) და სტრ. 243 – 245.
- [81] (აქ ივ. ჯავახიშვილის ამონაწერი აქვს საბას ლექსიკონიდან: აღვირი, აღვირედი რახტი).
- [82] “სათიჯარი ჳრმლის ბუნიკი” (საბა). შეად. ე. თაყ. მცდარს განმარტებას აქვე (“აქ რკინის ჯოხს უნდა ნიშნავდესო” – ამბობს ე. თაყაიშვილი ლექსიკონში).
- [83] მაშრაპა არაბ. მემრებე, მდაბ მაშრაპა. vase, pocal, Trinkgef3ss, Becher. “მაშრაპა სხუათა ენაა, სარწყული სტამნია” (საბა). “სტამნი სარწყული პირფართო” (საბა).
- [84] ეს უეჭველია მეღვინეთ-უხუცესის სახელოს შესახები ნაწილის ნაწყვეტია. იხ. § 20 სტრ 243 – 245. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ მსახურთ-უხუცესის სახელოს ნაწილს უნდა შეადგენდეს. შეად. სტრ. 251 – 257 და სტრ. 78 – 79. § 20 ამის გაგრძელებას წარმოადგენს.
- [85] იხ. § 16, რომლის შინაარსი ამავე საკითხს ეხება.
- [86] (ტექსტშია: “წინ დასდგმენ მასვე ტაბაკსა ზედა ძეს”. სიტყვები გადასხა ივ. ჯავახიშვილმა).
- [87] შეად. სტრ. 181 – 190 და 210 – 219.
- [88] შეად. სტრ. 208 – 209 (“ანგარიშს იქმენ...”).
- [89] (ტექსტში: მისთანა. “ით” ჩაუმატა ივ. ჯავახიშვილმა).
- [90] იხ. § 11, სტრ. 78 – 79 (“მანდატური და ... მეღვინე წავლენ, მუშაობენ”).
- [91] (“მემარნე”, “და მეღვინენი” აღდგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ).
- [92] (ამ ნიშანს √ უწერს ივ. ჯავახიშვილი, ალბათ, ხარვეზის აღსანიშნავად).
- [93] შეად. სტრ. 13 -14 (“...თევდორობამდის...”).
- [94] (ტექსტში: ვეზირთა, ვეზირნი; ივ. ჯავახიშვილი ყველგან ასწორებს: ვაზირთა ვაზირნი).

- [95] (აქ ივ. ჯავახიშვილი გამოტოვების ნიშანს სვამს და არშიაზე წერს: “მოურავთა?” თანვე უთითებს 273 სტრიქონში გამოთქმაზე: “ვეზირნი დ ამოურავნი”).
- [96] მიაართმ[ევ]ენ (ასე ავსებს ივ. ჯავახიშვილი).
- [97] იაფობა = გაცემას. წყენა = დაცინვა-გინებას. დახიზვნა = წასვლას.
- [98] საწოლის მეკრე. იხ. სტრ. 143 და 498.
- [99] “და მასაცა” აღდგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ.
- [100] ითვალვენ, სათვალავი. შეად. სტრ 11 “აღთვალვენ” და სტრ. 437 – 439 (“ითვალავს”) და 440 (“სათვალავსა”).
- [101] აქეთგან დარბაზობის ჯდომისა და დგომის წესი იწყება, რომელსაც აქაც და § 21 და 22-ში პურობის წესის ცნობებიც [ერთვის]. ეს სტრ. 281 – 301 ვგონებ 417 – 451 უნდა იყოს დაკავშირებული და 451 სტრიქონის მომდევნო სტრიქონების გაგრძელება უნდა იყოს.
- [102] (აქაც და ქვემოთაც, სტრ. 287 – 8, ე. თაყაიშვილის მიერ აღდგენილ “ნ”-ს ივ. ჯავახიშვილი აუქმებს, ე. ი. მისი აზრით უნდა იყოს. “ტრაპიზონელი”).
- [103] (“ოვსთა მეფე” აღდგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ).
- [104] (ამ აბზაცს ივ. ჯავახიშვილი აერთებს წინა აბზაცთან).
- [105] მარჯვენით. შეად. § 24, სტრ. 316 – 321 (“მოდღვართ-მოდღვარი... მარჯვნივ გარდადგეს”) და სტრ. 328 (“მარჯვენით ახლოს იყოს”).
- [106] მეფესა (ე. თაყაიშვილის გამოცემაში “მეფისა”).
- [107] ეს (ე. ი. მთელი პარაგრაფი) თავის ალაგას არ არის.
- [108] “ჩვენთაცა”, ე. ი. ზევით სტუმრად მოსულ მეფეებზე იყო საუბარი, აქ კი “ჩვენთა” ანუ ვაზირებსა დაუმაღლეს სასულიერო პირებზე.
- [109] ეს დარბაზობის მოწვევისა და დარბაზს წვევის წესის ნაწყვეტია.
- [110] “ვაწვეო” (ამ სიტყვაზე მითითებით არშიაზე ივ. ჯავახიშვილი კითხვით ნიშანს (?) სვამს).
- [111] მარჯვენით. შეად. აქვე სტრ, 291 (“მარჯვენით დაუწერია”).
- [112] ეჯიბმან, თუ ამირეჯიბმან? აქ უეჭველია ზმნა აკლია და ასაფიქრებელია ანალოგიით, რომ იქმნებოდა “აწვიოს სამი ვაზირნი, რომელთა კოცნასაც ჰგულისხმობს მეფისაგან, ანდა “აწვიოს” შემდეგ დასმული მძიმე (,) უნდა ამოიშალოს და მაშინ სამნი (?) იქნება. იხ. სტრ. 300 – 301: სამთა ვაზირთა; მწიგნობართ-უხუცესის წესით წვევა ჰგულისხმობს ათაბაგს, ამირ-სპასალარს და მანდატურთ-უხუცესს.
- [113] იმიერით (შედა. სტრ. 341: “ამიერი ბედიელი...”).
- [114] (ამ ხარვეზის შესავსებად ივ. ჯავახიშვილი ორ ვარიანტს ადგენს:) “მაკურთხეველიცა და“ ანდა “დამლოცველიცა და”.
- [115] ამის გაგრძელება უნდა იყოს § 32 და შემდეგ 30 და 31.
- [116] ძღვენი საწელიწდისთაო, იხ. § 1 (სტრ. 4 – 5: “წელიწდის თავის დღეს”).
- [117] (ასეთ ნიშანს √ უკეთებს ივ. ჯავახიშვილი, ალბათ, ხარვეზის აღსანიშნავად).
- [118] ნაჟე = *συγαμύριον* sycamomorum, *απυρρηνή* “ნაჟე ხულია ფიჭვივით” (2 ნუმტ. 9,27) (საბა).
- [119] ქვევრი თუ კვერი? “ქვევრი” იხ. [ე. თაიშვილის] წინასიტყვაობა გვ. XXI.
- [120] ჳმა-ტკბილი.
- [121] იხ. § 6, სტრ. 39 – 40 (“ვინცა კარგი მკითხველი...”).
- [122] [წავლენ] აღდგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ საეგებიოდ (?).
- [123] (ტექსტშია “თეთრსა”. ივ. ჯავახიშვილი აღადგენს “თეთრისა” და კითხვით ნიშანს უსვამს).
- [124] (ამ პარაგრაფს თავშივე უკეთებს ივ. ჯავახიშვილი შენიშვნას:) თამარის პირველი ისტორიკოსის ტექსტის აღსადგენად გამოსადეგი ამონაწერი.
- [125] (აღდგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ).
- [126] საკრამანგი!
- [127] (ამ პარაგრაფს თავშივე უკეთებს ივ. ჯავახიშვილი შენიშვნას:) ეს დიდი დარბაზობის აღწერილობის ნაწყვეტია.
- [128] დაჯდების. შეად. სტრ. 279 – 280 (“დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების”) და სტრ. 420 – 421 (“ვინც ქვე სხედან”).
- [129] შეად. ვაზირობას § 38, სტრ. 489 – 490 (“საწოლის მწიგნობარი... დგას კედლის ძირსა, საწერელი აქვს თავისი”).
- [130] უთქს: დგ – თქ.
- [131] ეს ნაწყვეტი შეად. § 33-ს, მეტადრე სტრ. 443 – 449.
- [132] ეს § 28 სტრ. 356-ის (“შავშეთისა”) გაგრძელება ჩანს. შემდეგ იხ. § 30 და 31.
- [133] მარჯვენა მხარეზე. იხ. სტრ. 320 და სტრ. 328.

- [134] (ტექსტში “ამილახორი”. ივ. ჯავახიშვილი ასწორებს:) ამირახორი.
- [135] (ტექსტშია “თორმეტნი”; ივ. ჯავახიშვილი ასწორებს: თორმეტთა).
- [136] (ტექსტში “სუფრასა”. ივ. ჯავახიშვილი ასწორებს “სუფრ[ის]ასა”).
- [137] შეად. სტრ. 279 – 280 (“ქვე ვერ დაჯდების...”) და სტრ. 398 (“ქვე ვერ დაიბიჯებს”). ამასთანავე უნდა იყოს სტრ. 282 – 301 დაკავშირებული.
- [138] ტაბლის დადგმის შესახები ცნობა აკლია. შეად. სტრიქონს 432 – 433-ს (“ამათ წინ. ტაბლას დასდგმენ, და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს”).
- [139] იხ. § 5, სტრ. 36 – 37 (“... რათა ტაბაკი დადგან სეფე”).
- [140] (წინადადება “ტაბაკს მანდატურთ-უხუცესი – მიიღებს კოზმანჩქითა” ტექსტში მოთავსებულია ზემოთ, სტრ. 424, “არ დასდგმენ”-ის შემდეგ. აქ გადმოიტანა ივ. ჯავახიშვილმა).
- [141] (ტექსტშია “მიიღებს”; ივ. ჯავახიშვილი ასწორებს “მოიღებს” და არშიაზეუწერს: მიართმევენ?).
- [142] (“და განმგეთ-უხუცესი” ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ 438 სტრიქონის ანალოგიით: “ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი დასხდებიან”).
- [143] “პირის მწ[დ]ეს” (“დ” ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ).
- [144] “მივა” (აღდგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ).
- [145] თუ “სუფრისა ნოხი”? შეად. სტრ. 468 (“სუფრის ნოხი.... დაფინონ”).
- [146] სუფრ[ობ]აზედ? პურობაზედ?
- [147] (ტექსტშია “და იგი”. სიტყვები გადასხა ივ. ჯავახიშვილმა).
- [148] ალბათ, იმის ცხადსაყოფელად, რომ იქ საწამლავი არაფერია.
- [149] არ მაგად?
- [150] (ამ პარაგრაფზე მითითებით ივ. ჯავახიშვილი წერს:) შეად. გვ. 13 და გვ. 14, § 27 (იგულისხმება ე. თაყაიშვილის გამოცემის გვერდები).
- [151] (“შეკაზვა”-ს ივ. ჯავახიშვილი ყველგან ასწორებს: “შეკაზმვა”).
- [152] შეად. § 1)ეხება “მეფის შეკაზმვას”).
- [153] (ამ სიტყვებს აღადგენს ივ. ჯავახიშვილი და წერს:) შეად. სტრ. 476 – 479.
- [154] ვაზირობის დროს არგანი მანდატურთ-უხუცესის მაგიერ ამილახორს და არა ამირეჯიბს ეჭირა.
- [155] საწოლის მეკრე შეად. სტრ. 143 და მეტადრე სტრ. 279 – 280 (“საწოლის მეკრე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების”). აქ ვაზირობაზეა, იქ დარბაზობაზეა.
- [156] მოკრავი ეკლესია სეფე კარავში. იხ. § 15, სტრ. 123 – 138, რომელთანაც დაკავშირებული ჩანს ეს § 39.

დამატება III

გიორგი VII

(იხ. ტ. III, გვ. 307)

“მაშინ გიორგი მეფემ განილაშქრა ალინჯას ყოვლითა სპითა ქართველითა, იმერელითა, მესხითა და შირვანელითა: მივიდა ალინჯას და დაჯოცა ლაშქარი და გამოიყვანა ძე სულტანისა შეყენებული ციხესა ალინჯისასა 1396 ქრისტეს აქეთ, აღჯოცნა მკედარნი თემურ ყაენისა და მოვიდა გამარჯვებული”^[1]. თარიღი დედანში ქრონიკონით იქნებოდა მოყვანილი და არა ქრისტესით. ამიტომ ქრისტესით თარიღად გადმომწერისაგან უნდა იყოს შესწორებული და ალბათ ამ გამოანგარიშების დროს მომხდარ შეცდომით უნდა აიხსნებოდეს შერეფ ედდინის 1398 წ. თარიღსა და ერისთავთა ძეგლის თარიღს შორის არსებული განსხვავება.

“მაშინ მოვიდა თემურ სამარყანელი ყოვლითა სპითა [ჩადანელ, ქობანელ, სიყალბელ, ნაროელ, ინდოსტანელ და] ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლეთის ლაშქრითა, დიდითა რისხვითა და გულისწყრომითა. ხოლო გიორგი მეფე წარვიდა ლიხთიმერეთსა. მაშინ ერისთავი ვირშელ უკუდგა ციხესა ბესაშვილასა დედა წულითა და ჯოგითა და თანა ჰყუა კათალიკოზი ელიოზ ყოვლითა საყდრის-შვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხვრითა”^[2].

“მოვიდა თემურ და წარმოუძღვა წინა ბურდისშვილი ვირშელი და შემუსრნა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მინდორნი (?), მთანი და ტყენი, კლდენი და ჰევნი და ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველი ესე ქუეყანა. და მიიწია ლაშქარი მათი ქუთაისს, ლეკეთსა და დარიალს და მოსწვეს და მოაოჭრეს ყოველი საქართველო და დაყარეს მძოვრი მკვდრისა ვითარცა მჭევლი თივისა”^[3].

“ერისთავთა ძეგლის” მემატიანის სიტყვით, “მაშინ თემურ, ვითარცა მოაოჭრა ყოველი და დაატყვევნა საქართველოში, თითონ “წარვიდა შამეს” (თუ შაქეს?), ხოლო ტყვე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარყანს”-აო^[4].

“მაშინ მოვიდა მეფე გიორგი ლიხთიმერეთით და ესმა დვალთაგან ღალატი ერისთავისა და განილაშქრა მათ ზედა და შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა და იწყო ტყუევნა და აოხრება მათი”^[5].

ამნაირად, დასჯილ იქმნენ დვალნი ღალატისა და მეკობრობისათვის და დვალეთიც კვლავ დაპყრობილ-დამორჩილებულ იქმნა.

კოსტანტინე I

(იხ. ტ. IV, გვ. 23 – 25)

1407 წ. “[ქვ~ს]: ჟე: დიდი ომი იყო. მეფე გორგი მოკლეს თურქთა, სრულიად ლაშქარნი მოსწყვიდნეს და ძმა მისი კოსტანტინე მეფედ დაჯდა”-ო^[6].

ამის შესახებ ბატონიშვილს ვახუშტს თავის ისტორიაში საკმაოდ ვრცელი ცნობა აქვს მოყვანილი. მას ნათქვამი აქვს: “შემდგომად თემურის წარსვლისა დაადგრა ექვსი წელი ქვეყანა მშვიდობით და მეფე მოვიდა, განასხმიდა თათართა საზღვართა თვისთაგან და მოსრვიდა მათ და აღიღებდა ალაფთა მათთა დიდძალთა... ხოლო ვითარ იყო ჭირი დიდი გიორგი მეფისაგან ყოველთა გარემოთა მაჰმედიანთა ზედა, ვიდრე რახსისა კიდედმდე მოსრვითა და ალაფობითა, ამისთვის შეიკრიბენ ყოველნი თურქთა ლაშქარნი დიდძალნი, უკეთუ არა ესვათ ყაენი, არამედ ბილწისა სჯულისა მათისა მხურვალეებითა წარმოემართნეს ქართლსა ზედა. მოესმა რა მეფესა მოსვლა მათი და ვითარ გამარჯვებული იყო მათ ზედა მრავალგზის, სისწრაფითა არღარა მოიცადნა სხვანი სპანი თვისნი, გარნა რაოდენნი ესწერნენ თვისთანა, მიეგება წინა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი, რამეთუ მოისრნენ თურქნი უმრავლესნი; არამედ შემდგომად ძლიერისა ბრძოლისა მოიკლა მეფე გიორგი თურქთაგან წელსა 1407, ქართულსა 95 და მოსრნეს სრულიად სპანი მისნი. შემოვიდნენ და მოაოხრეს ქართლი მარბიელებით და წარვიდნენ, ვინადგან იხილნეს მცირეთა სპათაგან ბრძოლა ძლიერი და უგონებელცა იყვნენ სიკვდილსა მეფისასა, რათა არა ეწიონ სხვანი სპანი სიდიდითა”^[7].

სახელოვან ქართველ ისტორიკოსს შენიშვნაში ნათქვამი აქვს: “საგონებელ არს ბრძოლა ესე ნახიდურს, სადაცა არიან საფლავნი, მრავალთა გვამთა შეყრილნი,

რომლისას იტყვიან მუნ მოწყვედილთა მრავალთა ქართველთა და არღარა წარიღეს თვისთვისთა სასაფლაოთა და დაფლეს მუნვე... რომელი საჩინოდ არს დიდ-დიდითა ფიქალის ქვითა მოზღუდვილი”-ო^[8].

ბატონ. ვახუშტს ნათქვამი აქვს, რომ 1410 წ. რომ ოსმალთა სულტნად მუსა დაჯდა, მან ივერიის წინააღმდეგ ძლიერი ლაშქარი გამოგზავნაო. კონსტანტინე მეფე ჯარითურთ შემოსეულს მტერს დაუხვდა და ბრძოლაში “მოსწყდნენ ორგნითვე, გარნა უმეტეს უმრავლესნი თურქნი, რამეთუ მისდრიკნეს სივლტოლად. მაშინ მეფე სიფიცხითა გულისათა შევიდა გუნდთა შინა მათთა და მოსწყვეტდა უზომად: არამედ მოიკლა მათგან მუნ ბრძოლასა შინა თურქთაგან წელსა 1414, ქართულსა 102 და იძლივნენ საქართველოსანნი. მოჰყვნენ თურქნი, შემოვიდნენ კლარჯეთს” მაგრამ რაკი ვერა დააკლეს რა, უკან გაბრუნდნენო^[9].

ამ ამბისათვის ქართველ მეცნიერ ისტორიკოსს ადგილობრივი წყარო არ ჰქონია, როგორც ეტყობა, რადგან თავის ცნობის სიმართლის დასამტკიცებლად უცხოეთის წყაროს ასახელებს: “ამას მოწმობს ხრონოგრაფი ბერძნული, რომელ ხონთქარმან მუსამ წარმოავლინა სპანი საქართველოს დასაპყრობელად”-ო^[10].

სომეხთა ისტორიკოსს თომა მეწობელსაც აღნიშნული აქვს, რომ “ამ დროს ღვთის წყალობით მთელს საქართველოში და ალბანეთში მშვიდობიანობა დამყარდა და მთელი ქვეყანა მოეშენა”, მცხოვრებნი ისევ თავიან სოფლებში ჩამოვიდნენ და დაბინავდნენ. ეკლესიებშიც კვლავ მღვდელმსახურება გაცხოველდა და ვინც წინათ შიშით ქრისტიანობას გადაუდგა, ისევ მოიქცა და გაქრისტიანდაო^[11]. ეს სიწყნარე და მყუდროება საქართველოში, როგორც ზემოაღნიშნული ისტორიკოსის მოთხრობის მიმდინარეობიდან ჩანს, 1410 წ. უნდა დამყარებულიყო.

ერთის მხრით მისი ნათქვამიდან ირკვევა, რომ ეს სანატრელი მშვიდობიანობა 1408 წ.-ს ორი წლის შემდგომ ჩამოვარდა^[12], მეორე მხრით მას ისიცა აქვს აღნიშნული ეს ამბავი მას შემდგომ მოხდა, როდესაც ახმედ იბნ ოვეიზმა თავრეჟი აიღო და ამის გამო მასა და ყარა-აუსუფს შორის სასტიკი ბრძოლა მოხდა, რომელიც ახმედის დატყვევებითა და სიკვდილად დასჯით დამთავრდა^[13]. ხოლო ცნობილია, რომ ყველა ზემოაღნიშნული მართალც 1410 წ.-ს მოხდა^[14].

სპარსელი ისტორიკოსის მირზონდის თხზულებაში ცნობა მოიპოვება, რომ 1411 წ. შირვანის ვალიმ შეიხ-იბრაჰიმმა, შექის მფლობელ სიდი-ალის შვილებთან და საქართველოს მეფეს კონსტანტინესთან ერთად, რომელმაც 2000 ცხენოსანი ჯარისკაცი გამოიყვან, ყარა-აუსუფის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამას ამ ომისათვის თავი არ აურიდებია: ზამთარშივე მან შეიხ-იბრაჰიმსა და მის მოკავშირეებს ჩხუბი აუტეხა და სასტიკი ბრძოლის შემდგომ, როდესაც საქართველოს მეფემა და აზნაურ-მეომრებმა თავი გამოიჩინეს, შეიხ-იბრაჰიმი, მეფე კონსტანტინე თავისი თანამებრძოლი აზნაურებითურთ მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუვარდა. ქართველთა ტყვეობაშიაც ამაყმა, გულადმა და მედიდურმა ქცევამ მათი ბედიღბალი გადასწყვიტა: თვით მეფეცა და აზნაურებიც მოკლულ იქმნენ, კონსტანტინე თურმე თვით თარაქამა ამირფირ-ბუდალისა და პირადად ყარა-აუსუფის ხელით^[15]. მთელი ამ მოთხრობიდან, თუ იგი საქმის ვიათრებას წორად გვისურათებს, ცხადადა ჩანს, რომ საქართველო თვით ყოფილა თავდამსხმელთა ჯგუფში და არა ყარა-აუსუფი, რომელიც, როგორც ეტყობა, მოწინააღმდეგეთა იერიშს იგერიებდა. სპარსელი ისტორიკოსის ცნობაში სამწუხაროდ აღნიშნული არ არის, სად მოხდა ბრძოლა, რომ გვცოდნოდა დააზინა თუ არა ამ დამარცხებამ თვით საქართველოს მიწაწყალი და დანარჩენი მკვიდრნიც, თუ ბრძოლა საქართველოს საზღვრებს გარეშე სწარმოებდა.

ქართულ კვანკლოსებში შენახულია ცნობა კოსტანტინე მეფის მოკვლის შესახებ, მაგრამ თარიღი სრულებით არ უდგება. 1401 წ. “[ქ]კ~სა: პთ: მეფე კოსტანტინე მოკლეს ჩალაღანს”, ასეა ერთს თ. ჟორდანიას ხელნაწერში და ვახუშტის “ქორონიკონებში” (ქიჭ. 363), ხოლო დანარჩენებში ეს ამბავი ერთი წლით შემდგომ იხსენიება 1402 წ. “ქკ~ს: ჟ: მეფე კონსტანტინე ჩალაღანს მოკლეს”-ო^[16]. ასეთი ერთხმივი^[17] მოწმობა გვაფიქრებინებს, რომ ეს ცნობა უსაფუძვლო არ უნდა იყოს. კოსტანტინეს სიკვდილის გეოგრაფიულად განსაზღვრულობაც კარგ ნიშნად უნდა ჩაითვალოს. ერთადერთ დაბრკოლებას ქრონიკონი “პთ” და “ჟ” წარმოადგენს, რომელიც 1401 წ. და 1402 წ. უდრის და, რასაკვირველია, მცდარია, რადგან შერეფ ადდინ ალი იეზდისაგან ჩვენ, როგორც დავრწმუნდით, ვიცით, რომ ამ დროს გიორგი მეფობდა და კოსტანტინე ამის შემდგომაც კარგა ხანს ცოცხალი იყო, მისგან 1408 წ. ბოძებული სიგელიც კი არსებობს. საფიქრებელია, რომ ზემოდასახელებულ ხელნაწერებში ეს ცნობა სხვა დედნიდან უნდა იყოს გადმოწერილი და თავდაპირველ დედანში ქრონიკონად ეწერებოდა “:პით:” ანუ 99, რაც 1411 წ. უდრის, როგორც ეს თომა მეწოფელსაც აქვს აღნიშნული. ერთს გადამწერს პირის გადაღების დროს “პ”-არის (80) მომდევენო “ი” 10 ან გამორჩენია, ან გამოუტოვებია ვითარცა შეცდომით დაწერილი და ამგვარად 99-ის მაგიერ 89 დაუსვამს ქრონიკონად, დანარჩენით კვანკლოსები მეორე გადამწერის პირს წარმოადგენს და აქ პ და ი, ანუ 80 + 10 გადაწერის დროს სამართლიანად “ჟ”, ანუ 90 აღუნიშნავს და ეს გარემოება უდავოდ ამტკიცებს, რომ ამ შემთხვეულობის თავდაპირველ თარიღში ათეული მართლაც ცხრა იყო და არა რვა, როგორც თ. ჟორდანიას ხელნაწერშია, მაგრამ სამაგიეროდ ამ მეორე გადამწერს ერთეულები “თ” 9, რომლის არსებობა ნუსხა დედანში კანონით თ. ჟორდანიასეულ ხელნაწერით მტკიცდება, ან გამორჩენია გადმოწერის დროს, ან შეცდომად მიუჩნევია და გამოუტოვებია. ამგვარად საფიქრებელია, რომ ქართულ წყაროშიც კონსტანტინეს სიკვდილი 1411 წ. ყოფილა აღნიშნული.

[კოსტანტინე I და ალექსანდრე I]

ალექსანდრეს ბატონობის დროს მისი მამა კოსტანტინე მეფე 1407 წელს, ჯერეთ გამოურკვეველი მიზეზის გამო, გასწყრომია. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ სწორედ 1407 წელს მოხდა ის დიდი ომი, რომელშიც შემოსეულ მტერთან ბრძოლაში გიორგი VII მეფე მოკლულ იქმნა, და მის მაგიერ მისი ძმა და ალექსანდრეს მამა კოსტანტინე დაჯდა მეფედ, შესაძლებელია საკითხი წამოიჭრას, მამა-შვილს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება პოლიტიკურ ნიადაგზე ხომ არ იყო აღმოცენებული. მაინც და მაინც მათ შორის განხეთქილება იმდენად დიდი და გაღრმავებული ყოფილა, რომ ალექსანდრე იძულებული იყო საქართველოს დედაქალაქსა და მშობლების კერასაც კი გასცლოდა. **ზევდგინიძის** ცნობით, იგი მესხეთის მთავარს შეეხიზნა და “ათაბაგსა ივანეს თანა წავიდა” და იქ საკმაო დროის განმავლობაში მოუხდა ყოფნა, ისე რომ “ხუთსა წელიწადსა ღარიბობასა” დაჰყო მესხეთში^[18] და, სანამ მისი მამა ცოცხალი იყო, თავის მამის სახლში ვეღარ დაბრუნდა.

ალექსანდრეს აღმზრდელი რუსა

(იხ. ტ. IV, გვ. 24)

მართალია, ალექსანდრე ბეზიას, მისი დედის ნათიას დედას, რუსას აღუზრდია, დედა კი შემონაზონებულა და მოლოზნად აღკვეცის შემდგომ ნინო სწოდებია სახელად. შესაძლებელია ამიტომ გვეფიქრა, რომ ეგების კოსტანტინე მეფეს თავის თანამეცხედრე ნათია დედოფალთან რაიმე უსიამოვნება მოუვიდა და ცოლს გაეყარა, რომელიც ამის შემდეგ მონასტერში შევიდა, და ამიტომაც მისი შვილის ალექსანდრეს აღზრდა მის ბეზიას, რუსას, მოუხდა. მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგან ალექსანდრეს პაპას დედის მხრით, ქუცნა ამირეჯიბს რომ თავისი თავისა და მახლობლებისათვის აღაპების დაწესებაზე უზრუნვია, სხვათა შორის ნათქვამი აქვს: **“ორი დღე მეფისა კოსტანტინესთჳს, ერთი დღე დედოფლისა ნათიასთჳს”** გამიჩენიაო. კოსტანტინე რომ მის ქალიშვილს გაჰყროდა, საეჭვოა, რომ ნათიას მამას, ქუცნას, მისთვის ორი დღისა კი არა, არამედ საერთოდ აღაპის გაჩენის ხალისი ჰქონოდა. ამიტომაც უფრო დასაჯერებელია, რომ ნათია ქმრის, კოსტანტინე მეფის, ბრძოლაში მტრისაგან მოკვლის შემდგომ, ანუ 1411 წელს შემონაზონდა.

1411 წელს კი, მამის სიკვდილის ჟამს, მისი 1390 წელს დაბადებული ვაჟიშვილი ალექსანდრე უკვე 21 წლის ჭაბუკი იქნებოდა, როდესაც მას, ვითარცა უკვე მომწიფებულსა და სრულწლოვანს, ბეზიის მიერ აღზრდა აღარ დასჭირდებოდა. ხოლო, რაკი ალექსანდრეს მამის სიკვდილამდე ხუთი წლის განმავლობაში იოანე ათაბაგთან იყო გაზიზნული, ცხადი ხდება, რომ უკვე 1407 წლიდან მოყოლებული ბეზიას რუსას საშუალება არ ექნებოდა თავისი შვილიშვილის ალექსანდრესათვის აღმზრდელიობა გაეწია, თუ რომ მას “ღარიბობაში” ბეზიაც თან არ გაჰყვა. მის გაყოლაზე კი ზევდგენიძე არაფერს ამბობს. მისი სიტყვიდან, პირიქით, ისე გამოდის, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან “ღარიბობაში” გაყოლა და ყოფნა სწორედ მისი მამის მამის ღვაწლი იყო: როცა **“ალექსანდრე მეფე (იმ დროს ნამდვილად მხოლოდ უფლისწული) ათაბაგსა ივანესთანა წავიდა”,** მაშინ **“მამა ჩემი თან წაჰყვა ღარიბობასა”** და, სანამ იქ ბრძანდებოდა, **“ხუთსა წელიწადსა ღარიბობას იახლა”-ო^[19].** ხოლო, როცა ალექსანდრე მესხეთიდან დაბრუნდა და გამეფდა, მასთან მამაჩემიც მოჰყვა და ასეთი ერთგულებისათვის **“როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრეს მამაჩემი, მის დროინდელის მომსწრეს ჰკითხეთო^[20].**

მაშასადამე, ირკვევა, რომ რუსას თავისი შვილიშვილის ალექსანდრეს აღმზრდელი მხოლოდ 1407 წლამდე შეეძლო ყოფილიყო, ე. ი. სანამ ის 17 წლის იქნებოდა და მამასთან, მეფე კოსტანტინესთან, უთანხმოების გამო მესხეთში არ წავიდოდა. ამრიგად, ბეზის რუსას მზრუნველობა თავისი შვილიშვილის ალექსანდრეს აღზრდაზე მისი დედის შემონაზონებამდეც არის საგულისხმებელი და მის აღკვეცასთანაც არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

რედაქტორი

სიმ. ყაუხჩიშვილი

*

კორექტორი

გრ. ნიქაბაძე

